საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

გურამ ბედოშვილი

ერწო-თიანეთის ტოპონიმია

„მეცნიერება"
თბილისი
1980

81.2 Гр
801.311 (47.922)
ბ 406

წინამდებარე ნაშრომის მიზანია ერწო-თიანეთის ტოპონიმთა წარმოქმნის ძირითადი საშუალებების გამოვლენა, გეოგრაფიულ სახელთა ლინგვისტური თვალსაზრისით განხილვა.

ნაშრომს დართული აქვს ერწო-თიანეთის ტოპონიმთა მოკლე ვარმარტებითი ლექსიკონი, რომელშიც 2000-მდე სახელწოდებაა წარმოდგენილი.

წიგნი გამიზნულია სპეციალისტთა ფართო წრისათვის. იგი დახმარებას გაუწევს როგორც ენათმეცნიერებს, ისე ისტორიკოსებს, ეთნოგრაფებს, დიალექტოლოგებს და, საერთოდ, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკის საკითხებით დაინტერესებულ პირებს.

რედაქტორი პროფ. ა. კ ი ზ ი რ ი ა

БЕДОШВИЛИ ГУРАМ ВАСИЛЬЕВИЧ

ТОПОНИМИЯ ЭРЦО-ТИАНЕТИ

რეცენზენტები: ფილოლოგიის მეცნ. დოქტორი პროფ. თ. უ თ უ რ გ ა ი ძ ე
ფილოლოგიის მეცნ. კანდიდატი პ. გ ა ჩ ე ჩ ი ლ ა ძ ე

ბ 70103 / M 607 (06)—80 105—80

© გამომცემლობა „მეცნიერება", 1980

გადაეცა წარმოებას 16/XI.79; ხელმოწერილია დასაბეჭდად 17/VI.80;
ქაღალდის ზომა 60×90 1/16; ქაღალდი № 1; ნაბეჭდი თაბახი 15.3;
საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 12,9;
უე 01139; ტირაჟი 2000; შეკვეთა № 3816;
ფასი 1 მან. 50 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ. მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

ავტორისაგან

ერწო-თიანეთის ტოპონიმიკური მასალა (გეოგრაფიული სახელები) ჩვენ მიერ ადგილზე ჩაწერილია 1966—1972 წლებში, ძირითადად ზაფხულის თვეებში, სამეცნიერო მივლინებების დროს.

ერწო-თიანეთი აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებს შორის ენობრივი (დიალექტური) თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე უფრო მრავალფეროვანი რაიონია. ერწო-თიანეთში დიდი ხანია კომპაქტურად სახლობენ ივრისხეველი ფშაველები, ხევსურები, მთიულეთ-გუდამაყრელები, კახელები, ქართლელები. ეს ვითარება ძალზე ხელშესახებად არის წარმოდგენილი აქაურ ტოპონიმებში, რომელთა ენათმეცნიერული თვალსაზრისით შესწავლა არაერთ საგულისხმო საკითხს აღძრავს.

ერწო-თიანეთის ტოპონიმია სრული სახით დღემდე შესწავლილი არ ყოფილა. მართალია, ზოგიერთი აქაური ცალკეული ტოპონიმის (იორი, აძები, ქუსნო, ჟალეთი, ნადოკრა, ერწო, არტანი...) შესახებ სპეციალური წერილებიც მოიპოვება, მაგრამ ცალკეულ ტოპონიმთა იზოლირებულად კვლევა ჯერ კიდევ არ ნიშნავს ამა თუ იმ რეგიონის ტოპონიმიკური სისტემის შესწავლას. წინამდებარე ნაშრომი ამ საკითხების გარკვევას ისახავს მიზნად.

ნაშრომში, ერწო-თიანეთის გეოგრაფიული ნომენკლატურის მორფოლოგიური თვალსაზრისით დახასიათების გარდა, წარმოდგენილია საკვლევი რეგიონის ტოპონიმთა ახსნა-განმარტებითი ლექსიკონი, რომელშიც ტოპონიმები დახასიათებულია მათი რაობის, კუთვნილების და ა. შ. მიხედვით; მოცემულია სხვა, ძირითადად, დემოგრაფიული ხასიათის ცნობები. მთავარი ყურადღება კი მაინც ტოპონიმთა სემანტიკის გარკვევას ეთმობა. ჩვენეული ეტიმოლოგიური ვარაუდები არსებითად ემყარება იმ თვალსაზრისებს, რომლებიც ადრე სპეციალურ ლიტერატურაში ყოფილა გამოთქმული.

ნაშრომის სათანადოდ მომზადების საქმეში დიდი დახმარება გაგვიწია პროფ. ა. კიზირიას, პროფ. ზ. ჭუმბურიძის, პროფ. თ. უთურგაიძის, უფროსი მეცნიერი თანამშრომლების ალ. ჭინჭარაულის, გ. თოფურიას, პ. გაჩეჩილაძის და სხვათა საქმიანმა შენიშვნებმა და მხარდაჭერამ, რისთვისაც ავტორი მათ დიდ მადლობას უძღვნის.

ვსარგებლობ შემთხვევით და გულითად მადლობას მოვახსენებ იმ პირთ, რომელთაც ხელი შეგვიწყვეს ადგილზე მუშაობაში. განსაკუთრებით გვეხმარებოდნენ: თ. პატურაშვილი, ი. ბეჟანიშვილი, ა. გოჯიაშვილი, ნ. ოგბაიძე, ივ. მგელიაშვილი, ზ. ბადრახიშვილი, მ. მერაბიშვილი, ე. თარიმანიშვილი, ა. ყურშავიშვილი, რ. ობგაიძე, ანზ. შუშანაშვილი, ე. ზავრადაშვილი-შუშანაშვილი, გ. მოლარიშვილი, შ. დოლიაშვილი, მ. ჭინჭარაული, ს. აბალიშვილი, ვ. ოთარაშვილი, ა. ხაიაური, ს. კუდიანაშვილი, ვ. სიხარულიძე ბ. აფციაური, ბ. ჭინჭარაული, ვ. გოცირიძე, ი. ხუმარაშვილი, ხ. ჯამაგიძე, ა. ხუციშვილი, ა. დულუზაური, ნ. ბადურაშვილი, ო. მგელიაშვილი, თ. ცალუღელაშვილი, ი. თეთრაული, რ. ქიტესაშვილი, ა. ფეტვიაშვილი, რ. მინდიკაური და სხვ.

ავტორი ამასთანავე სიამოვნებით გაითვალისწინებს ტოპონიმიკის საკითხებით დაინტერესებულ პირთა საქმიან შენიშვნებს და წინადადებებს, რომლებიც ნაშრომის ცალკეულ ხარვეზთა გამოსწორებას უეჭველად ხელს შეუწყობს.

შესავალი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს დღევანდელი ადმინისტრაციული ერთეულის — თიანეთის რაიონის[1] გეოგრაფიული სახელწოდებების — ტოპონიმების — სრულად აღნუსხვისა და მისი მორფოლოგიური თვალსაზრისით შესწავლის პირველ ცდას.

ერწო-თიანეთი აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთი მთაგორიანი რაიონთაგანია. იგი მოქცეულია მდ. ივრის ხეობაში, რომელიც ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ რკალისებურად მოემართება; რაიონის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი თანდათან ფართოვდება და იქცევა ივრისპირეთის ზეგნად, რომელიც თბილის-რუსთავის სანახებამდე ვრცელდება.

ერწო-თიანეთს საზღვრავს: დასავლეთიდან — დუშეთის რაიონი (ფშავის არაგვის ზემო წელიდან მოკიდებული, ვიდრე ს. ჭოპორტის მიწებამდე); ჩრდილოეთიდან — ხევსურეთი და მთათუშეთი (ილტო-ალაზნის სათავეები); აღმოსავლეთის მხრიდან — ახმეტის რაიონი (მდ. ილტოს ზემო აუზიდან, ვიდრე გომბორ-ბოჭორმის მიწებამდე); სამხრეთიდან — მცხეთის რაიონი (საგურამო-გალავან-ბიწმენდის, ანუ ისტორიული ხერკის, სანახები); სამხრეთ-აღმოსავლეთიდან — საგარეჯოს რაიონი (გომბორის მიმდებარე ადგილები).

ტერიტორიულად ერწო-თიანეთი დიდი არ არის (955,5 კმ²); საკმაოდ მცირერიცხოვანია იგი მოსახლეობის მხრივაც: დაახლ. 5562 კომლი (16672 სული).

1974 წლის 1 იანვრის მდგომარეობით რაიონში სულ 82 დასახლებული პუნქტია, რომელთაგან 2 დაბაა, 80 კი — სოფელი. რაიონში 2 სადაბო და 7 სასოფლო საბჭოა.

---

[1] დღევანდელ თიანეთის რაიონის ტერიტორიას ადრინდელი საუკუნეებიდანვე „ერწო-თიანეთი“ ეწოდებოდა. ასეა მოხსენიებული აღნიშნული მხარე ძველ ქართულ საისტორიო წყაროებში. 1932 წლამდე თიანეთის რაიონი ოფიციალურად ერწო-თიანეთის რაიონად იყო ცნობილი. ადგილობრივი მოსახლეობა თავიანთ კუთხეს ამჟამადაც ერწო-თიანეთს უწოდებს. ჩვენი ნაშრომის სათაურიც ამ ფაქტით არის გაპირობებული.

აქვე წარმოვადგენთ ერწო-თიანეთის სადაბო და სასოფლო საბჭოებში შემავალ სოფლებს ოჯახებისა და მცხოვრებთა რაოდენობის ჩვენებით.

თიანეთის სადაბო საბჭო: ალოტი (69-213)[2], ბოკონი (5-18). ევენტი (35-86), ველები (4-14), თეგურაანები (53-195), თეთრახევა (39-108). ლელოვანი (47-121). მამადაანები (39-134), მაჟალოიანი (14-70), ჟებოტა (220-685), საჭურე (12-26), ჩეკურაანთგორი (49-134), ძებნიაურები (42-130), ძირხვნიანი (9-34), ჭურჭელაურები (40-116).

სიონმშენიის სადაბო საბჭო: ბადაანები (15-49), ბოჭორმა (94-351), გრძელველები (5-16), ომარაანები (35-178), ორხევი (191-603), საჯინიბო (18-58), ფიჩვიანი (12-54), ყუდრო (48-140).

არტნის სას. საბჭო: ბოდახევა (15-40), დულუზაურები (52-127), ზემო არტანი (11-34), თეთრაულები (12-29), კვერნაულა (21-63), ლიშო (29-75), სახევი (5-9), სხლოვანი (5-7), ქვემო არტანი (24-71), ქუშხევი (11-27).

ახალსოფლის სას. საბჭო: ახალსოფელი (115-359), გოჯიაანები (40-138), ჩაბანო (110-347), ჭიაურა (22-85), ხაიშო (4-4).

ზარიძეების სას. საბჭო: ბუჭყინტა (2-7), ვერხველი (30-83), ზარიძეები (154-455), ზენამხარი (4-14), იარაჯულები (85-197), ლახატო (4-11), საკრეჭიო (50-137), ზემო შარახევი (14-51) ხოფცა (50-145), ჯიჯეთი (84-223).

სიმონიანთხევის სას. საბჭო: გორანა (106-343), თოლენჯი (164-512), მელიასხევი (51-150), ნადოკრა (92-252), სიმონიანთხევი (219-578), ჩიტაურები (4-6), ცალუღელაანთკარი (23-69).

ტუშურების სას. საბჭო: ალაჭანი (34-81), კახოიანები (31-74). ტუშურები (202-590), წიკვლიაანთკარი (28-81), ჯერვალიძეები (9-18).

ღულელების სას. საბჭო: ბალებისხევი (33-113), გუდანელები (29-84), თოხოლჩები (19-64), თრანი (55-103), კვერნაულა (36-119), კვირიისხევი (8-18), მაგრანეთი (184-483), სიონგორი (32-114), ტოლაანთსოფელი (31-88), ღულელები (138-315), წყაროთუბანი (27-67), ხადოელები (8-34).

ხევსურთსოფლის სას. საბჭო: ბეწენწურები (4-9), დეკენაანთხევი (58-181), დორეულები (52-131), ეებათხევა (58-148), ზე-

[2] პირველი ციფრით აღნიშნულია კომლთა რაოდენობა, მეორე ციფრით კი—მცხოვრებთა რაოდენობა.

მო ნაქალაქარი (122-310), საყდრიონი (240-713), ქვემო ნაქალაქარი (48-144), ხევსურთსოფელი (133-410).

საკვლევი რაიონი დიალექტური თვალსაზრისით საკმაოდ ჭრელია. ძირითადად აქ სახლობენ: ივრისხეველი ფშაველები, ივრისხეველი ხევსურები და საკუთრივ თიანეთელები. ამათ გარდა რაიონის სამხრეთ ნაწილში, კერძოდ, ს. ბოჭორმაში, სახლობენ ოსები.

თიანეთურ[3] ტოპონიმიაში სწორედ ამ ხალხთა მეტყველების თავისებურებანია ასახული.

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ მიერ ადგილზე ჩაწერილია ერწო-თიანეთის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი გეოგრაფიული ერთეული. აღნუსხული გვაქვს როგორც სოფლებისა და ნასოფლარების სახელწოდებანი (ე. წ. ოიკონიმები), ასევე უმცირესი გეოგრაფიული ობიექტების (საძოვრები, მიწის სავარგულები, ღელეები, ხევები, ახოები...) სახელები (მიკროტოპონიმები) — აქაური ტოპონიმიის ძირითადი ფონდი (2500-მდე ერთეული).

როგორც უძველესი საისტორიო თხზულებებიდან ჩანს, ერწო-თიანეთი იმთავითვე ქართველი ტომებით მჭიდროდ დასახლებული „ქვეყანა“ ყოფილა. ერწო-თიანეთის როლი „ისტორიული კახეთის წარმოქმნის პროცესში“, როგორც ეს სარწმუნოდაა გარკვეული, ერთობ დიდი და მნიშვნელოვანი იყო ([7]176). ერწო-თიანეთის ტერი-

---

[3] სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში გვხვდება „თიანელი“ და „თიანური“ ფორმები ([11]) 145-146). აღნიშნული ფორმების დამკვიდრებისათვის უთუოდ ხელი უნდა შეეწყო იმ ფაქტს, რომ ენაში არსებობდა და არსებობს კა-ხურ-ი, თუშ-ურ-ი, სვან-ურ-ი და ა. შ. -ეთ სუფიქსიანი ტოპონიმებისაგან წარმოქმნილი ეთნიკური შინაარსის მქონე სახელები. დღეს არავინ ხმარობს კახეთურ- და თუშეთურ- ფორმებს. მაშასადამე, თითქოს მართლაც უნდა გვქონოდა თიანური და არა თიანეთური! მაგრამ აქ ერთი არსებითი ხასიათის ენობრივი დაბრკოლება იჩენს თავს: წარმომავლობა-კუთვნილების -ურ და -ელ სუფიქსების დართვა -ეთ და -ის სუფიქსიან ტოპონიმებში ამ უკანასკნელთა კვეცას იმ შემთხვევაში იწვევდა, როცა ესა თუ ის ტოპონიმი ეთნიკური წარმოშობის გეოგრაფიული სახელი იყო: ჯავახ-ეთ-ი — ჯავახ-ურ-ი (ჯავახ-ელ-ი), კახ-ეთ-ი — კახ-ურ-ი (კახ-ელ-ი), თუშ-ეთ-ი — თუშ-ურ-ი (ჯავახეთ-ურ-, კახეთ-ურ-, თუშ-ეთ-ურ- ფორმების ნაცვლად). მაგრამ თუ -ეთ და -ის სუფიქსიანი ტოპონიმი არა ეთნიკური, ჩვეულებრივი საზოგადო სახელისაგან მომდინარე ტოპონიმი იყო, მაშინ იგივე -ურ და -ულ სუფიქსები წინამავალ -ეთ და -ის სუფიქსებს ვერ კუმშავდა: კაჭრ-ეთ-ი — კაჭრეთ-ულ-ი (და არა კაჭრ-ულ-ი!) სვენ-ეთ-ი სვენეთ-ურ-ი, გველ-ეთ-ი — გველეთ-ურ-ი (არ შეიძლება: გველ-ურ-ი), ჭობ-ულ-ეთ-ი— ჭობულეთ-ურ-ი და ა. შ. მაშასადამე, ამათ მსგავსად უნდა გვქონდეს: თიან-ეთ-ურ-ი, დუშ-ეთ-ურ-ი, მანგლ-ის-ურ-ი, თბილ-ის-ურ-ი, რაკი თიან- დუშ-, მანგ[ა]ლ-, თბილ- ... არ აეთნიკური ფუძეებია]დაწერ. იხ. ჩვენი „თიანელი თუ თიანეთელი, თიანური თუ თიანეთური“? გაზ. „ახალი თიანეთი“, №67, 9 ივნისი, 1973).

ტორიაზე გამავალი გზები, რომელიც ხერკი-საგურამოს გავლით მცხეთა-თბილისს ჩრდილოეთ კავკასიისა და აღმოსავლეთის სხვა ხალხებს აკავშირებდა, ამ კუთხეს ძველი საქართველოს ერთ-ერთ აყვავებულ და განვითარებულ რაიონად გვავარაუდებინებს [56]; [57] ([407] 56-58); [65]; ([66]13-22). ამდენად, აქაურ ტოპონიმიაში ასახული უნდა ყოფილიყო ქართველი ერის უძველესი ყოფა, ენობრივი მომენტები, გეოგრაფიულ სახელთა გაფორმების ოდინდელი საშუალებანი.

ერწო-თიანეთის ეკონომიკურად მძლავრ „ქვეყანას“ ოდითგან მჭიდრო კულტურული და პოლიტიკური ურთიერთობა ჰქონდა ჩრდილოეთ კავკასიის არაქართველ მეზობელ ტომებთან, პირველ რიგში, ნახებთან. ბუნებრივია, ეს საურთიერთო კონტაქტებიც უნდა ასახულიყო ერწო-თიანეთელი ხალხის მეტყველებაში, განსაკუთრებით, ტოპონიმიაში. ჩვენი ინტერესი ერწო-თიანეთის ტოპონიმიის მიმართ ზემოხსენებული ფაქტებითაა პირველ რიგში განპირობებული.

თავი I

ერწო-თიანეთის ტოპონიმიის შესწავლის ისტორიიდან

(ზოგადი მიმოხილვა)

უძველესი ცნობები ერწო-თიანეთის ცალკეული ტოპონიმების შესახებ „ქართლის ცხოვრებაში“ მოგვეპოვება. აქ მოხსენიებულია ერწო-თიანეთის ზოგიერთი უძველესი ხანის ტოპონიმი: **ბოჭორმა, ნოტკორა** (დღევანდ. ნადოკრა).**იორი, ჩელეთი, ჟალეთი, ყვარა** და სხვ. მაგრამ ერწო-თიანეთის გეოგრაფიული პუნქტების სახელწოდებათა პირველი სრული აღწერა და ამასთან ერთად ზოგიერთი ტოპონიმის ეტიმოლოგიზაციის პირველი ცდა ვახუშტი ბატონიშვილის სახელთანაა დაკავშირებული. მისი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ არის თავისი დროის ბრწყინვალე მეცნიერული ნაშრომი, რომელშიც, გარდა XVIII ს. საქართველოს უნიკალური სინქრონიული აღწერისა, ლინგვისტური თვალსაზრისით არაერთი საყურადღებო დაკვირვებაა წარმოდგენილი. ვახუშტი საკმაოდ ზუსტად მიუთითებს ძველი ერწო-თიანეთის საზღვრებზე:

„ხოლო ჟალეთს ზეით მოვიწროვდების იორი ხერკის მთიდამ წამოსულის მცირეს მთით, და ამას ქვ[ე]ით ბოჭორმამდე არს ერწო და მზღვრის: აღმოსავლით მთა კახეთისა, საყდრიონსა და მას შორისი; სამკრით მთა კუხეთისა, იალონიდა[მ] წამოსული უჯარმამდე: ჩდილოთ მთა მცირე, თიანეთსა და მას შორისი, ხერკის მთიდამ წამოსული; დასავლით მთა ხერკისა“ ([22]91).

ასევე ზუსტადაა ლოკალიზებული თიანეთის მხარეც: „ხოლო ეწოდების თიანეთი ვიდრე ერწოს საზღვრადმდე, და არს შენობიანი და დაბნებიანი და მზღვრის ამას: აღმოსავლით ამასა და კვეტერა-პანკის (!) შორისი მთა; სამკრით ერწოს საზღვარი, და ნოკორნისა და ბოკოწნის შორისი გორა, ხერკის მთიდამ არაგვამდე მისული; არამედ ამის ზეითი ჟინვანამდე იყო ხერკისა ძველად, ხოლო აწ თიანეთისა; ჩდილოთ ფშავსა და ამას შორისი მთა; დასავლით შავი და თეთრი არაგვი“ ([22]91).

ამ ნაშრომს დიდი მეცნიერული ღირებულება აქვს. „აღწერაში“ დასახლებული პუნქტების სახელწოდებათა გვერდით ვხვდებით ერწო-თიანეთის მიკროტოპონიმებსაც, რომლებიც ამ ნაშრომის გარეშე, ალბათ, უკვალოდ დაიკარგებოდნენ. „აღწერა“ ერთ-ერთი სანდო წყაროა, რომელშიც ერწო-თიანეთის ტოპონიმები თავიანთი უძველესი ორთოგრაფიით წარმოდგებიან. ყოველივე ეს დღეს საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ ტოპონიმთა კანონზომიერ მორფოლოგიურ თუ ფონეტიკურ ცვლილებებს მთელი ორი საუკუნის მანძილზე. ასე, მაგალითად, ვახუშტის „აღწერაში“ დადასტურებული აქაური სოფლის სახელები: **ლაფანი, ვერხუნა, კახიანი, ზარიძე, ტუშური, ჩეკური** და სხვ. დღეს უკვე სხვაგვარი ფორმებით გვხვდებიან: **ლაფანაანთ კარი, ვერხველი, კახოიანები, ზარიძეები, ტუშურები, ჩეკურაანთგორი** და ა. შ. მაშასადამე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ძრავლობითობის მაჩვენებელი -ებ სუფიქსი აქაურ გეოგრაფიულ სახელებში შედარებით ახალი მოვლენა ყოფილა.

„აღწერაში“ კარგად ჩანს ძველი ერწო-თიანეთის დასახლების სიხშირე, სოფლების რაოდენობა. ეს საშუალებას გვაძლევს თვალი ვადევნოთ ძველი დასახლებული პუნქტების თანდათანობით მოშლას, ნასოფლარებად ქცევას, ახალი სოფლების წარმოქმნას და ა. შ. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, XVIII ს. თიანეთში სულ 45 სოფელი ყოფილა, ერწოში კი — 26. დღევანდელ თიანეთში (ვგულისხმობთ საკუთრივ თიანეთის, ახალსოფლის, არტნის, ტუშურების და ზარიძეების სას. საბჭოებში შემავალ სოფლებს) სულ 46 სოფელია, ერწოში კი — 35. მაგრამ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თიანეთში არსებული ძველი სოფლების 45 სახელწოდებიდან დღეს მხოლოდ 9 სახელსღა ვხვდებით, თანაც ზოგი მათგანი მნიშვნელოვანი ცვლილებითაა მოღწეული. უკვალოდ გამქრალა ისეთი სოფლები, როგორიც იყო: **აჯაგვი, ბოოტა, ვეუანაანთკარი, თორიულთკარი, იქურნა;** ზოგიერთი დღეს უკვე მეზობლად მდებარე დუშეთის რაიონშია მოქცეული: **ჭოპარტი** (დღევ. ჭოპორტი), **ლაფანი** (დღევ. ლაფანაანთკარი), **ბულაჩაური, საცხავატლო** (ვახუშტისთან არის — **საცხაოტო**), **ჩინთი, ბოდავი, უინვანი, ხარჭაშო** (დღევ. ხარტიშო) და **თვალივი.** ზოგიერთი იმდროინდელი სოფლის სახელწოდება დღეს ადგილის სახელადღა თუ გვხვდება. ასეთებია: **ალისი** (ტყე), **გორიმზვარე** (ადგილი, მთა); ვახუშტისთან გვაქვს **გოიმზვარე** და სხვ.

ანალოგიური ვითარება შეინიშნება დღევანდელ ერწოს სოფლებშიც. ვახუშტისეული 26 სოფლის სახელწოდებიდან დღეს მხოლოდ 6 სახელწოდებაღა შემორჩენილა. ესენია: **ორხევი, ბოჭორმა, მაგრა-**

ნეთი, კვერნაულა, ჩეკურაანთგორი (შდრ. ვახუშტისეული ჩეკური) და გორანა. დანარჩენი 20 სახელწოდებიდან ზოგიერთი აქაც უკვალოდაა გამქრალი: ახალკალო, მკერვლიანი, წიაბეთი, თილთუბანი, ამატანი, შერეკანი, ქინქლაძე, ბორტაძე, ყორაეთი, უგანაძე და სხვ.

სამაგიეროდ XVIII საუკუნიდან დღემდე ერწო-თიანეთში ბევრი ახალი დასახლებული პუნქტი წარმოიქმნა. განსაკუთრებით მომრავლდა სოფლები ერწოში. შედარებით ახალი წარმონაქმნია ისეთი სახელწოდებები, როგორიცაა: ლელოვანი, საჭურე, თეთრახევა, თეგეურაანები, ძებნიაურები, სხლოვანი, სახევი, ხოფცა, ჩაბანო, ახალსოფელი და სხვ. (თიანეთში); ომარაანი, ფიქვიანი, თოხოლჩა, ხადოელები, ხევსურთსოფელი, სიმონიანთხევი, ღულელები, გუდანელები და სხვ. (ერწოში). ნასოფლარების რიცხვი კი ივრის ზემო აუზში, ძირითადად, არტნის სას. საბჭოს ტერიტორიაზე, თანდათანობით იზრდება. მოსახლეობა მთიდან ბარად მოიწევს, სადაც ნაყოფიერი მიწები და ცხოვრებისათვის უკეთესი პირობებია.

ბევრი საყურადღებო ცნობაა დაცული გასული საუკუნის ერწო-თიანეთის ეკონომიკის, დემოგრაფიისა და ისტორიული გეოგრაფიის სფეროდან ცნობილი გერმანელი მეცნიერის გუსტავ რადეს ნაშრომში [64]. ზოგიერთი უზუსტობის მიუხედავად, აღნიშნული ნაშრომი კარგი დამხმარე წყაროა თიანეთის რაიონის (მაზრის) ტოპონიმიისა და დემოგრაფიის რიგი საკითხის გასარკვევად. გ. რადეს ეს ნაშრომი საშუალებას გვაძლევს თვალი ვადევნოთ ერწო-თიანეთის დასახლებისა თუ განსახლების პროცესს. ასე მაგალითად, იგი არტნის თემში 14 დასახლებულ პუნქტს ასახელებს, 1974 წლისათვის კი აქ მხოლოდ 10 დასახლებული პუნქტია; თანაც გ. რადეს მიერ დასახელებული 14 სოფლიდან დღეს 6-ღა გვხვდება. დანარჩენები ნასოფლარებად ქცეულან. საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიტანოთ გ. რადეს, გ. ჩიტაიას და ჩვენ მიერ მოპოვებული ცნობები არტნის საბჭოში შემავალი სოფლებისა და მცხოვრებთა რაოდენობის შესახებ:

№№	სოფლების სია გ. რადეს მიხედვით (1878 წ.)	კომლთა რაოდენობა	№№	სოფლების სია გ. ჩიტაიას მიხედვით (1939 წ.)	კომლთა რაოდენობა	№№	სოფლების სია ჩვენ მიერ მოპოვებული მასალების მიხედვით (1974) წ.	კომლთა რაოდენობა
1	2	3	4	5	6	7	8	9
1	Артани	73	1	ქვემო არტანი ზემო არტანი	20 30	1	ქვემო არტანი ზემო არტანი	24 11
2	Схлованн	8	2	სხლოვანი	22	2	სხლოვანი	5

1	2	3	4	5	6	7	8	9
3	Лишо	58	3	ლიშო	39	3	ლიშო	29
4	Бодахеви	23	4	ბოდახევა	18	4	ბოდახევა	15
5	Кушхеви	26	5	ქუშხევი (ქვაშხევი)	25	5	ქუშხევი	11
6	—	—	6	თეთრაულები	3	6	თეთრაულები	12
7	—	—	7	სახევი	12	7	სახევი	5
8	—	—	8	ღორღაში	8	8	—	—
9	Соплиони	19	9	სოფლიონი	20	9	—	—
10	Корсави	13	10	ქორსავი	5	10	—	—
11	Бачали	39	11	ბაჩალი	10	11	—	—
12	—	—	12	ხაშარი	11	12	—	—
13	—	—	13	საშუბე	10	13	—	—
14	Квара	42	14	ყვარა	6	14	—	—
15	Бабхисхеви	23	15	ბაბხისხევი	6	15	—	—
16	Джаблеви	17	16	—	—	16	—	—
17	Хилиани	15	17	ხილიანა	10	17	—	—
18	Хатхорхи	9	18	—	—	18	—	—
19	Хотхеви	2	19	—	—	19	—	—
20	—	—	20	—	—	20	დულუზაურები	52
21	—	—	21	—	—	21	კვერნაულა	21
	სულ—14	367		სულ—17	255		სულ—10	185

როგორც ვხედავთ, XIX ს. 80-იანი წლებისათვის არტნის ხეობა საკმაოდ მჭიდროდ დასახლებული მხარე ყოფილა. ფშავ-ხევსურეთიდან მოსახლეობის „ჩამოწოლის“ შედეგად ჩვენი საუკუნის 40-იანი წლებისათვის ივრის სათავეებში სოფლების რაოდენობა კვლავ გაზრდილა [17], მაგრამ კომლთა რაოდენობა, მატების ნაცვლად, მაინც შემცირებულა. ეს ფაქტი იმით უნდა იხსნებოდეს, რომ 40-იანი წლებისათვის გახშირდა ივრის სათავეებიდან მოსახლეობის ბარად გადმოსახლება. ამ პროცესმა ახალი ძალით იფეთქა სამამულო ომის დამთავრების შემდეგ, 50-იანი წლებისათვის.

ერწო-თიანეთის ტოპონიმიის ცალკეული საკითხებით ადრიდანვე იყვნენ დაინტერესებულნი დიდი მკვლევრები: ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილი, ა. შანიძე, ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი. უნდა შევნიშნოთ, რომ როგორც ნ. მარი, ისე ივ. ჯავახიშვილი ერწო-თიანეთის ზოგ ერთ, სემანტიკურად ბუნდოვან, სახელს (ერწო, ჟალეთი, იორი, ყვარა...) არაქართულ ენობრივ მასალად მიიჩნევდნენ და მათ ახსნას, ძირითადად, ნახური ენის მოშველიებით ცდილობდნენ ([48] 28-31): ([113] 45-54). ტოპონიმი ერწო ა. შანიძემ ბაცბური ენიდან მომდინარე სახე-

ლად ჩათვალა: ჰერწო — „ტბა“; ამ ვარაუდს, როგორც ცნობილია, ნ. ბერძენიშვილმაც დაუჭირა მხარი ([7]177).

თიანეთის რაიონის ზოგიერთი ტოპონიმი ახსნილია აკად. ს. ჯანაშიას ნაწერებში. ს. ჯანაშიას ეკუთვნის თიანეთის ეტიმოლოგია: თიანეთი—მთიანეთი ([115] 49). მასვე ეკუთვნის საყურადღებო თვალსაზრისი ძველი ერწო-თიანეთისა და საკუთრივ ერწოს ქვეყნის ურთიერთმიმართების თაობაზე ([115] 48-49).

ერწო-თიანეთის ზოგიერთი ტოპონიმის სტრუქტურული დახასიათებაა მოცემული თ. უთურგაიძის ნაშრომში ([79]88-89). ავტორი, კერძოდ, ეხება ტოპონიმებს: ლიშო-ს და ჟებოტა-ს. ამოსავლად აქაც ნახური (ბაცბური) ენის მონაცემები ივარაუდება.

თიანეთის რაიონის მიკრო- და საკუთრივ ტოპონიმიის მდიდარი მასალაა წარმოჩენილი ვ. ბარდაველიძის [5] და გ. ჩიტაიას ეთნოგრაფიულ წერილებში [96].

არაერთი ვარაუდი გამოუთქვამთ ერწო-თიანეთური ტოპონიმების წარმოშობის შესახებ თიანეთის მკვიდრთ: თ. პატურაშვილს, ი. ბეჟანიშვილს, რ. ქიტესაშვილს, ივ. მგელიაშვილს, ვლ. აბრამიშვილს, ა. გოჯიაშვილს...

მკვლევართა ყურადღებას კარგა ხანია ერწო-თიანეთური მეტყველების თავისებურებანიც მიიპყრობს. თიანეთური მეტყველების მეცნიერულ შესწავლას საფუძველი ა. შანიძემ ჩაუყარა [92]. ერწო-თიანეთურ მეტყველებაზე დაკვირვება და დიალექტოლოგიური მასალის შეკრება არც შემდგომ წლებში შენელებულა ([11]696-697). საყურადღებო დასკვნებია გაკეთებული ალ. ლეკიაშვილის ([39]159-174), კლ. გაგუას ([8]130-131), ნ. ცქიტიშვილის ([106]132-133), ლ. ჯღამაიას ([117] 135-137) და სხვ. წერილებში.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ის ღვაწლი, რომელიც ვაჟა-ფშაველას მიუძღვის არაგვისა და ივრის ხეობის ფშაველთა ყოფა-ცხოვრების, ეთნოგრაფიისა და რიგი სხვა საკითხის გამომზეურებაში [19].

თიანეთური მეტყველება მონოგრაფიულად შეისწავლა გ. ცოცანიძემ [105].

თავი II

ერწო-თიანეთის ტოპონიმიის სტრუქტურულ-მორფოლოგიური ანალიზი

წარმოქმნის თვალსაზრისით ერწო-თიანეთის გეოგრაფიული სახელები, ქართულ-ქართველური ტოპონიმიის მსგავსად, სამ ძირითად ჯგუფად იყოფიან: 1. **მარტივი**, 2. **აფიქსური** (წარმოქმნილი) და 3. **რთული** (სიტყვათშეერთებით ნაწარმოები ანუ თხზული) სახელები.

ამჟამად საყოველთაოდ ჩანს გაზიარებული ვარაუდი იმის შესახებ, რომ ტოპონიმებს შორის ყველაზე უძველეს ფენას მარტივფუძიანი სახელები და დიდი მდინარეების სახელწოდებები, ე. წ. ჰიდრონიმები, ქმნიან (ვლ. გეორგიევი, ვ. ნიკონოვი, ნ. დულზონი...). თუმცა. ქართულ-ქართველური ტოპონიმიის მაგალითზე ამ დებულების აბსოლუტურ ჭეშმარიტებად გამოცხადება რამდენადმე გაძნელდება. საქმე ისაა, რომ ქართულ მარტივფუძიან სახელებს, ასევე, აფიქსური წარმოების სახელებს **(დაბა, მერე, უბე, ფაზ-ის-ი, ქუთა(თ)-ის-ი, ურბნ-ის-ი, მცხე-თა, სა-მშვილდ-ე, კახ-ეთ-ი, ჰერ-ეთ-ი...)**, რომელთა დიდი ხნოვანება უეჭველია, თავიანთი სიძველით არ ჩამოუვარდებიან რთული (ორ- და მეტფუძიანი) ტოპონიმები: **არტანუჯი, უფლისციხე, რკინის-ჯვარი, ციხე-გოჯი, მთაწმინდა** და სხვ. მრ. უფრო მეტიც, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ **-ის** წაგენეტივარსუფიქსიანი, აგრეთვე **-ეთ** და **-თა** სუფიქსიანი სახელები **(ლიპარიტ-ეთ- გაგიკ-ეთ, ჩხიკვ-თა, მოწამე-თა, მოგვ-თა...** ტიპისა), საზღვრულდაკარგული სახელები არიან ([93]114) ([26]289), მაშინ **ქართული ტოპონიმიის უძველეს ფენად სწორედ ორფუძიანი** (მსაზღვრელ-საზღვრულიანი ან შებრუნებული რიგის) **ტოპონიმები უნდა ჩაგვეთვალა.**

უნდა ვიფიქროთ, რომ როგორც წარმოქმნილი, ისე რთულფუძიანი (თხზული) ტოპონიმები ორივე უძველესი გეოგრაფიული სახელები არიან. როგორც ჩანს, მათ ადრინდელ ხანებშივე დიდი გავრცელება მოიპოვეს, რაკი ოდენფუძიანი (მარტივი) სახელები ამა თუ იმ ობიექტის ნიშან-თვისებათა გადმოსაცემად ნაკლებუნარიანნი აღმოჩნდნენ.

ამის მიუხედავად, საკვლევი რაიონის ტოპონიმიაში მარტივფუძიანი ტოპონიმები საკმაოდ ხშირად დასტურდება. ანგარიშგასაწევი კი ჩანს ის გარემოება, რომ დიდი, სამეურნეო-ეკონომიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი გეოგრაფიული ობიექტების (სოფელი, დაბა, ვრცელი მთები ან მდინარე-ხევები) სახელწოდებებად მარტივფუძიანი სახელები, ჩვეულებრივ, არ გვხვდება. ისინი მცირე გეოგრაფიული ობიექტების (სახნავ-სათესი ნაკვეთები, ახო-საძოვრები, სათიბები და ა. შ.) სახელებად დასტურდებიან:

ახო მინდ., საძოვ. (მაგრ.), **ველ-ი** სახნ. (ქებ., დულუზ), **გლუვ-ი** მთა, საძოვ. (ლიშო, სახევი), **გორ-ი** ტყე (მამად., ჰურჭ.), **ზეცა** სახნ. (ქებ.), **იფნ-ი** სალოც. (კვერნ.), **კლდე** ბუჩქნ. (ქებ.), **კოროშ-ი** სახნ. (სიმ. ხევი), **კოხ-ი** მთა, საძოვ. (ალოტი), **რუვ-ი** მდინ., ადგილი (ახ. სოფ.), **ტაფ-ი/ე** სახნ., საძოვ. (ბოდახ., დულუზ., ზ. არტ., ლახატო, ხოფცა), **ფოცხვერ-ი** სახნ., საძოვ. (სიმ. ხევი), **ღელე** ტყე (თიან., დევ. ხ.), **უურე** ველტყიანი ადგილი (თიან., ალაჭ., ომარ.), **ჩალა** საძოვ. (ქებ., ლელ.), **წვერ-ი** მთა, საძოვ. (ქუშხ.), **ჯალა** სახნ. (ნად., ფიჩვ.), **ჯუანტ-ი** მინდ., საძოვ. (ზარ.).

სამაგიეროდ ერწო-თიანეთის რაიონის ტოპონიმიაში ხელშესახებად არის წარმოდგენილი აფიქსური წარმოების გეოგრაფიული სახელები. როგორც ჩანს, აფიქსაცია. ზოგადად ქართულ-ქართველური ტოპონ-მიის ყველაზე უფრო გავრცელებული და პროდუქტიული საშუალებაა. საყურადღებოა, რომ დღევანდელ ერწო-თიანეთში შემორჩენილია თითქმის ყველა ის სუფიქსი, რომელიც ჯერ კიდევ უძველეს ქართულ ტოპონიმიაში ფუნქციონირებდა.

ტოპონიმთა ოდენსუფიქსური წარმოება

ერწო-თიანეთის ტოპონიმიაში განსაკუთრებული პროდუქტიულობით გამოირჩეიან სუფიქსები: -ა, -ეთ, -თა, -ებ. -ურ (||-ულ), -ნ; -ობ, -იან (||-იან-ა), -ოვან, ურ-ა (||-ულ-ა) და ა. შ. მათ შორის საკმაო სიხშირით გამოირჩევა -ა სუფიქსი. რამდენადაც მას, როგორც სადერივაციო ფორმანტს, სახელებში სხვადასხვაგვარი ფუნქციის შესრულება უხდება -ა სუფიქსი მიერთვის როგორც მარტივფუძიან ტოპონიმებს **(ცხვირ-ა, შუბლ-ა, ვარცლ-ა)**, ისე რთულ (ორ და მეტფუძიან) სახელებს **(თეთრახევ-ა ქვაკაც-ა, დევთნამუხლარ-ა, ჰიქურის ნასახლარ-ა, ხიმშირიანთ თხილიან-ა** და სხვ. მრ.).

-ა დერივატის ფუნქციური განსაზღვრისას სპეციალისტები ერთი-

მეორისაგან რამდენადმე განსხვავებულ თვალსაზრისებს წარმოგვიდგენენ. ა. შანიძე, მაგალითად, მას კნინობითის სუფიქსს უწოდებს და -აკ სუფიქსის ნაშთად მიიჩნევს, ამჟამად ეს -აკ სუფიქსი წიგნ-აკ და გორ-აკ სიტყვებში შემოგვრჩაო ([93]120-121). გარკვეული ტიპის სახელებში -ა სუფიქსი ქონებისა და მსგავსების წარმოდგენას იძლევა: **შავტარ-ა, სამფეხ-ა; სვილ-ა, შვინდ-ა, ღვინ-ა** (აქედან კნინობითი **ღვინი-ა**) ([93]125-126).

ს. ჯანაშია -ა სუფიქსს ტოპონიმების მასუბსტანტივებელ ხმოვნად თვლიდა **(თელ-ოვან-ა, წაბლ-ოვან-ა** ტიპის სახელებში). ([115] 218).

თ. ზურაბიშვილი -ა სუფიქსს სხვადასხვა კუთხით განიხილავს. მისი ვარაუდით, -ა სუფიქსს საზოგადო არსებით სახელთა წარმოებისას მართლაც კნინობითობის ფუნქცია აქვს **(კაც-ა, ქალ-ა...)** მაგრამ გეოგრაფიულ სახელთა წარმოებისას იგი **ქონების, მსგავსების, თვისების** მნიშვნელობას იძენსო ([23]151).

ალ. ღლონტი სპეციალურად შეეხო რთული ჰიდროფორმანტის -ურ-ა || -ულ-ა შედგენილობას. მკვლევარი თვლის, რომ -ა ხმოვანს აქ მაკნინებელი ელემენტის ფუნქცია აქვს ([90]29-30).

უკანასკნელ ხანს ფ. მაკალათიამ არსებითად გაიმეორა და მხარი დაუჭირა ს. ჯანაშიას მოსაზრებას -ა სუფიქსის მასუბსტანტივებელ ხმოვნად მიჩნევის თაობაზე. ფ. მაკალათიას ვარაუდით, -ა ხმოვანი გეოგრაფიულ სახელებში **(თეთრახევა, გვერდ-ა, კართან-ა...)** ზედსართავი სახელების არსებით სახელებად ქცევის გარდამავალი საფეხურია. იგი წერს: „ეს -ა სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ თვისება, რაც ზედსართავით გადმოიცემა, არსებით სახელს, სუბსტანტივს მიეწერება, ახასიათებს; ა- ხმოვნით შემოდის გაარსებითება ზედსართავში“ ([45]34). მაშასადამე, -ა სუფიქსიან ტოპონიმებს განვითარების ასეთი საფეხურები უნდა გაევლოთ: **მოკვეთილი მამული→მოკვეთილა მამული→მოკვეთილა; კართანა მამული→კართანა** და ა. შ. ([45] 34-34).

თვალსაზრისი საინტერესოა, თუმცა მის აბსოლუტურ წესად მიჩნევას დაბრკოლებებიც ახლავს. გაძნელდებოდა, მაგალითად, -ა სუფიქსისათვის მასუბსტანტივებელი ხმოვანი გვეწოდებინა ისეთ ტოპონიმებში, რომლებშიც სახელის ზედსართაულობა გამორიცხულია: **გუბ-ა, შუბლ-ა, გორ-ა, ველ-ა, ველ-აკ-ა** და სხვ. უეჭველია, რომ ამ ტიპის სახელებში -ა მაკნინებელი ტოპონიმიკური სადერივაციო აფიქსია. ჩვენი აზრით, -ა სუფიქსს გეოგრაფიულ სახელებში აუცილებლად აქვს **ქონების, თვისების, მეორე ობიექტთან მსგავსების** აღნიშვნის

უნარი. რიგ შემთხვევაში კი -ა სუფიქსის ფუნქცია გაურკვეველიცაა (ამ შემთხვევაში, ალბათ, ანალოგია უნდა იყოს ამოსავალი).

-ა სუფიქსი ტოპონიმის კონობითობას გვიჩვენებს:

გორ-ა სახნ. (დევ. ხ.), **გუბ-ა** მინდ., საძოვ. (საჭურე) „გუბა რამა გდია, ხან სუ დაილევა, დაილევა, წვიმებზე ისევ ჩადგებაა“ (ჭზ. ჭინჭარაული). **ველ-ა** მინდ., საძოვ. (ჩეკ. გორი, საჭურე), **ველაკ-ა** სახნ., საძოვ. (გორ.), **კოდ-ა** წყარო, მინდ. (კვერნ., დევ. ხევი, საყდრ., მელ. ხევი), **მინდორ-ა** საძოვ. (ბალ. ხ.). **სათიბ-ა** საძოვ. (იარაჯ.), **საყდარ-ა** რელიგიურ-საკულტო ნაგებობის ნანგრევები, სალოცავი ადგილი (მაგრ., ყუდრო, გორ.).

-ა სუფიქსი ტოპონიმის რაგვარობას, თვისებას, მეორე ობიექტთან მსგავსებას გვიჩვენებს:

ბეღელ-ა მთა, საძოვ. (ზ. არტ.), **გადრეც-ა** სახნ. საძოვ. (ლიშო), **გვერდ-ა** საძოვ. (გორ., სიმ. ხევი), **ვარცლ-ა** სახნ., საძოვ. (ქებ.), **კუჭ-ა** ტყე, საძოვ. (ზ. ნაქალ.). ფშაურ მეტყველებაში **კუჭი/ა** ეწოდება შემაღლებულ ადგილს, საზოგადოდ, მთის, გორაკის წვერს, ზემო ადგილს, სხვა გორებს შორის სიმაღლით გამორჩეულ ადგილს. -ა სუფიქსი აქ კუჭთან, ამოშვერილ, ამოზიდულ საგანთან ობიექტის მსგავსებაზე მიგვანიშნებს. ამავე პრინციპით არიან გაფორმებულნი მიკროტოპონიმები: **კუჭეჭ-ა** მთა, საძოვ., სათიბი (სახევი), **მამალ-ა** მთა, საძოვ. (დულუზ.), **მაღალ-ა** მინდ. (ლ.ხ.), **მეიდან-ა** ტყე, მინდ. (ხევ. სოფელი), **მრუდ-ა** საძოვ., სათიბი (ბუჭყ.), **ნამგალ-ა** სახნ., საძოვ. (ბალ. ხ.), **ნაჯაგ-ა** ტყე (ქვ. არტ.), **პატყელ-ა** სახნ. (ტუშ.), **შუბლ-ა** მთა, ტყიანი გორაკი, საძოვ. (თეთრ., სიონმშ., დევ. ხევი, ხევსოფ.), **ჩირდილ-ა** მინდ. (ხევსოფ.), **წოწლოკინ-ა** მთა (საყდრ.), **ცხვირ-ა** ველტყ. ადგილი (ტოლ. სოფ.), **წარაფ-ა** სახნ., საძოვ. (დევ. ხევი), **ჭეხილ-ა** მთა (ბოჭ.), **ჯღარდლ-ა** მინდ., ბუჩქნ. (მაგრ.) და სხვ.

-ა სუფიქსის ფუნქცია ტოპონიმებში გაურკვეველია:

ზოგიერთ ტოპონიმიკურ (ძირითადად საეკლესიო) სახელებში -ა სუფიქსის ფუნქციის განსაზღვრა საკმაოდ ძნელია. იგი დაახლოებით კუთვნილებას თუ წარმომავლობას უნდა აღნიშნავდეს:

კვირი-ა ხატი, სალოც. (გოჯ., ხევ. სოფელი, ზ. ნაქალ., ღულელ., თ. ხევა, სიმ. ხევი, ქებ., ლიშო, გორ.); **კოპალ-ა** ხატი, სალოც. (ქუშხ., ქებ.), **ლომის-ა** ხატი, სალოც., ნიში (საყდრ., ვეძ. ხევა, სიმ. ხევი,

ტუშ., ლიშო), **ნაყორ-ა** საკულტო-რელიგიური ადგილი, ხატი (ომარ.), **უთურგ-ა** ტყე, მინდ. (ხევ. სოფელი).

როგორც ვხედავთ, ამ ტიპის სახელებში -ა სუფიქსის ფუნქცია გამოკვეთილად არ არის წარმოდგენილი.

-ეთ სუფიქსიანი ტოპონიმები

-ეთ ტოპონიმიკური სუფიქსის საკმაოდ დიდი ხნოვანობა და განსაკუთრებული პროდუქტიულობა სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე აღნიშნულია ([93]138). ისიც ცნობილია, რომ „-ეთ სუფიქსი ადგილის სახელწოდებას აწარმოებს, უპირველეს ყოვლისა, ეთნიკური და საკუთარი სახელებისაგან, მცენარეთა, ცხოველთა და სხვა საზოგადო სახელებისაგან“ ([23]141).

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ **-ეთ სუფიქსიანი სახელები ძირითადად მაკროტოპონიმები და საკუთრივ ტოპონიმებია.** მიკროტოპონიმებად -ეთ სუფიქსით ნაწარმოები სახელები საკვლევი რაიონის ტერიტორიაზე საკმაოდ იშვიათია.

ამასთან, საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ -ეთ სუფიქსი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში აქა-იქ გვხვდება. იგი, თუ შეიძლება ასე ითქვას, **საქართველოს ბარის ტოპონიმიკური სუფიქსია.** ჩვენ საგანგებოდ შევისწავლეთ რესპუბლიკის მთლიანი -ეთ სუფიქსიანი გეოგრაფიული ნომენკლატურა (საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარის (1966 წ.) მიხედვით). ვითარება ამ მხრივ მეტად სპეციფიკურია: 298 -ეთ სუფიქსიანი ტოპონიმიდან (დასახლებული პუნქტების სახელები) აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში -ეთ სუფიქსი სულ 6-გან დასტურდება (ხევსურეთში—1, მთიულეთ-გუდამაყარში — 4, ყაზბეგის რ-ში — 1). -ეთ სუფიქსიანი სოფლის სახელები სულ არ გვხვდება თუშეთსა და ფშავში. 2 სახელი დასტურდება სვანეთშიც. ასევე ცოტაა -ეთ სუფიქსიანი სახელები კახეთში: 8 რაიონის ტერიტორიაზე (ახმეტა, გურჯაანი, თელავი, ლაგოდეხი, საგარეჯო, სიღნაღი, ყვარელი, წითელი წყარო) ასეთი მხოლოდ 6 სახელწოდება გვხვდება. საერთოდ არ მოიპოვება -ეთ სუფიქსიანი ტოპონიმები თელავის, სიღნაღის, ყვარლისა და წითელწყაროს რაიონებში.

სამაგიეროდ ძალზე ხშირია -ეთ სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელები **ცენტრალურ ქართლში** (ქსნისა და ლიახვის ხეობები). მარ-

ტო ცხინვალის რაიონში 18 -ეთ სუფიქსიანი ტოპონიმია ქარელის რაიონში — 15, გორის რაიონში — ასევე 15, ლენინგორის რაიონშია — 13, დუშეთისა და თეთრიწყაროს რაიონებში — 10-10, ჯავისა და ზნაურის რაიონებში — 7-7 და ა. შ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე დადასტურებული 298 -ეთ სუფიქსიანი სახელიდან 160-მდე აღნიშნული რაიონების ტერიტორიაზე მოდის. საკმაოდ შეზღუდული ჩანს -ეთ სუფიქსის სამოქმედო არეალი სამეგრელოშიც (9 სახელწოდება) სშირია -ეთ სუფიქსიანი სახელები იმერეთში (52 ტოპონიმი) და აჭარა-გურიაში (56).

რით უნდა იყოს შეპირობებული -ეთ სუფიქსის ასეთი შეზღუდვა საქართველოს მთიანეთში?

ცნობილია, რომ -ეთ სუფიქსი უპირატესად ვრცელი მასივების, დიდი ტერიტორიების, მხარეების აღმნიშვნელ ტოპონიმებში გვხვდება. ამავე დროს -ეთ ფორმანტი ვისიმე ან რისიმე ერთადმყოფობაზე, გავრცელებულობაზე, სიმრავლეზე მიუთითებს (**ჯავახ-ეთ-ი, აფხაზ-ეთ-ი, ხევსურ-ეთ-ი, თუშ-ეთ-ი, გრიგოლ-ეთ-ი, დადიან-ეთ-ი, კაკაბ-ეთ-ი კვერნ-ეთ-ი, სარკინ-ეთ-ი** (—**სა-რკინ-ე-ეთ-ი**) და სხვ. მრ. საფიქრებელია, რომ მთიელთა ოდინდელი დაქუცმაცებული, კერძო ხასიათის სამეურნეო ყოფა-ცხოვრება, მცირე ნაკვეთები, აგრეთვე გვარ-ოჯახებად ცხოვრების წესი ერთგვარად ზღუდავდა -ეთ სუფიქსის სამოქმედო ძალას, მის ნაცვლად კი სხვა საწარმოებელ აფიქსებს (-ნ, -ან, -ურ (||-ულ), -თა...) მიეცემოდათ უპირატესობა.

ერწო-თიანეთის რეგიონი ამ მხრივ ერთობ უჩვეულო ვითარებას გვიჩვენებს: აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ეს ერთადერთი რაიონია, სადაც -ეთ სუფიქსიანი ტოპონიმები საკმაოდ ხშირად გვხვდება: **თიან-ეთ-ი, უალ-ეთ-ი, ჩელ-ეთ-ი, მაგრან-ეთ-ი** (ძვ. **ვაგრან-ეთ-ი**), **კაკვ-ეთ-ი** || **კაკმ-ეთ-ი** (აწინდელი ს. მამადაანები), **ყორა-ეთ-ი, ცხვინჯ-ეთ-ი** (|| ჩხვინჯ-ეთ-ი), **წიაბ-ეთ-ი** (4 უკანასკნელი სახელი ვახუშტის „აღწერაშია“ ფიქსირებული), **ჯიჯ-ეთ-ი, თრიალ-ეთ-ი...**

საფიქრებელია, რომ ყველა ეს -ეთ სუფიქსიანი სახელი იმდროინდელი წარმონაქმნია, როცა -ეთ სუფიქსი დიდი პროდუქტიულობითა და სიცოცხლისუნარიანობით გამოირჩეოდა (ცნობილია, რომ -ეთ სუფიქსის საწარმოქმნო ძალა გვიანდელ ხანებში ერთობ შესუსტდა და ამჟამად მისი დახმარებით აღარც ხდება ახალი ტოპონიმების გაფორმება).

-თა სუფიქსიანი ტოპონიმები

-თა გეოგრაფიული სუფიქსი ერთ-ერთი უძველესი სადერივაციო ფორმანტია ქართულ-ქართველურ ტოპონიმიაში. ამ სუფიქსით გაფორმებული ტოპონიმები უძველესი ხანებიდანვე იყო ცნობილი **(მოგუ-თა, ბერ-თა, მოწამე-თა, მცხე-თა, ქუა-თა** (ხევი), **ვან-თა...)**.

-თა სუფიქსს არც გვიანდელ საუკუნეებში დაუკარგავს საწარმოქმნო ძალა და მისი გამოყენებით არაერთი ახალი ქართული ტოპონიმი გაფორმდა:

ბულალაურ-თა, ბუჩუკურ-თა, გოგოლაურ-თა, კარწაულ-თა, მიგრიაულ-თა, ძეძეურ-თა, ცაბაურ-თა... (სოფლებია დუშეთის რაიონში); **ჩხიკვ-თა** (თ. წყაროს რ.); **გუფ-თა** (←გუბ-თა), **კალო-თა, რაქვ-თა** (ხულოს რ.), **იკორ-თა, ქურ-თა** (ცხინვ. რ.) და სხვ.

ერწო-თიანეთში -თა სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელები ცოტა გვაქვს: **კლდე-თა** (სათიბი. ს. ქუშხევი), **გორგო-თა** (ველტყ., მინდ.). აღნიშნული ტოპონიმი რაიონის ტერიტორიაზე ორგან დასტურდება: ს. დულუზაურებში ტყიანი გორაკის სახელად და ს. გორანაში ველტყიანი მინდვრების სახელად.

სავარაუდებელია, რომ -თა სუფიქსმა გვიანდელ საუკუნეებში უკვე დაკარგა ტოპონიმთა საწარმოქმნო ძალა; იგი სულ უფრო და უფრო ნაკლებად გამოიყენებოდა ახალი ტოპონიმების ნომინაციისას. ერწო-თიანეთური -თა სუფიქსიანი ტოპონიმების სიმცირეც, ალბათ, ამ გარემოებით უნდა აიხსნას.

-თა სუფიქსის წარმომავლობაზე მეცნიერებაში სხვადასხვაგვარი თვალსაზრისები არსებობს ([23]142-143). პირადად ჩვენ უცილობლად მიგვაჩნია ვ. თოფურიას ვარაუდი, რომლის მიხედვითაც -თა სუფიქსს ნათესაობით ბრუნვაში დასმული მსაზღვრელ-საზღვრულიანი ტიპის სახელებში რაიმეს სიმრავლის აღნიშვნა ეკისრებოდა. შემდგომ დაკარგულა საზღვრული და -თა სუფიქსით გაფორმებულ მსაზღვრელს ადგილის აღნიშვნის ფუნქცია დაჰკისრებია ([26]286-289). მაშასადამე რომელიმე: **მოგუ-თა←მოგუთა (ქალაქი, ადგილი), მოწამე-თა←მოწამეთა (მონასტერი), ვან-თა←ვანთა (ადგილი), ბერ-თა←ბერ-თა (სალოცავი, სამყოფი), წყარო-თა←წყაროთა თავი, ადგილი** (შდრ. სოფ. წყაროთუბანი, თიან. რ.) და სხვ. მრ. სხვაგვარმა ვარაუდმა -თა სუფიქსის სხვა ენობრივი სამყაროდან (ნ. მარი, ს. კაკაბაძე, ვ. გამრეკელი), ან მისი ქართული „მთა" სახელისაგან მომდინარეობის თაობაზე (კ. ჰანი, მ. ჯანაშვილი), ბუნებრივია, სპეციალისტთა შორის მხარდაჭერა ვერ ჰპოვა.

-იან სუფიქსით წარმოქმნილი სახელები

ერწო-თიანეთის მიკროტოპონიმიაში ხშირია ქონების აღმნიშვნელი -იან (-იან-ა) სუფიქსით ნაწარმოები სახელები. -იან (||-იან-ა) სუფიქსი აქაურ ტოპონიმიაში მხოლოდ მცენარეთა სახელებისაგან ჰომდინარე ტოპონიმებში გვხვდება. სხვაგვარი ვითარება გვაქვს -ან სუფიქსიან სახელებში, რომლებიც უმეტესწილად ანთროპონიმული წარმოშობისანი არიან (**ბითა-ან-ი, გეგენა-ან-ი, დოლია-ან-ი, ომარა-ან-ი, ბადა-ან-ი**). **-იან (||-იან-ა):**

არყ-იან-ი სათ. (ლახ.), **არხ-იან-ი** სახნ. (კვერნ.), **ბუარ-იან-ი** სახნ., ტყე, საძოვ. (ახ. სოფ., ნ.დ., ხევ. სოფელი, დულუზ.), **გოქჩო-იან-ი** მინდ., საძოვ. (ტ. სოფ.), **გოხ-იან-ა** ტყე (თიან.), **გუბ-იან-ა** ტყე, მინდ. (მაგრ.), **დგნალ-იან-ი** სახნ., მინდ. (ხევ. სოფ., ქუშხ.), **დუდგულ-იან-ი** საძოვ., ველტყიანი ადგილი (დულუზ., ევე.), **ვაზ-იან-ა** მინდ. (თ. ხევა), **ვერხვ-იან-ი** სახნ., საძოვ., ტყიანი ადგილი (თოლ., სიმ. ხევი, წიკვლ., ახ. სოფ., ზარ., ზ. შარახ.), **თართ-იან-ი** სახნ., მინდ. (ველები), **თელ-იან-ი** (|| **თელიანა**) ტყე, სახნ., სათიბ. (ზ. ნაქალ., ომარ., ძებნ., ყუდრო, ყებ., თოლ., ბუჭყ.), **თხილ-იან-ა** ტყე (მაგრ.), **იფნ-იან-ი** ტყე (ძებნ.), **კაკლ-იან-ი** მინდ., საძოვ. (ომარ., ზ. ნაქალ.). „ეგ კაკლიანი არის იკვლივის კალთაზე“. **კვრინჩხ-იან-ი** სახნ. (მელ. ხ.), **კირცხილ-იან-ი** ველტყიანი ადგილი (ჯიხო, ლელ.), **კორმ-იან-ა** მინდ., სახნ. (ლულელ.), **კოხრ-იან-ა** მთა, საძოვ. (ალოტი, ზ. არტ., სახევი, ხაიშო), **ლაფ-იან-ა** მინდ. (მაგრ.), **მაჟალო-იან-ი** ნასოფლ., საძოვ. ს. საყარაულოსთან, **მარწყვ-იან-ი** ახო, საძოვ. (არხალი), **მაყვლ-იან-ი** (|| **მაყვლ-იან-ა**) ტყე, მინდვრები (ომარ., ქვ. ნაქალ.), **ნაფოტ-იან-ა** ტყე (ზენამხ.), **პანტ-იან-ი/ა** ველტყიანი ადგილები (კვერხ., ალაჭ., ველები, ყუდრო, თ. ხევა, ბად., სახევი, არხალი, ზარ., ხოფცა, შარახ., იარაჯ. თოლ., მაგრ., ზ. ნაქალ.), **პიტნ-იან-ი** სახნ. (ყებ.), **ჟონჟულ-იან-ი** ველტყ. მინდ. (ბად.), **სადაჩალ-იან-ი** სახნ. (საკრ.), **სვ-იან-ი/ა** ტყე, მინდ. (ზარ., ბალ. ხ., ჭიაურა), **სხლ-იან-ი/ა** სახნ., მინდ., მთა (ქუშხ., საჭურე, ლიშო), **ტალ-იან-ი** სახნ. (ჭურჭ.). **ფამფარ-იან-ი** სახნ. (თოლ.), **ფიჭვრ-იან-ა** საძოვ., ტყე (ლიშო), **ქვიშ-იან-ი** ტყე, ველები (არხალი), **ჭუჩ-იან-ი** საძოვ. (ლახატო), **ღარალ-იან-ი** სათიბი (ლახატო), **ღანძილ-იან-ი** საძოვ., სახნ. (ახ. სოფ.), **ღორღ-იან-ა** მშრალი, უწყლო ხევი (მაგრ.), **ღორღლ-იან-ა** საძოვ. ლიშო, ზ. არტ.), **შალაფ-იან-ი** მინდ. (დევენ.), **შვინდ-იან-ა** ტყე (ქვ. არტ.), **შუპყ-იან-ი** ტყე, ველები (თოლ.), **ჩადუნ-იან-ი** ველტყიანი ადგილები (ახ. სოფ., ბალ. ხ. ომარ., ყებ.), **ჩალ-იან-ი** მინდ., სახნ., ამჟამად დაფარულია სიონის

წყალსაცავით (ორხ.), **ძახვლ-იან-ი** ტყე, სახნ. (ლელ.), **წვრილ-იან-ა** ტყე (კვერნ.), **წვრიმლ-იან-ი** ნატყეევარი მამულები, სახნ., საძოვ. (გორ.), **წიფლ-იან-ი** საძოვ. (თრანი), **წნორ-იან-ი** სახ., საძოვ. (მაგრ.), **ჭყანტ-იან-ი/ა** სახნ., საძოვ. (ყებ., ჩაბ., ტუშ., ღულელ., ახ. სოფ., წიკვლ.. ზ. ნაქალ., კვერნ.), **ჭინჭრ-იან-ი** მინდ., სახნ. (ქვ. ნაქალ., კვერნ.. ყებ.), **ხუთყურ-იან-ი** ველტყ. ადგილი, საძოვ. (ქუშხ.), **ხოფ-ჩალ-იან-ი** სახნ. (ზარ.), **ჯაგ-იან-ი/ა** სახ., საძოვ. (დორ., მაგრ.) და სხვ. მრ.

-იან ქონების (თუ თვისების) აღმნიშვნელი სუფიქსი ხშირად გვხვდება წინავითარების ნა- და სა- პრეფიქსებით წარმოქმნილ მიკროტოპონიმებში:

ნამტვრევ-იან-ი ტყე (ახ. სოფ.), **ნამყნ-იან-ი** სახნ. (ნად.), **ნამძღვლევ-იან-ი** სახნ., საძოვ. (გორ.), **ნატუს-იან-ი** ტყე (თიან.), **ნაშავარ-იან-ი** ს. ხევსურთსოფლის ერთ-ერთი უბანი.

-ებ სუფიქსიანი ტოპონიმები

-ებ სუფიქსი ერთ-ერთი ყველაზე უფრო პროდუქტიული სუფიქსი ჩანს ერწო-თიანეთის ტოპონიმიაში. სხვა სუფიქსებისაგან განსხვავებით, -ებ მაწარმოებელი აქტიურად ფიგურირებს არა მარტო აქაურ მიკროტოპონიმიაში, არამედ საკუთრივ ტოპონიმიაშიც. -ებ სუფიქსის სიჭარბე ერწო-თიანეთის ტოპონიმიაში ჩვენ ფშაური დიალექტის ერთ-ერთ თავისებურებად მიგვაჩნდა, თუმცა იგივე -ებ სუფიქსი ხშირად იჩენს თავს დასავლეთ საქართველოს მიკრო- და საკუთრივ ტოპონიმიაშიც ([34]217-218). ერთი რამ საგულისხმოა: აღმოსავლეთ საქართველოს არცერთ რაიონში არა გვაქვს -ებ სუფიქსიანი ტოპონიმების (დასახლებული პუნქტების სახელწოდებანი) ისეთი სიხშირე, როგორც თიანეთის რაიონშია. ასე, მაგალითად, თუ რაიონის 82 დასახლებული პუნქტის სახელწოდებიდან 20 -ებ სუფიქსითაა ნაწარმოები, მეზობელი ახმეტის რაიონის 78 დასახლებული პუნქტიდან არცერთი -ებ სუფიქსიანი არ არის. ასევე არცერთი -ებ სუფიქსიანი ტოპონიმი არ გვხვდება გურჯაანისა და სიღნაღის რაიონებში. თელავის რაიონშიც 1 -ებ სუფიქსიანი სახელი გვაქვს (**ს. თეთრიწყულები**), ერთი ასეთი სახელი დასტურდება საგარეჯოს რაიონშიც (**ს. ზურზუტები**). დუშეთის რაიონის 295 დასახლებული პუნქტის სახელწოდებიდან -ებ სუფიქსით მხოლოდ 8 ტოპონიმია გაფორმებული; თანაც ამ 8 სახელწოდებიდან 5 უშუალოდ თიანეთის რაიონის მომიჯნავე ზოლ-

ში მდებარეობს: **ახალი ოსები, ძველი ოსები, მწითურები, ხიზნები** (ლეფანაანთკარის სას. საბჭო); **მიგრიაულები** (ხეობის სას. საბჭო).

-ებ ფორმანტიანი გეოგრაფიული სახელები ერწო-თიანეთის ტოპონიმიისათვის ისეთივე ნიშანდობლივი ჩანს, როგორც -ან, -იან, აგრეთვე მრავლობითობის -თ სუფიქსიანი სახელების სიმრავლე აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთისათვის, კერძოდ, მთიულეთისათვის: -ეთ და ნაგენეტივარი -ის სუფიქსი კი — ცენტრალური (ისტორიული) ქართლის ტოპონიმიისათვის.

-ებ ტოპონიმიკური ფორმანტი, შეიძლება ითქვას, ერწო-თიანეთის მიკრო- და საკუთრივ ტოპონიმიაში შეუზღუდავად მოქმედებს; დაერთვის როგორც მარტივ და წარმოქმნილ ფუძეებს, ისე სიტყვათშეერთებით მიღებულ (რთულ) გეოგრაფიულ სახელებს.

-ებ სუფიქსი აწარმოებს როგორც დასახლებული პუნქტების სახელებს (**ბადაან-ებ-ი, ბეწენწურ-ებ-ი, გოჯიან-ებ-ი გუდანელ-ებ-ი, გძელველ-ებ-ი, დორეულ-ებ-ი, დულუზაურ-ებ-ი, ზარიძე-ებ-ი, თეგერაან-ებ-ი, თოხოლჩ-ებ-ი || თოხოლჩაან-ებ-ი, იარაჯულ-ებ-ი, კახოიან-ებ-ი, კერვალიძე-ებ-ი, მამადაან-ებ-ი, ტუშურ-ებ-ი, ღულელ-ებ-ი, ჩიტაურ-ებ-ი, ძებნიაურ-ებ-ი, ჭურჭელაურ-ებ-ი, ხადოელ-ებ-ი** და სხვ.), ისე მცირე გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებებს (მიკროტოპონიმებს):

აბანო-ებ-ი მინდ. (თ. ხევა), **აკალდამ-ებ-ი** მინდ., ნანგრ. (ღულელ.), **ბარაკ-ებ-ი** ტყე (თიან.), **ბოგირე-ებ-ი** ტყე (ღულელ.), **ბოსტანე-ებ-ი** სახნ. (ტუშ.), **ბრძამიან-ებ-ი** ახო, საძოვ. (თიან.). **გორაკ-ებ-ი** სახნ. (ახ. სოფ., გოჯ.), **გორგოთე-ებ-ი** გორები, საძოვარი (საყდრ.), **გორდაგორ-ებ-ი** მინდ. საძოვ. (ღულელ.), **გრძელე-ებ-ი** სახნ. (ღულელ.), **რჩხ-ებ-ი** ჯაგნარი, მინდ. (ჭებ.), **ვეძ-ებ-ი** საძოვ., მინერალური წყარო (მელ. ხ., საყდრ., ბოჭორმა), **ზაქარი-ებ-ი** სალოცავი ადგილი, ხატი (ორხ.), **კვრინჩხ-ებ-ი** სახნ. (ახ. სოფ.), **კორულ-ებ-ი** მინდ., საძოვ. (ნაქალ.), **კოტე-ებ-ი** ველტყ. ადგილი, საძოვ., ფერდობი (თრანი), **ლათბე-ებ-ი** საძოვ., სათიბი, მინდვრები (ბალ. ხ.), **ლამ-ებ-ი** სახ., საძოვ. მინდვრები (მელ. ხ., სიმ. ხევი, თ. ხევა). უნდა ითქვას, რომ „ლამები“ ტოპონიმებად ხშირად გვხვდებოდა და გვხვდება მთელს ქართლ-კახეთში. ამ სიტყვისაგან წარმოქმნილი ტოპონიმები ჯერ კიდევ XV საუკუნიდან იყო ცნობილი (შდრ. ს. **ლამისყანა**, აგრეთვე მიკროტოპონიმები **ლამის-მიწა** და **ლამის-ხევი** ([50] 131). მინდვრის სახელად „ლამები“ გვხვდება ს. ანანურში (დუშეთის რ.), ხოლო **ლამისყანა** და **ლამთქედ-ი** სახნავი და სათიბ-საძოვარი მამულის სახელებად — ყაზბეგის რაიონის სოფ. გერგეტში ([28]30); **ლარე-ებ-ი** სახნ.,

საძოვ. (ნად.), **მეიდნ-ებ-ი** მინდ. (ტ. სოფ.), **მზვარე-ებ-ი** სახნ., საძოვ. (დორ., დულუზ.), **მეჭიანურ-ებ-ი** სახნ., საძოვ. (წიკვლ.), **მლაშე-ებ-ი** წყარო, სახნ., მინდ. (ნად., სივ. ხევი, თოლ.), **მტირალე-ებ-ი** წყალნაწვეთი ადგილი, მინდ. (თიან.), **ნაკვეთაურ-ებ-ი** ყოფილი სოფელი (ამჟამად დაფარულია სიონის წყალსაცავით), **ნიბლი-ებ-ი** ველტყიანი ადგილები (თიან.), **ნიშ-ებ-ი** სახნ. საძოვ. (ახ. სოფ., ზ. ნაქალ.), **ოლე-ებ-ი** სახნ. (დულუზ.), **ორთი-ებ-ი** მინდ. (ორხ.), **პარტი-ებ-ი** ტყე (ნაქალ.), **პრას-ებ-ი** სახნ. (ჭოფცა), **სათიბლ-ებ-ი** მინდ. (გორ.), **სიმსე-ებ-ი** სახნ. (ზარ.), **საყდარე-ებ-ი** სალოცავი ადგილი (ორხ.), **სრელ-ებ-ი** სათიბი (ფიქვ.), **ურძნ-ებ-ი** ბუჩქნ., საკულტო ადგილი (ტუშ.), **ჭყანტ-ებ-ი** ტყე, სახნ.. საძოვ. (ჟებ., დულუზ., გოჯ., ახ. სოფ., თიან., ბაღ.), **ყელ-ებ-ი** მთა, საძოვ. (თიან., დევენ., მელ. ხ.), **შოთხ-ებ-ი** ტყე, მინდვრები (სახევი), **ჩალ-ებ-ი** სახნ. (სიმ. ხევი, დევენ.), **ჩანჩხარე-ებ-ი** სახნ. (თოლ., ჩეკ. გორი), **ხოდაბულ-ებ-ი** სახნ., საძოვ. (ბოჭ.) და სხვ. მრ.

-ურ (||-ულ), -ურ-ა (||-ულ-ა) სუფიქსიანი ტოპონიმები

ერწო-თიანეთის ტოპონიმიაში -ურ || -ულ (ურ-ა || -ულ-ა) სუფიქსები ერთობ აქტიური საწარმოქმნო საშუალებაა. აღნიშნული სუფიქსები ფიგურირებენ როგორც მიკრო- და საკუთრივ ტოპონიმებში, ისე — ჰიდრონიმებში.

-ურ || -ულ სუფიქსი ობიექტის თვისებას თუ წარმომავლობას გვიჩვენებს ([23]149). -ა ფორმანტი კი -ურ-ა || -ულ-ა სუფიქსებში მაკნინებელ ხმოკნადაა მიჩნეული ([90]29).

-ურ (-ულ) სუფიქსი გვხვდება როგორც საკუთრივ ტოპონიმებში, ისე მიკროტოპონიმიასა და ჰიდრონიმიაში, -ურ-ა (|| -ულ-ა სუფიქსი კი — უპირატესად ჰიდრონიმებში. ამ გარემოებამ ფ. მაკალათიას საშუალება მისცა აღნიშნული სუფიქსისათვის ჰიდრონიმთა მაწარმოებელი ტოპოფორმანტი ეწოდებინა ([47]50-51). ამასთან, აღსანიშნავია, რომ ფ. მაკალათია -ურ-ა (||-ულ-ა) რთული სუფიქსის -ა ხმოვანსაც ისეთივე მასუბსტანტივებელი ძალის მქონე ხმოვნად მიიჩნევს, როგორადაც **კართანა, მოკვეთილა, თეთრახევა** და ა. შ. ტიპის სახელებში ივარაუდებოდა ([47]41).

ჩვენ გვგონია, რომ -ურ (||-ულ) და -ურ-ა (||-ულ-ა) სუფიქსებს შორის რაიმე არსებითი განსხვავება არც უნდა არსებობდეს: ერთიც შეუზღუდველად გვხვდება ტოპონიმებში და მეორეც; ოღონდ ეგაა, რომ -ურ სუფიქსი, ჩვეულებრივ, დიდი მდინარეების სახელწოდება-

თა საწარმოებელ სუფიქსად გვხვდება **(ენგ-ურ-ი, ტეხ-ურ-ი, ჩაილ-ურ-ი, ფოლადა-ურ-ი, ფინეზა-ურ-ი...)**, **-ურ-ა** (||-**ულ-ა**) კი — უმეტეს-წილად ისეთი პატარა ხეებისა და ნაკადულების სახელწოდებებში, რომელთა სიგრძე დაახლოებით 8-10 კმ-ს არ აღემატება **(აონ-ურ-ა, ბაჩლ-ურ-ა, ბუჭყინტ-ურ-ა, არტნ-ულ-ა, ჭურ-ულ-ა, ჩიხ-ურ-ა, ლეხ-ურ-ა, ხორხ-ულ-ა...)**. ამდენად, მართებული უნდა იყოს ალ. ღლონტის ვარაუდი **-ა** ხმოვნის მაკნინებელ ელემენტად მიჩნევის თაობაზე. მაგრამ კნინობითობასთან ერთად, ჩვენი აზრით, **-ურ-ა** (||-**ულ-ა**) სუფიქსს აუცილებლად უნდა ჰქონდეს კუთვნილება-წარმომავლობის აღნიშვნის უნარიც:

ლახატო-ურ-ა, ხატხე-ურ-ა, ვანხე-ურ-ა (←ვან/თ/ხე/ვ/-ურ-ა), მა-ღარო-ულ-ა, ჩარგლ-ულ-ა, არხ-ულ-ა (არხ[ლ]-ურ-ა←არხ[ალ]-ურ-ა), აონ-ურ-ა (მდ. ივრის მარჯვ. შენაკ.), **არტნ-ულ-ა** (მდ. გამოდის კუდ-გორიდან, ერთვის იორს); **ბაჩლ-ურ-ა** (ხევი, მდ. ივრის სათავე); **ბო-დახე-ურ-ა** (მდ. ივრის მარჯვ. შენაკ.); **ბუჭყინტ-ურ-ა** (სოფ. ბუჭყინ-ტის მდინარე, მდ. შარახეულას მარცხ. შენაკ.); **დამასტ-ურ-ა** (ხევი, მდ. საგამის შენაკ.); **თრან-ულ-ა** (მდ. ივრის მარჯვ. შენაკ.); **კორხ-ულ-ა** (მდ. ივრის შენაკ.); **ლარტუშო-ულ-ა** (მდ. ივრის მარცხ. შენაკ.); **ლიშო-ურ-ა** (მდ. ივრის მარჯვ. შენაკ.); **ჭუშხე-ურ-ა** (მდ. ივრის მარჯვ. შე-ნაკ.); **ხატხე-ურ-ა** (მდ. ივრის სათავე); **ხაშრ-ულ-ა** (მდ. ივრის სათავე); **ჭურ-ულ-ა** (პატარა წყლიანი ხევი; ს. საჭურე, ს. საყდრიონი).

ნიშანდობლივია, რომ რთული **-ურ-ა** (||-**ულ-ა**) სუფიქსი მრავ-ლობითობის მაწარმოებელ **-ებ** ფორმანტს, როგორც წესი, არ ღაირ-თავს; ამით იგი არსებითად განსხვავდება **-ურ** (||-**ულ**) სუფიქსისაგან, რომელსაც, როგორც ცნობილია, **-ებ** მრავლობითობის ფორმანტი თა-ვისუფლად მიერთვის **(დულუზა-ურ-ებ-ი, დორე-ულ-ებ-ი, ბეწენწ-ურ-ებ-ი, ტუშ-ურ-ებ-ი, ჩიტა-ურ-ებ-ი, ძებნია-ურ-ებ-ი, ჭურჭელა-ურ-ებ-ი, იარაჯ-ულ-ებ-ი, მეჭიან-ურ-ებ-ი, მჭედლ-ურ-ებ-ი, ნაკვეთა-ურ-ებ-ი...)**.

-ურ || **-ულ** სუფიქსი ერწო-თიანეთის ტოპონიმიაში ხშირად გვხვდება ნამყო დროის მიმღეობური წარმოშობის (გაფორმების) სა-ხელებთან:

ამაღლებ-ულ-ი სახნ., მინდ. (ქებ.), **გამბ-ულ-ი** ველტყ. ადგილი, მინდ. (ზ. ნაქალ., ლელ., ყუდრო), **მოელებ-ულ-ი** მინდ., საძოვ. (ზარ.), (მოელებული← მოველებული, ე. ი. ველად გაკეთებული, პატარა ვე-ლი); **მოხვე-ულ-ებ-ი** სახნ. საძოვ. (ტუშ., კახ.) და სხვ.

მიმღეობური წარმოებისავე ჩანს **-ილ** და **-ირ** (იშვიათად) მაწარ-მოებლიანი მიკროტოპონიმები: **მოცლ-ილ-ი** ველტყიანი ადგილები

(ახ. სოფ.), „ის, რაც მოსავლისაგან გათავისუფლდა, რამაც მოიცალა, რაც უკვე თავისუფალია“ (ყანის მომკის შემდეგ საქონელს რომ გაუშვებენ მინდორში, იგი უკვე „მოცლილი“ მინდორია), **ხაწ-ირ-ი** ველტყიანი, სახნავადგილებიანი გორი დ. თიანეთსა და ს. თეთრახევაა შორის (შდრ. **ხაწირი, ახაწირებული თივა** „ერთ ადგილას აგროვებული, დაბულულავებული თივა“) და სხვ.

-ნ სუფიქსიანი ტოპონიმები

ეს სუფიქსი გეოგრაფიულ სახელებს უძველესი ხანებიდანვე აწარმოებდა. შემდგომ -ნ სიბრავლის აღმნიშვნელ სუფიქსს თავისი საწარმოქმნო ძალა, როგორც ჩანს, თანდათან დაჰკარგვია. შეიძლება ითქვას, რომ **-ნ** სუფიქსი ამჟამად უპირატესად აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტოპონიმიაში შეინიშნება (**სეთურ-ნ-ი კაიშაურ-ნ-ი, მიდელაურ-ნ-ი** და სხვ.).

ერწო-თიანეთში გვხვდება:

საყდარა-ნ-ი ტყიანი სერი (ომარ.), **ნაქერალ-ნ-ი** გორაკი (ზ. არტ.), **ნაყორ-ნ-ი** ადგილი, ნასახლარები (ქუშხ.), **ნაშალა-ნ-ი** მინდ. (ომარ.) **ხახ-ნ-ი** ველტყ. (საჯინ.), **ჯვარ-ნ-ი** ბატი, სალოც. (ჩეკ. გორი).

-ან სუფიქსით ნაწარმოები ტოპონიმები ძირითადად ანთროპონიმული წარმოშობისანი არიან. -ან სუფიქსი ტოპონიმში მაშინ ჩნდება, როდესაც ფუძე -ა ხმოვანზე მთავრდება:

ბადა-ან-ი (სოფ.), **ბითა-ან-ი** (ს. საკრებულოს უბანთაგანი), **გეგენა-ან-ი** (სოფ. იარაჯულების უბანი), **იორამა-ან-ი** (ნასოფლარი, ამჟამად დაფარულია სიონის წყალსაცავით), **ტიღინა-ან-ი** (ნასოფლ.), **წვრილა-ან-ი** სახნ. (ახალსოფ.). შეიძლებოდა ტოპონიმთა ამ რიგში წარმოგვედგინა სოფლის სახელწოდება არტ-ან-იც, თუკი, რა თქმა უნდა, სეგმენტაცია სწორია (ეგებ არტა-ან-ი?)

აქაურ ტოპონიმიაში ცოტაა -იონ და -ოვან სუფიქსებით ნაწარმოები სახელები:

ლეკ-ოვან-ა მთა, საძოვ. (ზ. არტ.), **ლელ-ოვან-ი** სოფელი (თიან. სადაბო საბჭო), **პიტლ-ოვან-ი** სახნ., საძოვ. (სიმ. ხევი), **სხლ-ოვან-ი** სოფელი (არტნის სას. საბჭო), **საღორ-ოვან-ი** საძოვ. (ზენამხ.).

უფრო იშვიათია -იონ სუფიქსიანი სახელები. როგორც ვთქვით, -იონ სუფიქსი მხოლოდ ოიკონიმებში გვხვდება: **საყდრ-იონ-ი** (სოფ.), **სოფლ-იონ-ი** ნასოფლარი ივრის ზემო წელზე (არტნის სას. საბჭო).

-ობა სუფიქსიანი ტოპონიმები

საკვლევი რაიონის ტოპონიმიაში დასტურდება -ობა სუფიქსით ნაწარმოები მიკროტოპონიმები, მაგრამ ამ შემთხვევაში -ობა სუფიქსს დაკარგული აქვს სიმრავლის, კრებითობის აღნიშვნის უნარი:

კვირია-ობა ხატი, სალოცავი (ქუშხ.), **საჯვარია-ობა** ხატი, სალოცავი (ომარ.), **ძირ-ობა** ადგილი ს. ჭურჭელაურებში. იგივე ტოპონიმი მდ. აძეძის ახლოს მდებარე მამულების სახელწოდებად გვხვდება ს. ვეძათხევასა და ს. საყდრიონში: **ძირძირ-ობა** სახნ. (ჭებოტა, ახალსოფ.) და სხვ.

-თან თანდებულიანი (სართიანი) ტოპონიმები

ერწო-თიანეთის მიკროტოპონიმიაში საკუთარ სახელთა საწარმოებელ ფორმანტად დასტურდება -თან || -თანა სართები:

ბელელა-თანა ნასოფლ. მდ. ივრის სათავეებში, ფადლაურას მთასთან; **მაყალოს-თან** სახნ. (გორანა), **მუხას-თან** საძოვ. (ლახატო), **ნაჯორ-თან** ადგილია ს. ქუშხევის ტყეში, **ნაშალახატ-თან** სახნ. (ნადოკრა), **საკეცეებ-თან** მინდ. (შარახევი), **სტოლბეებ-თან** სახნ. (მელიასხ.), **წყალა-თან** სათიბი (ლახატო) **ციხე-თანა** სახნ. (ტუშ.), **ბატონას პანტას-თან** სახნ. (მამადაან.), **კუნელას ნასახრალეებ-თან** მინდ.. საძოვ. (გორანა), **ნაკერჩხლის ნასახლარეებ-თან** სახნ. (გორანა), **შაშუკაანთ იფნ-თან** სახნ., მინდ. (ზარიძ.), **ჭამიას ბოგირ-თან** მამული (ტუშ.), **ჭედელას ნასახლარ-თან** სათიბი, სახნ. (ველები), **ხიმიკაურის საყდარ-თან** მინდ. (წიკვლ.), **ჯაგლაგის ნასახლარ-თან** სახნ., საძოვ. (შარახ.) და სხვ.

აღნიშნული ტოპონიმების ფუნქციაა ზუსტად მიუთითოს, აღნიშნოს სახელდებული ობიექტი; ასე რომ ამგვარი სახელები ხშირად ორიენტირებადაც კი გვხვდება: **ციხეთანა, ნაშალახატთან, ღარებთან** და ა. შ. ტოპონიმები ზუსტად მიგვანიშნებენ იმ კონკრეტულ ადგილზე, რომელიც ციხის (ნაშალა ხატის, ღარების...) ახლოს, გვერდით მდებარეობს.

-თან || -თანა თანდებულების არსებობა ქართულ გეოგრაფიულ ნომენკლატურაში ნახური (ბაცბური) ენების გავლენას მიეწერება ([93] 138). ა. შანიძე წერს: „თანა“ თანდებულიანი გეოგრ. სახელები წარმოადგენს თუშურის[1] შემონატანს ქართულში... „შემონატანი“ ამ

[1] თუშურის ქვეშ იგულისხმება ბაცბური.

შემთხვევაში თარგმანის საშუალებითაა მოცემული“ ([93]138). მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ ქართული გეოგრაფიული -თანა თანდებული ნახური (ბაცბური) -ლო, -გო, -ჩო რთული სუფიქსების (—ლოჰ , გოჰ , ჩოჰ) თარგმანს წარმოადგენს ([79]90-94).

ქართულ ტოპონიმიაში -თანა თანდებულიანი სახელების ნახური (ბაცბური) ენიდან მომდინარეობას ზოგიერთი მკვლევარი (მ. ჩიქოვანი, ფ. მაკალათია) უმართებულოდ მიიჩნევს. საქმე ისაა, რომ -თანა თანდებულიანი გეოგრაფიული სახელები (უმეტესწილად მიკროტოპონიმები) საკმაოდ ხშირად გვხვდება არა მარტო აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში (ქართლი, კახეთი, ფშავი)[2], არამედ დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონშიც.

ამის მიუხედავად, მართებულად მიგვაჩნია პროფ. ა. შანიძის ვარაუდი -თანა თანდებულიანი გეოგრაფიული სახელების არაქართული (ბაცბური) სამყაროდან მომდინარეობის შესახებ. ამგვარი ვარაუდი იმიტომაც ჩანს სარწმუნო, რომ:

ა) -თანა თანდებულიანი გეოგრაფიული სახელების აბსოლუტური უმრავლესობა მოიპოვება აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის იმ კუთხეებში (ფშავ-ხევსურეთი, ერწო-თიანეთი, თუშეთი, ხევი), სადაც ნახური (ბაცბური) ენის კვალი ტოპონიმიაში ხელშესახებია.

ბ) -თანა თანდებულიანი ტოპონიმები ნიშანდობლივი არ იყო ქართულ-ქართველური ისტორიული ტოპონიმიისათვის: არც „ქართლის ცხოვრება“ და არც ვახუშტის „აღწერა“ არ იცნობს -თანა თანდებულიან ტოპონიმებს.

ჩვენი აზრით, დასავლეთ საქართველოში აქა-იქ შენიშნული -თანა თანდებულიანი ტოპონიმების **(ღორათანა, ლეთოთანა...)** [98] არსებობა, შესაძლებელია, ტოპონიმთა საწარმოებელი საშუალების გავრცელებულობით აიხსნას.

ქართული ტოპონიმიისათვის საერთოდ უცხო არაა გეოგრაფიული სახელების ზმნიზედური წარმოება. მაგრამ, როგორც ვთქვით, ძველ ქართულ ტოპონიმიაში -თანა მაწარმოებელი არ გვხვდება. არსებითი კიდევ ის არის, რომ -თანა სუფიქსი (სართი) ტოპონიმებს ბოლოში მიერთვის, ფორმაუცვლელი მსაზღვრელები კი სახელების პირველ კომპონენტად გვხვდება. მაშასადამე, ისინი სტრუქტურის თვალსაზრი-

[2] კახეთში, მაგალითად, უოფილა სოფელი კალოთანა. ამ სოფლიდან თიანეთში საცხოვრებლად გადასულმა ერთ-ერთმა ინფორმატორმა (ანა ივანეს ას. ხუციშვილმა) გვიამბო: „კალოთანა ჩემი სამშობლოა. ეს სოფელი აღარ არის. ეს იყო ხოდაშნის თავზე. ეხლა იქ მარტო ნანგრევებია არი და იმის სახელი არ მინდა, რო დაიკარჭოს და ჩაწერე“-ო

სით ერთიმეორისაგან განსხვავდებიან და სხვადასხვა წარმოშობისანი არიან.

საკვლევი რაიონის ტერიტორიაზე აქა-იქ, ძირითადად ხევსურებით დასახლებული სოფლების მიკროტოპონიმიაში, დასტურდება სახელები, რომლებიც ზუსტად მიუთითებენ ამ ადგილზე ოდესღაც მომხდარ რაიმე მნიშვნელოვან ამბავს. ასეთი მიკროტოპონიმები, როგოროც წესი, ორ- და მეტფუძიანი რთული სახელები არიან. პირველ ფუძედ ადამიანის საკუთარი სახელია წარმოდგენილი (ნათეს. ბრუნვის ფორმით), მეორე ფუძედ კი — მიმღეობური სიტყვები: **ნაჭერი, ნატეხი, მონაკლავი, ნაჩხვლეტი** და ა. შ.

აბიკასფურის მონაკლავ-ი მინდორი (ყუდრო), **კაცმონაკლავა** მინდორი მდ. ივრის ჭალაზე (ყუდრო), **ხრუკეს ნაჩხვლეტ-ი** მინდ., გორი (დულუზ.), **ყორანას მონაკლავ-ი** ველი, ტყე (ღულელ.), **მწარიას მონაკლავ-ი** მინდ., ტყე (ყუდრო) და სხვ. მრ.

უნდა ითქვას, რომ მიკროტოპონიმების ანალოგიური წარმოება შეინიშნება როგორც აღმოს. საქართველოს მთის არეალში (ხევი, მთიულეთი, ფშავ-ხევსურეთი, თუშეთი), ისე გურიაში. გურიის მიკროტოპონიმიაში ცნობილია ასეთი სახელები: **გოგუაძის ნატეხი, ლიპარიტის ნასახლევი, დადიანოღლის ნაკლავი, გოგონაკლავი** და სხვ. მრ. ([73]74-154); ანალოგიური მიკროტოპონიმები ხშირია თუშეთშიც: **სანდროს მონაკლავა, ყოჯას დანალევთანა** (-ყოჯას დანახოც ადგილთან), **მეხჩანავარდნი, გულიაის მონაკლავთანა** და სხვ. ([111]192-200).

ტოპონიმთა პრეფიქს-სუფიქსური წარმოება

ერწო-თიანეთის ტოპონიმიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია აფიქსური წარმოების გეოგრაფიულ სახელებს. პრეფიქსებად, ჩვეულებრივ, წინა ვითარების ამსახველი ნა- და სა- ელემენტები გვაქვს, ბოლოსართებად კი -ე, -ო, -ურ || -ულ, -არ || -ალ და რთული -ე-ებ, -ევ-ებ, -ო-ებ, -არ-ებ, -ურ-ებ || -ულ-ებ და ა. შ. მაშასადამე, წინა ვითარების ამსახველ ტოპონიმებში აფიქსებად გვხვდება: ნა- — -არ (|| ნა- — -ალ), ნა- — -ევ, ნა- — -ებ, ნა- — -იან, ნა- — -ან, სა- — -ა, სა- — -ო, სა- — -იან და ა. შ., რომლებსაც ხშირად დამატებით დაერთვის მრავლობითობის -ებ და კნინობითობის -ა სუფიქსი.

გეოგრაფიული სახელების ოდენპრეფიქსული წარმოების სპეციფიკური ნიშანი ისაა, რომ ნა- და სა- პრეფიქსები, როგორც წესი, მხოლოდ ვნებითი გვარის მიმღეობურ, იშვიათად — დანიშნულებისა

და წინა ვითარების აღმნიშვნელ გეოგრაფიულ სახელებს წარმოქმნიან. ტოპონიმთა წარმოების ამგვარი წესი იმთავითვე ერთობ შეზღუდული აღმოჩნდა, სახელთა წარმოქმნის მთელი სიმძიმე კი ზემოთ ჩამოთვლილ სუფიქსებზე იქნა გადატანილი ([23]140).

ნა- და სა- პრეფიქსებით გაფორმებული ტოპონიმები, ჩვეულებრივ, მიკროტოპონიმიის სფეროში გვხვდებიან; საკუთრივ ტოპონიმებად ოდენპრეფიქსული გეოგრაფიული სახელები საკვლევ რაიონში არ დასტურდება. არ უნდა გვქონდეს, მით უმეტეს, ოდენპრეფიქსული წარმოების მაკროტოპონიმებიც.

ნა- და სა- პრეფიქსიანი მიკროტოპონიმები უპირატესად სამეურნეო ხასიათის სახელები არიან. მათში საკმაოდ ხუსტადაა ასახული აქაური საყოფაცხოვრებო-სამეურნეო რეალიები, მოსახლეთა საქმიანობა და სხვ.

ნა-:

ნა-ყვერ-ი სახნ., საძოვ. (ხოფცა), იგივე სახელი მიკროტოპონიმებად დასტურდება სს. დორეულებსა და ზ. ნაქალაქარში: **ნა-კაფ-ი** საძოვ. (თრანი, ღულელ.), **ნა-ტუს-ი** საძოვ., სახნ. (ახ. სოფ.), **ნა-ჯაგ-ი** სახნ., საძოვ. (ომარ., თიან.), **ნა-გლეჯ-ი** ტყე, საძოვ. (სიმ. ხევი, კვერნ.).

სა-:

სა-თიბ-ი მინდორი, მთა, სათიბი მამულები (თრანი, ბოჭ.), **სა-ჭან-ი** ტყე (დულუზ.) „ადგილი, საიდანაც მოჭრილ ხის მორებს ან ნალოს აქანებენ, აცურებენ სამარხილე (საურმე) გზამდე“. **სა-ჩქვეფ-ი** ტყიანი, ჭუანტობი ადგილები (სახევი)...

როგორც მოტანილი მაგალითები ცხადყოფენ, ნა- და სა- პრეფიქსების საწარმოქმნო ძალა საკმაოდ შეზღუდულია; აღნიშნული პრეფიქსები მეტად პროდუქტიულნი მაშინ ხდებიან, როცა მათ სხვადასხვა საწარმოებელი სუფიქსები მიერთვის. განსაკუთრებული სიხშირით გამოირჩევიან ნა- — -არ (ნა- — -არ-ა), სა- — -ე, სა- — -ო, სა- — -ია, სა- — -ელ და სხვ. აფიქსები.

ნა- — -არ (|| ნა- — -ალ):

ნა-არხაჯ-ალ-ი საძოვ., მინდ. (საჭურე), **ნა-კოშკ-არ-ი** მინდ., საძოვ. (ზ. არტ.). **ნა-ლებო-არ-ი** სახნ. (ხოფცა), **ნა-სვილ-არ-ი** მინდ. (ლახ.), **ნა-სემიჭკ-არ-ი** სათიბი მინდ. (მაგრ.), **ნა-სიმინდ-არ-ი** სასაფლაო (დულუზ.), **ნა-ტრესტ-ალ-ი** მინდ., საძოვ. (ყუდრო), **ნა-ფელახ-არ-ი** მინდ. (საყდრ.), **ნა-ფეტვ-არ-ი** მინდ., საძოვ. (ახ. სოფ., დულუზ., ლახატო), **ნა-ღორ-ალ-ი** კლდიანი ადგილი, ხევი (ბოდახ.), **ნა-ხოვლ-არ-ი** ნასახლარები, გაუკაცრიელებული ადგილები (ახ. სოფ.), **ნა-ხოლ-**

არ-ი ჯაგნარი, ნასოფლარი (ტ. სოფ.), **ნა-ჯაგ-არ-ი** ველტყ. ადგილი (მელ. ხ.)...

ნა- — -არ წინა ვითარების აფიქსს ერწო-თიანეთურში ხშირად -ა ხმოვანიც მიერთვის:

ნა-ფეტვ-არ-ა ტყე (კვერნ.), **ნა-ქერ-ალ-ა** მინდ. (თ. ხევა, ბოდახ.), **ნა-ღორ-ალ-ა** ველტყ., საძოვ. (თრანი), **ნა-დუქნ-არ-ა** ადგილი (მაგრ.), **ნა-სვილ-არ-ა** ველტყ. (ზ. არტ.).

ხშირ შემთხვევაში ნა- — -ევ, ნა- — -ავ, ნა- — -ალ საწარმოებელ აფიქსებს დამატებით -არ სუფიქსიც დაერთვის, რაც წინამავალი სუფიქსების კვეცას იწვევს: **ნა-იმერ-ლ-არ-ი** (←ნაიმერ-ელ-არ-ი) ტყე (ტ. სოფ.), **ნა-ქოხ-ვ-არ-ი** (←**ნა-ქოხ-ავ-არ-ი**) საძოვ., სახნ. (ზ. არტ.), **ნა-ციხ-ვ-არ-ი** (←ნა-ციხ-ავ-არ-ი) ბუჩქნ. (ახ. სოფ.), **ნა-საკირ-ევ-ალ-ი** მინდ. (ქუშხ.) და სხვ.

ზემოთ მოტანილი მაგალითებიდან ჩვენს ყურადღებას ის ფაქტი მიიპყრობს, რომ ზოგიერთ ტოპონიმში ფუძესა და საწარმოებელ -არ ფორმანტს შორის თავს იჩენს -ვ თანხმოვანი: **ნა-ქოხ-ვ-არ-ი, ნა-ციხ-ვ-არ-ი, ნა-დიკ-ვ-არ-ი** || **ნა-დიკ-ვ-რ-ებ-ი**.. ზოგ სახელში კი ეს ვ-ინი არ ჩანს: **ნა-კოშკ-არ-ი, ნა-სვილ-არ-ი, ნა-სოფლ-არ-ი, ნა-ფეტვ-არ-ი, ნა-სიმინდ-არ-ი** და სხვა.

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ეს -ვ-ინი -ევ ნამყო დროის მიმღეობური სუფიქსის ნაშთია ([23]155). მაშასადამე, რომელიმე **ნაქოხვარი**—ნაქოხ-ევ-არ-ი, **ნაციხ-ვ-არ-ი**—ნაციხ-ევ-არ-ი და ა. შ. ჩვენი ვარაუდით -ვ- ყოველთვის -ევ სუფიქსის ნაშთი არ უნდა იყოს. საფიქრებელია, რომ -ვ- ამ ტიპის სახელებში -ავ სუფიქსის ნაშთიც იყოს, ხან კი ხმოვანთგამყარი თანხმოვნის ფუნქციითაც უნდა ჩნდებოდეს (შრდ. **ნა-ტბა-ვ-არ-ი, ნა-ბინა-ვ-არ-ი...**).

-ვ- თანხმოვნის გაჩენის შემთხვევები გურიის გეოგრაფიულ სახელებშიც შეინიშნება: **ნაოდვარ-ი** (←ნა-ოდა-ვ-არ-ი) „ადგილი, სადაც ოდა მდგარა, **ნასამებვარ-ი** (←ნა-სამება-ვ-არ-ი), **ნაბამბვარ-ი** (ნა-ბამბა-ვ-არ-ი) და სხვ. ([33]74-154).

წინა ვითარების ნა- — -ევ აფიქსი ერწო-თიანეთში თითქმის არ გვხვდება. ჩვენ აქ მხოლოდ ერთადერთი სახელწოდება **ნა-ბაკ-ევ-ი** დავადასტურეთ. ნაბაკევი ეწოდება მთას, საძოვრებს ს. ზ. არტანში. დანარჩენ შემთხვევაში ნა- — -ევ სუფიქსს ერთვის სხვადასხვა საწარმოებელი ფორმანტები **(-არ, -იან, -ებ)**, რაზედაც ზემოთაც გვქონდა მსჯელობა. ანალოგიური წარმოება გვაქვს ნა- — -ებ და ნა- — -იან აფიქსიან ტოპონიმებთანაც.

სა- — -ე:

სა-ერწო-ე გზა, ბილიკი (საჯინ.), **სა-კარტოფილ-ე** მინდ., სახნ., საძოვ. (საჯინ.), **სა-ხბორ-ე** საძოვ. (თრანი, ტ. სოფ.), **სა-ხან-ძილე-** — საძოვ. (ნაჭრ.), **სა-ჭინჭრ-ე** სახნ. (სიმ. ხევი), **სა-ღანძილ-ე** ტყე (დ. თიან.), **სა-ქვაბ-ე** ხატი, სალოცავი ადგილი (ღულელ.), **სა-სიპ-ე** ჭალა (ყუდრო), **სა-სახლ-ე** საძოვ. (მელ. ხ.), **სა-თიბ-ე** მინდ., საძოვ. (თოლ.), **სა-მგლ-ე** მინდ. (თიან.), **სა-ლუდ-ე** მინდ. (გოჯ.), **სა-კურატ-ე** სახნ., საძოვ. (გოჯ.), **სა-თიხ-ე** ხეხილის ბაღი (ქებ.), **სა-ნაქერქლ-ე** სახნ., საძოვ. (ჩეკ. გორი), **სა-სათიბ-ე** სათიბი მინდორი (თოლ.)...

სა- — -ე აფიქსს აქაურ მიკროტოპონიმიაში ძალზე ხშირად -ებ სუფიქსიც მიერთვის:

საღორე-ებ-ი მინდ. (დულუზ.). ეგეთე ტოპონიმი ხშირად გვხვდება თიანეთის რაიონის სხვადასხვა სოფლებში. ს. ზ. ნაქალაქარში საღორე-ებ-ი ტყეს ჰქვია, ს. ბალებისხევში — ველტყიან მამულს, ს. მაგრანეთში — ტყეს, ს. შარახევში — სახნაურ მამულს (ამჟამად აქ სატყეო მეურნეობის კაკლის ნარგავებია გაშენებული). **საქერე-ებ-ი** საძოვ. (ქუშხ.), **საგრილე-ებ-ი** საძოვ., ნარგავები (ღულელ.), **საკანაფე-ებ-ი** სახნ. მამული (კვერნ.), **სანახშირე-ებ-ი** სახნ. (ძებნ.), **სა-უნაურო-ებ-ი** სათიბი (ქუშხ.) და სხვ.

სა- — -ო:

ეს აფიქსიც საკმაოდ პროდუქტიული საწარმოქმნო საშუალებაა. ცნობილია, რომ სა- — -ო აფიქსი, სა- — -ე აფიქსის მსგავსად, ხშირად აწარმოებს საზოგადო არსებით სახელებს: სა- — -ო მნიშვნელობით სა- — -ე აფიქსის ფარდია, ოღონდ განსხვავებას მათ შორის ის ქმნის, რომ სა- — -ო აფიქსს „მეტი სასიცოცხლო ძალა აქვს“ ([93] 137). ეგეთე აფიქსი ტოპონიმებში ძირითადად დანიშნულებას გამოხატავს. აღსანიშნავია, რომ სა- — -ო აფიქსი თავისუფლად აწარმოებს მაკროტოპონიმებს (მხარეების, კუთხეების, ქვეყნების სახელები) და საკუთრივ ტოპონიმებს (ძირითადად ოიკონიმებს), სა- — -ე აფიქსი კი უპირატესად მიკროტოპონიმების საწარმოქმნო საშუალებაა. მართალია, სა- — -ე აფიქსიც საკმაოდ ხშირად გვხვდება დასახლებული პუნქტების სახელწოდებად (**სა-ირმ-ე, სა-მშვილდ-ე, სა-ბუ-ე, სა-ვან-ე, სა-თოვლ-ე, სა-ნახშირ-ე, სა-ნიორ-ე, სა-ჩხერ-ე, სა-წირ-ე, სა-ჯვარ-ე** [35], მაგრამ ზემოთ ჩამოთვლილი ტოპონიმები ისეთი გეოგრაფიული სახელებია, რომლებიც ჩვეულებრივ, მიკროტოპონიმებადაც გვხვდებიან. სა- — -ო აფიქსით ნაწარმოები ტოპონიმები კი, როგორც წესი, მხარე-კუთხეების აღმნიშვნელი, უპირატესად ეთნონიმური და ანთროპონიმული წარმოშობის სახელებია: **სა-ქართველ-ო, სა-მეგრელ-ო, სა-**

ჯავახ-ო, სა-ათაბაგ-ო, სა-ბარათიან-ო, სა-ინგილ-ო, სა-ზან-ო, სა-გარეჯ-ო, სა-გურამ-ო, სა-შაბურ-ო...

მართალია, ტოპონიმიაში აქა-იქ შეინიშნება სა- — -ო აფიქსიანი მიკროსახელები, მაგრამ ისინი მაინც საზღვრულჩაკარდნილი ერთეულები არიან (**სა-შევარდნ-ო**—სა-შევარდნ-ო კლდე, **სა-ნიავ-ო**—სა-ნიავ-ო ადგილი და ა. შ.), რითაც აშკარად განსხვავდებიან საკუთრივ ტოპონიმებისაგან.

ერწო-თიანეთში სა- — -ო აფიქსიანი სახელები საკმაოდ ხშირია: **სა-გურჩინა-ო** — ველი, საძოვ. (ყუდრო), **სა-დროველ-ო** (←სა-დორე-ურ-ო‖ სა-დორე-ულ-ო←სა-დორო-ულ-ო←სა-დორო-ელ-ო), **სა-ნაქებ-ო** — ღრმა ხევია ს. მაგრანეთში, **სა-პირიქით-ო** — ტყე, გადასასვლელი ყელი მცხეთის რაიონისაკენ (ცვერნ.), **სა-რუს-ო** — სათიბი (ბოკ.), **სა-სამხრ-ო** — სახნ. (ხოფცა), **სა-ყარაულ-ო** — ყოფილი სოფელი, **სა-უქმ-ო** — საძოვ. (მელ. ხ.), **სა-ხევსურ-ო** — ველტყ. მინდორი (ევეკ.), **სა-ჯიხო-ო** — საძოვ., სათიბი (ჯიხო), **სა-ჯინიბ-ო** — სოფელი (სიონმშ. სად. საბჭო).

ერწო-თიანეთის ტოპონიმიაში ხშირია შემთხვევები, როცა სა——-ო და სა- —-ე აფიქსებს კიდევ სხვა საწარმოებელი საშუალებანი დაერთვის. აფიქსთა დართვა ტოპონიმებში გარკვეულ ფონეტიკურ ცვლილებებს იწვევს: კერძოდ, მრავლობითობის -ებ სუფიქსისა და კნინობითობისა და მსგავსება-ქონების -ა სუფიქსის დართვა იწვევს წინამავალი ე- და ო- აფიქსისეული ხმოვნების დავიწროებას და მათ, შესაბამისად, -ი და -უ ხმოვნებად აქცევს (შდრ. **ფართი-ებ-ი**←**ფართე-ებ-ი**, **ოლი-ებ-ი**←**ოლე-ებ-ი**, **ახუ-ებ-ი**—**ახო-ებ-ი**, **კალუ-ებ-ი**←**კალო-ებ-ი**), ისევე როგორც ქართული ენის დიალექტებში გვაქვს: **ვანუ-ა**←**ვანო-ა**, **შაქრუ-ა**←**შაქრო-ა** და ა. შ.

სა-აგენტუ-ებ-ი სახნ. მაბულები (ჭურჭ.), **სა-იჯარ-უ-ებ-ი** სახნ. (ზ. ნაქალ.), **სა-მაჩუ-ებ-ი** ტყე (ტ. სოფ.).

სა-ბაყაყ-ი-ა მინდორი, დაბალი ადგილი (ჩეკ. გორი), **სა-დათვ-ი-ა**, სათიბე, (ღულელ., მაგრ., ფიქვ.), **სა-ლუდ-ი-ა** მინდ. (ლიშო), **სა-ჯვარ-ი-ა** სალოც., ხატი (ვეძ. ხ.), **სა-შვლ-ი-ა** ველტყ. მინდვრები (სახევი), **სა-ყუჩ-ი-ა** ტყიანი ადგილი (ქუშხ.), **სა-ტალ-ი-ა** კლდიანი ადგილი, ველ-მინდვრები (ჯიჯეთი).

წინა ვითარების აღმნიშვნელ სა- პრეფიქსთან ერთად ტოპონიმთა საწარმოებლად გვხვდება სხვა სუფიქსებიც:

სა- — -ა: სა-წოლ-ა სახნ. (ბალ. ხ., თრანი), **სა-თიბ-ა** პატარა სათიბი ველი (საჯინ.).

სა- — -ელ: სა-გულებ-ელ-ი სათიბი (ქვ. არტ.), **სა-ცილობ-ელ-ი** სათიბი, საძოვ. (თეთრ.), **სა-ხნაურ-ელ-ი** ვრცელი მინდვრები (გორ.).

სა- — -ელ-ა: სა-ხვეწ-ელ-ა ველტყიანი ადგილი, სათიბი (სხლოვ.), **სა-ხვნეშ-ელ-ა** ტყე (თეთრ.).

სა- — -ურ: სა-ბად-ურ-ი დიდი ტყიანი მთა თიანეთ-მცხეთის რაიონების საზღვარზე (ღულელ.), **სა-ყან-ურ-ი** სახნ., საძოვ. (ლიშო).

სა- — -ურ-ებ-: სა-ყან-ურ-ებ-ი სახნ. მინდვრ. (ლიშო).

სა- — -იან (|| სა- — -იან-ა): სა-კეც-იან-ი მინდორი (ქუშხ.), **სა-კირ-იან-ა** — ნასაკირლები (მაგრ.). იშვიათად გვაქვს აგრეთვე **სა- — -ოვან, სა- — -ეთ** მაწარმოებლები: **სა-ღორ-ოვან-ი** საძოვ. (ზენამხ.); **სა-კოშკ-ეთ-ი** — საძოვ., სათიბი (ქუშხ.).

როგორც ვხედავთ, ტოპონიმიკურ სახელთა გაფორმებისას ენა უფრო ხშირად სუფიქსებს მიმართავს, ვიდრე აფიქსებს: -ოვან და -ეთ სუფიქსებით ნაწარმოები ტოპონიმები თიანეთის რაიონში ბევრია, სა- — -ოვან და სა- — -ეთ აფიქსებით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელები კი — გაცილებით ნაკლები.

სიტყვათშეერთებით ნაწარმოები ტოპონიმები

გეოგრაფიული სახელების ძირითადი ფუნქცია, როგორც ცნობილია, ამა თუ იმ ბუნებრივი და ხელოვნურად შექმნილი ობიექტის აღწერა-დახასიათებაა. ტოპონიმთა ნომინაციის პროცესი საკმაოდ რთული სოციალური, ეკონომიკური, ფსიქოლოგიური და ა. შ. ფაქტორების შემცველი პროცესია. ნებისმიერი გეოგრაფიული სახელი მეტნაკლებად ასახავს ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხის მატერიალური და სულიერი კულტურის დონეს, ენის სპეციფიკას, საყოფაცხოვრებო თუ საკულტო-სარწმუნოებრივ რეალიებს და ა. შ. გეოგრაფიულ სახელებში, როგორც ზემოთაც აღვნიშნავდით, მდიდარი ინფორმაციაა დაცული. აქ აღნიშნულია არა მარტო ობიექტის ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება (მაღალი, დაბალი, თეთრი, წითელი, დიდი, პატარა, ღრმული, დახრამული, ქვიანი, სველი, ნოტიო, მშრალი, მეავე, მწარე და სხვ.), არამედ მისი კუთვნილება-წარმომავლობაც. ყოველივე ამის უკეთ საჩვენებლად ენამ სიტყვათშეერთების გზა აირჩია, რადგან ობიექტის შედარებით სრული დახასიათება და აღწერა სწორედ

ორსიტყვიან სინტაგმას (მსაზღვრელ-საზღვრულს) უნდა მოეცა. ამიტომაცაა, რომ ნებისმიერი ქვეყნის ტოპონიმიაში რთულ (ორ, იშვიათად სამ და მეტფუძიან) გეოგრაფიულ სახელებს რაოდენობის მხრივ წამყვანი ადგილი უკავია. ასეა არა მარტო ჩვენთან, არამედ ევროპისა და აზიის ქვეყნებში. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ გაცილებით უფრო ხშირია ორფუძიანი სინტაგმები (ბინომები), ვიდრე სამ და მეტფუძიანი ტოპონიმები, ე. წ. ტრინომები და პოლინომები ([27]78). თურქულენოვანი ხალხის ტოპონიმიაშიც კი, სადაც ზმნური ფუძეების გამო უამრავი პოლინომური ერთეულია, ორწევრიანი სინტაგმები სამწევრიანებს საკმაოდ სჭარბობს ([37]5).

ქართულ-ქართველურ ტოპონიმიაშიც ანალოგიური ვითარება შეინიშნება. ქართულ გეოგრაფიულ სახელთა ძირითადი ფონდი — ესაა ბინომური, მსაზღვრელ-საზღვრულიანი წყვილები (სინტაგმები), რომლის პირველ კომპონენტს წარმოადგენს სახელი (არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი, იშვიათად — ზმნიზედა), მეორე კომპონენტს კი— ნომენკლატურული (გეოგრაფიული) ტერმინი: მთა, ქედი, გორაკი (გორი/ა), ხევი, ყანა, ჭალა, ხიდი; თავი, გვერდი, პირი, ყური; ქალაქი, სოფელი, უბანი, კარი, ციხე, დაბა, ჯვარი; ძლართი, ძირი, ვაკე, ფერდი (ფერდობი, ფერდა); გუბე, წყალი, წყარო, ღელე, ტბა; წინა, შუა, უკანა და სხვ. (ნომენკლატურული ტერმინი, არსებითის გარდა, შეიძლება იყოს ზედსართავი (ვითარ. და მიმართ.), მიმღეობა, იშვიათად— ზმნიზედა).

სინტაგმური წყვილის პირველი კომპონენტი უპირატესად ნათესაობით ბრუნვაში დგას (მხ. ან მრ. რიცხვში); იგი შეიძლება იყოს საკუთარი ან საზოგადო, სულიერი ან უსულო, გონიერი ან არაგონიერთა კლასის. თუ მსაზღვრელად ვითარებითი ან მიმართებითი ზედსართავი სახელია, მაშინ ის სახელობით ბრუნვას მოითხოვს; რიცხვი ორივეა, მხოლობითიც და მრავლობითიც. რიცხვითი სახელებიდან მსაზღვრელად შეიძლება გვქონდეს რაოდენობითი ან რიგობითი ფორმები: სამთაწყარო ‖ სამწყარო, ცხრაფონა, ცხრამუხა, ცხრაწყარო (შდრ. ჩხოროწყუ); პირველი სვირი, მეორე ობჩა, მესამე შამთა; წილობითი რიცხვითი სახელები ქართულ ტოპონიმიაში არ შეინიშნება (როგორც, ვთქვათ, ირანულშია) ([67]164).

ჩვენ მიერ მოპოვებული ტოპონიმიკური მასალის ანალიზი საშუალებას გვაძლევს ერწო-თიანეთის რთულფუძიანი გეოგრაფიული სახელები სიტყვათშეერთების 12 ძირითად სახედ დავყოთ.

I. არსებითი სახელი + არსებითი სახელი

ა) გენეტიური მსაზღვრელი და ნომინატიური საზღვრული მბოლოობით რიცხვშია:

ადუაის ტაფ-ი საძოვ. (ლიშო), **აპრილას თავ-ი** საძოვ. (მელ. ხ.), **არტნის თავ-ი** მთა, საძოვ. (ზ. არტ.), **არჯეკლის გორ-ი** ტყიანი ადგილი (ბალ. ხ.), **არჩილის მონასტერ-ი** ისტორიული ძეგლი ერწოში (სიონგ.), **არხლის კუდ-ი** დახრამული ადგილი, ველები (დულუზ.), **აძეძის პირ-ი** სახნ., საძოვ. (დევ. ხ., მაგრ.), **ბაბუაის ჭალა** ველტყიანი ადგილი (ყუდრო), **ბატატის საქერე** სახნ., საძოვ. (სახევი), **ბაქუმის ჩდილ-ი** ტყე, ველები (ჩეკ. გორი), **ბებრის ციხე** ძველისძველი ნანგრევები, ციხის ნაშთი (ხაიშო), **ბერის ახო** სახნ. (ალაკ.), **ბეწინიკაის ტაფ-ი** მინდ., საძოვ. (სახევი), **ბლაგვიას ველ-ი** სახნ. (ზარიძ.), **ბოგირის ღელე** მინდ., საძოვ. (ფიქვ.), **ბოქოჭას ახო** სახნ. (ლელ.), **ბუსნის ჭალა** ველტყიანი ადგილები მდ. ქუსნოს და იორის შესაყარის ქვემოთ (დ. თიან.), **ბუჩარას ჩალა** ვრცელი სახნავ-სათესი მინდვრები (ღულელ.), **განძაურას ახო** ახო, საძოვ. (ღულელ.), **გოგნელას ჭალა** საძოვ. (საკრეჭ.), **გორის ახო** საძოვ. (ლიშო), **გუდულის კლდე** კლდე, ჩანჩქერი (ქუშხ.), **დამდგარის ახო** ახო (ჟებ.), **დევის სკამ-ი** სალოცავი ადგილი ნასოფლარ ბელელათანას ტერიტორიაზე, იერისკუდებში; **ეკლოვნის გორ-ი** საძოვ. (ზ. არტ.), **ვარდისუბან-ი** სახნ. (თ. ხევა.). **ვეძის ტყე** ტყე (საყდრ.), **ზაქარიას წვერ-ი** საკულტო ადგილი. „ზაქარიების“ ზემოთ მდებარე ტყიანი მთა (თრანი), **თამარას მაუალო** ადგილი, მართხე მინდორში (კვერნ). **თამრებას ჯვარ-ი** სალოცავი ადგილი (მაგრ.), **თიქონის გორ-ი** მთა, საძოვ. (ზ. არტ.), **თოთელას მამულ-ი** საძოვ. (ქვ. არტ.), **თოლენჯის თავ-ი** მინდ. (ჩეკ. გორი), **იალაის ახო** სათიბი, საძოვ. (ზენამხ.), **იზოლდაის სახლ-ი** გზა, ადგილი (ლიშო), **იხინჭის გორა** გორაკი, საკულტო ადგილი (ჟებ.), **კარახტინის ხევ-ი** ხევი, მდ. შარახეულას შენაკადთაგანი (ზენამხ.), **კინთის ტყე** ტყე, მთა ადგილი (გრძელვ.), **კოპიტის ახო** ველი (ლიშო), **კუდულას ახო** სახნ., საძოვ. (ბოდახ.), **კუტარელას ველ-ი** საძოვ. (ხოფცა), **კუჭეჭას გორ-ი** სახნ. (თეგერ.), **ლარტუშოს გლუვ-ი** დიდი ველტყიანი ადგილი, საძოვ., სახნ. (სახევი), **ლაფის თარგ-ი** სახნ. (ახ. სოფ.), **მაიაკის გორ-ი** სათიბი (ომარ.), **მიმიას ახო** ტყე, განაკაფი ადგილი (ჟებ.), **მოლამურის გორ-ი** გორაკი (კვერნ.), **მუნჯების ჭალა** ჭალა მდ. იორის მარცხ. ნაპირზე (ყუდრო), **ნადოკრის გორ-ი** სახნ., საძოვ. (გორ.), **ნამცხვრევის გორ-ი** მინდ., საძოვ. (საჭურე), **ორპანტის მამულ-ი** სახნ. (წიკვლ.), **პირის-გორ-ი** მაღლობი ადგილი (დულუზ.), **რკინისკალო** ველი (თრანი),

საბაყაყიის ბოლო მინდ., საძოვ. (ჩეკ. გორი), **სამტრედის გორ-ი** სახნ. (სიმ. ხევი), **ტანტრეს ჭალა** მინდ. (ზ. არტ.), **უსიპის ახო** საძოვ. (ახ. სოფ.), **ფოცხვრის თავ-ი** ტყე (სიმ. ხევი), **ქოჯიას ველ-ი** სახნ. (ჯეგ.), **ქურთისკარ-ი** ნასოფლ. მდ. ივრისა და ბაჩლურას შესაყართან (ზ. არტ.), **ღორღონის ხევ-ი** ხევი, მდინ. (თეგერ.), **ყაფრის გორ-ი** მთა, საძოვ. (ზ. არტ.), **ყინტრავლას გორ-ი** საძოვ. (ზარ.), **შუშანის ვაკე** საძოვ. (ზ. არტ.,) **ჩარგალელის ახო**, ახო სახნ. (ლიშო), **ჩიღოვლის** ველ-ი საძოვ. (წიკვლ.), **ჩუყლუყის მზორე** ტყე (სიმ. ხევი), **ცხრათითას ახო** ახო, სახნ. (იარაჯ.), **ცხრაკარას საყდარ-ი** ნანგრევები (ბად., საჯინ.), **ძაღლიას წყარო** წყარო (ახ. სოფ.), **წაწიას საყდარა** ძველი საკულტო ნაგებობის ნაშთი, ნანგრევები (ვეძ. ხევა), **ჭვინტაურას გორ-ი** ადგილი, გორაკი (თ. ხევა), **ხოფცის გორ-ი** საძოვ. (ხოფცა), **ჯავარას პანტა** სახნ. (საკრ.), **ჯანგირას ახო** სახნ., საძოვ. (დევ. ხევი) და სხვ. მრ.

ბ) მ ს აზ ღ ვ რ ე ლ ი -ებ-ი ან და ნ არ თ ან ი ან მ რ ავ ლ ობ ით შ ი დგ ას, ს აზ ღ ვ რ ულ ი — ჰ ხ ო ლ ო ობ ით შ ი:

აკლდამების თავ-ი ტყე, საძოვ. (ქებ.), **ალეკაანთ კარახტინ-ი** სახნ. (ზ. შარახ.), **ბუჯიაანების ბოლო** სახნ. (თოლ.), **ბადრახიანთუბან-ი** ს. ხევსურთსოფლის ერთ-ერთი უბანი, **გამახელათ ახო** საძოვ. (საჯურე), **გუგულთ მზვარე** ტყე (სახევი), **დავითთ ახო** სათიბი (ღულელ.), **დოჯურთ მამულ-ი** საძოვ. (ქუშხ.), **ელუელათ გორ-ი** ტყიანი გორაკი (ლიშო), **ვერხველთ თავ-ი** მთა, საძოვ. (ვერხვ.), **ზურაბთ კარახტინ-ი** სახნ. (ზენამხ.), **თოთიურთ უბან-ი** ს. გორანას ერთ-ერთი უბანი, **იანვართ ნასახლარ-ი** საძოვ. (ქუშხ.), **იდუკაანთ უბან-ი** ს. გორანას კუთხე-უბანთაგანი; **კირცხილების გზა** ტყე (საყდრ.), **კუკელათ ახო** საძოვარი (ლიშო), **კეკელთ ახო** სათ., საძოვ. (ღულელ.), **კვნიწაანთ ჭუანტიან-ი** მინდ., საძოვ (ტუშ.), **ლამების გორ-ი** სახნ. (ჩეკ. გორი), **მუნჯების ჭალა** ჭალა მდ. ივრის პირას (ყუდრო), **მაჩურიანთკარ-ი** სახნ., საძოვ. (ნადოკრა), **ნადირათ ტაფ-ი** სათიბი, საძოვ. (ბოდახ.), **ნიბლოთ თავ-ი** მინდ. (მაგრ.), **ნიგოით გორ-ი** სახნ. (ბალ. ბ.), **ოთარაანთ ახო** სახნ. (ახ. სოფ.), **პარკინათ ახო** მინდ., სახნ. (ომარ.), **უატების ველ-ი** საძოვ. (ომარ.), **რიგიაანთ ახო** სახნ. (ახ. სოფ.), **სოროების გორ-ი** ტყე (ქებ.), **საგულებელთ გორ-ი** სათ. (ქუშხ.), **სასვევეთ გორ-ი** გორაკი, საძოვ. (ზენამხ.), **ტალავერთ ველ-ი** საძოვ. (ლელ.), **ტუშურთ ველ-ი** ველი (საყდრ.), **უთხოვართ ხევ-ი** ტყე, ველები, ხევი (სახევი), **ფიჭვთ კუჭულა** სათიბი (ფიჭვ.), **ფოცხვერთ ნასახლარ-ი** საძოვ., მინდ. (სახევი), **ფუნჩათ ველა** მინდ. (სიონგ.), **ქეშიკათ მამულა** სახნ. (ქუშხ.), **ქვატალაანთ ახო** სახნ. (ჩაბ.), **ქუშანაანთ გორა** ველი,

შემაღლებული ადგილი (მაგრ.), **ღეჩუათ ახო** საძოვ., სახნ. (ლიშო), **ყარალაანთ ტყე** ველტყიანი ადგილები (ქებ.), **ყარყათ უბან-ი** სახნ. (ახ. სოფ.), **შიოყიანთ პანტა** ადგილი, ველი, მარტოხე (ორხ.), **შუშანათ ახო** საძოვ., სახნ. (თეთრ.), **ჩანთიანთკარ-ი** მინდ. (თიან), **ჩოლოყაანთ ტყე** ტყიანი ადგილები, ველები (დორ.), **ჩბუბიაანთ ბოლო** საძოვ.. ბუჩქნ. (მაგრ.), **ციების ჭალა** ადგილი, მინდ. (ტუშ.), **ციების წყარო** წყარო, ადგილი (ნადოკრა), **ცაცხვთ საყდარა** საკულტო ადგილი, სალოცავი, ხატი (ღულელ.), **ცირელთ ნაწისქვილარ-ი** ადგილი, საძოვ. (გუდან.), **ცურცუმელთ ახო** სახნ. (ჩაბანო), **ცხაოთ ახო** სახნ. (ჭიაურა), **ძიკურთ ტყე** ტყე (ბალ. ხ.), **ძნელაანთ კარ-ი** მინდ., საძოკ. (ზარიძ.), **ჭამათ მამულა** საძოვ. (თეთრ.), **ხარხელაურთკარ-ი** მინდვრები (ნადოკრა), **ხევსურთკარ-ი** სახნ., ტყე (თიან.), **ხოჯაანთ ჭალა** საძოვ. (ვეძ. ხევა), **ჯერვალიძეების თავ-ი** საძოვ., სახნ. (ტუშ.), **ჯვართ თარგ-ი** სახნ. (ჩაბ.), **ჯორების გზა** საძოვ. (ღულელ.), **ჯღუთათ ახო** მინდ. (სახევი).

გ) გ ე ნ ე ტ ი უ რ ი მ ს ა ზ ღ ვ რ ე ლ ი მ ხ ო ლ ო ო ბ ი თ რ ი ც ხ ვ შ ი ა, ნ ო მ ი ნ ა ტ ი უ რ ი ს ა ზ ღ ვ რ უ ლ ი — **-ებ-**ი ა ნ მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ შ ი:

ადუაის მამულებ-ი სათიბი (ჭუშხ.), **ანანის მიწებ-ი** სახნ. (სიმ. ჭევი), **გადრეცის ახუებ-ი** სახნ. (მამად.), **ივრის კუდებ-ი** ადგილები მდ. ივრის სათავეებში (ზ. არტ.), **ლარტუშოს საჩქვეფებ-ი** ტყიანი, ჭაობნარი ადგილები (სახევი), **საბადურის ყელებ-ი** ტყე (ღულელ.), **სოფიოს მიწებ-ი** სახნ., საძოვ. (გოჯ.), **უსიპის მიწებ-ი** სახნ. (ქებ.), **ფარხაის კოტორებ-ი** სათიბი მინდვრები (ზენამხ.), **ჭვინტაურას მამულებ-ი** სახნ. (თ. ხევა), **ხაწირის ბოლოებ-ი** სახნ. (თიან.), **ხიხის ჭყანტებ-ი** სველი, გუბეებიანი მინდვრები (ორხ.), **ჯუღურას მამულებ-ი** სახნ., საძოვ. (თიან.)...

აქვე შეიძლებოდა წარმოგვედგინა ტოპონიმთა წარმოების ისეთი შემთხვევებიც, როცა მსაზღვრელი და საზღვრული სახელობით ბრუნვაშია დასმული: **გორშევარდენ-ი** მაღალი გორაკი (ხევ. სოფელი), **წურბელა ტბა** გუბე, ადგილი (ბოჭ.). იშვიათად გვხვდება **და** კავშირით შეერთებული რთული ტოპონიმებიც: **გორდაგორებ-ი** სახნ. (ღულელ.), **მუხა და პანტა** სახნ. (ხოფცა).

და კავშირიანი წარმოება უჩვეულო მოვლენაა არა მარტო ერწო-თიანეთის, არამედ საერთოდ ქართველურ ტოპონიმიაში. ასეთი წარმოების სახელები ალბათ თითო-ოროლა შეიძლება აქა-იქ შეგვხვდეს და ისიც აუცილებლად მიკროტოპონიმიაში.

II. არსებითი სახელი + ზედსართავი სახელი

ამ ტიპის სახელებში გენეტიური მსაზღვრელი (საზოგადო და საკუთარი არსებითი სახელი) ორსავე რიცხვში გვხვდება, (უპირატესად ნარ-თანიან-ში) საზღვრულად გვაქვს როგორც ვითარებითი, ისე მიმართებითი ზედსართავი სახელები (ორსავე რიცხვში):

ა) მართული საზღვრული ვითარებითი ზედსართავი სახელია:

ასხავარათ გძელეებ-ი სახნ. (მაგრ.), **ბუშატის მაღალ-ი** მთა ახმეტა-თიანეთის საზღვარზე, ს. ბადაანის ჩრდ. მხარეზე, **ილიკოს დაბალ-ი** საძოვ., სათიბი (ტუშ.), **გურიელის მოხვეულებ-ი** ველტყ., საძოვ. (ალაკანი), **კვირიის დაბალ-ი** მინდ., სატყეო მეურნეობის ნარგავებია გაშენებული (ღულელ.), **კოკონაანთ დაბალ-ი** სახნ. (ახ. სოფ.), **კუნტას დაბალ-ი** საძოვ., ტყე (ბალ. ხ.), **კუკელათ აღმადაღმეებ-ი** ველი, საძოვ., სახნ. (ლიშო)...

ბ) მართული საზღვრული მიმართებითი ზედსართავი სახელია:

აქიმთ ჯაგიან-ი ველი (საყდრ.), **ბადაანთ კაკლიან-ი** მინდ., სატყეო მეურნეობის კაკლის ნარგავები (ბადაან.), **გელუანთ ნაყვრიან-ი** ველტყ., ტაფები (ქუშხ.), **კვირიის თხილიან-ი** საძოვ., ტყე (ღულელ.), **ტორიკელას სანიაო** მინდ (ქუშხ.), **ტუშურთ თხილიან-ი** ბუჩქნ., საძოვ. (ღულელ.), **ქუდას თხილიან-ი** მინდ., ველტყ. (გორანა), **წერათოს პანტიან-ი** სახნ. (ზენამხ.), **ხიმშირიანთ თხილიან-ი** ბუჩქნ., საძოვ. (ღულელ).

III. არსებითი სახელი + სახელზმნა (მიმღეობა)

ერწო-თიანეთის მიკროტოპონიმიაში საკმაოდ ხშირად დასტურდება სახელები, რომელთა პირველი ფუძე (მსაზღვრელი) გენეტიური საკუთარი არსებითი სახელია (ორსავე რიცხვში), საზღვრულს კი წარმოადგენს სახელზმნური ფორმები, უპირატესად, წამყო დროის მიმღეობანი (ასევე ორივე რიცხვში უპირატესად — მხოლ. რიცხვში). ნართანიან მრავლობითში დასმული საზღვრული ამ ტიპის სახელებში (ჯვართ თარგნ-ი წერათოს წყარონ-ის ტიპისა) არ შეგვხვედრია:

არჩემაანთ ნაჭერებ-ი სახნ. (თ. ხევა.), **ასლარას ნაკაფებ-ი** ველები (ალაკ.), **ბალამას ნაქოხარ-ი** ტყე (ყუდრო), **ბოდავთ ნაფეტვრებ-ი** მინდ., სახნ. (თიან.), **ბუბაიას ნაყვერ-ი** ტყე (ზენამხ.), **გელაგეჯას ნა-**

ჰერ-ი საძოვ., მინდ. (ზარ.), **ვარცლის გადასასვლელ-ი** ტყე. გზა (წიკვლ.), **ვასოს ნაკაფ-ი** სახნ. (ღულელ.), **ვასოს ნაქერალ-ი** საძოვ. (ყუდრო), **კარგოს ნაბინავარ-ი** მთა, საძოვ. (ზ. არტ.), **კაჭუას ნაკაფ-ი** სახნ. (ჭურჭ.), **კვინწას ნადიკვრებ-ი** მინდ., სახნ. (ჯიჯ.), **მსუნაგას ნაჰერ-ი** საძოვ. (ლიშო), **მწარიას მონაკლავ-ი** ველი, საძოვ. (ყუდრო), **მკვდრების ნაუურ-ი** წყლიანი ადგილი; წყარო (დორ). **ნისლიას ნაყანობ-ი** მინდ. (თიან.), **ნინიკაანთ ნაყანრებ-ი** მინდ. (საყდრ.), **ნიკოს ნატეხ-ი** სათიბი მინდ. (ლახატო). **ოგრუტის ნაყვერ-ი** ტყე. ველები (ახ სოფ.). **ტვირთათ ნასახლარებ-ი** მინდ. (სახევი), **ფსვლიკების საგოგავ-ი** მინდ. (ტუშ.), **ქარანცხაშვილის ნაფეტვრებ-ი** სახნ. (თიან.), **ღაცას ნაკაფი-** ახო (ყებ.), **წყილაის ნაკალავარ-ი** მინდ. (ბოდახ.), **ხიბლას ნაომარ-ი** ველი, ტყე (ღულელ.), **ხრუკეს ნაჩხვლეტ-ი** ფერდობი (დულუზ.), **ჯაბანიანთ ნახოცებ-ი** ტყიანი ადგილი (თეგერ.), **ჯოყოლას ნასახლარ-ი** მინდ., საძოვ. (გრძელვ.), **ჯულურას ნასიმინდარ-ი** მინდ. (დულუზ.).

IV. ზედსართავი სახელი + არსებითი სახელი

ა) მსაზღვრელი ვითარებითი ზედსართავი სახელია, საზღვრული — საზოგადო არსებითი სახელი (უპირატესად მხოლოობით რიცხვში). ამგვარად გაფორმებული რთულფუძიანი ტოპონიმები ერწო-თიანეთში საკმაოდ ბევრია. ხშირად მსაზღვრელი (ვითარებითი და მიმართებითი ზედსართავი სახელები) საზღვრულს ფუძის სახით დაერთვის, რის გამოც მათი შერწყმულად წერა ეჭვს არ იწვევს:

ახალი გზებ-ი ტყე (თიან.), **ბუყბუყა წყარო** წყარო, მინდ. (საყდრ., დორ., ტუშ., თოლენჯი), **ბატარა ჭლუან-ი** სათ., საძოვ. (ქუშხ.), **ბატარა რუა** პატარ-პატარა ველები (ქუშს.), **გრძელველებ-ი** სოფელი ერწოში. „პატარა სოფელი რამ არი, ერთი სამი კომლიღა ცხოვრობს, ქისტაურები და კობაშვილები“ (რ. მინდიკაური); **დაბალი მთა** სათ., საძოვ. (სახევი), **დაბალახო** ახო, საძოვ. (მამად., ნად.), **დიდჭლუვ-ი** სათიბი, საძოვ., ტყიანი ადგილი (ქუშხ.), **დიდი ბერტყე** ტყე (თეგერ.), **დიდმიადნებ-ი** ტყიანი ადგილები, ველები (ყუდრო), **ზანზარა კოდა** წყარო, ჭაობიანი ადგილი (ტ. სოფ.), **თეთრწიფელ-ი** ველი, საძოვ., მარტოხე (ტ. სოფ.), **ლამაზგორ-ი** სათ. (ბოდახ.), **მაღალმამულებ-ი** სახნ., საძოვ. (ქუშხ.), **მირგვალველ-ი** „მრგვალი ველი“, საძოვ. (ყუდრო). **მწვეტაგორა** მაღალი ტყიანი გორა (ახ. სოფ., ყუდრო), **პა-**

ტარა გუზუმბათ-ი მთა, საძოვ. (ლიშო), **პატარა ჩხვინჯეთ-ი** სახნ. (ზარ.), **პტუელმამულებ-ი** სახნ. (იარაჯ.), **ტკბილჭალა** ჭალა, წყარო (თიან.), **ქაჩალგორა** საძოვ. (ახ. სოფ.), **ქოჩორა პანტა** საძოვ., მარტოხე (ზარიძ.), **ქუჩაპანტებ-ი** სახნ. (დულეზ.). „მამულია და შიგ ქუჩათა დგა პანტები“ (ა. ხაიაური): **ყრუვჭალა** სახნ. (ხოფცა), **შავშარახევ-ი** ს. ზემოშარახევის ადგილობრივი სახელწოდება, **წოწოლა გორა** ტყიანი მთა (თ. ხევა) და სხვ.

ბ) მ ს ა ზ ღ ვ რ ე ლ ი მ ი მ ა რ თ ე ბ ი თ ი ზ ე დ ს ა რ თ ა ვ ი ს ა ხ ე ლ ი ა, ს ა ზ ღ ვ რ უ ლ ი — ს ა ზ ო გ ა დ ო ა რ ს ე ბ ი თ ი ს ა ხ ე ლ ი (ორივე ფუძე, ჩვეულებრივ, მბოლოობითი რიცხვის ფორმითაა წარმოდგენილი):

ანწლიანრუვ-ი მინდ., საძოვ. (ქუშხ.), **ანწლიანტაფ-ი** ტყე (ღულელ.), **არყიანთავ-ი** ტყე, საძოვ. (ქუშხ.), **ბალახიანგორ-ი** ტყე, ველები (სიონმშ.), **ბალიანატაფა** ტყე, საძოვ. (თეთრ.), **ბაქნიანკუდ-ი** ტყე (ღულელ.), **ბაქნიანხევ-ი** მდინარე, ხევი, მდ. აძეძის შენაკადი (ღულელ.), **ბუარიანველ-ი** მინდ., საძოვ. (ბად.), **დიყიანჭალა** ველტყიანი ადგილები (სახევი), **ცხხლიანკუჭა** ტყე. მაღნარი (მაგრან.), **ნარიანველ-ი** მინდორი, ფიჩვის ნარგავებიანი ველი (სიონმშ.), **ნაჭრიანგორ-ი** ტყე, ძველი განაჩეხი, ნაკაფი ადგილები (ჩეკ. გორი), **სამყურიანველ-ი** მინდ. საძოვ. (ტუშ.), **სკინტლიანა გორა** სახნ., საძოვ. (ზ. ნაქალ.), **ტალიანა გორა** საძოვ. (ჩეკ. გორი), **უთხოვრიანგორ-ი** ტყე (ყედრო), **ურძნიანგორ-ი** ტყე, საძოვ. (ჩეკ. გორი), **წვრილიანგორ-ი** საძოვ. (ქებ.), **წნოლიანჭალა** ჭალა, ხეხილის ბაღი (ფიჩვ.), **წყლიანკლდე** სათიბი (ბუჩყ.), **ჭინჭრიანყელ-ი** ტყე (თ. ხევა), **ჭყანტიანველ-ი** მინდ. ქალტამი ადგილი (ყუდრო), **ხანძილიანტაფ-ი** ველი, საძოვ. (ომარ.). **ხუნწიანტაფ-ი** საძოვ., ტყიანი ადგილები (ქუშხ.)...

V. ზედსართავი სახელი + ზედსართავი სახელი

ა) მ ს ა ზ ღ ვ რ ე ლ ი ვ ი თ ა რ ე ბ ი თ ი ზ ე დ ს ა რ თ ა ვ ი, ს ა ზ ღ ვ რ უ ლ ი — მ ი მ ა რ თ ე ბ ი თ ი ზ ე დ ს ა რ თ ა ვ ი ს ა ხ ე ლ ი:

გურგალთხილიან-ი ახო, საძოვ., სახნ. (დულეზ.), **გრძელპანტიან-ი** სახნ. (ჩეკ. გორი), **დიდთხილიანებ-ი** ველტყიანი ადგილი (საჯინ.), **დიდმაყვლიან-ი** საძოვ., სახნ. (ბალ. ხ.), **დიდპანტიან-ი** საძოვ. (თეგზურ., გორ.), **დიდწვრილიან-ი** ტყე (ტუშ.), **მურგვალა თხილიან-ი** სახნ., საძოვ. (ლიშო), **მურგვალჯაგიანა** საძოვ., ტყიანი ველები (მაგრ.), **წი-**

თელშეშიანა ტყე (მაგრ.), **ხშირპანტიან-ი** სახნ. (ზენამხ.), **ხშირჯაგიან-ი** ჯაგნარი, საძოვ. (ქვ. ნაქალ.)...

ბ) მ ს ა ზ ღ ვ რ ე ლ ი მ ი მ ა რ თ ე ბ ი თ ი ზ ე დ ს ა რ თ ა ვ ი ს ა ხ ე ლ ი ა, ს ა ზ ღ ვ რ უ ლ ი — ვ ი თ ა რ ე ბ ი თ ი ზ ე დ ს ა რ თ ა ვ ი ს ა ხ ე ლ ი:

ზმარტლიანის დაბალ-ი საძოვ., ველტყ. (ქებ.), **მაყვლიანის დაბალ-ი** ველი, საძოვ. (ლიშო), **ჭინჭრიანი გვერდალ-ი** ადგილი (შარახ.).

გ) მ ს ა ზ ღ ვ რ ე ლ ი დ ა ს ა ზ ღ ვ რ უ ლ ი ო რ ი ვ ე ვ ი თ ა რ ე ბ ი თ ი ზ ე დ ს ა რ თ ა ვ ი ს ა ხ ე ლ ი ა:

დიდდაბალ-ი დაბლობი ადგილი; ამჟამად ფიჩვის ნარგავებია ჩაყრილი (ღულელ.), **ძველდაბალ-ი** სახნავი მინდ., ველტყ., საძოვ. (ქებ.) და სხვ. მრ.

VI. სახელზმნა + არსებითი სახელი

ამ ტიპის სახელებში პირველ კომპონენტად (ფუძედ) გვევლინება სახელზმნური ფორმები, რომლებიც ძირითადად წამყო დროის ვითარების აღმნიშვნელი ნა- და სა- პრეფიქსებითაა ნაწარმოები; იშვიათად შეიძლება შეგვხვდეს წარმოქმნილი (დანიშნულების სა- — -ე და სა- — -ო აფიქსებით ნაწარმოები) არსებით სახელებიც:

გათიბულტაფ-ი სათიბი, საძოვ. (ზ. ნაქალ.), **გასაყარი გზებ-ი** გზა, ადგილი ს. თოლენჯისა და ს. მელიასხევის მიჯნაზე; **გაჭრილგორ-ი** ტყე (მაგრ.), **გახეთქილკლდე** კლდე, ადგილი (თ. ხევა), **დაკაფული თელა** ადგილი, მინდ. (ქებ.), **დაკიდებულველ-ი** მინდ., საძოვ. (ყუდრო), **დამწვართ ტყე** ტყე, ნამწვიანი (ბალ. ხ.), **დაღარული კლდეებ-ი** მინდ., საძოვ. (ქებ.), **დაყუდებულახო** სახნ., საძოვ. (გორ.), **მოხვეულმიწა** სახნ. (ხოფცა), **მოხრილმიწებ-ი** მინდ,. სახნ. (თიან., ხოფცა), **ნამტვრევიანთავ-ი** ტყე (ბად.), **ნატუსების გორ-ი** დამწვარი ტყე, გორაკი (ალაჭ.), **ნაყიდმიწებ-ი** სახნ. (ჩაბ.), **სადეო გორ-ი** მამულები, გორაკი, საძოვ. (ქუშხ.), „ერთავათ ჩხუბი და დეობა ჰქონიათ“ (ს. ხუმარაშვილი).

VII. ზმნიზედა + არსებითი სახელი

აღნიშნული ტიპის სახელებში ზმნიზედური **გაღმა, გამოღმა, შუა, ზემო, ქვემო, იქით** და ა. შ., ჩვეულებრივ, მსაზღვრელებად გამოდიან. საზღვრულად საზოგადო არსებითი სახელებია (ძირითადად მხოლო-

ობით რიცხვში). ამგვარი ტოპონიმების წარმოქმნა საკვლევი რაიონის ტერიტორიაზე რამდენადმე შეზღუდული ჩანს:

ბოლოს ბოგირ-ი გზა (მელ. ხ.), **გაღმა/ე ველ-ი** სახნ. (ჩეკ. გორი). **გაღმა ჩხვინჯეთ-ი** ხატი, წყარო (ზარიძ.), **დაბლა ჭალებ-ი** სათიბი (მამად.), **ზეზეუბან-ი** ნასოფლ. (ყუდრო), **ზეითა ანიხევ-ი** ველტკ. (ქებ.), **იქით ხევ-ი** პატარა ნაკადული, ხევი (საყდრ.), **ქვენა ჭყანტებ-ი** ჭახნ. (ტ. სოფ.), **შუათა გორ-ი** მთა, საძოვ. (ზ. არტ.) და სხვ.

VIII. არსებითი სახელი + ზმნიზედა

მსაზღვრელი უპირატესად საზოგადო არსებითი სახელია (ვრავლობითის ფორმით), საზღვრულად — ზმნიზედური სართები (მხოლობ. და მრავლ. რიცხვში):

გზათშუებ-ი ადგილი ტყეში (ტ. სოფ.), **გზეფშუა** სახნ. (ქებ.). ანალოგიური გაფორმების მიკროტოპონიმები გვხვდება ს. მელიასხევსა და ს. სიმონიანთხევში; **ივრებს შუა** სახნ. (ახ. სოფ.), **ივრებს გაღმა** ტყე (ბოჭ.), **კვირიის ქვემოთ** სახნ. (ზარიძ.), **რუებს შუა** სახნ. (ახ. სოფ.), **ფიჭვ უკენით-ი** სათიბი, მინდ. (ფიჭვ.), **ხევთაშუებ-ი** ტყე (თიან.), **ხევთაშუა** ტყე, სახნ. (თ. ხევა, ხოფცა, ნად., სიმ. ხევი), **ხევჩუა** — პატარა ხევი, ნაკადული (მაგრ.)...

IX. ზედსართავი სახელი + სახელზმნა

ამ ტიპის სახელები ერწო-თიანეთის ტოპონიმიაში შეზღუდული აღმოჩნდა:

ახალნაჭრებ-ი ტყე (ქებ.), **დიდნასოფლარებ-ი** მინდ., საძოვ. (ორხ.),**დიდნაკაფ-ი** ტყე (ჭურჭ.), **დიდნაყორ-ი** ტყე; ძველი ყორენამოსახლარები (ჭუშხ.), **ვერხვიანის გამოსავლებ-ი** გზა (შარახ.), **თელიანნაგლეჯ-ი** მინდ. (ქებ.), **მდგნალიანნაგლეჯ-ი** მინდ. (ქებ.), **უგონურის ნაჯაგ-ი** საძოვ. (ლიშო), **ძველნაჭრებ-ი** ტყე (ქებ.) და სხვ.

X. რიცხვითი სახელი + არსებითი სახელი

ერწო-თიანეთის მიკროტოპონიმიაში იშვიათად გვხვდება სახელები, რომლებსაც მსაზღვრელად რაოდენობითი რიცხვითი სახელი ჰქონდეთ. რაიონის გეოგრაფიულ ნომენკლატურაში ასეთ სახელებს

უმნიშვნელო ადგილი უკავიათ. რაოდენობითი რიცხვითი სახელებიდან აქ მხოლოდ **ორი, ხუთი** და **ცხრა** გვხვდება (ეს უკანასკნელი — იშვიათად). რატომღაც არ ჩანს **სამი,** რომელსაც, როგორც ცნობილია, ქართველურ ტოპონიმიაში საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს. აქაურ ტოპონიმიაში, როგორც მოსალოდნელი იყო, **არ ფიგურირებს რიგობითი რიცხვითი სახელები.** ერთადერთი გამონაკლისია ტოპონიმი **მეორე კარახტინ-ი** მინდ. (ზ. შარახ.). სამაგიეროდ ხშირია რაოდენობითი რიცხვითი სახელის — ორის — გამოყენების შემთხვევები:

ორველებ-ი სახნ. (ნაჭრ.), **ორმამულა ტყე** ტყე (ნაჭრ.), **ორპანტის მამულ-ი** სახნ. (წიკვლ.), **ორხევ-ი** სოფელი (სიონჭშ. სად. საბჭო), **ხუთპანტებ-ი** სახნავი მინდორი (თეგერ.)...

XI. -თან || -თანა თანდებულიანი ტოპონიმები

-თან || -თანა თანდებულიანი ტოპონიმები (ჩვეულებრივ, მიკროტოპონიმები), როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული (გვ. 27—29), ხშირად დასტურდება აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (თუშ-ფშავ-ხევსურეთი, მთიულეთი, ხევი, ერწო-თიანეთი).

საკვლევი რაიონის ტერიტორიაზე -თან || -თანა თანდებულიანი სახელები უპირატესად ტოპოორიენტირები არიან, თუმცა არც ისე იშვიათად წინავითარების აღმნიშვნელ, ჰიმღეობურ სახელებსაც თავისუფლად დაერთვიან:

ადამთ ნასახლართან სახნ., საძოვ. (ზ. შარახ.), **მელიასხევის სასაფლაოებთან** საძოვ., სახნ. (მელ. ხ.), **მოსესმოჭრილ მუხასთან** ველი, ამჟამად აქ ვერხვის ნერგია გაშენებული (ბად.), **სხალტკბილათან** მინდ. (საჯინ.), **საყდარათან** ტყიანი ადგილი (საჯინ.), **ჰედელას ნასახლართან** მინდ. (გრძელვ.), **ჯაგლაგის ნასახლართან** სახნ. (ზ. შარახ.) და სხვ. მრ.

XII. საზღვრულ-მსაზღვრელიანი (შებრუნებული წყობის) გეოგრაფიული სახელები

ერწო-თიანეთის რაიონში საზღვრულ-მსაზღვრელიანი წყობის სახელები მხოლოდ აქა-იქ დასტურდება. ამგვარად გაფორმებული სახელების პირველი კომპონენტი (საზღვრული) უპირატესად მხოლობითი რიცხვის ნომინატიური საზოგადო არსებითი სახელია, ტო-

პონიმის მეორე ფუძე კი ისევე მხოლოობ. რიცხვის არსებითი სახელი ან ზედსართავი სახელია, რომელიც ხშირად სადერივაციო ა ხმოვნითაა გაფორმებული.

საზღვრულ-მსაზღვრელიანი რიგის გეოგრაფიულ სახელებში, უპირველეს ყოვლისა, მოცემულია: ა) ობიექტის ზუსტი აღწერა და ბ) ობიექტის სხვა რომელიმე საგანთან მსგავსება.

კლდეწითელ-ი ტყე, კლდოვანი ადგილი (თ. ხევა, წიკვლ.), **ქვაკაცა** მინდ., საძოვ. (ქუშხ.), **ქვაკევრა** მთა, საძოვ. (თ. ხევა), **ქვაკიბე** საძოვ. (სიმ. ხევი), **ქვაჯამა** საძოვ., ადგილი (ქუშხ.), **ქურწითელ-ი** მამული, საძოვ., სახნაური ადგილი (კვერნ.). ეს სახელები, თავის მხრივ, სხვა მიკროტოპონიმებს წარმოქმნიან: **კლდეწითლის ხევ-ი** მდინარე, ხევი, მდ. თეთრახევას ერთ-ერთი სათავე (თ. ხევა), **ქვაკევრის ხევ-ი** ტყიანი ხევი (თიან.), **ქვაკევრას ჩირდილ-ი** ტყე (თ. ხევა) და სხვ.

გაურკვეველი სემანტიკის ტოპონიმები ერწო-თიანეთში

ნებისმიერი ქვეყნის ტოპონიმიაში გამოიყოფა გეოგრაფიულ სახელთა ისეთი ფენა (ფენები), რომელიც ჩვენთვის ნაცნობი ან აბსოლუტურად უცნობი ენების ოდინდელ ნაკვალევად უნდა მივიჩნიოთ. ცნობილი საბჭოთა ტოპონიმისტი ა. პ. დულზონი შენიშნავდა: „ამა თუ იმ ტერიტორიის ტოპონიმია ჭრავალფეროვანია. ეს იმიტომ, რომ ის იქმნებოდა სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ხალხების მიერ“ ([16]41). სხვანაირად ენის განვითარება წარმოუდგენელიცაა. ენა, როგორც ცნობილია, ვითარდება, მდიდრდება და იხვეწება სხვა, მეზობელი ხალხების ენებთან ურთიერთკონტაქტების დროს. ამიტომაცაა, რომ ნებისმიერი ხალხის ენაში გამოვაკრჩევთ ნასესხებ (ნათარგმნ, კალკირებულ) ლექსიკურ ფენას. ამ ნასესხებ სიტყვათა ფონდში უნდა შევიტანოთ ზოგიერთი ისეთი ტოპონიმი, რომლის წარმომავლობაც აშკარად არ ეგუება ჩვენი ენის მორფოლოგიურ და და ფონეტიკურ კანონზომიერებებს, ენაში მოქმედ საწარმოქმნო მოდელს და ა. შ.

გაურკვეველი წარმომავლობის ტოპონიმთა მეცნიერული თვალსაზრისით შესწავლა, ბუნებრივია, მკვლევრისაგან მოითხოვს არა მარტო საკვლევი ენის გეოგრაფიული ნომენკლატურის თუნდაც ზედმიწევნით ზუსტ ცოდნას, არამედ იმ ენათა ცოდნასაც, რომლებთანაც ჩვენს ხალხს ოდინდელი კულტურულ-ისტორიული თუ პოლი-

ტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონია. ასე, მაგალითად, დღევანდელი რუსეთის ევროპული ნაწილისა და ურალ-ციმბირის არეალის კვლევამ ტოპონიმისტები იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ აღნიშნულ ტერიტორიებზე ოდესღაც სხვადასხვა ტომის ხალხებს (უგრო-ფინელები, თურქ-მონგოლები, ალანები, მორდოველები, მარიელები...) უცხოვრიათ ([16]41-46). უფრო მეტიც: რუსეთის დედა-მდინარის — ვოლგის სახელწოდება, როგორც მკვლევართა უმრავლესობა ამტკიცებს, წარმოშობით უგრო-ფინურია ([80]105-107).

ცნობილია, რომ ქართველურ ენებს განვითარების ხანგრძლივი ისტორია აქვს. ამიტომაცაა, რომ ჩვენი ენის ლექსიკაში, განსაკუთრებით კი ტოპონიმიასა და ანთროპონიმიაში, ხელშესახებია ბერძნული, ებრაული, არაბული, თურქული, სპარსული, აგრეთვე მეზობელი ჩრდილოეთ-კავკასიის ტომების (ნახური, დაღესტნური, აფხაზურ-ადიღური...). ენათა კვალი. თავის მხრივ, ქართულ-ქართველური ენებიც სათანადო გავლენას ახდენდა მეზობლად მცხოვრები არაქართველი ტომების ენაზე ([12]578, 579, 622...) ([13]213, 218). ნახური და ოსური ენების ტოპონიმიაში ქართულ-ქართველური ენების აშკარა კვალზე მიუთითებენ ი. ი. დეშერიევი და ა. ძ. ცაგარეიშვილი ([14]51, 52); ([104]110-172).

კარგა ხანია ქართველ მკვლევართა ყურადღებას მიიპყრობს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის (ხევი, მთიულეთი, ფშავი, ხევსურეთი, თუშეთი, ერწო-თიანეთისა და კახეთის ჩრდილოეთი ზოლი, აგრეთვე ქსან-ლიახვის სათავეები) ისეთი ტოპონიმები, რომლებიც არაქართული წარმომავლობისანი ჩანან. საყურადღებოა, რომ ამ რაიონებში დადასტურებულ უცნობი სემანტიკის გეოგრაფიულ სახელებს მკვლევრები (ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილი, ვ. გამრეკელი, თ. უთურგაიძე, ალ. ჭინჭარაული, დ. იმნაიშვილი, თ. გონიაშვილი, ფ. მაკალათია, ჯ. გვასალია...) უპირატესად ნახური ენის კუთვნილებისად მიიჩნევენ.

ამა თუ იმ რეგიონში უცხოური წარმოშობის ტოპონიმების არსებობა, რა თქმა უნდა, **ყოველთვის არ ნიშნავს იმას, რომ ეს ტერიტორია ოდესღაც ამ ენაზე მოლაპარაკე ტომებს ჰქონდათ დაკავებული.** მხედველობაში უნდა მივიღოთ ის ფაქტიც, რომ ტოპონიმთა წარმოქმნა-დამკვიდრებაში დიდ როლს თამაშობს მეზობელი ხალხების **კულტურულ-ეკონომიკური და პოლიტიკურ-საზოგადოებრივი რეალიები.** სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არაგვის ხეობის ფშავის, აგრეთვე, ერწო-თიანეთისა და მთიულეთის ტერიტორიაზე დადასტურებული გაურკვეველი სემანტიკის ტოპონიმების (**აკამათი, ატნიგა,**

აფშო, აფხუშო, ბოწახი, ბუქალო, დამასტე, კარატე, ნეძიხი, ქალილო, ღონიშო, ხარტიშო ელამათა... ალოტი, არხალი, ახადი, ევუენტი, ერწო, კაწალო, ლარტუშო, ლახატო, ლიშო, უებოტა, ქაშო, ხაიშო... ათნოხი, კიტოხი, ჩოხი, დიხჩო, იუხო, სონჩო, ქოროღო, წკერე...) არსებობა არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ ფშავის, მთიულეთის და ერწო-თიანეთის ტერიტორიებზე ოდესღაც **აუცილებლად** ნახური ტომები სახლობდნენ. ამ შემთხვევაში ამოსავლად ქართველი მთიულებისა და ნახების მეზობლურ-კულტურული რეალიები უნდა ვიგულვოთ. ასე მაგალითად, ცნობილია, რომ შირაქი, კერძოდ, მისი საზამთრო იალაღები, წოვათუშების ოდინდელი სამომთაბარეო რაიონი იყო; აქ ზამთრებდნენ და ახლაც ზამთრებენ თავიანთ ცხვარძროხას ბაცბები. სწორედ ამ ეკონომიკური ურთიერთობის (მომთაბარე მეცხვარეობის) შედეგად ჩანს წარმოქმნილი ტოპონიმი **არხილო || არხილოსკალო** (სოფელი შირაქში, წითელწყაროს რაიონში), რომელიც, ჩვენი ვარაუდით, ნახური **-ლო** მაწარმოებლიანი გეოგრაფიული სახელია **(არხი-ლო)** და ქართულად **არხ-თანა-ს (||არხისწყალთანა)** უნდა ნიშნავდეს.

ჩვენ, ბუნებრივია, შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ დღესდღეობით ჩვენს ხელთ არსებული გაურკვეველი წარმომავლობის ტოპონიმები, ყველა უკლებლივ, არაქართულ ენობრივ ფაქტად ვცნოთ. საჭიროა ამ საკითხის ყოველმხრივი შესწავლა და, რაც მთავარია, ქართული გეოგრაფიული ნომენკლატურის (მათ შორის მიკროტოპონიმიისა და ჰიდრონიმიის) სრული შეკრება და დაწვრილებითი ანალიზი. გაურკვეველი სემანტიკის მქონე ტოპონიმების უცხო ენობრივი მასალის მიხედვით ახსნა მაშინღა უნდა ვცადოთ, როცა ქართულ-ქართველური ენები (დიალექტური მონაცემებითურთ) უძლურნი აღმოჩნდებიან ტოპონიმის სადაურობის გასარკვევად. ტოპონიმთა ეტიმოლოგიური კვლევისას, ჩვეულებრივ, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ენის ისტორიული ფონეტიკისა და მორფოლოგიის ცათანადოდ ცოდნას, ისტორიულ-შედარებითი მეთოდის მომარჯვებას და მასზე დაყრდნობას.

სემანტიკურად ბუნდოვანი სახელები უცხო წარმომავლობისად არ უნდა ჩაითვალოთ მანამ, სანამ მათ სწორ სეგმენტაციას და კომპონენტთა სრულ მორფოლოგიურ ანალიზს არ მოვახდენთ. რა თქმა უნდა, მეცნიერული კვლევისათვის სახიფათოა მეორე უკიდურესობაც: არ შეიძლება რომელიმე კუთხის ტოპონიმიაში, ვთქვათ, ფშავ-ხევსურეთში ან თუშეთში, გამოვყოთ სისტემატურად განმეორებადი **-ლო, -გო, -ჩო, -მათე, -ტე, -ტი, -ხი** და სხვ. მაწარმოებლები და

ისინი ქართული ენიდან მომდინარე უძველეს, სემანტიკურად დაბნელებულ ფორმანტებად მივიჩნიოთ. ტოპონიმია ჩვენი ლექსიკის უძველესი, ამასთან ერთად, მეტად აქტიური ფონდია: ამდენად მასში უცხოური ენობრივი ელემენტის არსებობა მოულოდნელი არ უნდა იყოს.

ერწო-თიანეთის ტოპონიმიაშიც, ჩვენი აზრით, პირველ რიგში ნახური (ბაცბური) ენობრივი დანალექი უნდა ვივარაუდოთ. ყოველ შემთხვევაში გაძნელდებოდა ქართული ენის ფაქტად გვეცნო ისეთი გეოგრაფიული სახელები, როგორიცაა: **ალოტი, არბუკი, არხალი, აძეძი, ახადი, ახუნი, ბოჭორმა, ბაჩალი, გოთაღრა** (შდრ. მთა გოთაღრულა), **გუზუმბათი, დამასტე, დოლოშა, ევჟენტი, ერწო, იდრაყო, იკვლივი, ილდაკანი, იხიხჭა, კადაჩალი, კარატე, კარსა, კაწალო, კორსავი, ლარტუშო, ლახატო, ლიშო, მაკასტახი, მასარა, უებოტა, ღორღაში, ყვარა, ჩაბანო, წერათო, ხაიშო, ხახმატი, ხოფცა, ჭიჩო** და სხვ.

აღსანიშნავია, რომ ამგვარი გაურკვეველი სემანტიკისა და წარმოშობის ტოპონიმების დიდი ნაწილი გვხვდება მდ. იორის ზემო აუზში, თიანეთიდან და ჟებოტა-ახალსოფლიდან მოკიდებული, ვიდრე უკიდურეს მთიან ზოლამდე (არტანის ხეობა). ეს რაიონი კი, როგორც ცნობილია, იყო ის სავაჭრო-საურთიერთო არტერია, რომლითაც ძველი ერწო-თიანეთის „ქვეყანა“ უკანა ფშავისა და ილტო-ალაზნის სათავეების გავლით ჩრდილოეთ კავკასიის არაქართველ ტომებს, პირველ რიგში კი ნახებს, უკავშირდებოდა ([65] 141-142).

გაურკვეველი წარმოშობის ტოპონიმების ერთი ნაწილი **-შო** მაწარმოებლიანია. ეს ფორმანტი ნახური წარმოშობისა ჩანს. მას ლოკატივის თანდებულის ფუნქცია აქვს (ისევე როგორც **-ლო** და **-გო** ფორმანტებს) ([79] 90-103), ([30] 195). აქა-იქ გვხვდება ასევე არაქართული წარმომავლობის ტოპონიმიკური **-ტა || -ტე, -ლო** და **-ხი** ფორმანტებით გაფორმებული სახელებიც.

-შო: ლარტუ-შო, ლი-შო, ხაი-შო... (შდრ. აგრეთვე არაგვის ხეობის ფშავის **-შო** ელემენტიანი სახელები: **აფშო, აფხუშო, ხარტიშო** (იქვ. ხარჭაშო), **ღონიშო, ჭანიშო...**);

-ტა: ბოო-ტა ([22] 206), **კინჭო-ტა, ჟებო-ტა;**

-ტე: დამას-ტე, კარა-ტე;

-ლო: კაწა-ლო, ბაჩა-ლო, ქალი-ლო.

აღსანიშნავია, რომ გაურკვეველი სემანტიკის ტოპონიმთა ერთი ნაწილი ო ხმოვნით მთავრდება: **ერწო, იდრაყო, ლახატო, ჩაბანო, წერათო, ჭიჩო, ჯიხო** და სხვ.

არაგვის ხეობის ფშავის (ნაწილობრივ კახეთის), აგრეთვე, თუ-

შეთისა და ხევსურეთის ტოპონიმიისაგან განსხვავებით, ერწო-თიანეთში იშვიათია „ხი“ ელემენტიანი გეოგრაფიული სახელები, რომლებიც, ჩვენი აზრით, ჩაჩნური ენის კუთვნილებად შეიძლება ვცნოთ (ხი „წყალი“).

გაურკვეველი წარმომავლობის ტოპონიმებად მივიჩნევთ აგრეთვე ისეთ ტოპონიმებს, რომელთა სემანტიკა კვლევის პირველ ეტაპზე არც ნახური ენობრივი მასალის მოშველიებით იხსნება და არც ქართული ენის მთის დიალექტების მონაცემებით. ასეთი ტოპონიმებია: **ალაჭანი, არბუკი, არხალი, ახადი, ახუნი, ბოკორმა, გუზუმბათი, თოლენჯი, იკვლივი, კადაჩალი, კორსავი, ყვარა, წერათო, ხოფცა, ჯიხო...** გამორიცხული არ არის, რომ აღნიშნული ტოპონიმების „გააზრიანება“ ქართული ენის დიალექტთა მოშველიებით გახდეს შესაძლებელი.

ტოპონიმთა საწარმოებელი ტერმინები ერწო-თიანეთის გეოგრაფიულ სახელებში

ერწო-თიანეთის მიკრო- და საკუთრივ ტოპონიმიაში, როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, ხშირია გეოგრაფიულ სახელთა მსაზღვრელ-საზღვრულიანი წყობა. საზღვრულებად, ჩვეულებრივ, გამოყენებულია საზოგადო არსებითი სახელები, რომელთაც თავიანთი პირვანდელი (ძირითადი) მნიშვნელობა ხშირად დაკარგული აქვთ და გეოგრაფიულ სახელთა საწარმოქმნო საშუალებათა რიგში არიან გადასულნი, უფრო მეტიც, ტოპონიმთა შინაარსი სწორედ მათშია მოცემული. სწორედ ისინი აძლევენ ამა თუ იმ სახელს ტოპონიმის თვისებებს; ამდენად მათ კვლევას დღეს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება.

ერწო-თიანეთის ტოპონიმიაში რთული სახელების საზღვრულებად სხვადასხვა საზოგადო არსებითი სახელი გვხვდება. ძირითადად ისინი ოროგრაფიული ტერმინები არიან, თუმცა საკმაოდ ხშირად ზედსართავი სახელები (დაბალი, მაღალი, გრძელი/ა, ხმელი/ა, თხილიანი, ჯაგიანი, პანტიანი...) და წინა ვითარების მიმღეობური ფორმები (ნასახლარი, ნაჯაგი, ნაკაფი, ნაყვერი, ნაჭერი, მონაკლავი, ნაბინავარი...) და სხვ. ფორმებიც დასტურდება. გეოგრაფიული საზღვრულების სიხშირე ერწო-თიანეთურ ტოპონიმიაში ასეთია:

სულ ტოპონიმთა რაოდენობა	გეოგრაფიული ნომენკლატურული ტერმინები															
	გორა/ა	წყარო	ახ	ხევი (ხე-ვი)	ველი	თავი	ტბორი (ტბიე)	ტბა	წყალი (წყალა)	მიწები მიწელე-ბი	უბანი	ღელე	ჯარი	ძირი	ჭალა	სხვადა-სხვა ტერ-მინები
2356	226	207	198	131	105	59	36	23	37	33	58	54	16	12	16	33	78

ს უ ლ ტ ო პ ო ნ ი მ თ ა რ ა ო დ ე ნ ო ბ ა - 1322

აქ მოტანილი სახელების გარდა საზღვრულებად გვხვდება: ადგილი, ბოლო, ბოგირი, გვერდი, გზა, გლუვი, დგნალი || მდგნალი, ვაკე. თარგი, კალო, კოდა, კუდი, კოტორები, კუჭი, კუჭულა, მთა, მზორე, ნაწილი, ნაგლეჯი, პირი, საყდარი/ა, სახლი, ტბა, ფერდა, ქედი, ქვა, ყურე, ჩალა, ჩირდილი, წისქვილი, წვერი და სხვ. მცენარეთა სახელწოდებებიდან საზღვრულად აქ ხშირად გვხვდება: კაკალი, კირცხილა, თხილი, სხალი, პანტა, ვაშლი, წიფელი, ანწლი, ასკილი (ესკალა), წნოლი (წნორი), შვინდი, მუხა, თელა და სხვ.

აღსანიშნავია, რომ აქაურ ტოპონიმიაში საზღვრულად თითქმის არა გვაქვს ტერმინი „მხარი"; იშვიათია აგრეთვე ქართლისათვის ესოდენ ნიშანდობლივი საზღვრული „სოფელი" და „კარი". ასე, მაგალითად, აქაური 81 სოფლის სახელწოდებიდან „სოფელ"- საზღვრულიანია 3 ტოპონიმი (ახალსოფელი, ტოლაანთსოფელი და ხევსურთსოფელი), საზღვრული „კარი" კი მხოლოდ ორგან გვხვდება (წიკვლიაანთკარი და ცალუღელაანთკარი). ამასთანავე ისიც საყურადღებოა, რომ ადგილობრივი მცხოვრებნი აღნიშნული სოფლების სახელებს, ჩვეულებრივ, -ებ-იანი მრავლობითის ფორმით წარმოთქვამენ: **წიკვლიაანები, ცალუღელაანები.**

სოფლის სახელწოდებების გაფორმებისას ასევე იშვიათია აქ საზღვრული „უბანი" (1 შემთხვევაა: **წყაროთუბანი**).

შედარებით ხშირია საზღვრული **„კარი"** რაიონის მიკროტოპონიმიაში. აქ იგი გვხვდება ვრცელი სახნავ-სათესი ნაკვეთების, მნიშვნელოვანი სავარგულების სახელწოდებებად: **გუგლიაანთკარი** სახნ. (ხოფცა), **მაჩურიანთკარი** სახნ., საძოვ. (ნად.), **თანგაანთკარი** სასაფლაო (თიან.), **თორელაანთკარი** სახნ., საძოვ. (ტუშ.), **ქურთისკარი** ნასოფლარი ადგილი მდ. ივრისა და მდ. ბაჩლურას შესაყართან, **ჩანთიანთკარი** მინდ., საძოვ. (თიან.), **ძნელაანთკარი** მინდ. (ზარიძ.), **ხარხელაურთკარი** სახნ., მინდ. (ნადოკრა), **ხევსურთკარი** მინდ., სახნ., ტყე (თიან.)...

როგორც ვხედავთ, საზღვრულ ფუძეს (კარი) აქ არა აქვს ის ძირითადი მნიშვნელობა, რაც მას ქართლის ტოპონიმიაში ეკისრება: კარი — „სოფელი“ (შდრ. ვარსიმაანთკარი, პირმისაანთკარი, ფრიდონაანთკარი, მთვარელიანთკარი, კობიაანთკარი, შალაკიანთკარი, მილახვრიანთკარი... (სოფლებია დუშეთის რ-ში). ერწო-თიანეთში საზღვრული **კარი**, მართალია, დასახლებული პუნქტების სახელწოდებებში თითქმის აღარ გვხვდება, მაგრამ აღსანიშნავია, რომ კარ-ით ნაწარმოები მიკროტოპონიმების უდიდესი ნაწილი ეთნონიმური წარმომავლობისაა. მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ დღევანდელი მიკროტოპონიმები: **გუგლიანთკარი, მაჩურიანთკარი, თანგაანთკარი** და სხვ. ადრე საკუთრივ ტოპონიმებად გვხვდებოდა და ისინი გუგლიაშვილების, მაჩურიშვილების, თანგამვლების და სხვათა კუთვნილ ტერიტორიას, საცხოვრებელ ადგილს აღნიშნავდა. როგორც ჩანს, შემდგომ ხანებში კარი-ს ფუნქციური აღნ-შვნა მთლიანად ეთნიკურ მრავლობითობის -ებ სუფიქსს დაეკისრა (შდრ. ვახუშტისდროინდელი: ვეჟანაანთ-კარი, თორიულთ-კარი, გონჯილანთ-კარი, ჯანგირანთ-კარი, თანგირანთ-კარი, ბაღიანთ-კარი ([22] 206) და დღევანდელი: თორიაულები, გონჯილაანები, ჯანგირაანები, ბაღიაანები).

ანთროპონიმული წარმოშობის ტოპონიმები

ერწო-თიანეთის ფშავ-ხევსურებით დასახლება, როგორც აკად. ნ. ბერძენიშვილი შენიშნავდა, გვიანდელი ხანის (XVII-XVIII სს.) ისტორიული პროცესი იყო. ახალი საცხოვრებელი ადგილების გაჩენა, მთური მეურნეობის შეზღუდული ხასიათი, მიწის სავარგულებით (ახოები, სათიბები, სახნავები) კერძო სარგებლობის წესი უამრავ ახალ მიკროტოპონიმს წარმოქმნიდა. შეიძლება ითქვას, რომ მიკროტოპონიმების წარმოქმნა ერწო-თიანეთში დღესაც ინტენსიურად მიმდინარეობს. არც თუ იშვიათად ინფორმატორები იცნობდნენ (იცნობენ) პირს, ვის სახელთანაცაა დაკავშირებული ამა თუ იმ მიკროტოპონიმის შექმნა. განსაკუთრებით ბევრია ანთროპონიმული წარმოშობის ტოპონიმები ერწოსა და დაბა თიანეთის ახლომდებარე სოფლებში, იქ, სადაც ყველაზე უფრო მეტი პირობები არსებობდა კერძო მეურნეობის განვითარებისათვის (სახნავ-სათესი ფართობების შედარებითი სიუხვე, კერძო სათიბებისა თუ საძოვრების არსებობა). რაც შეეხება თიანეთის რაიონის ჩრდილოეთის ზოლს (მდ. ივრის სათა-

ვეები), აქ უპირატესად მსხვილი გეოგრაფიული ობიექტები გვაქვს (საზაფხულო საძოვრები, ხეობები, გადასასვლელები), რაც, ბუნებრივია, ზღუდავს პატრონიმული ხასიათის მიკროტოპონიმთა წარმოქმნას. ამასთან, აქაური მიკრო- და საკუთრივ ტოპონიმები უფრო არქაული წარმოშობისა ჩანს და არცთუ იშვიათად ისინი არაქართულ ენობრივ სამყაროს განეკუთვნებიან.

ანთროპონიმული წარმოშობის ტოპონიმები საკმაოდ ხშირად გვხვდება ერწო-თიანეთის როგორც მიკრო-, ასევე საკუთრივ ტოპონიმიაში. შეიძლება ითქვას, რომ საკვლევ რაიონს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის რაიონებს შორის ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს ადამიანთა საკუთარი და შერქმეული სახელების მიხედვით წარმოებული საკუთრივ ტოპონიმების რაოდენობით[3]. ასე, მაგალითად, დღევანდელ ერწო-თიანეთში 82 დასახლებული პუნქტია, რომელთაგან ადამიანთა საკუთარი ან შერქმეული სახელის მიხედვით გაფორმებულია 39 პუნქტის სახელწოდება (მხედველობაშია მისაღები ის ფაქტიც, რომ ოთხი ანთროპონიმული წარმოშობის ტოპონიმი: **ჭიოტაანთკარი, კუპრიაანთკარი, ნაკვეთაურები** და **იორამაანი** სიონის წყალსაცავმა დაფარა).

ანთროპონიმული წარმოშობის სახელებია:

ა) თიანეთის სადაბო საბჭოში — ბაღიაანები, თეგერაანები მამადაანები, ჩეკურაანთგორი, ძებნიაურები, ჭურჭელაურები; ბ) სიონმშენის სადაბო საბჭოში — ომარაანები, ბადაანები; გ) ახალსოფლის სასოფლო საბჭოში — გოჯიაანები, ტიღინაანები; დ) არტნის სასოფ-

[3] თუ ამ თვალსაზრისით თიანეთის რაიონს არაგვის ხეობის ფშავს, ხევსურეთს და ყაზბეგის რაიონს შევუდარებთ, აღმოჩნდება, რომ იქ გაცილებით იშვიათია ანთროპონიმული წარმოშობის ოიკონიმები. ასე, მაგალითად, არაგვის ხეობის ფშავში (მაღაროსკარის, ჯინვალისა და უკანაფშავის სას. საბჭოები) 54 სოფლის სახელწოდებიდან ანთროპონიმული წარმოშობისაა 7; ხევსურეთში (ბარისახოსა და შატილის სას. საბჭო) 36 სოფლიდან ანთროპონიმულია მხოლოდ 4 ტოპონიმი (ბუჩუკურთა, კარწაულთა (?), ძეძეურთა (?) და გიორგიწმინდა); ხევში 50 სოფელია. ამათგან ანთროპონიმული ჩანს ორი თუ სამი სახელი (ყაზბეგი, გაიბოტენი (?)). შედარებით ხშირია ანთროპონიმული ტოპონიმები მთიულეთში (გუდამაყრის, მლეთისა და ფასანაურის სას. საბჭოები), სადაც 76 სოფლის სახელწოდებიდან 29 ადამიანთა გვარ-სახელისგანაა გაფორმებული. ეს ფაქტი, ალბათ, იმით უნდა იხსნებოდეს, რომ ერწო-თიანეთსა და მთიულეთში, აგრეთვე ცენტრალური ქართლისა (დუშეთის, ჯავის, ცხინვალის, ზნაურის, ლენთგორის) და დასავლეთ საქართველოს რაიონებში (სამეგრელო, გურია-აჭარა) ბევრი ახალსახლობა უკანასკნელი ორი საუკუნის განმავლობაშია მომხდარი, ფშავხევსურეთში, თუშეთსა და ხევში კი ტოპონიმია შედარებით ძველი და ამდენად, მყარია.

ლო საბჭოში — დულუზაურები (იგივე ჯაბანიანები), თეთრაულები; ე) ზარიძეების სასოფლო საბჭოში — ზარიძეები, ცალუღელაანები, იარაჯულები, ღვინიაანები, ჯანგირაანები, მგელიაანები, უშიკიანები (ოფიც. ს. ხოფცა), ტუშურები, კახოიანები, წიკვლიაანთკარი, ჯერვალიძეები, ფადიურები; ვ) სიმონიანთხევის სასოფლო საბჭოში — სიმონიანთხევი, ჩიტაურები, ცალუღელაანთსოფელი || მეკალათიანთსოფელი (ოფიც. კვერნაულა); ზ) ხევსურთსოფლის სასოფლო საბჭოში — დევენაანთხევი, დორეულები, ზურაბები, ბეწენწურები, ციათსოფელი || დამწვართსოფელი (ოფიც. ბალებისხევი), ტოლათსოფელი, თოხოლჩაანები, ბეწუკლები.

განსაკუთრებით მრავალრიცხოვანია ანთროპონიმული წარმოშობის მიკროტოპონიმები. ეს ბუნებრივიცაა, რადგან პატარა-პატარა ობიექტების სახელწოდებანი ძირითადად პირველი მფლობელების საკუთარი სახელებისაგან მომდინარეობენ. ტოპონიმები სრულიად ასახავენ არა მარტო ობიექტის ფიზიკურ-გეოგრაფიულ თვისებებს, არამედ წარმომავლობას, კუთვნილებას, კუთხის ძველ სამეურნეო ყოფას, სოციალურ მხარეებს, მნიშვნელოვან ისტორიულ ამბებს და ა. შ. მიკროტოპონიმია საუცხოო წყაროა ამა თუ იმ კუთხის ონომასტიკის, აგრეთვე, ეთნოგრაფიული და საკულტო-სარწმუნოებრივი რეალიების გასათვალისწინებლად.

მიკროტოპონიმია ჩვენს თვალწინ აღადგენს წინაპრების საკუთარ და შერქმეულ სახელებს: ადუა, ადომელი, ალეკა, არდაზიანები, არჩემა, ასა, ასხაკარა, აჯამოღლი, ბეწენწური, ბუჭუკურა, ბუჯია, ბაია, ბალამა, ბატატი, ბაჩაყა, ბებერი, ბლაგვია, ბიჩინგა, ბუბა, ბუჩარა, ბოღრა, გოგლია, გოჯია, დამწვარი, დიღმელა, დრუზე, დოია, დულუზა, თეგერა, თურქია, თოხოლჩა, იარაჯული, იდუკა, კარგო, კაჭუა, კენკია, კეჟერა, კოტა, კუპრია, კუჟანა, კობლე, კვინწანა, კრუმა, კულია, კუტარელა, ლეგუშა, მანითანა, მაკერა, მგელია, მეკალათე, მექვაბე, მეჭიანურე, მიცქია, ნამცეცა, ნემენცი, ოგრუტი, ოდოლა, პატურა, საკუა, საკმელა, სარქია, ტატეკა, ტვირთა, ტიღინა, ტუგული, ტუხია, ტორიკელა, ტუსი || ტუში, უთურგა, უსიპი, ფარადა, ფაშა, ფიჩხა, ფუნჩია, ქოთა, ქოჭია, ღეჩუა, ღვინია, ყაყიდე, ყაყლიყო, ყარყა, ყვიტა, ყიზილა, ყიყლიყო, ყოყმანი, შაღმა, შაშუკა, ჩიხა, ჩეკურა, ჩუყლუყი, ჩხლანკე, ძაღლია, ძებნია, ცალუღელა, წიკვლია, ჭამია, ჭია, ჭიოტა, ჭიქური, ჭოჭინა, ჭრელო, ჭრელუა, ჭურჭელა, ხახელა, ხეხერა, ხიმშირი, ხიხი, ხოზუა, ხუხა, ჯანგირა, ჯიხვინა, ჯუჯული, ჯღარდლა, ჯღუთა და სხვ. მრ.

საკულტო-რელიგიური სახელები ერწო-თიანეთის ტოპონიმიაში

რელიგიურ-საკულტო სახელებთან დაკავშირებული ტოპონიმები ერწო-თიანეთის მიკროტოპონიმიაში საკმაოდ ხშირად გვხვდება. სამაგიეროდ ამგვარი რელიგიურ-სარწმუნოებრივი ტერმინებისაგან (ხატი, ჯვარი, ანგელოზი, ეკლესია, საყდარი...) ნაწარმოები საკუთრივ ტოპონიმები ერწო-თიანეთში თითქმის არა გვაქვს.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საკვლევი რაიონის ტერიტორიაზე ტრადიციული ქრისტიანული სალოცავების (წმ. გიორგი, კვირაცხოველი, აღდგომა, ლომისა, ამაღლება, ღვთისშობლობა...) გვერდით გვხვდება ისეთი საკულტო სახელებიც, რომლებიც ქრისტიანულმა რელიგიამ არ იცის: **იახსარი, იხინჯა, კვირია, კოპალე, ლაშარი, პირქუში, ხმალა**.. ეს გარემოება ისტორიკოსთა ერთი ნაწილის მიერ ერწო-თიანეთში ქრისტიანობამდელი ცივილიზაციის მაჩვენებელ ფაქტადაა მიჩნეული ([107] 56-58).

ერწო-თიანეთის საკულტო-რელიგიური დღეობებისა და ხატ-სალოცავების ადგილმდებარეობის, აგრეთვე, საკულტო მსახურების თავისებურებების შესახებ საკმაოდ ვრცელი და სანდო მასალა მოგვეპოვება [4], ოღონდ ეს ცნობები მაინც უპირატესად ერთი თემის — არტნის ხეობაში შემავალი სოფელ-ნასოფლარების თეონიმიას ასაჯავს. ამდენად საჭიროდ ვცანით წარმოგვედგინა ჩვენ მიერ მოპოვებული დამატებითი მასალაც:

ადგილის დედა საკულტო-რელიგიური და რიტუალური ადგილები (სს. ბოკონი, ზ. არტ., ბალ. ხ, ევჟ., საყარ., საყდრ., სახევი...): **ალისის წმინდა გიორგი** სალოცავი ხატი (თ. ხევა); **ამაღლება** ხატი ე. წ. „ფურების ხატთან“ ახლოს (ქებ.); **გაბიდაურების ხატ-ი** სალოცავი ადგილი (ქუშხ.); **გიორგიწმინდა** ხატი (დორ.); **დედახვთისა** ხატი იხინჯის გორაზე (ქებ.); **დევის სკამ-ი** ადგილი, სადაც ღამისმთეველი მლოცავები ღამეს ათევენ (ზ. არტ.); **დიდბატონ-ი** ხატი, ტყე (დევენ., საყდრ.): **ვაჩნაძეების ხატ-ი** ხატი (ტუშ.); **თათრების სალოცავ-ი** სამრეკლო ნაგებობის ნაშთი, საკულტო-რელიგიური ადგილი ე. წ. ამაღლების ტყეში (ქებ.); **თამარის ხატ-ი** დიდი და ცნობილი ხატი, სალოცავი ადგილი ნასოფლ. ხატხევში. ამავე სახელწოდების ხატი დადასტურდა ს. ქებოტაშიც; **თამარმეფის კალო** პატარა ველი, საკულტო ადგილი იხინჯის გორაზე (ქებ.); **თეთრი გიორგ-ი** სალოცავი (ტუშ.); **იახსარ-ი** ხატი, სალოცავი (თიან., ტ. სოფ.); **იფნიანჯვარ-ი** ნიში, ხატი (ზ. არტ.); **იხინჯა** ხატი ს. გოჯიაანების თავზე; (ამჟამად — „ვაჟაობა“).

ოხინჯის კოპალე ხატი, სალოცავი (ყებ.); **კვირია** სალოცავი ადგილის აღმნიშვნელ სახელად ხშირად გვხვდება ერწო-თიანეთის სოფლებში (ღულელ., თ. ხევა, სიმ. ხევი, ყებ., ლიშო, ზ. ნაქალ.); **კოპალე** ხატი (ძებნ., ყებ., ტუშ.): **კოტიას წმინდაგიორგი** ხატი, სალოცავი (წიკელ.); **ლაშარის ჯვარი** სალოცავი ადგილი ნასოფლ. ხატხევში და ს. ტუშურებში; **ლომისა** სალოცავი ნიში, ხატი, (ტუშ., ლიშო, ვეძ. ხ., სიმ. ხევი, საყდრ.), **მარიამწმინდა** ხატი (თიან., გორანა, ს. შმენი, საყდრ.): **მთაწმინდა** სალოცავი ხატი, მთა (ქუშხ., ზ. არტ.); **მთავარანგელოზი** საყდარი ს. გორანაში; იხდიან ამაღლების დღესასწაულს: **ნაყორა** ხატი. ძველი საკულტო ნაგებობის ნაშალი ადგილები (ომარ.): **პირქუში** ხატი, საკულტო ადგილი ე. წ. დევთნასახლარებში (ქუშხ.): **საღირას საყდარა** ხატი (საყდრ.); **საყდარა** მცირე საკულტო ნაგებობა, ადგილი, ხატი ს. გორანაში; **საყდარაის ხატი** სალოცავი ნიში, ადგილი (კვერნ.); **საყდარანი** სალოცავი ადგილი (ყებ.): **ფაშათციხე** სალოც. (თიან.): **ფურების ხატი** სალოცავი ადგილი, ხატი ს. ყებოტაში. გადმოცემით აქ ხევისბერებად „ნაწმინდური“ ქალები იყვნენ, შამაკაცებსა და დედათწესის მქონე ქალებს ხატი „არ იკრებდა“. **ფუცანგელოზი** სალოცავი ხატი, ადგილი (ტუშ.); **ღვთიშობლის ტყე** სალოცავი ადგილი (ტუშ.); **ჩიტაურთ ხატი** ხატი, საკულტო ნაგებობა (ზარიძ.); **ცალულელაანთ კვირია** ხატი, სალოცავი (ხოფცა); **წმინდა გიორგი** სალოცავი ადგილი, ნიში (ტუშ., საყდრ.): **ცხრაკარა** სალოცავი ადგილი, საკულტო ნაგებობის ნაშთი, ძველი ნასახლევი (თიან., ბად.); **წმინდა ნიკოლავაზი** ხატი, სალოცავი ადგილი (დორ.); **წერაქო** სალოცავი ადგილი (სახევი): **ჭიათკვირია** საკულტო-რელიგიური ადგილი, სალოცავი (თიან); **ჭიჭველხატი** სალოცავი ადგილი, ხატობა (ზ. არტ.); **ხახმატი** სალოცავი ადგილი, ხატი (ლიშო): **ხვთიშობელი || ხთიშობელი** საკულტო-რელიგიური ნაგებობის ნაშთი, ხატი (ბოჭ., დევენ., გორ.); **ხმალა** ხატი, სალოცავი (ზ. შარახ.); **ჯაჯველი** სალოცავი ადგილი, ხატი ს. სიმონიანთხევში. „ჯაჭველობა იმართება მაისში, ამაღლების სწორზე, ხუთშაფათ დღეს, აღდგომის მეორმოცე დღეს“ (არჩ. მოხევიშვილი); **ჭიჭიკურის ხატი** ხატი, სალოცავი ადგილი (ზ. არტ.); **ჯუჯულის ხატი** სალოცავი (ყებ.) და სხვ. მრ.

თავი III

ერწო-თიანეთის ჰიდრონიმია

მდინარე-ხევების, აგრეთვე ტბების, წყალსაცავების, პატარა ნაკადულების და ა. შ. სახელები, ანუ როგორც მათ უწოდებენ, ჰიდრონიმები, გეოგრაფიულ სახელთა განსაკუთრებულ ჯგუფს ქმნიან. ეს განსაკუთრებულობა, პირველ რიგში, იმით გამოიხატება, რომ ჰიდრონიმები, უპირატესად კი დიდი მდინარეების სახელები, ტოპონიმიის უძველეს ფენას განეკუთვნება.

ცნობილია, რომ მდინარეები ადამიანთა საზოგადოებრივი განვითარების ისტორიაში ადრეული ხანებიდანვე დიდ როლს თამაშობდნენ, რადგან მდინარე იყო არა მარტო საკომუნიკაციო-საურთიერთო საშუალება, არამედ საკვების მოპოვების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროც. ამიტომ ვარაუდი — დიდი მდინარეების სახელწოდებების უძველეს ენობრივ ფაქტად მიჩნევის შესახებ (ა. დოზა, ვ. გეორგიევი, ჟ. ვანდრიესი, ნ. ნადეჟდინი, ფ. ბეზლაი, ა. დულზონი...) უეჭველ დებულებად უნდა ჩაითვალოს ([60] 43).

ჰიდრონიმია, როგორც გეოგრაფიული ნომენკლატურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უბანი, დიდი ხანია სპეციალისტ-მკვლევართა ყურადღებას მიიქცევს. ჰიდრონიმთა მორფოლოგიური ანალიზი მკვლევრებს ბევრ საინტერესო მასალას აწვდის, რაკი ჰიდრონიმებში, როგორც უძველეს ენობრივ ერთეულებში, ასახულია ძველი ხალხების კულტურულ-ისტორიული და საზოგადოებრივი რეალიები.

ჰიდრონიმების მიხედვით მკვლევრები ხშირად შეუცდომლად ადგენენ ძველი ეთნიკური ჯგუფების დასახლებისა თუ განსახლების ადგილებს ([78] 4-5). განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ფასეულია მეცნიერებისათვის ჰიდროფორმანტების კვლევა, რადგან „ყოველი ფორმანტი ასახავს ქრონოლოგიურ პერიოდებს და, რაც მთავარია, გვიქმნის მთლიან წარმოდგენას ამა თუ იმ ტერიტორიაზე მოსახლე ერების ოდინდელი ადგილგადანაცვლებების (მიგრაცია, კოლონიზაცია) შესახებ“ ([38] 127).

მდინარეთა სახელწოდებანი, ტოპონიმებისაგან განსხვავებით,

დიდი მდგრადობით, სტაბილურობით გამოირჩევიან. ამის ვიზეზი პირველ რიგში ისაა, რომ საკუთრივ ტოპონიმები, ე. ი. დასახლებული პუნქტების (ქალაქები, სოფლები...) სახელწოდებანი, ქვეყნის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ცხოვრების „უშუალო მონაწილენი“ არიან; სხვანაირად რომ ვთქვათ, ქალაქებისა თუ სოფლების სახელები ხშირად იცვლებიან (გადაკეთდებიან) იმის მიხედვით, თუ რა ახალი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ძვრები ხდება ქვეყნის შიგნით. მდინარეების სახელწოდებები კი როგორღაც „ახერხებენ“ ნეიტრალურ მდგომარეობაში დარჩენას; ისინი უმეტესწილად თაობიდან თაობას უცვლელი სახით გადაეცემიან. მართალია, ზოგჯერ მდინარეებიც იცვლიან სახელს: ვოლგამ, მაგალითად, 3-ჯერ შეიცვალა სახელწოდება (რა, იტილი, ვოლგა) ([61] 87); ([60] 43-44, 49). მაგრამ ასეთი შემთხვევები საერთოდ იშვიათია. საამისოდ თუნდაც ქართული ტოპონიმური სახელების მოშველიება იკმარებდა: მარტო უკანასკნელ ორმოცდაათ წელიწადში საქართველოში უამრავი ახალი საკუთრივ ტოპონიმი შეიქმნა (გადაკეთდა, გადაერქვა), მდინარეთა სახელები კი კვლავ უცვლელად განაგრძობენ არსებობას.

ჰიდრონიმების ცალკე უბნად კვლევას ძირითადად მხოლოდ ჩვენი საუკუნის დასაწყისში მიექცა ყურადღება და მნიშვნელოვანი გამოკვლევებიც დაიწერა (ა. სობოლევსკი, ა. შახმატოვი, პ. ჭაშტაკოვი, ბ. სერებრენიკოვი, ა. პოპოვი, ვ. ტოპოროვი, ო. ტრუბაჩევი, ვ. ნიკონოვი, ა. დულზონი...), მაგრამ ჰიდრონიმთა სპეციალურ კვლევას საქართველოში დღემდე სათანადო ყურადღება არ ექცევა. არსებითად, ქართული ჰიდრონიმია შესწავლილი არც არის ([90] 28). მართალია, მოგვეპოვება რამდენიმე სპეციალური წერილი ქართულ მდინარეების სახელწოდებათა წარმოშობის შესახებ, ასევე ივ. ჯავახიშვილის, ს. ჯანაშიას, ი. ყიფშიძის, ა. შანიძის, ნ. ბერძენიშვილის, ს. ყაუხჩიშვილის, არნ. ჩიქობავას და სხვათა გამოკვლევებსა თუ ცალკეულ წერილებში მოცემულია ქართულ-ქართველური ჰიდრონიმების (არაგვი, გუბაზოული, ლიახვი, ოჩხამური, სუფსა, ფასიდი, რიონი, ღალიძგა, ჩხოროწყუ, ჭითაწყარი, ხერთვისი, ტობადა, მეჯუდისხევი, წყალტუბო, ყვირილა, ჭოროხი და სხვ.) წარმომავლობის არაერთი საყურადღებო დებულება თუ ვარაუდი, მაგრამ ცალკეულ სახელთა წარმოშობის თუნდაც ზედმიწევნით ზუსტი გარკვევა არ ნიშნავს ჰიდრონიმიის ზოგადი საკითხების მეცნიერულ დამუშავებას. როგორც შენიშნავენ, „ქართული ჰიდრონიმია არა თუ შესწავლილი, მთლიანად გამოვლენილიც არ არის: იგი ჯერ კიდევ არ გაშორებია მასალების პირველადი დაგროვების პერიოდს“ ([90] 28). ანალოგიურ

აზრს ავითარებენ რუსი მკვლევრები ვ. ნ. ტოპოროვი და ო. ნ. ტრუბაჩევი, რომლებიც გულისტკივილით აღნიშნავენ: «К сожалению, мы еще и сейчас не вышли из стадии собирания материала и этимологического толкования отдельных наиболее очевидных случаев» ([73] 4).

ქართულ-ქართველური ჰიდრონიმიის ზოგადი საკითხები (წარმოების ტიპები და საშუალებანი) შედარებით სრულადაა წარმოდგენილი პროფ. ალ. ღლონტის წიგნში „ტოპონიმიკური ძიებანი", I (თბ., 1971, გვ. 27-38); წიგნს ერთვის ტოპონიმთა ლექსიკონი, რომელშიც ისტორიული კოლხეთის (გურია-სამეგრელოს) არაერთი ჰიდრონიმია (ღელეები, წყაროები, ნაკადულები) წარმოდგენილი.

წინამდებარე ნაშრომში მოცემულია ერწო-თიანეთის ჰიდრონიმიის რამდენიმე სრული აღწერა. შესაძლებლობის ფარგლებში აღვნუსხეთ უმცირესი ჰიდროობიექტებიც კი, რომლებიც, ჩვეულებრივ, მიკროსახელებად გვევლინებიან და რომელთაც, ადგილობრივი მოსახლეობის გარდა, სხვა არავინ იცნობს. სულ ჩავიწერეთ 300-მდე ჰიდრონიმი, რომელთა უდიდესი ნაწილი გამავალია (მდინარე-ხევები, წყაროები, ნაკადულები...). უმნიშვნელო ნაწილს შეადგენს ხელოვნური წყალსაცავებისა და პატარა გუბე-ტბების სახელწოდებანი.

ჰიდრონიმთა წარმოების ძირითადი საშუალებანი

წარმოქმნის თვალსაზრისით ჰიდრონიმები ტოპონიმებისაგან, ჩვეულებრივ, არ განსხვავდებიან; გვაქვს **მარტივი, წარმოქმნილი** და **სიტყვათშეერთების** გზით მიღებული ჰიდრონიმები. ამათგან უფრო პროდუქტიულია სიტყვათშეერთება და წარმოქმნა.

როგორც მოსალოდნელი იყო, საკვლევი რაიონის ტერიტორიაზე ძალზე ცოტაა ოდენფუძიანი ჰიდრონიმები[1]. ისინი ძირითადად წყლის აღმნიშვნელი საზოგადო ტერმინებია (გუბე, რუ, ღელე, ხევ/ა), მდინარეების სახელწოდებები კი ან წარმოქმნილია (უპირატესად -ურ-ა !! -ულ-ა ჰიდრონიმული სუფიქსით), ან სიტყვათშეერთებითაა გაფორმებული.

[1] ოდენფუძიან ჰიდრონიმებად ვერ მივიჩნევთ ისეთ გაურკვეველი წარმოშობის სახელებს, როგორიცაა: ორი, ქუსნო, ქაშო, ლარტუშო, საგამი, ხოფცა... რადგან უეჭველი სეგმენტაციის გარეშე ძნელია მათი მარტივ სახელებად ჩათვლა.

ა) მარტივფუძიანი ჰიდრონიმები

გუბა პატარა გუბე, საქონლის საყარი ადგილი (საჭურე): **გუბეებ-ი** მინდორი, წყლიანი ადგილი (ჩაბ.): ეგევე სახელწოდება ადგილის აღმნიშვნელად (ტყე. საძოვ.) გვხვდება სოფ. ვეძათხევაში, ს. ბადაანებში, დ. თიანეთში[2].

კოდა წყარო (ბად., ღულელ., კვერნ., დევენ.): **მლაშეებ-ი** მლაშე წყარო, მინერალური წყალი (სიმ. ხევი, თოლენჯ-ი, ნადოკრავ); **შუნჯა** წყარო; მინერალური წყალი, ვეძაწყარო (საჯინიბო): **რუვ-ი** მდინარის ტოტი, წისქვილის არხი (ახ. სოფ.): **ტბებ-ი** ტყიანი ადგილი (ღულელ.): **ფშანტალა, ფშანტლებ-ი** წყარო, ჭაობიანი ადგილები (კვერნ., დულუზ., ზ. არტ.): **წყაროებ-ი** სახნ., ტყე, სათიბი (ხოფცა, წიკვლ., ვერხვ.) და სხვ. მრ.

ბ) წარმოქმნილი ჰიდრონიმები

როგორც ზემოთ ვთქვით, ძირითადი საწარმოქმნო საშუალება ერწო-თიანეთის ჰიდრონიმიაში არის -ურ-ა || -ულ-ა სუფიქსი. იგი გამოყენებულია უპირატესად პატარა მდინარე-ხევების სახელწოდებათა გასაფორმებლად. ამოსავალი ყოველთვის რეალურად არსებული გეოგრაფიული ობიექტია: ს. თრანი—მდ. თრანულა, ს. ბაჩალი—მდ. ბაჩლურა, ს. ლიმო — მდ. ლიმოურა და სხვ.

აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებიდან ჰიდროფორმანტ -ურ-ა || -ულ-ა ყველაზე უფრო ხშირად ფშავში გვხვდება. -ურ-ა || ულ-ა ჰიდრონიმული სუფიქსი ფშავის (არაგვისა და ივრის ხეობების ფშავი) ტერიტორიაზე ისე სისტემატურად გვხვდება, რომ შეიძლებოდა იგი ფშაური დიალექტის კუთვნილებადაც კი ჩაგვეთვალა, თუმცა -ურ-ა || -ულ-ა სუფიქსი დასავლეთ საქართველოს ჰიდრონიმიაშიც ხშირია: ჩიხ-ურ-ა, ქვედრ-ულ-ა, მულახ-ურ-ა, ძირ-ულ-ა; სუსკ-ურ-ა, ხრიალეთ-ურ-ა, ლაშ-ურ-ა; ჭალა-ურ-ა, ჭიქა-ურ-ა ([73] 74-154) და სხვ. მრ.

-ურ-ა || -ულ-ა სუფიქსის ბოლოკიდურ -ა ელემენტს აშკარად კუთვნილებისა და კნინობითობის ფუნქცია აქვს, თუმცა ზოგჯერ მას „გამაარსებითებელ ელემენტად" მიიჩნევენ ([45] 41).

---

[2] საჭიროდ უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ხშირად ნომენკლატურული ტერმინი „წყარო", „ხევი", „გუბე", „ტბა" დაშორებულია თავის პირვანდელ მნიშვნელობას და მას ჰიდრონიმის გაგება აღარ ახლავს (შდრ. „თეთრწყლებში ეცხოვრობ", „გუთანი წყაროებში მიბია", „გუბეები გავთიბეთ" და სხვ., სადაც გუბეები, წყაროები და ა. შ. აღნიშნავს მინდორს, სათიბს, ადგილს და არა ჰიდროობიექტს).

ჩვენ მიერ ერწო-თიანეთში შემდეგი -ურ-ა || -ულ-ა სუფიქსიანი ჰიდრონიმები იქნა დადასტურებული:

აონურა მდ. პატარა ხევი, ივრის შენაკადი (ზ .არტ.), **არტნულა** ხევი, მდ. ივრის შენაკადი (ზ. არტ.), **არხულა** ხევი (დუღუზ.), **ბაჩ-ლურა** ხევი, მდ. ივრის მარჯვენა შენაკადი, მიერთვის იორს ნასოფ-ლარ ქურთისკართან, **ბოდახეურა** ხევი, მდ. ივრის მერჯვენა შენაკადი (ბოდახ.), **ბუჰყინტურა** ხევი, მდ. შარახეულას მარცხენა შენაკადი (ბუჰყინტა), **დამასტურა** ხევი, მდ. საგამის მარჯვ. შენაკადი, **თრანუ-ლა** ხევი (თრანი), **კორხულა** ხევი (ზ. არტ.), **ლარტუშოულა** ხევი, მდ. სახეურას მარცხ. შენაკადი, **ლახატოურა** მდ. შარახეულას მარცხ. შენაკადი, **ლიშოურა** ხევი, მდ. ივრის მარჯვ. შენაკადი (ლიშო), **სა-ჰურულა** პატარა ხევი, მდ. ივრის მარჯვ. შენაკადი (საჰურე), **სახეუ-რა** ხევი, მდ. ივრის მარცხ. შენაკადი. „სახეურას ერთვის ლარტუ-შოულა და მერე ორივენი ერევიან იორს სახევის ბოლოზე“ (ს. კუ-დიანაშვილი); **ქუშხეურა** ხევი, შუაზე ჰყოფს ს. ქუშხევსა და ს. თეთ-რაღელებს; მდ. ივრის მარჯვ. შენაკადი; **ყინტრაულა** წყარო, პატარა ნაკადული (ზარიძ.); **შარახეულა** ხევი, მდ. ფშავის არაგვის მარცხ. შენაკადი; **ჭურულა** პატარა ხევი (საყდრ.); **ხატხეურა** ხევი, მდ. ივრის მარჯვ. შენაკადი; **ხაშრულა** ხევი. „გამოდის ხაშარის მთაში“ (მდ. ივრის ერთ-ერთი სათავე).

გ) რთულფუძიანი ჰიდრონიმები

ერწო-თიანეთის ჰიდრონიმიაში სიტყვათშეერთების წესი მე-ტად პროდუქტიული საშუალებაა. ამგვარადაა გაფორმებული აქაური ჰიდრონიმების დაახლოებით 85%. ასეთი ჰიდროსახელები მსაზღვ-რელ-საზღვრულიანი წყობის გეოგრაფიული სახელები არიან. მსა-ზღვრელად, ჩვეულებრივ, არსებით ან ზედსართავ სახელებს ვხვდე-ბით, საზღვრულების როლში კი ჰიდრონიმული საზოგადო ტერმინე-ბი: **წყარო, ხევი/ა, ტბა, გუბე, კოდა, წყალი...** გვხვდება. მსაზღვრე-ლად უპირატესად გენეტივში დასმული საზოგადო და ადამიანთა სა-კუთარი სახელები გვაქვს (მხოლოობ. და მრ. რიცხვში), საზღვრული კი ხშირზე ხშირ შემთხვევაში ვხოლოობით რიცხვში დგას. უნდა აღინიშნოს, რომ თიანეთის რაიონის მოსახლეობის ადრინდელმა ცერ-ოო-მესაკუთრულმა მეურნეობამ უამრავი პატრონიმული ჰიდრონიმი (ეთნოტოპონიმი) წარმოშვა (მთელი ჰიდრონიმიის 76%).

მეტად იშვიათია კომპოზიტად ნაწარმოები ჰიდრონიმი. ასეთი სულ ორიოდე ფაქტი დადასტურდა: **ვერხველა** (ხევი, მდ. ჭუსნოს

შენაკადი) და **ორვილი** || **ორვილა** — მდ. იორის მარცხენა შენაკადი (მიერთვის სოფ. ბოჭორმასთან).

აქაურ ჰიდრონიმიაში საკმაოდ ხშირია სახელები, რომელთაც საზღვრულად საზოგადო აპელატიური ტერმინი **ტბა** მოუდის: **ბაცახთ ტბანი** პატარა გუბეები; საძოვრები (ომარ.); **სულიანი ტბა** გუბე „ტბა არი ერთი პატარა, დაჭაობებული, ჩამორებული“ (საჯინ.); **უძირო ტბა** გუბე, საფლობი (წიკელ.); **ჩადუნიანის ტბა** პატარა ტბა, გუბე (ქებ.); **წურბელა ტბა** „ადგილია, ტბა აღარც არი, სახელი კი ჰქვიან“ (ბოჭორმა).

ერთგან გვხვდება საზღვრულად ტერმინი **ზღვა** (წყალსაცავი): **სიონის ზღვა** || **სიონის წალსაცავი**. იშვიათია საზღვრულად, აგრეთვე, სიტყვა **კოდა** (სულ რამდენიმე შემთხვევაა დადასტურდა): **ზანზარაკოდა** წყარო, ჭაობიანი ადგილი (ტ. სოფ.), **ღულელთ კოდა** წყარო, ადგილი (ტ. სოფ.) და სხვ.

აქაური ჰიდრონიმების უდიდეს ნაწილს შეადგენს სახელები. რომელთაც საზღვრულად მოუდით: **წყარო, ხევა** || **ხევი** და **წყალი**. ამათგან განსაკუთრებული სიხშირით გამოირჩევა **წყარო** და **ხევა** || **ხევი**.

წ ყ ა რ ო:

აკლდამების წყარო წყარო (ქებ.), **ბაბალეს წყარო** წყარო (საჯინ.), **ბადროს წყარო** წყარო (თეგერ.), **ბეჟანთ წყარო** წყარო (ქვ. ნაქალ.), **ბექის წყარო** წყარო, ადგილი (თიან.), **ბინჩიგას წყარო** წყარო (ნადოკრა), **ბუარიანი წყარო** წყარო (საყდრ.), **ბუჟბუჟა წყარო** წყარო, მინდორი (ტუშ., თოლ., საყდრ.), **გაბრიელის წყარო** წყარო (კვერნ.), **გიგლოს წყარო** წყარო (ბოკ.), **გოგირდის წყარო** წყარო, სამკურნალო თვისების მქონე მინერალური წყალი (ქებ.), **გომურებისტყის წყარო** წყარო, ადგილი (სიმ. ხევი). **გძელველის წყარო** წყარო, მამული, საძოვარი (საყდრ.), **დგნალების წყარო** წყარო, ადგილი (ტუშ.), **დიდბექისთავის წყარო** წყარო, საძოვ. ადგილი (ლელ.), **დიდგულიანის წყარო** წყარო (ბოკ.), **დუდგულიანის წყარო** წყარო (დულუზ.), **ვაუას წყარო** წყარო, ადგილი (თიან.), **თიბელწყარო** წყარო, ადგილი (თრანი), **კენკიანთველის წყარო** წყარო, საძოვ.. ველი (ხევსოფ.), **კეჟერთ წყარო** წყარო (ლიშო), **კოდის წყარო** წყარო, ადგილი (ომარ., ზარიძ., საყდრ., თეგერ., ხოფცა, იარაჯ., სიმ. ხევი, თიან., ბოკ., ქებ.), **კოუიას წყარო** წყარო (საყდრ.), **კუთხიანი წყარო** წყარო (ბოჭ.), **კულას წყარო** წყარო (ზ. ნაქალ.), **კუჭის წყარო** წყარო (საყდრ.), **ლაფიანთწყარო** წყარო (ტუშ.), **ლეკის წყარო** წყარო (მაგრ.), **მალაქიას წყარო** წყარო, ადგილი (ღულელ.), **მამითანას წყარო** წყარო (ხაიშო),

მარგალიტის წყარო წყარო (ყუდრო), **მეიდნის წყარო** წყარო ბოჭორ-მის ციხეში (ბოჭ.), **მელიას წყარო** ცივი წყაროა ს. საყდრიონში, **მე-ლის წყარო** ტყე, წყაროიანი ადგილები (წიკელ.), **მელუას წყარო** წყარო (გორ.), **მირეულას წყარო** წყარო, ადგილი (გუდან.), **მრავალ-წყარო** წყაროები, წყაროსთვალები (მაგრ.), **მუნიანწყარო** წყარო (გორ.), **ნავროზასველის წყარო** წყარო (სიმ. ხევი), **ნამცეცას წყარო** წყარო (ომარ.), **ნარიანველის წყარო** წყარო (საყდრ.), **ნაშარობის წყარო** წყარო, ნაგზაური ადგილი (ახ. სოფ.), **ნიბლოთხვთისოს წყარო** (ლიშო), **პატარაპანტიანის წყარო** წყარო, ტყიანი ადგილი (თეგერ.), **ჟონჟლიანის წყარო** წყარო, ადგილი (ბად.), **სანსალიანწყარო** წყარო, ტყე (წიკელ.), **საღორეებისგორის წყარო** წყარო, სძოვ. ადგილები (თიან.), **საძილას წყარო** წყარო (ბოკ.), **სიპის წყარო** წყარო, ადგი-ლი (თეთრ.) **ფეტვიაშვილშალვას წყარო** წყარო (ლიშო), **ფურის წყა-რო** წყარომრავალი ადგილი, ტყე (ღულელ.), **ფოჭვებისნაგლეჯის წყა-რო** მეწყერიანი ადგილი, წყარო (ქებ.), **ქართლელიანთ წყარო** წყარო (სიმ. ხევი), **ქვიანუიდულას წყარო** წყარო (სიმ. ხევი), **ქორულლის წყარო** წყარო (თიან.), **ღარისწყარო** წყარო, ველი (ღულელ.), **ყაყ-ლიუოს წყარო** სახნ., საძოვ., წყარო (სიმ. ხევი), **ყოყმანის წყარო** წყარო (იარაჯ.), **შუშანაანთ წყარო** წყარო (საჭურე), **ჩიტების წყარო** წყარო (საყდრ.), **ჩხარუნა წყარო** ადგილი, წყარო (თეთრ.), **ხოტიანი წყარო** წყარო (ქებ.), **ჯამაგიძის წყარო** წყარო (ბოკ.), **ჯიბგირის წყა-რო** წყარო (ქებ.), **ჯიხვიანას წყარო** წყარო, ადგილი (მამად.), **ჯღარდ-ლას წყარო** წყარო (თრანი) და სხვ. ვრ.

ხევი || ხევა:

აზრონხევა ხევი, პატარა მდინარე; მდ. ხაშრულას შენაკადი (ზ. არტ.), **ამტნის ხევ-ი** ხევი, პატარა მდინარე, აძეძის შენაკადი, **ბაქ-ნიანხევ-ი** მდინარე აძეძის შენაკადი (ღულელ.), **ბუერიანხევ-ი** დიდი წყლიანი ხევი, ნაკადული (სახევე), **დიდხევ-ი** ნაკადული, მდ. აძეძის შენაკადი (საყდრ.), **ევენტის ხევ-ი** მდინარე. ადგილობრივ მას დიდ-ხევსაც ეწოდებენ (ევე.), **ეშმაკთხევა** ხევი, პატარა ნაკადული (ჭეშხ.), **თელათხევ-ი** ხევი (ტ. სოფ.), **კარახტინის ხევ-ი** მდ. შარახეულას შე-ნაკადი (ზენამხ.), **კლდეწითლის ხევ-ი** მდ. თეთრახევას ერთ-ერთი სათავე. მიერთვის საჩქვეფების ხევს (იხ.) და მერე ორივე ერთად წარმოქმნის მდ. თეთრახევას: **მგელთახევა** ხევი, მდ. ქაშოს შენაკადი (ახ. სოფ.) **მთეფშუას ხევ-ი** პატარა მდინარე (სიმ. ხევი), **მლაშის ხევა** პატარა მდინარე, ჰიერთვის მდ. სიმონიანთხევის ხევს: **მუნჯათხევა** მლაშე, ვეძა, მინერალური წყაროები (ზ. არტ.), **ნაგლეჯის ხევ-ი** ნა-

კადული (სიმ. ხევი), **ნასაღორლების ხევ-ი** მდინარე, მიერთვის ევ-ჟენტის ხევს (იხ.): **საჩქვეფების ხევ-ი** მდ. თეთრახევას ერთ-ერთი სათავე (იხ. კლდეწითლის ხევი); **ტოლათხევ-ი** მდინარე, ხევი. შუა-ზე ჰყოფს ტოლაანთსოფელსა და გუდანელებს; **ქვემო მუნჯათხევა** ტყიანი ხევი, მინერალურწყაროებიანი ადგილები (სახევი), **ღულელთ-ხევ-ი** ხევი, მდ. აძეძის მარჯვ. შენაკადი (ღულელ.), **ჩვინთიხევა** პატა-რა ხევი (თრანი), **ჯვართხევ-ი** პატარა ნაკადული, ჩამოუდის საყუჩავს მთას, ს. ქუშხევის ზემოთ.

წ ყ ა ლ ი || წ ყ ა ლ ა:

აქაურ ჰიდრონიმიაში ტერმინი „წყალი“ უპირატესად წყარო-გუბურების აღსანიშნავად დასტურდება, თუმცა აქა-იქ ზოგადად „წყლის“, „მდინარის“ აღსანიშნავადაც გვხვდება:

აქიმთწყალ-ი წყარო (დორ.), **გეჯების წყალ-ი** წყარო (ომარ.), **ჯეჯის წყალა** წყარო გუზუმბათის მთის ძირას (ლიშო), **გორანას წყა-ლ-ი** ხევი, მდ. შარახეულას შენაკადი; **დიაკვნის წყალ-ი** წყაროები (ზ. არტ.), **თეთრწყლებ-ი** წყარო: თეთრი თიხნარი ადგილი (ღულელ.), **ი.ხილიანგორის წყალ-ი** წყარო (ბალ. ხ.), **ლომის წყალ-ი** წყარო (ზ. არტ.), **პირმზითის წყალან-ი** ხევი, წყაროები (ქუშხ.), **ტკბილწყალ-ი** წყარო (დორ.) **შავწყლებ-ი** ხევი, ჯაგნარი ადგილი (მაგრ.), **შირიმის წყალ-ი** წყარო (თრანი), **წერათოს წყალ-ი** მდ. შარახეულას ერთ-ერ-თი შენაკადი (ზ. შარახ.), **წნორის წყალ-ი** მდ. აძეძის შენაკადთაგანი (ხევ. სოფ.), **წყილაის წყალ-ი** წყარო (ბოდახ.), **ჭიტალიაის წყალ-ი** წყარო (სახევი,), **ხევას წყალა** პატარა ნაკადული, ხევი (ზ. შარახ.), **ხუმარათ წყალ-ი** წყარო (სახევი) და სხვ. მრ.

ძირითადი დასკვნები

ერწო-თიანეთის რაიონის ტოპონიმიის ძირითადი ფონდი ქართულია. გეოგრაფიულ სახელთა მცირე ნაწილი არაქართული წარმოშობისა ჩანს, რაც „ერწო-თიანეთის ქვეყნის“ მკვიდრთა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან ოდინდელი კულტურულ-ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობის მანიშნებელ ფაქტად უნდა ჩავთვალოთ. ქრონოლოგიის თვალსაზრისით შეიძლება აქაურ ტოპონიმთა სამი პერიოდი გამოიყოს: ა) **უძველესი,** ბ) **საშუალო,** გ) **უახლესი.**

უძველესი პერიოდის გეოგრაფიულ სახელებად უნდა მივიჩნიოთ მარტივი სტრუქტურის მქონე ტოპონიმები, რომელთა შექმნის დროდ დაახლოებით IX-X სს. უნდა ვივარაუდოთ. ეს ის პერიოდია, როდესაც ჰერეთის სამეფომ დიდ პოლიტიკურ და ეკონომიკურ განვითარებას მიაღწია.

ქართველთა მონათესავე ხალხის — ჰერების და მთის კავკასიური ტომების, პირველ რიგში, ნახების, მჭიდრო საურთიერთო კონტაქტებზე უნდა მეტყველებდნენ ისეთი ტოპონიმები, როგორიცაა: **ოორი** (ხუნძ. მოր) „თხრილი“, „ხევი“ (ივ. ჯავახიშვილი), **ერწო, ერწუხი, ბოჭორმა...** დაახლოებით ამავე პერიოდისა ჩანს ქართული სუფიქსური წარმოების სახელები: **უალ-ეთ-ი ჩელ-ეთ-ი,** აგრეთვე, **ნოტკორა, ბოდოჯ-ი, არტან-ი** და სხვ.

ტოპონიმთა წარმოქმნის მეორე პერიოდი იმ დროიდან უნდა ვივარაუდოთ, როდესაც ჯერ მონგოლთა, შემდეგ კი თურქეთ-ირანის განუწყვეტელი თარეშით მოოხრებულმა ერწო-თიანეთის მხარემ ხელახლა იწყო მოშენება-დამკვიდრება. ეს პერიოდი მოიცავს XVII ს. მეორე ნახევარსა და XVIII ს. ამ დროს წარმოქმნილი გეოგრაფიული ნომენკლატურა ძირითადად ორი და სამფუძიანი გენეტიურმსაზღვრელიანი ტოპონიმებია.

ერწო-თიანეთის ტოპონიმიის უახლეს ფენას XIX ს. და XX ს. I ნახევარში შექმნილი გეოგრაფიული სახელები შეადგენს. ტოპონიმთა წარმომქმნელი საშუალებანი იგივეა; სახელთა სტრუქტურაც ძველებური რჩება, მხოლოდ ამ პერიოდში ფართო გასაქანი ეძლევა სახელთა აფიქსურ წარმოებას (მხედველობაში გვაქვს -ურ-ა ||

-ულ-ა სუფიქსისა და სა- — -ია- (—სა- — -ე-ა) აფიქსის სისტემატური გამოყენება ტოპონიმებში).

XVII-XVIII საუკუნეებში ქართველ მთიელთა ბარად „ჩამოწოლის“ პროცესმა ერწო-თიანეთში განაპირობა ფშაური, ხევსურული და საკუთრივ თიანეთური გეოგრაფიული სახელების შექმნა. სახელებში ასახულია ამ ხალხთა დიალექტური თავისებურებანი. ეს დიალექტური ინტერფერენცია დღევანდელი ერწო-თიანეთის ტოპონიმიაში ხელშესახებია.

აქაური ტოპონიმია, ბუნებრივია, იცნობს ყველა იმ საწარმოქმნო საშუალებას (აფიქსაცია, თხზვა, წარმოქმნა...), რაც კი საერთოდ ქართული ტოპონიმიისათვისაა ნიშანდობლივი.

ტოპონიმთა გაფორმების გზები და საშუალებანი ერწო-თიანეთშიც ძირითადად იგივეა, რაც ქართლურ-კახურსა და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის დიალექტებში შეინიშნება.

ერწო-თიანეთის ტოპონიმიაში ხელშესახებია ერთი თავისებურება — **სახელთა აბრევიაციული გაფორმება.** ჩვეულებრივ იკვეცება რთულფუძიანი ტოპონიმის მსაზღვრელი, საზღვრული კი უცვლელადაა წარმოდგენილი: **კუჭაღი** (კუჭანას ბაღი), **სიმხევი** (სიმონიანთხევი), **ჩეკურგორი** || **ჩეკგორი** (ჩეკურაანთგორი), **ხევსოფელი** (ხევსურთსოფელი), **ხეცაბარამათ ახუები** (ხეცაშვილებისა და ბარამაშვილების საზიარო ახოები) და სხვ.

ტოპონიმთა აბრევიაცია იმდენად ორგანული აღმოჩნდა ერწო-თიანეთური მეტყველებისათვის, რომ აბრევიაციული ფორმები ზოგჯერ ოფიციალურ დოკუმენტებშიც კი იჩენს ხოლმე თავს.

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ ათწლეულებში, 1900-იანი წლებიდან მოყოლებული, აქაურ ტოპონიმიაში აქა-იქ თავს იჩენს რუსული წარმომავლობის ტოპონიმები, ძირითადად ისეთები, რომლებიც ენაში ზეპირი გზით შეიჭრებიან და მერე ქართული აფიქსების დახმარებით „გაქართულდებიან“ ხოლმე. ასეთებია: **ლაგირი, მაიაკის გორი, ნაპალატკრები, დვარეცები, კარახტინი** და სხვ.

ერწო-თიანეთის ტოპონიმია აღმოსავლეთ საქართველოს ამ ერთერთი უძველესი კუთხის ისტორიული, კულტურულ-საზოგადოებრივი და სამეურნეო ყოფა-ცხოვრების ნამდვილი სარკეა, ამდენად მისი ყოველმხრივი მეცნიერული შესწავლა აუცილებელია.

ტოპონიმთა ლექსიკონი

ა

აბანო, აბანოებ-ი მინდვრის სახელია ს. თეთრახევაში. სამკურნალო თვისების მინერალურწყაროებიანი ადგილების სახელად ა. ხშირად დასტურდება ერწო-თიანეთში. ადგილმდებარეობის სახელწოდებად ა. ასევე ხშირად გვხვდება საქართველოს ბევრ რაიონში.

აბიკასფურის მონაკლავ-ი ტყე, კელ-მინდვრები (ყუდრო). „ადგილი სადაც აბიკას ფური მოუკლავთ“.

აბრამის ნაჯაგ-ი სახნავ-საძოვარი მინდორი (ლიშო).

აგრანომის მოხვეულ-ი სახნავ-სათესი მამული (მაგრ.). „ერთი ქალაქელი აგრანომი იყო აქა, იმან დაითავისა ეგ მოხრილ მიწები“ (ხ. ჯამაგიძე).

ადამთ ნასახლართან მინდორი (ზ. შარახ.).

ადგილდედა, ადგილის დედა საკულტო-რელიგიური ადგილების (ხატსალოცაველბის) სახელწოდებებად ა. ხშირად გვხვდება ერწო-თიანეთში, აგრეთვე, აღმ. საქართველოს მთიან რაიონებში (მთიულეთი, ხევი, ფშავ-ხევსურეთი...).

ადომველ-ი სახნავი მამული: საძოვ. (მამად.).

ტოპონიმი ა. ანთროპონიმული წარმოშობისაა, რაზედაც ნათლად მეტყველებენ აქ დადასტურებული სხვა მიკროტოპონიმები: ადომლიანთ რუები (იხ.) და ადომლიშვილის ველი (იხ.). ტოპ. ადომველი სწორედ ამ უკანასკნელი ტოპონიმის შეკვეცილი ფორმა უნდა იყოს (ადომთ ველი?).

ადომლიანთ რუებ-ი სახნ.-სათ. მინდვრები (ახ. სოფ.).

ადომლიშვილის ველ-ი საძოვ. (ახ. სოფ.).

ადუანთ ახოებ-ი სახნ., საძოვ. (ტუშ.). საკუთარი სახელი **ადუა** აქაურ მიკროტოპონიმიაში საკმაოდ ხშირად იჩენს თავს. ს. ქუშხევში დასტურდება **ადუაის მამულები**, ს. ლიშოში კი — **ადუაის ტაფი.**

აზრონხევა (აზრონჯევა) მდინარე, პატარა ხევი, მდ. ხაშრულას (იხ.) ერთ-ერთი შენაკადი. პირველადი (საყრდენი) ფუძე **აზრონ-ი**

ცალკე არ დასტურდება. ამის მიუხედავად, შეიძლება ამოსავლად აზრონ[ის]-ხევი/ა, აზრონთ ხევი/ა ვივარაუდოთ.

აკამათ-ი ასეთი ნასოფლარი არის დასახელებული ერწო-თიანეთის რაიონში ([76]174). ს. აკამათი ფაქტიურად მდებარეობს დუშეთის რაიონში, არაგვის ხეობის ფშავში. აქვეა აკამათის ხევი-ც. ტოპონიმ აკამათი-ს წარმომავლობა ცნობილი არ არის. სპეციალურ ლიტერატურაში ა. მიჩნეულია გაურკვეველი წარმოშობის (უცნობი სტრუქტურისა და სემანტიკის) ტოპონიმად ([47] 107). ხომ არ შეიძლებოდა დაგვეშვა ტოპ. აკამათის ბაცბური ენობრივი სამყაროდან მომდინარეობა, სადაც **აკა** პიროვნული სახელი ჩანს. შდრ. „დოლოსქედს აკამ გაივო, შაატყობინა სოფელსა...“ ([31]164), **-მათე** კი შეიძლება ბაცბურიდან სიტყვა იყოს, რომელიც ალაგ-ს ნიშნავს ([79] 75). მაშასადამე **აკამათე** (||აკამათ-ი) აკას კუთვნილ ადგილს (ახო, მამული?) უხდა აღნიშნავდეს.

აკალდამებ-ი ძველი ნამოსახლარები, ველტყიანი ადგილები (ღუღელ.). აკალდამა — (ხევს.) აკლდამა, სამარხი; ამ ადგილას მართლაც შენიშნულია უძველესი ხანის ნასოფლარის კვალი და სამარხები.

ალაჭან-ი პატარა სოფელი თიანეთის აბლოს (ზარიძეების სას. საბჭო). ადგილობრივ მას მგელიაანები და ბიჩელაანი (იხ.) ეწოდება. ა. ამჟამად ფაქტიურად შეუერთდა ს. ზარიძეებს. აქაურ მოსახლეობაში გავრცელებულია ეტიმოლოგია, რომლის თანახმადაც ალაჭს აქ ვიღაც ჭ ა ნ ი დაუსახლებია და ისე გამრავლებულა, რომ მის შთამომავალს მთელი სოფელი დაუკავებია. ალბათ, მართებული იქნებოდა გვეფიქრა, რომ ა. პატრონიმული წარმოშობის ტოპონიმია. სახელწოდება **ა. ალაჭა-ან-ი**-საგან შეიძლება გექონდეს მიღებული, სადაც **ალაჭა** ადამიანის საკუთარი სახელი ჩანს, **-ან** კი — გვაროვნული სუფიქსი.

ალეკაანთ ახო სახნ., საძოვ. (ზ. შარახ.).

ალეკაანთ კარახტინ-ი — საძოვ., სახნ. (ზ. შარახ.). ტოპონიმი წარმოშობილია რუსული „карантин“ სიტყვისაგან.

ალექსის ტაფ-ი საძოვარი ადგილი (ვეძ. ხ.). ამ ადგილს მეორენაირად „ყვიტას ტაფი“-ც ეწოდება, რადგან ალექსის მეორე სახელი ყვიტა რქმევია.

ალიანპანტიან-ი სახნავ-სათესი მინდვრები (გორ.). ადგილობრივ ტოპონიმი ა. პატრონიმული წარმოშობის სახელად მიაჩნიათ: „ალიაშვილებს თუ ეჭირა ეგ ადგილები“-ო. საეარაუდო ჩანს საკუთ. სახელი **ალია** (ალე→ალე-ა→ალია).

ალის-ი მთა, ტყე, სალოცავი (თ. ხევს.). ამ ტოპონიმის წარმოშობას

ადგილობრივ, როგორც ჩანს, მართებულად, ადგილის პირმზითობას. სიმხურვალეს, სიცხის ალს უკავშირებენ: „პირმზითია და ალი ასდის ერთავადა".

ალისის გორ-ი სახნავი მინდორი (ალოტი).

ალისის წმინდაგიორგ-ი სალოცავი ადგილი (თ. ხევა).

ალოტ-ი სოფელი თიანეთის სადაბო საბჭოში. დასახლებულია ხევსურებით. ეტიმოლოგია საკვლევია. სოფელი ა. გვიან ჩანს დასახლებული, რადგან ამ სოფელს არ იცნობს არც ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერა" და არც XVII საუკუნემდელი ქართული ისტორიულ-ეკონომიკური საბუთები [50].

ალოტისთავ-ი სახნავი მამულები (ალოტი). „ალოტის ზემოთ მდებარე მამულები".

ამაღლება საკულტო-რიტუალური ნაგებობა, ადგილი (ჟებ.). „ეგ არი ფურების ხატის გვერდით, ახლოშივე". „ამაღლება" ერქვა, აგრეთვე, სალოცავ ადგილს, ხატს ს. ორხევში, რომელიც ამჟამად სიონის წყალსაცავითაა დაფარული.

ამაღლებულ-ი მინდორი, სახნ., საძოვ. (ჟებ.). ვნებითი გვარის მიმღეობური გაფორმების სახელწოდებანი ერწო-თიანეთში ხშირია.

ამთენ-ი ისტორიული პუნქტი X-XI საუკუნეების ერწო-თიანეთში. იგი ცნობილია დავით აღმაშენებლის შირვანის სულთანთან ისტორიული ბძოლის ამბებთან დაკავშირებით (დაწვრ. იხ. სტ. ამტნისხევი).

ამირას ნაჭერებ-ი სახნ., საძოვარი (ალოტი). „ამირას ყუთვნილი, ნაჭერი (ე. ი. დაკავებული) მამულები".

ამტნისხევ-ი ისტორიული სოფელი (კუთხე) ერწოში. ტრადიციული ცნობის თანახმად ა. ეწოდებოდა ტერიტორიას, რომელზედაც შემდგომ ქვემო ერწოს სოფლები — ღულელები, დორეულები, წყაროთუბანი, ტოლაანთსოფელი, ვეძათხევა, ზურაბები, ხადოელები და სხვ. გაშენებულა. „ცნობა რო გვინდა არხივში ავიღოთ, ღულელები და ტოლათსოფელი იმათ არა იციან რა. ეტყვი, რო მონათლული ვარ ამტნიხევის ეკლესიაშიო და იმითა პოულობენ ქაღალდს ნიშანდობლივ" (ნ. ობგაიძე, 76 წლის). სოფელი ამტნისხევი გვხვდება ვაჟა-ფშაველას ნაწერებში. გასულ საუკუნეში იგი **ანტნის-ხევ-** ფორმით ჩაუწერია გუსტ. რადეს [64]. ამავე ანტნის-ხევ-ს იცნობენ XIX ს. დასასრულის ქართული ეკონომიკური საბუთები ([101]293). ეჭვი არაა, რომ **ანტნის-ხევი** ამტნისხევი-საგან არის მიღებული **მ-ნ** სონორთა რეგრესული ასიმილაციის გზით.

უძველეს ისტორიულ-ეკონომიკურ საბუთებში ამტნის-ხევი წარმოდგენილია ამოსავალი მარცვი ფუძით — **ამტან-ი**: „ა მ ტ ა ნ ს შედგომაჲ დღე ღამესა, დრამაჲ ე, ქრთილი კაბიწი გ“ ([33] წ. IV, გვ. 5). ამ ცნობის მიხედვით ნათელი ხდება, რომ შუასაუკუნეებისათვის ამტანი ერწოში დიდად დაწინაურებული და მნიშვნელოვანი პუნქტი ყოფილა. ამტანის დიდ დაწინაურებაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ მეფე დავით აღმაშენებელმა შირვანის სულთანთან და რანის ათაბაგთან ისტორიული ერწუხის ბრძოლის შემდეგ თავის „განსასვენებელ“ პუნქტად სწორედ ერწოში მდებარე **ამტანი || ამტენი || ამთენი** ამოირჩია: „ესრეთ ძლევამოსილი... შემოიქცა მეფე და მცირედთა დღეთა განისუენა ა მ თ ე ნ ს ([84] ტ. I 344,6). მაშასადამე დღევ. **ამტნის-ხევი**-საოვის ამოსავალი ყოფილა პირველადი, ვარტივფუძიანი სახელი ა მ თ ე ნ ი, რომელსაც დროთა განმავლობაში, ფონეტიკური ცვლილებების შედეგად, **ამთნის-ხევი || ამტნის-ხევი** მოუცია. ვახუშტისეული **ამატანი** ([22]206) ინლაუტში ა ხმოვნის ჩართვის შედეგად ჩანს მიღებული.

ძველი ამტნისხევის ზუსტი ლოკალიზაცია ამჟამად თითქოს არ ხერხდება. სიზუსტე აკლია „სსრ კავშირის გეოგრაფიულ სახელწოდებათა ლექსიკონში“ (თბ., 1972 წ.) მოტანილ ცნობას, რომლის თანახმადაც ამტანი ს. გუდანელების ძველი სახელწოდება ყოფილა; იქვე მეორე ცნობის მიხედვით კი **ავტნისხევი** ტოლაანთსოფელს შეერთებია. როგორც ჩანს, **ამტანი** და **ავტნისხევი** (-ამტნისხევი) ლექსიკონის შემდგენელს ორ სხვადასხვა პუნქტად აქვს წარმოდგენილი. მათი ერთიდაიგივეობა კი, ვფიქრობთ, ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

ამტონას საყდარ-ი სალოცავი ნაგებობა (ღულელ.). მეორენაირად მას ანტონას საყდარს უწოდებენ. „ეგ საყდარი არი ღულელების ქვემოთ, ნაშალას ვეტყვით იმ ადგილს და იქ არი. ნანგრევებია და ერთი პატარა ნიში რამა დგა. ნაყორია, ხან რა ამოდის, ხან— რა“ (რ. მინდიკაური).

ამტონას ხევ-ი ხევი ს. ღულელებში. ადგილობრივ მას უწოდებენ როგორც ანტონას ხევს, ისე ამტნისხევს ([66]149). საფიქრებელია, რომ „ამტონას საყდარი“ და „ამტონას ხევი“ ამ არეალში უძველესი ტოპონიმის **ამტენ- || ამთენ-, ამთნისხევ- || ამტნისხევი-ს** არსებობას უკავშირდებოდეს.

ანანის მიწებ-ი სახნ., სათესი მინდვრები (სიმ. ხევი).

ანდრიაანთ უბან-ი ს. გორანას (ერწო) ერთ-ერთი უბანთაგანი.

ანდრიას ხევ-ი პატარა წყლიანი ხევი, ნაკადული (მდ. აძეძის შენაკადი), ჩამოუდის ს. გორანას.

ანიხევ-ი ადგილი, ძველი ნამოსახლარები, ნანგრევები თიანეთიდან ახმეტაში მიმავალ გზაზე, ს. ჟებოტის აღმოს. მხარეს.

გამოთქმულია ვარაუდი, რომლის თანახმადაც ა. ეტიმოლოგიურად კარის, ე. ი. შემოსასვლელის ხევს უკავშირდება [40]. ამგვარი თვალსაზრისი ემყარება სულხან-საბა ორბელიანის განმარტებას — ან-ი, ანის-ი კარს ნიშნავსო ([62] ტ. IV$_1$). **ანიხევი-ს** შემოსასვლელ კართან დაკავშირება საეჭვო ჩანს, რადგან ძვ. ქართული ისტორიული თუ ეკონომიკური ძეგლები ერწო-თიანეთში **ანის-ს, ანისხევ-ს** არ იცნობენ. ანიხევი, რა თქმა უნდა არც ადამიანის სახელისაგან მომდინარე ტოპონიმი შეიძლება იყოს, როგორც ჯ. ლომაშვილი ფიქრობს, რადგან საკუთარი სახელი **ანა** ნათესაობითში მოგვცემს ანასხევ-ს (შდრ. ანასეულ-ი) და არა ანის-ხევ-ს.

ანიხევის ეტიმოლოგია დამატებით კვლევას მოითხოვს.

ანიხევთხილიან-ი ტყიანი ადგილი (ქებ.). „ანიხევის თხილიანი ადგილი“.

ანწლიანრუვ-ი ადგილია ივრის სათავეებში (ქუწხ.). „ეგ არი ერთი ადგილი, რუობა ჩამოდის, სიპისწყაროსთან არი აბლოშიევ“ (ი. კუდიანაშვილი).

ანწლიანტაფ-ი ტყიანი ადგილი, ჩავარდნილი ადგილი (ღულელ.).

აონგორ-ი მთა, საძოვრები მდ. ივრის სათავეებთან (ზ. არტ.). აონგორი ნიშნავს: „აონის გორი“. აონი თიანეთის რაიონის წასოფლარის სახელადაა ცნობილი ([76]174). სახელწოდება აონი, როგორც ჩანს, რელიგიურ აონ-ს, აონის ხატს უკავშირდება. ადგილობრივ მკვიდრთა გადმოცემით აონის ხატი „გადმოუბრძანებიათ“ ქსნის ხეობიდან; თიანეთის გავლით აონის ხატი „დაუბრძანებიათ“ ს. საკობიანოში (ახმეტის რ.), სადაც გაფორმებულა ტოპონიმი **აონის ხატი** (დავით ღუბიანურის ცნობით, ს. საკობიანო). იმ ადგილებში, სადაც კი აონის ხატი ქსნის ხეობიდან კახეთში „გადმობრძანების“ დროს დაუსვენებიათ, ყველგან შექმნილა ტოპონიმები, რომლებისათვისაც ამოსავლად აონ-ი ივარაუდება. ერთ-ერთი მათგანია აონგორი. საყურადღებოა, რომ ს. ანანურის სას. საბჭოში, სწორედ ქსნის ხეობიდან კახეთში გადასასვლელ ისტორიულ გზაზე მდებარეობს პატარა სოფელი **ავენისი,** რომელიც იმავე აონისი-საგან ჩანს მიღებული: აონის ხატი→აონისი→ავენისი. ადგილობრივ პოპულარულია სოფ. ავე-

ნისის ხალხური ეტიმოლოგია: **ავ-ენისი** „სოფელში ავი ენის ხალხის ცხოვრობდაო“ (ვ. ნათელაშვილი).

აონურა მდინარე ივრის ხეობის სათავეებში, ე. წ. ივრის კუდებში. მდ. ივრის მარჯვ. შენაკადი. „მთა აონის (|| აონგორის) ხევი“, „ხევი, რომელიც მთა აონს ჩამოუდის“.

აპრილასთავ-ი საძოვარი (მელ. ხ.). „კაცი ყოფილა, აპრილა უძახნიათ“ (ხ. ჯამაგიძე).

არბუკ-ი მთა, საძოვარი მდ. ივრის სათავეებში (ს. არტ.). ეტიმოლოგია უცნობია.

არდაზიანებ-ი ველტყიანი მასივი, ძველისძველი ნანგრევები და ნამოსახლარი (ბეწ.). „ქვემონაქალაქარს ვიტყვით, ეგ არდაზიანები იქ არი, კარქა დიდი ალაგია“ (ხ. ჯამაგიძე).

სახელწოდება ამ ადგილებში არდაზიშვილთა || არდაზიანდიშვილთა ოდინდელ სახლობაზე ან აქაური მიწის ნაკვეთების არდაზიანთა კუთვნილებაზე მეტყველებს.

არდაზიანთ ნასადგომრებ-ი ველტყიანი ადგილი, საძოვ. (დორ.).

არდაზიანთ ფერდ-ი ნაკაფი, გაველებული მინდვრები (სიმ. ხევი).

არეულ-ი ნასოფლარი მდ. საგამის ხეობაში ს. ჩაბანოს ზემოთ. 1930-იანი წლებისათვის ს. არეულში ფშაველთა ორ კომლს უცხოვრია ([68]51). ზოგიერთი ოფიციალური წყაროს მიხედვით — არეულა. ([76] 174).

არეულებ-ი საძოვარი, პატარ-პატარა ველები; ძველი ნამოსახლარი, ყორეები (ხაიშო). „არეული“ || „არეულები“ ფშაურში უსწორმასწოროდ განლაგებულ მინდვრებს, მიხვეულ-მოხვეულ ნაკვეთებს, აღმა-დაღმა სახნავ მამულებს ეწოდება.

არეულის ღელე ტყიანი ადგილი ს. საბევში.

ართანელებ-ი ველტყიანი ადგილი (ჟებ.). „ს. ართანიდან (თელავის რ.) აქ საცხოვრებლად გადმოსული ხალხის კუთვნილი (ნაყიდი) მიწები“.

არტან-ი სოფელი მდ. ივრის ზემო აუზში, სასოფლო საბჭოს ცენტრი. დასახლებულია ივრისხეველი ფშაველებით. ტოპონიმის წარმოშობა გაურკვეველია. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია არტანის ტერიტორიაზე, კერძოდ, ქუშხეურას ზემო წელზე ანტიკური ხანის ქალაქის არსებობის შესახებ. აქ არსებული უძველესი ხანის ნამოსახლარი ზოგიერთ სპეციალისტს შესაძლებლად მიაჩნია დაუკავშიროს პტოლემეს მიერ ნახსენებ ქალაქ „არტანისს“ ([107]57-58), თუმცა ამგვარ თვალსაზრისს არსებითი ხასიათის დაბრკოლებანი ახლავს (იხ. ქვემოთ, სტ. ქუშხევი).

არტნულა ხევი, მდინარე: ჩამოუდის ს. არტანს; მდ. ივრის მარჯვ. შენაკადი. არტნულა (←არტ[ა]ნ-ურ-ა) — „არტნის წყალი“.

არუიან-ი საძოვარი, მთა (ზ. არტ.). ა. სათიბი მინდვრის სახელია ს. ლახატოში, ხოლო **არუიანთავი** ველტყიანი ადგილია ს. ქუშხევში.

არჩემაანთ ნაჭერებ-ი სახნავი, საძოვარი (თ. ხევა). „არჩემაშვილების კუთვნილი, ნაჭერი მამულები“.

არჩილის მონასტერ-ი ისტორიული ძეგლი ერწოში, მდებარეობს ს. სიონგორის სამხრეთ-დასავლეთით, შემაღლებულ ადგილას. ა. ძველი ქართული ხუროთმოძღვრების სამონასტრო კომპლექსის ერთ-ერთი საყურადღებო ძეგლია. ტრადიციის მიხედვით მისი აგება მიეწერება არჩილ II, ქართლის მეფეს, სტეფანოზის ძეს (VIII ს.). სამონასტრო კომპლექსი შედგება ორი ეკლესიისაგან, კოშკისა და მარნისაგან. დადასტურებულია საცხოვრებელი სათავსოს ნაშთიც. დარბაზული ტიპის ერთნავიანი ეკლესიის შიგნით არის სამარხი, ორმელიც სპეციალისტთა მიერ არჩილ მეფის საძვალედ ითვლება. მეორე ნაგებობა, ძლიერ დაზიანებული, შეასაუკუნეებს განეკუთვნება, კოშკი — გვიან შეასაუკუნეებს (ვ. ბერიძე).

ქართულ საისტორიო წყაროებს შემოუნახავთ სარწმუნო ცნობა არჩილ ქართლის მეფის მიერ ამ ეკლესიის აგებისა და აქვე ძისი დაკრძალვის შესახებ: „ამისა შემდგომად მოვიდა არჩილ კახეთად... აღაშენა ეკლესია საძმორს... ხოლო ვითარცა აღესრულა წმიდა მოწამე, ჰოვიდეს ღამესა მას გოდერძიანნი ტბელნი, და მათ თანა სხუანიცა აზნაურნი მამეანნი და მოიპარეს გუამი წმიდისა მოწამისი არჩილისი... და დაჰმარხეს ნოტკორას, მის მიერ აღშენებულსა ეკლესიასა“ ([64] ტ. I 243, 248). ამ ცნობის მიხედვით ისიც ირკვევა, რომ შეასაუკუნეებისდროინდელი **ნოტკორა** აგებული ყოფილა ერწოს იმ კუთხეში, რომელსაც უწინ **საძმორი** თუ **საძმორე** რქმეულა. **საძმორი/ე** კი სხვა არაფერია, თუ არა საეძო („ველბა, მლაშე მინერალურწყაროებიანი ადგილები“). (დაწვრ. იხ. ქვევით, სტ. საძმორი).

არხალ-ი ნასოფლარი, თანამედროვე ს. დულუზაურების ძველი სახელწოდება. „არხლიდან არი ჩვენი ხალხი აქ ჩამოსული. არხალი მაღლა იყო, მთაში“ (ა. დულუზაური). ა-ს ადგილობრივ **ჯაბანიან-ს** ეძახიან. ტოპონიმ არხალი-ს წარმოშობა გაურკვეველია. მართალია, იყო ცდა არხალი არამეულ ენობრივ სამყაროსთან დაეკავშირებინათ (**არხარი** — „მოის ხარი“) ე. ი. „სოფელი, გან-

თქმული მთის ჯიშიანი ხარებით“ (ჯ. ლომაშვილი), მაგრამ ასეთი ვარაუდის უსაფუძვლობა აშკარაა: ქართული ტოპონიმია არ იცნობს არც ერთ შემთხვევას, როცა ტოპონიმებში მსაზღვრელად არამეული **არ** („მთა“) სიტყვა გვხვდებოდეს, საზღვრულად კი რომელიმე ქართული ფუძე გამოდიოდეს. ტოპონიმ არხალის წარმოშობის ისტორია თვით ფშაურ დიალექტშია საძებნი.

სპეციალურ ლიტერატურაში დადასტურებულია **არხლიანთკარი** ([7]185), რაც საშუალებას გვაძლევს დავუშვათ არხალის !. არხლიანთკარის ანთროპონიმული წარმოშობის შესაძლებლობა: „არხლიშვილების სოფელი“.

არხიან-ი სახნავ-სათესი მინდვრები (კვერნ.). „მინდვრები, რომლებშიც სარწყავი არხი ყოფილა გატანილი“.

არხისპირებ-ი სახნავი ადგილი (ნად.) „აქ რაც კაი მიწებია, ეგენია“ (თ. ცალუღელაშვილი).

არხისძირ-ი სახნ., საძოვ. (მაგრ.).

არხლისკუდებ-ი ხეები, ტყიანი ადგილი ს. არხალის (დულუზაურების) ჩრდილოეთით. („არხლის ბოლოები“).

არხლის ციხე ციხესიმაგრე, ძველი ნაგებობა ს. არხალში.

არხულა მდინარე, ივრის მარცხ. შენაკადი. ჩამოუდის ს. დულუზაურებს. ერთი შეხედვით ტოპონიმისათვის ამოსავალია სიტყვა **არხ-ი**: არხ-ულ-ა, მაგრამ იგი მომდინარეობს **არხლ-ურ-ა**-საგან, რაც ს. არხალის (არხლის) ხევს (წყალს, მდინარეს) ნიშნავს. ფუძეზე ობიექტის კუთვნილება-სადაურობის **-ურ-ა** სუფიქსის დართვას არხალ-ფუძეში ჯერ **-ალ** სეგმენტისეული ხმოვნის რედუქცია მოუხდენია (არხლ-), ხოლო შემდეგ **ლ** ასოც ჩავარდნილა ფუძისეული **რ** თანხმოვნისა და დისიმილირებულ **ლ**-ს მეზობლობაში: **არხალ-ურ-ა—არხლ-ურ-ა—არხ-ურ-ა—არხ-ულ-ა.**

არჯეკლის გორ-ი ველტყიანი ადგილი (ბალ. ხ.). „გორაკი, სადაც მცენ. არჯაკელი ხარობს“.

ასას ნაკაფ-ი ველი, საძოვ. (თიან.). ასა ადამიანის საკუთარი სახელია.

ასლარას ნაკაფებ-ი ტყიანი ადგილი (ალაჭ.). „ასლარა“ ადამიანის გამოცვლილი სახელი ჩანს.

ასხავარათ გძელეებ-ი სახნავ-სათესი მამულები (მაგრ.). ასხავარაანი, ინფორმატორების გადმოცემით, ფშაველ ხორნაულთა საგვარეულო სახელი ყოფილა.

აქიმთ მამულებ-ი საძოვ., სათიბი (ქუშხ.). „აქიმიშვილებსა შჳერიათ ძველებიდანვე, ფშაველები არიან“ (ი. თეთრაული).

აქიმთ ნაჳერ-ი მაჳული (დორ.) „აქიმიშვილები მოსული ხალხია. წყა-

როც არი ამ ჩვენ სოფელში და იმასაც აქიმთ წყალს ვეტყვით“ (ბ. აფციაური).

აქიმთჯაგიან-ი მინდვრები (საყდრ.). „ტყე იყო, ეხლა და ეხლა გაველდა“ (ვ. დოლიძე).

აღმაჩაღმეებ-ი სახნავი მინდვრები ს. ქუშხევში (სახელწოდების მნიშვნელობისათვის იხ. არეულები).

აშკავეთ-ი ადგილის სახელწოდებაა ერწოში, ს. ორხევში, მდ. ორხევ-სხევის სათავეში. ტოპონიმ აშკავეთი-ს ეტიმოლოგია უცნობია.

აძეძ-ი ერწოს ველის მთავარი მდინარე, მიერთვის მდ. იორს ს. ორხევთან (მარჯვ. შენაკადი). უძველეს ქართულ საისტორიო და ეკონომიკურ ძეგლებში (XV-XVI სს.) მდ. აძეძი **აძუძ-** და **აძუძა** ფორმით მოიხსენიება: „ალექსანდრე [კახთა] მეფემ განუახლა სვეტიცხოველს თხილნარაში მცხოვრები 2 გლეხის ტოხაძეთა შეწირულობა მამულითურთ, რომლის ჩრდილოეთი საზღვარი იყო ა ძ უ ძ ა, ხოლო დასავლეთისა — თეძმის ჯვი“ ([50]27).

„ერწოს თხილნარას ორ გლეხს, სადაც რომ მამული დღეს ხელთა აქვს, მთითა და ბარითა, სახნავითა და უხნავითა... ჩრდილოთ ა ძ უ ძ ა მ დ ე, დასავლით — თეძმის-ხევამდე...“ ([86] ტ. II. 199).

ერთ-ერთ ძველ საბუთში კახეთის მეფის — დავითის (იმავყულიხანის) წყალობის გუჯარში (1722 წ.) ერწოს ადგილებს შორის მოხსენიებულია მდ. ძ უ ძ ი, რომლის ვარიანტად იქითხება ა ძ უ ძ ი ([86] ტ. II. 366). ვახუშტი აძეძს არ იცნობს, იგი ამ მდინარეს ზოგადად **ერწოს-წყალს** უწოდებს: „ხოლო ბოჭორმას ზეით ერთვის იორს დასავლეთიდამ ე რ წ ო ს-წ ყ ა ლ ი... ამ წყალზედ არს მონასტერი მცირე შვენიერი, შვენიერს ადგილს და აწ ხუცის ამარ“ ([22]91,4).

აძეძი-ს მეცნიერულად სარწმუნო ეტიმოლოგია არ არსებობს. ხალხური ეტიმოლოგია აძეძს ზმნურ **აწეწვა || აძეძვა-ს** უკავშირებს: „ნაპირები აქვს ჩალიანი, ლელიანი და ქარი რო დაუბერავს, სუ ერთიმეორეში აიძეძება ხოლმე“ (ამირან ფეტვიაშვილი).

აძეძისპირ-ი სახნ., საძოვ. (დევ. ხევი, მაგრ.).

ახადელ-ი ნასოფლარი მდ. ივრის სათავეებში, ე. წ. „ივრის კუდებში“. ტოპონიმი **ახადელი || აჯადელი** მომდინარეობს ს. ახადის სახელწოდების მიხედვით (აჯადი სოფელია უკანაფშავის თემში, დუშეთის რ.), რომელსაც ადამიანის სადაურობა-წარმომავლობის

-ელ სუფიქსი დართვია [(შდრ. ხორხ-ელ-ი, ყვარ-ელ-ი, სანებ-ელ-ი (←სამებ-ელ-ი) და სხვ)].

ახალაურთ ახო ველტყიანი ადგილი, საძოვ. (წიკვლ.).

ახალაურთახოს ხევ-ი ხევი, ტყე (თიან.).

ახალკალო ახალკალო იგივე ჭიოტაანთკარია. ამჟამად დაფარულია სიონის წყალსაცავით ([76]172). ვახუშტი ს. ახალკალოს სწორედ ერწოში, ჟალეთსა და ბუშატს შორის ასახელებს ([22]206).

ახალნაჭრებ-ი ტყე (ქებ.). „ახლად გაჭრილი, გაკაფული ტყე“.

ახალსოფელ-ი დიდი დასახლებული პუნქტია თიანეთთან ახლოს, მდ. საგამის პირას. სასოფლო საბჭოს ცენტრი. ცხოვრობენ ფშავლები და საკუთრივ თიანეთელები.

ახოსთაურ-ი ახო, სალოცავი ადგილი, ნიში (ბუჩყ.).

ახუნ-ი მაღალი მთა, ალპური საძოვრები მდ. იორის სათავეებში. „ეგ მთა საძოვრებათ არი დაგდებული: დაყუდებულ გორია; რო არ ჩაუყვეა, ჩარგალში გადახვალ“ (სულიკო აბალიშვილი). ტოპონიმ **ახუნი-ს** წარმოშობის ისტორია, შინაარსი გაურკვეველია.

აჯაგვ-ი სოფელ ჭურჭელაურების ძველი საბელწოდება. აჯაგვი სოფელ ჭურჭელაურებს 1930-იან წლებამდე ერქვა: 1926 წლის ხალხის აღწერის მასალების ჩვენებით აჯაგვში (ჭურჭელაურები) 22 კომლს (101 სული) უცხოვრია ([68]51).

ვახუშტი იცნობს აჯაგვს და მას თიანეთის სოფელთა სიაში ბაღიანთ-ჯარისა და კაკვეთის (კაკბეთის?) (დღევ მამადაანები) შორის ასახელებს ([22]206). ტოპონიმ აჯაგვის წარმოშობა გაურკვეველია.

აჯამოღლიანთ ახო საძოვ., ახო (თიან.). ტოპონიმი ანთროპონიმული წარმოშობისაა: **აჯამოღლი** („ბნელი, უვიცი კაცის შვილი“) პიროვნული სახელია, რაზედაც მეტყველებს აქვე დადასტურებული სხვა ტოპონიმიც: **აჯამოღლიანთ მზორე.**

ბ

ბაბუაის ჭალა ჭალა, ველტყიანი ადგილი (ყუდრო). ბაბუა ხევსურული პიროვნული სახელია.

ბაგას ახო საძოვ., ახო (ტუშ.) „ახლადგაშენებული ვენახის ახო“.

ბადაანებ-ი სოფელი ერწოში, ს. საჯინიბოს ჩრდ.-აღმ მხარეზე, ახმეტის რაიონის მოსაზღვრედ (სიონმშენის სადაბო საბჭო). ტოპო-

ნიმში აშკარად გამოიყოფა ანთროპონიმი **ბადა** და გვაროვნული კუთვნილების **-ან** სუფიქსი, რომელიც სიმრავლის **-ებ** სუფიქსით არის გართულებული: **ბადა-ან-ებ-ი.**

ბადაანები ისტორიული და არქეოლოგიური თვალსაზრისით ერწოს „ქვეყნის“ ერთ-ერთი საინტერესო პუნქტი ჩანს. აქ აღმოჩენილმა „ბადაანის ცხრაკარამ“ მკვლევართა ერთ ნაწილს საშუალება მისცა გამოეთქვა ვარაუდი ისტორიული ჩელეთ-ჟალეთის ბადაანების ტერიტორიაზე ლოკალიზაციის თაობაზე [75], თუმცა ამ აზრს ბევრი მოწინააღმდეგე გაუჩნდა ([66]159). ს. ბადაანში უძველესი ჟალეთ-ჩელეთის გულვებას მართლაც არსებითი ბასიათის დაბრკოლებანი ახლავს.

ბადაანთ კაკლიან-ი მინდორი, ადგილი (ბად.).

ბადაანთ ცხრაკარა (იხ. სტ. ბადაანები).

ბადათ ნასახლარებ-ი ძველი ნამოსახლარი ადგილები (ომარ.).

ბადრახიანთ უბან-ი ს. ხევსურთსოფლის ერთ-ერთი უბანი. ამჟამად ამ უბანში ხუცურაულები სახლობენ.

ბადროს წყარო წყარო (თეგერ.). „ცნობილი წყაროა. ეგ გამოუყვანია ბადროს და სახელიც იმისი დაუძახნიათ“ (ნ. ბადურაშვილი).

ბაიაანთ მზორე ტყიანი ადგილი; მზისგული (სიმხევი). „ბაიაშვილების კუთვნილი მზისგული ტყე“.

ბაიას საქერეებ-ი საძოვარი მინდორი (ზენამხ.). „მამული, სადაც ვინმე ბაია (შდრ. გვარი ბაიაშვილი) ქერს თესდა“.

ბაიაშვილის ნასახლართან ადგილი, მინდორი (ქვ. შარახ.).

ბაიდაურების ადგილ-ი სათიბი, საძოვ. (ვერხვ.). ამოსავალია ადამიანის საკუთ. სახელი **ბაიდა**, საიდანაც გაფორმებულია გვარი ბაიდაურ-ი. ანალოგიური წარმოშობის სახელწოდება — ბაიდაანთ გორა — დავადასტურეთ არაგვის ხეობის ქართლში, ს. ვეძათხევში.

ბაინდურათ გორ-ი მთაგორიანი ადგილი, ძველი ნამოსახლარები (სახევი) ბაინდურა პატრონიმული სახელია (შდრ. გვარი ბაინდურაშვილი).

ბაკარხევ-ი ადგილი, ხევი (თიან.). ეტიმოლოგია საკვლევია.

ბალამას ნაჭოხარ-ი ტყიანი ადგილი (ყუდრო). ბალამა ადამიანის საკუთ. სახელია. ინფორმატორმა მიუთითა ბალამას სადაურობაზეც: „პატარძლეული კაცი იყო, აქ ამოდიოდა, შეშას ამზადებდა, შაჟნებსა ადგამდა“.

ბალახიანგორ-ი ტყე (სიონი). ანალოგიური სახელი დადასტურდა გორაკის სახელად ს. საყდრიონშიც.

ბალებისხევ-ი სოფელი ერწოში (ხევსურთსოფლის სას. საბჭო). დასახლებულია საკუთრივ თიანეთელებით (ერწოელებით).

ბალიანა ტაფა ტყე, ველები (თეთრ).
„ჩავარდნილი ადგილი როგორმეა, ველები იყო უწინ, ბალი იდგა, თანთან გატყეედა“ (ი. თეთრაული).

ბალკომებ-ი ველტყიანი ადგილი (ქებ.). ამოსავალია რუს. балкон („შემაღლებული ადგილი, გადმოსახედი ადგილი“).

ბარაკებ-ი ტყე (თიან.). ამოსავალია რუს. барак — ქოხი, ფიცრული, დროებით საცხოვრებელი ბინა. გადმოცემით ამ ადგილას ტყისმჭრელთა ფიცრული ბინები მდგარა. აქვეა ტოპონიმი „ბარაკების ხევი“.

ბასილაანთ ნაქერლებ-ი მამულები (ტ. სოფ.). „მინდორი, სადაც ბასილაანთ ქერი მოჰყავდათ“.

ბასილას ახო სახნ., საძოვ. (ახ. სოფ.).

ბასილას ნაჭერებ-ი მამული, ველები. „ბასილას კუთვნილი ადგილი“.

ბასილას ნაბაკვრებ-ი მინდორი, საძოვ. (წიკვლ.). „ადგილი, სადაც ვინმე ბასილას ცხვრის სადგომი ბაკები ჰქონია გამართული“. ნაბაკვრებ- ფორმაში ვ -ევ (|| -ავ) სუფიქსის ნაშთია: ბაკ-ევ ნა-ბა-კევ-არ-ები-ი — ნა-ბაკ-ვ-რ-ებ-ი).

ბატარა გლუან-ი საძოვ., სათიბი მამული (ქუშხ.); გლუ, გლუვი — სწორი, უხორკლო, სრიალა, სადა (ზედაპირი): ([85] ტ. II). გლუვი ფშაურსა და ხევსურულში აგრეთვე ნიშნავს: სწორი, უქვო, სწორზედაპირიანი მამული, სათიბი. ხევსურეთში ასეთი ობიექტის სახელწოდებად გვხვდება კიდევაც **გლუვსათიბე** ([108] 224). მაშასადამე, ტოპონიმი **ბ.** აღნიშნავს: პატარა, გლუვი, სწორზედაპირიანი, უქვო სათიბი მინდორი. საზღვრული (გლუან) ამ შემთხვევაში ნართანიანი მრავლობითის ფორმითაა წარმოდგენილი: გლუვა-ნ-ი; ვ თანხმოვანი უ და ა ხმოვნებს შორის და კარგულა: გლუ[ვ]ა-ნ-ი.

ბატარაიის ჭალებ-ი ჭალა, პატარ-პატარა ველები (ტ. სოფ.). **ბატარა** ამ შემთხვევაში ადამიანის საკუთარი სახელია, რაც ინფორმატორმაც დაგვიდასტურა: „ჭალებია, ეგ დაეკეთებავ პაპაშჩემსა, იმასა ჰქვერია, ბატარაჲ ექვენა“ (ნ. ობგაიძე).

ბატარა რუა მინდორი, ველტყიანი ადგილი (ქუშხ.) „პატარა რუ, რუობა“.

ბატატის საქერე მინდორი (სახევი). ბატატი ადამიანის საკუთარი სახელია (შდრ. ბატატიშვილი).

ბატონას პანტასთან მინდორი, ახო (მამად.). „ბატონა ექვივნა კაცსა,

ფშაველი იყო, ღარიბი, ღატაკი, ბატონას კი ეძახოდენ“ (ლ. ჭურჭელაური).

ბაფხისხევ-ი ნასოფლარი მდ. ივრის ზემო წელზე, არტნის სას. საბჭოში. დასახლებული ყოფილა ფშაველებით. ზოგიერთ ადრინდელ წყაროში ეს სოფელი დადასტურებულია როგორც **ბაბხისხევი** ([68] 50). 1930-იანი წლებისათვის აქ ფშაველების 12 ოჯახს უცხოვრია (57 სული); 1940-იანი წლებისათვის აქ მხოლოდ 6 ოჯახიღა ჩანს. ამჟამად **ბ.** ნასოფლარადაა ქცეული. საკვლევია **ბაფხ** — ფუძეხ ეტიმოლოგია.

ბაქნიანკუდ-ი ტყიანი ადგილი (ღულელ.). „ჩვენ ბაქნიანკუდს ვეტყვით, ადგილია, ტყეა. საძოვარი. სად იყავ? — ბაქნიანკუდში“ (ბ. აფციაური). ბაქნ-იან- ფუძეში -იან სუფიქსი აუცილებლად რაღაცას ქონებას გულისხმობს. მცენარის სახელად **ბაქნ-ი** || **ბაქან-ი** ვერ დავადასტურეთ. როგორც ჩანს, ამოსავლად აქ სავარაუდებელია ძვ. **ბაქანი** „კლდეში მცირე ვაკე რამ“ (საბა).

ბაქნიანხევ-ი მდინარე ამტნისხევის მეორე, „ხალხური“ სახელწოდება (მნიშვნ. იხ. ბაქნიანკუდი). ბაქნიანხევი ჩამოუდის ს. ღულელებს, მიერთვის მდ. აძეძს მარჯვ. მხრიდან.

ბაქრომჩირდილ-ი ტყიანი ადგილი (თოლ.). **ბაქრომ**-ფუძის შინაარსი საკვლევია.

ბაქუმის ჩრდილ-ი ტყე (ჩეკ. გორი). „მთა არი, ტყე არი. წყარო მოჰყავ ეხლა მანდედანა შკოლისათვი“ (გ. ქისტაური). როგორც ჩანს, ბაქუმის ჩრდილისა და ბაქრომჩირდილი-ს წარმომავლობა საერთოა.

ბალიანებ-ი ღ. თიანეთის ერთ-ერთი უბანი (ჩდრ.-დასავლ. მხარე). ეახუშტი ბ-ს იცნობს როგორც **ბალიანი, ბალიანთ-კარი** ([22]206). საქართველოს მოსახლეობის 1926 წ. აღწერის მასალების მიხედვით სოფ. **ბ**-ში 11 კომლს (65 სული) უცხოვრია ([63]51). ადამიანთა კრებითობის, სიმრავლის **-ებ** სუფიქსი ტოპონიმს გვიან დართვია. ოიკონიმისათვის ამოსავალია გვარი ბალიაშვილი.

ბაჩალ-ი ნასოფლარი მდ. ივრის სათავეებში (არტნის სას. საბჭო). ზოგიერთ ადრინდელ ოფიციალურ დოკუმენტში **ბ.** წარმოდგენილია როგორც **ბაჩალო** ([68]50), მაგრამ ვფიქრობთ, ეს ბეჭდვის შეცდომა უნდა იყოს. XIX ს-ის 80-იანი წლებისათვის ბაჩალში 39 კომლს უცხოვრია ([64]46), 1930-იანი წლებისათვის— 25 კომლს ([68]50). 1940 წლებისათვის აქ მხოლოდ 10 კომლიღა დარჩენილა ([96]38). ჩვენი მასალის მიხედვით (1968 წ.) ბაჩალი უკვე ნასოფლარია. ივრის ხეობის სათავეებში სოფლების

დაცლა და მოსახლეთა ბარში „ჩამოწოლა“ ყველაზე უფრო ინტენსიურად 1950-იან წლებში ხდებოდა. ამ პერიოდისათვის ჩანს გაუკაცრიელებული ს. ბაჩალიც. ტოპონიმ ბაჩალის ეტიმოლოგია უცნობია.

ბაჩაყაურთ გორ-ი საძოვ., მინდ (ქუშხ.). ბაჩაყა ადამიანის საკუთარი (შერქმეული) სახელი ჩანს, რაზედაც გვაროვნული **-ურ** სუფიქსიც მეტყველებს.

ბაჩლისთავ-ი მთა, საძოვარი ნასოფლ. ბაჩალში.

ბაჩლურა პატარა მდინარე-ხევი; მდ. ივრის მარჯვ. შენაკადი. მიერთვის იორს ნასოფლ. ქურთისკართან (იხ.). ბაჩლ-ურ-ა — „სოფელ ბაჩლის ხევი“.

ბაცახთ ტბან-ი პატარა გუბურები, ტბორები (ომარ.). „სამი-ოთხი გუბე რამ არი“ (ვ. გოცირიძე). ბაცახი (|| ბაცაჯი) ადამიანის გამოცვლილი (შერქმეული) სახელია.

ბაძიაანთ თავზე სახნავი მინდვრები (ნად.). ბაძია ხევსურული საკუთარი სახელია.

ბახალათ ახო სახნავი მინდორი (ყუდრო). ბახალა (|| ბაჯალა) ადამიანის საკუთარი სახელია.

ბახურას ნაყვერ-ი ტყე (სიმ.ხევი). ბახურა ადამიანის სახელია, ნაყვერი კი ნიშნავს ყოფილ ტყიან ადგილს, რომელიც ახოდ გაუტეხიათ ხეების შემოყვერვის (კანის, ქერქის შემოჭრა) წესით.

ბებერათ ნაჭერებ-ი სახნავი (ალოტი). **ბებერა** ადამიანის საკუთარი სახელია. „ადგილ-მამული, ბებერაშვილებს რომ ეპირათ“.

ბებიაის ველ-ი ველი, სახნაური ადგილი (ხ. შარახ.). **ბებია** ადამიანის (მამაკაცის) საკუთარი სახელია.

ბებრისციხე ძველისძველი ციხე (ხაიშო).

ბეჟანთ წყარო წყარო (ქვ. ნაქალ.).

ბეჟანას ნასადგომრებ-ი ტყე (თეგერ.).

ბერაანთ ნაკაფ-ი ტყე, ჯაგნარი (ტ. სოფ.).

ბერთახო ახო, სახნავი, საძოვ. (სახევი).

ბეროს ნაგლეჯ-ი ტყიანი ადგილი (ჯებ.) „ნაგლეჯი“ აქაურ მიკროტოპონიმიაში ეწოდება ჩამოქცეულ, ჩამოშლილ, ჩამოზვავებულ ფერდობს.

ბერტყე ტყე (თეგერ., ძებნ.). „დიდი ტყე“ (შდრ. ბერა თითი „დიდი თითი“).

ბერწყალთ რუვ-ი ველტყიანი ადგილი (სახევი). „დ-დწყალის (დიდხევის) რუვი“.

ბესერის ნასახლარ-ი მამული (ლახ.). **ბესერი** ადამიანის საკუთარი სახელია.

ბესოს სახლგაღმა მდ. იორზე გასასვლელი ადგილი (ყუდრო).

ბეღელა მთა, საძოვარი მდ. ივრის სათავეებში.

ბეღელათანა ნასოფლარი მდ. ივრის ზემო წელზე ფადლაურას მთის ძირას.

ბეცეცაანთ ველებ-ი მინდვრები (საყდრ.). **ბეცეცაანი** ადამიანის საკუთარი სახელის — ბეცეცა-ს მიხედვით შექმნილი გვარია.

ბეწინაანთ თავ-ი სახნ. (ჭიაურა).

ბეწინიკაის ტაფ-ი მამული, საძოვ., სახნ. (სახევი).

ბეწინტურის ახო სახნ., საძოვ. (ჭიაურა).

ბეწიწიას ნაჭერებ-ი სახნ., საძოვ. (ალოტი).

ბეწენწურებ-ი პატარა სოფელი ერწოს ველზე. ამჟამად ს. ქვემონა-ქალაქარის ერთ-ერთი უბანთაგანია. ბეწენწურები, როგორც დასახლებული პუნქტი, XVI ს-დან უნდა არსებობდეს. XVII ს-ის ქართულ საისტორიო და ეკონომიკურ საბუთებში იგი მოხსენიებულია **ბეწენწური-ს** ფორმით: „თეიმურაზ [კახთა] მეფემ ყორჩიბაშ თამაზ ამატაკიშვილს დაუმტკიცა ადრე ნაწყალობევი ასლამაზისეული მამული ბ ე წ ე ნ წ უ რ-ში ([30]42). თავის მხრივ ბეწენწურ- ფუძე საკუთარ სახელად ბეწენწა-ს აღგვადგენინებს (-ურ კუთვნილების სუფიქსია).

სოფლის სახელწოდებისათვის ამოსავალია გვარი **ბეწენწურ-ი**, რომელიც, თავის მხრივ, **ბეწენტური** (|| ბეწინტური)-საგან უნდა გექონდეს მიღებული (ბეწინტური←ბეწინ-თ-ურ-ი?) შდრ. გივი-თ-სუმელჯი (ბახტრიონი") = გივი-ან-თ სუმელჯი.

ბეწუკლებ-ი სოფელი ერწოში; შეუერთდა ს. თრანს და ამჟამად თრანის ერთ-ერთი უბანთაგანია. ეს ტოპონიმი, უეჭველია, ადამიანის საკუთარ სახელს ბეწუკა-ს („პატარა, ციცქნა") მიხედვით არის წარმომდგარი. ბეწუკ-ელ-ებ-ი→ბეწუკ-ლ-ებ-ი.

ბეწუკელთ ნაბინავარ-ი ველტყიანი ადგილი (მაგრ.).

ბზიანთველ-ი ადგილი, ძველისძველი ნანგრევები ს. ბადაანების ზემოთ. აქვეა საკულტო-რელიგიური ნაგებობა „ბზიანთველის საყდარი". სახელწოდებისათვის ამოსავალია მცენ. ბზა. ბზ-იან-ველ-ი „ველი, სადაც ბზა ხარობს". ტოპონიმის პირველი ფუძე თითქოს მრავლობით რიცხვშია წარმოდგენილი (ბზ-იან-თ), მაგრამ -თ- ამ შემთხვევაში უფუნქციოა.

ბითაან-ი სახნ., საძოვ. (საკრ.). ამოსავალი ჩანს საკუთ. სახელი **ბითა**, რომელსაც ადამიანთა კუთვნილება-წარმომავლობის **-ან** სუფიქ-

სი დართვია: ბითა-ან-ი. ამგვარად გაფორმებული ტოპონიმები, ჩვეულებრივ, სოფლის სახელებად გვხვდება, ამიტომ შესაძლებელია ვივარაუდოთ ამ ადგილებში ბითაანების (ბითაშვილი?) ოდინდელი სახლობა.

ბითოიანთ ახო ტყიანი ადგილი (წიკვლ.).

ბისოვლებ-ი სოფელ გონდაურას ერთ-ერთი უბანი. ამოსავალია ხევსურეთის სოფლის სახელწოდება ბისო. **ბისოვლებ-** ფორმა კი იმის მაუწყებელია, რომ აქ ბისოდან გადმოსულ ხევსურებს უცხოვრიათ (შდრ. ღულელები, ხანდოვლები, გუდანელები...). მოსალოდნელი იყო ბისო-ელ-ებ-ი, მაგრამ წარმომავლობა-სადაურობის **-ელ** სუფიქსის **ე-** ხმოვნის ნაწილობრივი რედუქციის შედეგად (მხოლოდ **ო** ხმოვნის მეზობლობაში!) **ე** ქართული ენის მთის დიალექტებში **ვ-**ინად იქცევა. შდრ. ეღო, მაგრამ **ეღო-ვლ-ებ-ი** (-ეღო-ელ-ებ-ი), ხანდო — **ხანდო-ვლ-ებ-ი.** (აქედან ჩანს გაფორმებული გვარი ხანდოლიშვილი (← ხანდოვლი-შვილი← ხანდო-ელ-ი[ს]-შვილი), ჭიჩო — **ჭიჩო-ვლ-ებ-ი,** თრუსო — **თრუსო-ვლ-ებ-ი,** ერწო — **ერწო-ვლ-ებ-ი,** ბისო — **ბისო-ვლ-ებ-ი** და სხვ. თუ ტოპონიმის ფუძე **ო** ხმოვნიანი არაა, მაშინ წარმომავლობის **-ელ** სუფიქსი უცვლელია: ჭართალ-ი — ჭართლ-ელ-ებ-ი, თიანეთი — თიან-ელ-ებ-ი (|| თიანეთ-ელ-ებ-ი) და სხვ. ფუძისეული **ო** ხმოვნის მომდევნო პოზიციაში **ელ** სუფიქსის **ე** ხმოვნის **ვ-**ინად გარდაქცევა თითქოს ქართლურშიც უნდა შეინიშნებოდეს: არბო (სოფელია გორის რ-ში), მაგრამ არბო-ელ-ი[ს]-შვილი (საიდანაც შემდგომ **ვ-**ინის ჩავარდნით გვარი **არბო-ლ-ი-შვილი** მიგვიღია).

ბიჩელაანებ-ი (იხ. ალაჭანი).

ბიჩნიგას წყარო მინდ., წყარო (ნად.). ბიჩნიგა ადამიანის საკუთ. სახელია. შდრ. ტოპონ. ბიჩნიგაურები (სოფელი დუშეთის რ-ში), რომელიც აშკარად ბიჩნიგა-ურ-ი-საგან მომდინარეობს.

ბიჭიკურიანთ ჭყანტ-ი საძოვ. (საკრ.). **ბიჭიკური** ადამიანის საკუთ. სახელია, რომელიც, თავის მხრივ, **ბიჭიკა-**საგან მომდინარეობს: (ბიჭიკა-ურ-ი→ბიჭიკ-ურ-ი).

ბოგირეებ-ი მინდ., საძოვ. (ღულელ.). ამოსავალია ბოგირა „პატარა ბოგა, ბოგირი". ბოგირა-ებ-ი→ბოგირე-ებ-ი (რეგრეს. დისიმილაციით).

ბოდაველთ ახოებ-ი სახნაური, საძოვ. (ზარ.). ბოდავი სოფელია არაგ-

ვის ხეობის ფშავში (დუშეთის რ.). „ბოდავიდან საცხოვრებლად გადმოსულთა კუთვნილი ახოები“.

ბოდავთ ნაფეტვრებ-ი მინდ., საძოვ. (ზარ.). „მინდორი, რომელზეც ბოდაველები ფეტვს თესდნენ“.

ბოდავლებსიქითა სახნ., საძოვ. ტყიანი ადგილი (თოლ.). „ბოდავლებს იქითა მამული“.

ბოდახევა სოფელი მდ. ივრის ხეობაში, მის ზემო წელზე (არტნის სას. საბჭო). დასახლებულია ფშაველებით. სოფლის სახელწოდების გარკვევა არ ხერხდება.

ბოდახეურა მდინარე, ჩამოუდის ს. ბოდახევას. სახელწოდებაც ამის მიხედვითაა გაფორმებული: ბოდახე[ვ]-ურ-ა „სოფელ ბოდახევის წყალი“.

ბოიგართ ახო ახო, საძოვ. (ბოკ.). ბოიგარი ძველი ფშაური საკუთარი სახელია (შდრ. ვაჟა: „ფშაველები“).

ბოიგართ ნასახლარ-ი ადგილია ს. სახევში.

ბოკონ-ი — სოფელი მდ. ივრის მარჯვ. ნაპირას (თიანეთის სად. საბჭო). საფიქრებელია, რომ ბ. მცენარე **ბოკვი**-საგან მომდინარეობდეს. -ნ- სიმრავლის ნიშანია. ბოკვ-ი, ნეკერჩხლისებრთა ოჯახის წარმომადგენელი, გავრცელებულია კახეთში, ფშავში ([85] ტ. II). ზოგიერთ ადრინდელ ოფიციალურ წყაროში ბ. წარმოდგენილია როგორც **ბაკონი** ([68]51), მაგრამ ეს, ვფიქრობთ, ბეჭდვის შეცდომაა.

ბოკონის გადასახვევ-ი თბილის-თიანეთის სამანქანო გზიდან ს. ბოკონისაკენ გადასახვევი გზა. ადგილობრივ ამ ადგილს საფოცხის გორას (იხ.) უწოდებენ.

ბორდახევა ჭაობიანი, ჭყანტობი ადგილი, აქა-იქ სახნავი მიწებია (იარაჯ.). შეიძლებოდა დაგვეშვა ფუძეში რ-ს განვითარება. მაშინ აქაც ამოსავალ ფორმად ბოდახევა უნდა გვევარაუდა.

ბოსტანეებ-ი სახნ., საძოვ. (ტუშ.). ამოსავალია ბოსტანა „პატარა, უმნიშვნელო ზომის საბოსტნე ნაკვეთი“. **ბოსტანა-ებ-ი** → **ბოსტანე-ებ-ი** (შდრ. ბოგირეები).

ბოჭორმა სოფელი ქვემო ერწოში, გარეკახეთის მაჯნაზე. მდებარეობს მდ. ივრის მარცხენა სანაპიროზე, მდ. ორვილ-იორის შეერთების ადგილას. ბ. ამჟამად ძირითადად გაქართველებული ოსებით არის დასახლებული. „ეს ადგილი ერისთავისაგან უყიდია ბახუტოვს, მერე იმან აქ ჩამოასახლა ოსები; ათი ოჯახი დუშეთიდან იყო, ათი — გორიდან და ეგრე თანთან დასახლდა. ეხლა აქ ოთხმოც კომზე მეტნი ვართ“ (ალექსი ქარუმის ძე

ხუბაშვილი). სოფელს სახელი შერქმევია მის აღმოსავლეთით მდებარე ისტორიული ძეგლის — ციხესიმაგრე ბოჭორმის გამო, რომელშიც წმ. გიორგის სახელობის ეკლესიაა აგებული. ტოპონიმი **ბ.** ერთ-ერთი უძველესი სახელთაგანია ერწო-თიანეთში. საისტორიო წყაროებში **ბ.** პირველად X ს-ის ისტორიულ ამბებთან დაკავშირებით მოიხსენიება. ამ დროისათვის **ბ.** უკვე მძლავრი თავდაცვითი ნაგებობა ყოფილა ([84] ტ. I, 263, 269). ქართულ ეკონომიკურ საბუთებში **ბ.** ძირითადად XIV ს-დან გვხვდება: „გიორგი მეფემ უბოძა გუგუნა მაყაშვილს ბოჭორმის პირას მდებარე... მამული პოტკოი“ ([50] 46).

ტოპონიმ ბოჭორმის შინაარსის ახსნა პირველად ვახუშტიმ სცადა: „უჯარმას ზეით, ჩდილოთ, და იორის აღმოსავლით არს ბოჭორმა ციხე... ხოლო ბოჭორმა აღაშენა ცოლმან ქართლოსისამან და უწოდა დედა-ციხე... შემდგომად უწოდეს ვეჭორმა, ესე იგი არს: „ვეჭ, ორმა ძმამ ცილება ყვეს ამ ციხესა ზედა“ ([22] 90-91). ვახუშტის ამ ცნობიდან, ჩვენი ფიქრით, ის უფრო საინტერესო ჩანს, რომ ბოჭორმა ქართლოსის მეუღლეს აუგია და თავდაპირველად **დედა-ციხე** ანუ **მთავარი ციხე** რქმევია, შემდგომ კი მისთვის **„ვეჭორმა“** შეურქმევიათ. ეს უკანასკნელი ცნობა თითქოს სიმართლეს არ შეეფერება, ისევე, როგორც არ შეიძლება სარწმუნოდ მივიჩნიოთ თვალსაზრისი: „ვეჭ, ორმა ძმამ ცილება ყვეს“-ო. ტოპონიმ ბოჭორმის წარმოშობის ისტორია გაურკვეველია. მართალია, სახელში გამოყოფენ **-მა** სუფიქსს ([113]134), მაგრამ ასეთი გამოყოფა პირობითია, რადგან არაფერი ვიცით ფუძის შესახებ. ერთი კი საგულისხმოა: **ბ.** ძველია შედგენილ-გაფორმებული, როგორც ისტორიული კახეთის სხვა უძველესი ტოპონიმები: **ნოკორწა, ხოჟორწა, ბოდორწა, უჯარმა...** თავისთავად საყურადღებო ჩანს ის ფაქტი, რომ გარეკახეთში (ს. მარტყოფი) მიკროტოპონიმებად გვხვდება **ბოჭორმა** (ეკლესია) და **ბოჭორმის სასაფლაო** (უ. სახლთხუცესშვილი). მთათუშეთში დასტურდება ტოპონიმი **ბოჭორწა.** ეს თანხვდომანი შემთხვევითი არ ჩანს. ხომ არ შეიცავს ტოპონიმი ბოჭორმა იმავე **-ჭორ-** ფუძეს, რომლითაც ჩრდ. კავკასიის ხალხები კახეთის ქვეყნის აღსანიშნავად ხმარობდნენ? არსებითია, რომ ანდიელები კახეთს ახლაც **ჭორ-**ს უწოდებენ, აქაურ დიდრქა ხარებს კი — **ჭორთოლ უნსოლს** ([113]47). თუ ეს ასეა, მაშინ გასარკვევი იქნებოდა თავკიდური **ბო-** ელემენტისა და **-მა** (||-ნა) სუფიქსის მნიშვნელობა.

ბოჭორმის წმინდაგიორგი ეკლესია, სალოცავი ს. ბოჭორმაში.

ბოჭოჭას ახო საძოვ. მინდორი (ლელ.). „ბოჭოჭა“ ადამიანის ზედმეტი სახელი ჩანს.

ბრძამიანებ-ი ახო, სახნ., საძოვ. (თიან.). ტოპონიმისათვის ამოსავალია მთის მარადმწვანე მცენარე — ბრძამი.

ბუარიან-ი ტყე, საძოვრები (ხევსოფ.). ამოსავალია ფშაური „ბუარა“ (ბუერა). ამ მცენარის მიხედვით ერწო-თიანეთში უამრავი მიკროტოპონიმია წარმოქმნილი. ეგევე ტოპონიმი ტყის სახელად დადასტურდა ს. დულუზაურებში, ახალსოფელსა და ნადოკრაში; ს. საყდრიონშია — **ბუარიანი წყარო,** ს. ბადაანებში კი — **ბუარიანველი.**

ბუბათ ნასახლარ-ი საძოვ., სახნ. (ზენამხ.).

ბუბაის ნაყვერ-ი ველტყიანი ადგილი (ზენამხ.). „ბუბას მიერ ხეების შემოყვერვით გატეხილი ახო“, „ადგილი, სადაც ბუბას მიერ შემოყვერილი ხეებია“.

ბუზათ ველა საძოვ., მინდ. (ლიშო). „კაცი იყო, ბუზა ექვივნა“ (ს. აბალიშვილი) შდრ. გვარი: ბუზაძე, ბუზიშვილი, ბუზალაძე...).

ბუთურაშვილის ახო სახნ., საძოვ. (ახ. სოფ.) შდრ. გვარი ბუთურაული (ბუთულა-ულ-ი?).

ბურიანტაფ-ი ტყე, მინდორი (ლიშო). ადგილობრივი ინფორმატორის (ს. აბალიშვილი) მტკიცებით, „აქ ბუარა იცის ბევრი და სახელიც აქიდან შეურქმევიათ“, თუმცა შეიძლება ამოსავლად ვიგულვოთ ბ უ რ ი „ნისლი“, „ბურუსი“: „ადგილი, სადაც ხშირად დგება სიცხის ბური“.

ბუსნისჰალა ველტყიანი ადგილები (თიან.). „ეგ არის ქუსნოს შესართავის ბოლოზე, ბუსნო ადგილებია“ (ანზ. შუშანაშვილი).

ბუყბუყა წყარო წყარო (ტუშ.). „ბუყბუყით გამოდის“. წყაროს სახელად ბუყბუყა წყარო დასტურდება ს. თოლენჯში და ს. საყდრიონში.

ბუშატ-ი ასეთი სოფელია დასახელებული ერწოში უძველეს ქართულ ეკონომიკურ საბუთებში, კერძოდ, ერწოს საკათალიკოსო გამოსაღების ერთ-ერთ ნუსხაში, რომელიც სპეციალისტთა მიერ X ს-ის ძეგლად არის მიჩნეული ([33]. წ. IV. 5). **ბუშატი**-ს ეტიმოლოგია გაურკვეველია. ადგილობრივთა ცნობით (რ. ქიტესაშვილი) **ბ.** ორხევის უბანი ყოფილა.

ბუშატის მაღალ-ი მაღალი, ტყიანი მთა ს. ბადაანის ჩრდილოეთით,

ახმეტისა და თიანეთის რაიონების მიჯნაზე — სოფ. ბუმატის სახელწოდების მიხედვით.

ბუჩარას ჩალა სახნავ-სათესი მინდვრები (ღულელ.). „ჩალიანი ადგილი იყო, შამბი იცოდა, ლელი“.

ბუცუცუნის ნაჭერ-ი სახნავი (ზარ). ბუცუცუნი ადამიანის გამოცვლილი (შერქმეული, ზედმეტი) სახელია.

ბუჭყინტა სოფელი ზემო თიანეთში (ზარიძეების სას. საბჭო). **ბუჭყიტა** || **ბუჭყინტა** ადამიანის გამოცვლილი (ზედმეტი) სახელი ჩანს: „დიდთვალება, თვალებჭყეტია, ბუსთვალება ადამიანი“. შერქმეული (გამოცვლილი) სახელის გატოპონიმება კი ცნობილი ფაქტია (შდრ. ცხვარიჭამია, მეკალათიანი (მე--კალათ-ე), ცალუღელაანთკარი...).

ან ხომ არ შეიძლება დავეშვათ ტოპ. ბუჭყინტა-ს არაქართული (ნახური?) წარმომავლობა? შეიძლებოდა ამოსავალ ფუძედ გვეევარაუდა **ბუჭყ-**; **ინ** — ნახური გენეტივის ნიშნად ([79] 103), ხოლო ბოლოკიდური **-ტა** აგრეთვე ნახური ზმნიზედური შინაარსის სიტყვად გვეცნო: **ბუჭყ-ინ-ტა** „ბუჭყის თავი“, „ბუჭყის ზემოთ“? (შდრ. ადამიანის საკუთარი სახელი **ბუჭყურა**, სადაც **-ურ** კუთვნილების სუფიქსი ჩანს).

ზოგიერთ ოფიციალურ წყაროში **ბ.** წარმოდგენილია როგორც **ბუჭყვინტა** ([68]50), მაგრამ ეს ბეჭდვის შეცდომა უნდა იყოს.

ბუჭყინტურა მდინარე, ხევი, ჩამოუდის ს. ბუჭყინტას; მდ. შარახეულას მარცხ. შენაკადი.

ბუჭყურა სახნავი ადგილი (ქვ. ნაქალ.). ბუჭყურა ადამიანის საკუთარი სახელია.

ბუჯიაანებ-ი სოფელი; ს. ნადოკრის ერთ-ერთი უბანთაგანი. „ბუჯიაშვილების სოფელი“.

ბუჯიაანთახოს ბოლოებ-ი სახნავი, საძოვ. (ნად.).

გ

გაბიდაურების ხატ-ი სალოცავი ადგილი (ქუშხ.). შერქმეულია ს. ქუშხევის მთავარი, ყველაზე მრავალრიცხოვანი გვარის — გაბიდაურების მიხედვით.

გაგუნას ახო სახნავი ადგილი (ზარ.).

გადრეცა საძოვ., სახნ. (ლიშო). ერწო-თიანეთური კილოს მიხედვით -ვადრეცილი" ნიშნავს: „მოხრილი, მორკალული, გაზნექილი"; ეს ფორმა კახურშიც ამავე მნიშვნელობით გვხვდება: „გადრეკილი, გაღუნული, მოხრილი" ([49]131). ვაჟა-ფშაველას ნაწერებში „გადრეცილი" ნიშნავს: „აზნექილი, აჭიმული" ([21]74). გადრეცა ფორმაში -ა სუფიქსია, რომელსაც რაიმე საგანთაგან მიმსგავსების აღნიშვნის ფუნქცია ეკისრება (შდრ. ვარცლ-ა, უნაგირ-ა, ქვაკაც-ა...). მაშასადამე, გ. მოხრილი, მორკალული მიწის ნაკვეთების საზოგადო სახელწოდება ყოფილა. თიანეთურ მეტყველებაში „გადრეცილი" ადამიანის მიმართაც ითქმის: „რა გადრეცილი ადგეხარ?"

გადრეცის ახუებ-ი მინდვრები (ვამად.). ამ შემთხვევაში „გადრეცა" აშკარად ადამიანის ზედმეტი (შერქმეული, თიკუნი) სახელია.

გათიბულტაფ-ი დიდი სათიბი (ზ. ნაქალ.).

გალიდაჲს ველ-ი სათიბი (ფიქვ.). გალიდა ადამიანის საკუთარი სახელია.

გამახელათ ახო საძოვ., სახნ. (საჩურე). „საძოვრებია წყალსაკრეფათ გაღმისაკ" (ვზ. ჭინჭარაული), ტოპონიმი გაფორმებულია გვარის — გამახელაშვილის მიხედვით. თვითონ სახელი „გამახელა" იმგვარივე წარმოშობისა ჩანს, როგორც „გამიხარდი", „მახარე" და სხვ.

გამახიჯის გორ-ი მთა, ტყიანი სერი, ქედი (ზ. არტ.). გამახიჯი ადამიანის საკუთარი სახელი ჩანს.

გამბულ-ი ტყე (ლელ.). „გაბმული, ერთიანი, წაგრძელებული ტყის მასივი". ანალოგიური ტოპონიმი ასევე ტყის სახელად გვხვდება ს. ქვ. ნაქალაქარში, ველტყიანი ადგილის სახელად კი — ს. ყუდროში. „ველია, ჩასწყვეტს ტყე, მემრე ისივ ველი მოჰყვება, ისივ ტყე, მემრე კიდევ ველი".

განძაურას ახო ახო (ღულელ.). განძაურა აქაური ხალხური თქმულებების მიხედვით ძალზე პოპულარული სახელია. „ეშმაკ რამ ასჩენია ამ განძაურასა; ჰყოლია რაღა, და, გამუა და სთიბს, და ვერ კი იჭერს. ამას, ამ განძაურას ცელი აქუ, ამას კიდევ ხის ცელი აქუ და ისე კი, რო სთიბავს. რო ვერ დაიჭირა, ადგა და ფეხები გაიბა თივის თოკითა. გაიბა იმანაცა. აჰა, ხო გაიბი! ამ განძაურამ გაიჭრა ცელით ეს თოკი, იმან თოკს ხის ცელით ვერა დააკლო, მივიდა და დაიჭირა. იმას მერე ყმად გაიხადა, ახვნეინა, ათესინა" (გიორგი წოვას ძე ქისტაური).

გარდიგარდმუებ-ი სახნ., საძოვ. (თრანი). ეგევე სახელწოდება მამუ-

ლების სახელად დასტურდება ს. ტუშურებში (მნიშვნ. იხ. არეულები).

გარეჯა მთა, მდიდარი ალპური საძოვრები მდ. იორის სათავეებში. „იორის ხეობა მოემართება... ფუტკარულის და ლაგის ქედთა შორის, ყვარას და გარეჯის მთებამდის ([114].111).

გაქცაის ნაჯაგ-ი ველი (ლიშო). „გაქცაც კაცს ეჭვევნა, აბალიშვილი იყო გვარადა“ (ს. აბალიშვილი).

გალმა ჩხვინჯეთ-ი მინდ., სალოცავი ადგილი, ხატი, წყარო (ზარ.). აღსანიშნავია, რომ თიანეთის სოფლების სიაში ვახუშტის დასახელებული აქვს **ცხვინჯეთი** ([22] 206). როგორც ჩანს, იგი ჯერ ნასოფლარად იქცა, შემდეგ კი ადგილის აღმნიშვნელ სახელწოდებად-ღა შემოგვრჩა.

ცხვინჯეთ- || **ჩხვინჯეთ-** ფუძეში გამოიყოფა გეოგრაფიული **-ეთ** სუფიქსი; საკვლევია **ცხვინჯ-** || **ჩხვინჯ-** ფუძეთა სემანტიკა. არა გვგონია ერწო-თიანეთის ტოპონიმიაში იგი ზანური ენობრივი სამყაროდან იყოს შემოსული. უფრო სარწმუნო ჩანს მისი ადგილობრივი წარმოშობა. საფიქრებელია, რომ **ჩხვინჯი/ა** ადამიანის საკუთარი სახელი იყო, რომელსაც შემდგომ ადამიანთა გვარის კრებითობის, სიმრავლის აღმნიშვნელი **-ეთ** სუფიქსი დართვია.

გაჭრილგორ-ი ტყიანი ადგილი (მაგრ.). ეგეთე სახელწოდება ადგილთა სახელად გვხვდება ს. ტოლაანებსა და ს. წყაროთუბანში.

გეგენაანებ-ი ს. იარაჯულების ერთ-ერთი უბანი. გეგენა ადამიანის საკუთარი სახელია.

გელაგეჯას ნაჭერ-ი მინდ., საძოვ., საბნ. (ზარ.). „გელაგეჯა“ ადამიანის ზედმეტი, შერქმეული სახელია. ნაჭერი — „ნაკონი, კუთვნილი ადგილი“. „მამული, რომელიც გელაგეჯას ეჭირა“.

გეჯების წყალ-ი წყარო (ომარ.). „გეჯები იყო ამოთხრილი, წყალი დგებოდა, საქონელი დაგვიდიოდა“ (ბ. აფციაური). გეჯა — „წყლის დიდი გობი, სარნა (|| ისარნა), საქონლის დასარწყულებელი ხის გრძელი კოდი“. ერწო-თიანეთის მიკროტოპონიმიაში გეჯა- სიტყვისაგან ბევრი ტოპონიმია გაფორმებული. წყაროების აღსანიშნავად **გეჯისწყალი/ა, გეჯისწყარო** გვხვდება ს. საჭურეში, ს. საკრეჭიოში, ს. ქუშხევში, ს. ლიშოში, ს. დორეულებში, ს. მაგრანეთში და სხვ.

გეჯურაას ყანებ-ი საბნ., საძოვ. (საჭურე). გეჯურა ხევსურეთში მამაკაცის სახელად საკმაოდ გავრცელებული სახელია. საჭურეშიც ხევსურები სახლობენ. თვითონ სახელი **გეჯურა** ნიშნავს „გეჯის

მსგავსი ადამიანი (გეჯ-ურ-ა), დაბალი ტანის მამაკაცი". ს. იარაჯულებში დასტურდება ახოს სახელად **გეჯურას ახო.**

გვერდა სახნავი (სიმ. ხევი). სახელწოდება „გვერდა" ძალზე ხშირია აქაურ მიკროტოპონიმიაში. იგი დასტურდება როგორც ცალკე, ისე რთულფუძიან ტოპონიმებში. ადგილის სახელად **გვერდა** გვხვდება ს. გორანაში; ს. საჯურეში — **გვერდალა,** ს. ხოფცაში — **გვერდალ-ველ-ი;** „გვერდა" აქა-იქ დასტურდება ნათესაობითი ბრუნვის ნიშნითაც: **გვერდას მამულებ-ი** სახნ. (ყებ.); აქვეა **გვერდას წყარო; გვერდის გზა** ადგილი (ლიშო) და სხვ.

გვირაბიან-ი ადგილი ტყეში (ტ. სოფ.). „გაჭრილ გორთან არი ახლო, გამოქვაბულებია" (ნ. ობგაიძე).

გზათშუებ-ი ადგილია ტყეში (ტ. სოფ.). „გზებს შუა მრქცეული ადგილი".

გზეფშუა სახნავი, საძოვ. (ყებ.).

გიგლოს წყარო წყარო (ბოკ.). „უწინ ამას ცალხელაანთ წყაროს ეძახდენ".

გიგოლაანთ ახო სახნ., საძოვ. (ჩაბ.). გიგოლა გრიგოლა-ს მოფერებით-კნინობითი სახელია ([109]65).

გიგოლას თახჩა ნასახლარი ადგილი ტყეში (წიკვლ.). თახჩა ერწოთიანეთურ კილოში ნიშნავს: ღრმული, გამოქვაბული, თარო: გადატანით: საცხოვრისი, სამყოფი (ბუნაგი, დარანი).

გლახუტას ნაყვერ-ი ახო (დულუზ.)

გლუვ-ი მთა, საძოვ., სათიბი (სახევი). იგივე სახელწოდება მთის, სათიბის აღმნიშვნელ სახელად შეგვხვდა ს. ლიშოში. გლუვი — „სწორი, თანაბარი მიწის ნაკვეთი".

გოგირდისწყარო წყარო (ყებ.). სამკურნალო თვისებების მქონე მინერალური წყარო. აქვს სპეციფიკური სუნი, რის გამოც შეერქვა ეს სახელი.

გოგნელას წყარო წყარო (წიკვლ.).

გოგნელასწყაროს თავ-ი მინდ. საძოვ. (წიკვლ.).

გომურებისტყის წყარო წყარო ტყეში (სიმ. ხევი).

გონდაურა ძველისძველი სოფელი ერწოში (ამჟამად გონდაურა და მისი კუთვნილი მიწა-წყალი სიონის წყალსაცავითაა დაფარული). ადგილობრივი მკვიდრები (ძირითადად ხევსურები) საცხოვრებლად ს. სართიჭალაში გადასახლდნენ. ტოპონიმი გ. ანთროპონიმული წარმოშობისა ჩანს.

გორაანთ ნაწილ-ი ადგილია ტყეში (დულუზ.).

გორალა პატარა შემაღლებული ადგილი (ლიშო).

გორანა სოფელი ერწოში (სიმონიანთხევის ს.ს. საბჭო). ქართულ ეკონომიკურ საბუთებში გ. XIV საუკუნიდანაა ცნობილი **გოროვნა**-ს სახით, რაც, თავის მხრივ, **გორ-ოვან-ა** ფორმას აღგვადგენინებს. „ალექსანდრე მეფემ განუახლა ძველი შეწირულებანი და კვლავ შესწირა სვეტიცხოვლის საპატრიარქო საყდარს... ერწოს სოფ. ჩეკური, სოფ. ნოდოვრა (ბეჭდვის შეცდომაა, უნდა იყოს ნოდოკრა), სოფ. ვერნაულა (ალბათ: კვერნაულა!), სოფ. თვალეჯი (შდრ. დღევ. თოლენჯი), სოფ. გ ო რ ო ვ ნ ა...“ ([50] 151). ვახუშტი თავის „აღწერაში“ გორანას ერწოში ორგან ასახელებს ([22]206). XVI-XVII საუკუნეებისათვის ძველი გოროვნა უკვე დღევანდელი გორანა-ს ფორმით დასტურდება: „ალექსანდე კახთა მეფემ დაუმტკიცა სვეტიცხოველს ძველად შეწირული [სოფელი] გ ო რ ა ნ ა“ (1579 წ.) ([50]58). სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია გორანას **გორა** სიტყვისაგან მომდინარეობის შესახებ ([10]42). იყო ცდა გორანა- ფორმაში გამოეყოთ მრავლობითობის **-ნ** სუფიქსი, თუმცა რაიმე სარწმუნო არგუმენტის გარეშე. გორანა-ში გამოყოფენ **-ან** სუფიქსსაც, რომელსაც კნინობითობის ფუნქციას აკისრებენ ([47]156).

ადგილობრივ პოპულარულია ეტიმოლოგია, რომლის თანახმადაც გ. მომდინარეობს ვიღაც ბუმბერაზი ქალის — ანს სახელისაგან: მისი საფლავი გორასავით იყო ამაღლებულიო!

შეიძლებოდა ამოსავლად მიგვეჩნია ფშაური **გორალა** (შდრ. „იელიანის იქით პატარა **გორალაა**“ (ვაჟა); „ჭიანჭველას **გორალას** დაცქერდებოდა“ (გ. ლ ე ო ნ ი ძ ე, ნატვრის ხე). საყურადღებოა, რომ გორანა ადგილის სახელადაც დასტურდება ქვ. შარახევში, საქერეების ტერიტორიაზე.

გორანას წყალ-ი მდინარე, ხევი; შარახეულას ერთ-ერთი შენაკადი.

გორგიაანთ ახუებ-ი სათიბი, საძოვ. (ვერხვ.).

გორგის ახო ახო, საძოვ. (ალოტი).

გორგოთა ველტყიანი ადგილი (გორანა). გ. ტყიანი გორაკის სახელად გვხვდება აგრეთვე ს. დულუზაურებში. ეს სახელწოდება საკმაოდ ხშირად გვხვდება მეზობელ მცხეთის რ-ის მიკროტოპონიმიაშიც. გორგოთ-ი, გორგოთის სერი დასტურდება ქ. მცხეთის შემოგარენში ([91]46); ს. მარტყოფში დადასტურებულია ადგილის სახელი **ებილაანთ გორგოტ-ი** (უ. სახლთხუცეშვილი), რომელიც იმავე **გორგოთ-** ფუძეს აღგვადგენინებს.

გორგოთეებ-ი გორაკები (საყდრ.). ამოსავალია გორგოთა (გორგოთა-ებ || გორგოთე-ებ-ი). (იხ. გორგოთა).

გორდაგორებ-ი სძოვ. მინდვრები (ღულელ.).

გორშევარდენ-ი მაღალი, წოწოლა, ლაბაზი, გორაკი: სალოცავი (ხევ. სოფ.) „შევარდენივითა ზის, იტყვი, უბადა აფრინდესო“ (ხობე ჯამაგიძე).

გორჩალელთ ახო სათიბი (ღულელ.). „ქისტაურები ყოფილან და გორჩალელთ ახო კი უძახნიათ“ (გ. ქისტაური). პირველი ფუძისათვის ამოსავალია სოფლის სახელი **გორჩალა** (ვორის ჩალა?), რომელსაც შემდგომ ადამიანთა სადაურობა-წარმომავლობის **-ელ** სუფიქსი და კუთვნილების **-თ** სუფიქსი დართვია.

გორხევ-ი ადგილი ერწოში. აქაა ძველი კუპრიაანთკარის ნასოფლარი. „გორის ხევი“.

გოქშოიანებ-ი საძოვ., სახნ. (ჰურჯ., ტ. სოფ.). ტოპონიმი გაფორმებულია მცენ. **გოქჩო || გოქშო**-ს სახელწოდების მიხედვით [52]: გოქშო-იან-ებ-ი — ადგილი, სადაც ბევრი გოქშო მოდის“. „გოქშო არი სხვილი, კაჭახივით აიზდება, ყანაში იცის, ნახევარ მეტრამდისინ აიზდება, წაწითანო ფერისია, საქონელი არ ეტანება, კაჭახია, ხოლოთ ეგრე ვირი და ცხენი კი შჭამს“ (ლექსო სანდროს ძე ჰურჭელაური).

გოხიან-ი ტყე (თიან.). გოხი — მსხვილი, დაუშლელი ბელტი, მიწის გორახები.

გოჯიაანებ-ი სოფელი მდ. საგამის ხეობაში (ახალსოფლის სას. საბჭო). აქ ძირითადი გვარია გოჯიაშვილები (აგრეთვე ჯამარაულები), საიდანაც მომდინარეობს სოფლის სახელწოდება. ზოგიერთი წყაროს მიხედვით ამ სოფელს ძველად **ტიგიანები** (||მაღაროული) რქმევია ([76] 170). **ტიგიანები**, სავარაუდოა, **თიგიანები** იყოს (შდრ. გვარი თიგიშვილი), თუმცა შესაძლებელია ეს ძველი **ტიღინაანები-ს** დამახინჯებული ფორმაც იყოს. იმავე წყაროს მიხედვით სოფელს ადრე **წრიანებ-ი** რქმევია (პარალელური ფორმაა **მაღაროული**) ([67]168). **მაღაროული** უეჭველია ვახუშტისეული **მაღარულ-ი** უნდა იყოს, რომელსაც იგი სწორედ ს. ჩაბანოს გვერდით ასახელებს ([22]206). სხვა ოფიციალური წყაროს მიხედვით ს. გოჯიაანებს ჩვენი საუკუნის დასაწყისში **თალანებ-ი** (ალბათ: **თალაანებ-ი**) რქმევია ([68]52). ამ სახელწოდებისათვისაც გვარი „თალაშვილი“ (შდრ. თარაშვილი) ჩანს ამოსავალი.

გოჯიაანთ ნაწისქვილარი ადგილია დ. თიანეთის კულტურისა და დასვენების პარკში, მდ. ივრის პირას, ე. წ. კუჭბაღში; ნამდინარევი, ნარუვალი ადგილი.

გრძელველებ-ი სოფელი ერწოში (სიონმშენის სად. საბჭო). დასახლებულია ხევსურებით. ადგილობრივ: „გძელველები".

გუბა ადგილი, საძოვ. (საჭურე). „იტყვიან, გუბათ ბოლოს ვიყვენითო" (მზ. ჭინჭარაული).

გუბეებთავ-ი ადგილი ს. ბადაანებში ადგ. ბზიანთველის ახლოს. აქვეა ისტორიული ძეგლი **გუბეებთავის საყდარი.**

გუბიანა ადგილი, სველი, ტალახიანი მინდორი (მაგრ.).

გუგლიაანთკარ-ი სახნ., საძოვ. (ხოფცა). „გუგლიაშვილების სოფელი".

გუგუდა ს. მაგრანეთის ერთ-ერთი უბანი. აქვეა მიკროტოპონიმი **გუგუდაანთ ბოლო** (სახნ., საძოვ.), ხოლო ს. წყაროთუბანში — **გუგუდაანთ ნაბინავრები** (ტყე). ამოსავალია ანთროპონიმი „გუგუდა || გუგუტა".

გუგულთ მზვარე ველტყიანი ადგილი (სახევი). ამოსავლად უნდა ვივარაუდოთ ადამიანის საკუთ. სახელი გუგულა: გუგულ[ა]თ მზვარე. ს. ქუშხევში ტყის სახელად დასტურდება **გუგულის მზორე** (ამ შემთხვევაში, ალბათ, ფრინველის სახელი ივარაუდება).

გუგუჩაანთ ახო საძოვ., სახნ. (გორ.).

გუდამაყრებ-ი მთა, ტყიანი მასივი, სახნავ-სათესი ველებით (ბოჭორმა-ომარაანების ჩრდ.-აღმოს. მხარეს). როგორც ჩანს ეს მინდვრები თავდაპირველად აქ საცხოვრებლად გადმოსულ გუდამაყრელთა საკუთრება იყო. ს. ევექნტში, მაგალითად, საძოვარ-სახნავი მინდვრების სახელად გვხვდება გუდამაყრელთ მამულები.

გუდანელებ-ი სოფელი (ღულელების სას. საბჭო). სახელის წარმომავლობა ნათელია: გუდან-ელ-ებ-ი „ს. გუდანიდან (ხევსურეთი) საცხოვრებლად გადმოსული ხალხი (შდრ. ღულ-ელ-ებ-ი). ადგილობრივი ტრადიციით: **კოკოთსოფელი.**

გუდულის კლდე კლდე, ჩანჩქერი (ქუშხ.): „ერთი სამი მეტრა იქნება, კლდე არი, წყალი გადმოქუხს; ხევისბერი იყო, გუდული ჰქვივნებია, ის გადავარდნილა იქა" (ს. კუდიანაშვილი).

გუზუმბათ-ი მთა, საძოვ., სახნ. (საკრ.). ადგილობრივ გავრცელებულია ეტიმოლოგია, რომლის მიხედვითაც გ. ადამიანის საკუთარ სახელს უკავშირდება: „ხარანაული ყოფილა, შვილი მაუნათვლინებია მანდა, ეხლაც არი მანდ ეკლესია, და გუზუმბათი დაუძახნია" (ზ. ბადრახიშვილი). ტოპონიმის შინაარსი საკვლევია.

გულბათის გორ-ი სახნ., საძოვ. (სახევი).

გულიათ ახო საძოვ. (თეთრ.).

ღულიათ ბოლოებ-ი მინდორი, ჯაგნარი (მაგრ.).
გულოიანთ ახოებ-ი სახნ., საძოვ. (ჭებ.).
გულქანას ნაქოხვარ-ი სათიბი, საძოვ. (ქუშხ.). „ადგილი, სადაც გულქანს ქოხი ჰქონია გამართული“.
გურგალველ-ი საძოვ., სახნ. (საყდრ., თიან., ტუშ., სიმ. ხევი).
გურგალთხილიან-ი ახო (დულუზ.). „გურგალი (მრგვალი) მინდორი, სადაც ბევრი თხილის ბუჩქი იზრდება“.
გურიელის მოხვეულებ-ი — საძოვ., ტყიანი ადგილი (ალაჭ.).
გრძელეებ-ი — ვრცელი სახნავ-სათესი მინდვრები (ღულელ.).
გრძელველ-ი || **გრძელველებ-ი** — სოფელი ბოჭორმის ჩრდ.-აღმოს. მხარეს, წმ. გიორგის ეკლესიის აღმოსავლეთით. „პატარა სოფელია, სამიოდ კომლი-ღა რამ არის კობაშვილები და ქისტაურები“ (ა. ხუბაშვილი).
გძელათა გზისპირა მინდორი (ქვ. არტ.); ეგევე ტოპონიმი დადასტურდა ს. თეთრაულშიც.
გრძელპანტიან-ი მინდ., სახნ., საძოვ. (ჩეკ. გორი).
გრძელყანან-ი საძოვ. (საჭურე). „გრძელი მინდვრები“ (ყანა-მინდორი) „გრძელყანათში მყაუდა საქონიო“ (მხ. ჭინჭარაული).

დ

დაბალახო სახნ., საძოვ. (ნად.).
დაბლა ჭალებ-ი სათიბი (მამად.).
დავითთ ახო სათიბი (ღულელ.).
დათვიანხევ-ი ხევი, პატარა ნაკადული; ერთვის მდ. სიმონიანთხევს.
დათვის წყარო წყარო (საყდრ.).
დათვის ხევ-ი პატარა წყლიანი ხევი (ბოჭ.).
დათიკოთ ნაწისქვილრებ-ი საძოვარი მდ. აძეძის პირას (გუდან.).
დათუნაშვილის ნასაკირევალ-ი ველტყიანი ადგილი (ბად.).
დაკაფულთელა სახნავი, საძოვ, ტყიანი ადგილი (ჭებ.).
დაკიდებულველ-ი სათიბი, საძოვ. (ყუდრო). „ფრიალო, ჩამოქანებული ადგილი“.
დაკლაანთ ახუებ-ი საძოვ., სახნავი მინდ. (დულუზ.). სახელწოდება-სათვის ამოსავალი ჩანს ადამიანის სახელი **დაკლა** (|| დაკლაშვილი).
დალაქშაქროს ნაწისქვილარ-ი ადგილი დ. თიანეთში, კუბაღში (იხ.). „დალაქ შაქრო“ პიროვნული სახელია.

დამასტე მთა, საძოვარი, ძველი ნასოფლარი მდ. ივრის სათავეებში (ჭიაურა). სარწმუნო ეტიმოლოგია ცნობილი არ არის. შეიძლებოდა დაგვეშვა პირის საკუთ. სახელი დამასტე (|| დემესტე) ([29]55), მაგრამ თითქოს უფრო სარწმენო ჩანს თეონიმი — დ ა მ ა ს ტ ე, რომლის სახელობის ხატ-სალოცავები საკმაოდ ხშირად გვხვდება არაგვის ხეობის ფშავში (მათურხევი). დამასტე წმ. გიორგის და მარიამწმინდის სახელობის ხატია. მას ამინდის, დარ-ავდრის მოწესრიგება ევალება. მისი დღეობა იმართება გაზაფხულობით, ყველიერის კვირა დღეს ([4]60).

არაგვის ხეობის ფშავში ცნობილია ხატობა **დამასტური**, რომელიც, ფ. მაკალათიას სწორი განმარტებით, სოფ. დამასტეს კუთვნილ ხატს ნიშნავს: **დამასტ-ურ-ი** ([47]135). „დამასტედან „გადმობრძანებული“ ხატი“.

დამასტურა მდინარე, ხევი. მდ. საგამის მარჯვ. შენაკადი. „ს. დამასტეს მდინარე“.

დამასტურთ გორ-ი გორაკი (ქუშხ.).

დამბაჩა ველ-ი სახნ., საძოვ. (ქებ.). „მოხრილია დამბაჩის ტარივით“.

დამდგარის ახო ახო, საძოვ. (ქებ.). „დამდგარი“ ადამიანის ფშაური ზედმეტი სახელია: „ზარმაცი, ტლანქი, ფეხაუჩქარებელი კაცი“.

დამწვართსოფელ-ი სოფელი ერწოში, იგივე **კვირიასხევ-ი**. ზოგიერთ ოფიციალურ წყაროში **დ.** რატომღაც ნასოფლარადაა წარმოდგენილი და მცდარი **კვირიასა ხევ-ი** ფორმით მოიხსენება ([76] 177).

დამწვართტყე მინდორი, ნატყევარი ადგილი (ბალ. ხევი). ტოპონიმს ადგილობრივ ხანძართან აკავშირებენ, მაგრამ მოსალოდნელია მისი ანთროპონიმული წარმოშობა (შდრ. დამწვართ სოფელი).

დაუუდებულახო სახნ., საძოვ. (გორ.).

დგნალიან-ი სახნავ-სათესი მინდ., საძოვ. (ხევ. სოფ.). მცენარე დგნალი აქაურ მიკროტოპონიმიაში საკმაოდ ხშირად გვხვდება.

დედახვთისა სალოცავი (ქებ.). „ეგ არი იხინჭის გორახე“ (ნ. ბადურაშვილი).

დედოფლისწყარო წყარო (წიკვლ.).

დევენაანთხევ-ი სოფელი ერწოში (ხევსურთსოფლის სას. საბჭო). დასახლებულია საკუთრივ თიანეთელებით და გუდამაყრიდან გადმოსახლებული მთიულებით. ტოპონიმი **დ.** ანთროპონიმული წარმოშობისაა. ამოსავალია პიროვნული სახელი **დევენა**, რომლისაგანაც პატრონიმული გვარი დევენა-ან-ი (←დევენა[ს]-შვილი) გაფორმებულა.

დევთნასოფლარ-ი (|| დევთნასახლარებ-ი) ადგილი ს. ქუშხევში (იხ.).
დევის სკამ-ი სალოცავი ადგილი, ხატი (ნასოფლ. ბეღელ.).
დვარეცებ-ი ადგილი ხაწირის მთაზე (თიან.). რუს. „Дворец".
დიაკვნის წყალ-ი წყაროები (ზ. არტ.). „სისაური ყოფილა დიაკვნადა, იმას გამოუგუბებავ" (ი. კუდიანაშვილი).
დიდახო სახნ. მინდორი (ტუშ.). ეგევე სახელწოდება ხშირად გვხვდება მთელს ერწო-თიანეთში.
დიდბატონ-ი ხატი, სალოცავი ადგილი (დ. ხევი, საყდრ.).
დიდბატონთ ხატ-ი რელიგიურ-საკულტო ადგილი, ნაგებობა ს. საყდრიონში, ე. წ. ლომისას გორის ჩდრ. -დასავლეთით.
დიდბექისთავის წყარო წყარო (ლელ.).
დიდგორის ხევ-ი ადგილია ს. ბაღიანებში (თიან.).
დიდგულიან-ი მინდ., საძოვ. (ბოკ.). ამოსავალია მცენ. დიდგულას სახელწოდება. იგი თიანეთში უპირატესად **დუდგულა**-ს სახით გვხვდება, რაც კახური და ფშაური დიალექტების თავისებურების შედეგია. ხევსურულმა **დუდგულა** ფორმა არ იცის და ეს ასახულია კიდევაც ხევსურებით დასახლებული სოფ. ბოკონის მიკროტოპონიმიაში.
დიდდაბალ-ი დაბლობი ადგილი, ნარგაკები (ღულელ.).
დიდველ-ი სახნ., სათესი, საძოვ. მინდვრები (გორ., დორ.).
დიდთხილიან-ი ჭალა, მინდორი (დორ.). ს. საჯინიბოში მინდვრის სახელად დასტურდება დიდთხილიანები.
დიდი ბერტყე ტყე (ძებნ.).
დიდი გარეჯა მთა, საძოვ., სათიბები მდ. ივრის ზემო წელზე.
დიდი თავსველ-ი ველტყიანი ადგილები (სიმ. ხევი). „მამულები, რომლების ზემო მხარეს მდებარე ადგილებში წყლები გამოდის, დაჭაობებულია".
დიდიკლდისთავა ტყე (ქვ. ნაქალ.).
დიდმიადნებ-ი ველტყიანი ადგილები (ყუდრო). **მიადანი** მოედანი-ს ხევსურული ფორმაა ([108]224, 279).
დიდმაყვლიან-ი მინდ., საძოვ. (ბალ. ხევი).
დიდმზორე ტყე (წიკვლ.).
დიდნაკაფ-ი ტყე (დ. ხევი).
დიდნასოფლარებ-ი მამულები, საძოვარი, ნასახლარები (ორხევი).
დიდნაყორ-ი ტყე, ნასახლარი ნაშთები (ქუშხ.).
დიდრიყე მდ. საგამის რიყე, ჭალა (ახ. სოფ.).
დიდრუვ-ი ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული სახელწოდე-

ბა ერწო-თიანეთის მიკროტოპონიმიაში (საკრ., იარაჯ., ჭუშხ., ზ. არტ.).

დიდქვა ადგილი მდ. საგამის ჭალა, რიყე (ახ. სოფ.).

დიდწვრილიან-ი ტყიანი ადგილი (ტუშ.).

დიდჭუანტ-ი საძოვარი (საკრ.).

დიდხევ-ი მდინარე, ხევი, მდ. აძეძის მარცხ. შენაკადი (საყდრ.).

დიდხევ-ი მდინარე, ხევი. იგივე ევენტისხევი; ერთვის მდ. ალოტისხევს (ევე.).

დიმიტრის ნაგლეჯ-ი ტყიანი ადგილი (ყუდრო).

დიღმელაურ-ი (‖დიღმელაურა) — ყოფილი სოფელი ერწოს ველზე. იგი დაფარა სიონის წყალსაცავმა. გაშენებული ყოფილა მდ. ივრის პირას. ზოგიერთ წყაროში ს. დიღმელაური წარმოდგენილია **-თა** სუფიქსით: **დიღმელაურთა** ([76] 165). ტოპონიმი აშკარად ანთროპონიმული წარმოშობისაა. დიღმ-ელ-ა („ს. დიღმიდან აქ საცხოვრებლად გადმოსული ადამიანი"). სხვათა შორის ამგვარი მიგრაციის შემთხვევა დოკუმენტობრივ არის ასახული ძველ საისტორიო-ეკონომიკურ წყაროებში: XVIII ს. I მეოთხედის კახეთის ხალხთა აღწერის მასალებში (ქალეთის აღწერის დავთრები) მოხსენიებულია ვინმე პაპუას ყმა დ ი ღ მ ე ლ ი დემეტრე ([112] წ. I). ზედწოდება **დიღმელი** ‖ **დიღმელა** ამოსავალი გამხდარა შემდგომ სოფ. დიღმელაურის სახელწოდებისათვის: დიღმ-ელა-ურ-ი „დიღმელი კაცის კუთვნილი ადგილი".

დიყელა ადგილია არტნის ზემოთ, ე. წ. ივრის კუდებში. შეიძლებოდა ამოსავლად გვევარაუდა **დიყ-ყელა** (‖ დიყთ ყელა), ან ნაკლებმოსალოდნელი **დიდ-ყელა**. იქნებ: **დიყ-ელა** „დიყიანი"?

დიყიანჭალა ტყე, ველები (სახევი).

დოიასფერდის ძირ-ი ჯაგნარი ადგილი (დორ.) დოია ადამიანის საკუთ. სახელია (შდრ. გვარი დოიაშვილი).

დოლაანთ ღელე საძოვ., სახნ. (დულუზ.).

დოლიაანთ პანტებ-ი სახნავი, საძოვ. (ქებ.).

დოლიძიანთ ხატ-ი, ხატი, ადგილი (საყდრ.).

დოლოშა მთა, საძოვ. ტყე დუშეთისა და თიანეთის რაიონების საზღვარზე. ეტიმოლოგია უცნობია.

დოლოშის ყელებ-ი მთა, ტყიანი გორაკები, გადასასვლელი დუშეთის რაიონში (წიკვლ.).

დონდუაანთ ახო სახნ., საძოვ. (ნად.).

დორეულებ-ი სოფელი ერწოში (ბევსურთსოფლის სას. საბჭო). **დ.** „დორეულების სოფელი“. თვითონ გვარი **დორეულ**-სათვის ამოსავლად შეიძლება ისიდორეს შემოკლებული ფორმა **დორე** ვივარაუდოთ (შდრ. ს. **დორეთკარი** ლენინგორის რაიონში, რომელშიც საკუთ. სახელი **დორე** აშკარაა). ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში დორეულებს **ჰურჰლიანთკარი** რქმევია ([68] 52), თუმცა მიუთითებენ, რომ მას **ჰუჰულიანთკარი** ეწოდებოდა.

დოჯურთ მამულებ-ი საძოვ., სახნ. (ქუშხ.). „დოჯურიშვილების კუთვნილი მიწები“. **დოჯური** ადამიანის გამოცვლილი სახელია, ნიშნავს „ხის ბეჭი“ ([21] 349).

დრუზეს ახო ჯაგნარი ადგილები, საძოვ. (ველები).

დულუზაურებ-ი სოფელი თიანეთში (არტნის სას. საბჭო), ძველი არხალი, ჯაბაწიანები ([68] 52). „უკანაფშავის ხალხმა დულუზაური არ იცის, ისევ არხალიო, ჯაბანიანებიო, — იტყვიან“ (ი. კუდიანაშვილი). ტოპონიმისათვის ამოსავალია გვარი დულუზაური. ვახუშტი იცნობს სოფ. არხალს, ოღონდ **ახრალ**- ფორმით ([22] 206). დულუზაურები ძველ არხალს XX ს-ის დასაწყისში შერქმევია.

ე

ედემ-ი ასეთი გეოგრაფიული პუნქტის (სოფლის) ერწოში არსებობაზე მიუთითებს საქართველოს ისტორიისა და ისტორიული გეოგრაფიის სპეციალისტ-მკვლევართა ერთი ნაწილი.

ედემი-ს სოფლის. დაბის საკუთარ სახელად გაგებას დიდი ხნის ისტორია აქვს. ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში გამოცემულ წიგნში „ცხოვრება ქართველთა განმანათლებლის წმ. ნინოსი“ (გამოცემული რ. ბარამიძისაგან) აღნიშნული იყო, რომ წმ. ნინოს ერწო-თიანელნი დაბა ე დ ე მ ს დაუნათლავს.

ზოგიერთი მკვლევარი სოფ. ედემის ერწოში არსებობას იმდენად უეჭველ ფაქტად თვლის, რომ მას ჟალეთთანაც კი აიგივებს ([41] 158, 174). ედემი ერწოს ერთ-ერთ კუთხედ, ნაწილად აქვს გაგებული ს. კაკაბაძესაც. იგი წერს: „ერწოს ნაწილი ყოფილა ედემი და ედემში მდებარეობდა ჟალეთი...“ ([33] წ. IV, 3). შეცდომის წყაროდ ქცეულა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ცნობილი ციტატის — **„გარდავიდა ერწუდ და დადგა ჟალეთს**

დაბასა ედემსა და ნათელსცა ერწუთიანელთა...“-ს არასწორი წაკითხვა. საქმე ისაა, რომ გამოთქმა „დაბასა ედემსა“ მკვლევართა ერთმა ნაწილმა გაიგო როგორც „სოფელსა ედემსა“ (!) ფაქტიურად ე დ ე მ ი აქ **ჟალეთის საზღვრულია**. მაშასადამე, აღნიშნული ციტატა უნდა გავიგოთ ასე: წმინდა ნინო... „გადავიდა ერწოში და დ ა დ გ ა ჟ ა ლ ე თ ს, ე დ ე მ ი ს მ ს გ ა ვ ს დ ა ბ ა შ ი და ნათელსცა ერწუთიანელთა...“

ამ შემთხვევაში მემატიანე ხაზს უსვამს შეასაუკუნეების-დროინდელი ჟალეთის ეკონომიკურ აყვავება-სიძლიერეს, ადარებს რა მას ედემს, ზღაპრულ მხარეს. სოფელ ედემის ერწოში გულვება კი, რა თქმა უნდა, არ შეიძლება.

ევუენტ-ი სოფელი თიანეთის სადაბო საბჭოში. დასახლებულია ხევსურებით. ვახუშტი ამ ტოპონიმს რატომღაც არ ასახელებს. თუმცა იგი XVI ს-ის ქართულ ეკონომიკურ ძეგლებში უკვე იჩენს თავს **ევუეტი**-ს ფორმით: „ალექსანდე [კახთა] მეფემ სვეტიცხოველს დაუმტკიცა ძველად შეწირული სოფელი ევქეტი“ ([50] 78). მაშასადამე, სოფელი ევქეტი უფრო ადრე, ალბათ XIV-XV სს-ებში, სვეტიცხოვლის კუთვნილი სოფელი ყოფილა. ფუძეში **ნ**-ს განვითარება გვიან ჩანს მომხდარი. ტოპონიმის ეტიმოლოგია საკვლევია.

ეკალა ტყიანი მთა (ომარ.). ვრცელდება ადგილ „გუდამაყრებამდე“. ეკალ-ა — „ეკლიანი ადგილები“.

ეკალდამა ტყიანი გორაკი: ნასახლარ-ნაყორი ადგილი (საჯინ.). ტოპონიმი ე. საჯინიბოში ხევსურთა ოდინდელ მოსულობაზე მეტყველებს. ეკალდამა — აკლდამა, სამარხები (ზოგადად: გამოქვაბული ადგილი) ტოპონიმი ეკალდამა დადასტურებულია ს. მაგრანეთშიც. „კლდე არი დიდი; ადრე ბალღები შავდიოდით და სკოლისათვი ცარცი გამოგვქონდა. ეხლა მაგ ადგილს არხეოლოგები ჰთხრიან“ (ა. ფეტვიაშვილი).

ეკლოვნის გორ-ი საძოვარი (ზ. არტ.). ამოსავალი (ძირითადი, პირველადი) ფორმაა ეკლოვანა — ეკ[ა]ლ-ოვან-ა „ეკლიანი ადგილი“.

ელიას ნიშ-ი მთა, საძოვ., ხატი (ზ. არტ.). ღვთაება ელიას სახელობის ნიში, სამლოცველო ადგილი.

ერწო ვრცელი ტაფობი თიანეთის რაიონში; მდ. აძეძის ხეობა. იგი მდებარეობს ზღვის დონიდან დაახლ. 1020 მ სიმაღლეზე. ერწოს ვაკე სიგრძით 12 კმ-ს აღწევს, დასავლეთით მისი სიგანე 5 კმ-ს

შეადგენს, აღმოსავლეთით კი, დაქანებასთან ერთად, თანდათან ვიწროვდება და წყდება ვეძათხევა-ნაქალაქრების ტერიტორიაზე; ე. ერთ-ერთი უძველესი, წარმოშობის თვალსაზრისით მეტად საინტერესო ტოპონიმია თიანეთის რაიონში. მხარის, კუთხის სახელწოდებად ერწო, თიანეთთან ერთად, ჯერ კიდევ უძველესი ხანის ქართულ საისტორიო წყაროებში მოიხსენიება: „... გარდავიდა ერწუდ და დადგა ჟალეთს, დაბასა ედემს, და ნათელსცა ერწუთიანელთა...“ ([30] 89Ⴓ). ლეონტი მროველისეული „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ერწუ-ს ნაცვლად შედარებით გვიანდელი გაფორმების ერწო-ს იცნობს ([84] ტ. I. 126,1). ბველ ერწუ-ს ერწო-დ მოიხსენიებს აგრეთვე თამარ მეფის ისტორიკოსი ([84] ტ. II. 111).

ტერიტორიულად ერწოს ადრინდელ საუკუნეებში უფრო ვრცელი ფართობი სჭერია; იგი მოიცავდა დღევანდელი მცხეთის რაიონის ზოგიერთ სოფელსაც კი (ბოკოწინი, ბიწმენდი, ზაქარო...).

ერწო ეტიმოლოგიური თვალსაზრისით მრავალი სპეციალისტის ყურადღებას მიიპყრობდა და მიიპყრობს. ჯერ კიდევ ნ. მარი გარკვევით მიუთითებდა ერწო-ს ჩაჩნურ ეთნიკურ **წორ**-თან შესაძლო კავშირის შესახებ ([48] 28, 31).

ქსან-არაგვ-იორის ხეობებში მდებარე ტერიტორიაზე ჩაჩნური ტომების ოდინდელ ბინადრობაზე მიუთითებს და ჩაჩნური ენის მასალის გათვალისწინებით არაერთი აქაური ტოპონიმის ახსნას ცდილობს ვ. გამრეკელი [9]. ძალზე არსებითია, რომ ა. შანიძე ტოპონიმ ერწოს ბაცბური წარმოშობის სახელად თვლის და მას „ტბას“ უკავშირებს. როგორც ცნობილია, ეს ვარაუდი შემდგომ ნ. ბერძენიშვილმაც სარწმუნოდ მიიჩნია ([7] 117).

ტოპონიმ „ერწო“-ს ჩაჩნურ სატომო სახელ **წორ-** || **წოვ**-თან კავშირი საოუო ჩანს. დამაჯერებლობა აკლია ერწო-ს ბაცბურ ტბასთან (ღრმული, ქვაბული?) დაკავშირებასაც. მართალია, ხევს. ერაწ-ი და თუშ. ერაწუნაცი („პატარა ქვაბი“) ფორმებისათვის ამოსავლად ნახური **ჰერწ** („ქვაბი“) ითვლება (თ. უთურგაიძე, ალ. ჭინჭარაული), მაგრამ ძნელია ვირწმუნოთ, რომ **ჰერწ**- ფუძის ეს მნიშვნელობა მთელი მხარის აღმნიშვნელ ტოპონიმს (ერწუ) დაედო საფუძვლად. თანაც ასახსნელი რჩება ბოლოკიდური **-უ** ხმოვნის წარმომავლობა. რამდენადმე უფრო სარწმუნოდ შეიძლებოდა ჩაგვეთვალა **ერწუ**-ს ნახურივე **ჰაერწდარ** („მობრუნება“) სიტყვისაგან მომდინარეობა. პირიქი-

თი ხეობის თუშეთში, მაგალითად, არსებობს ტოპონიმი **დოჰერწუეი**, რაც „ცხენმოსაბრუნებელ ადგილს“ ნიშნავს (ბაცბ. დო „ცხენი“ და ჰაერწარ „მობრუნება“ ([79] 101, 192). შეიძლებოდა დაგვეშვა, მაშასადამე, ერწო-ს ოროგრაფიული წარმოშობა: ერწუ — „საქცევი“, „(მი)საბრუნი“, „(მი)საქცევი“?

სხვა ვარაუდებიდან უნდა აღინიშნოს კ. ჰანის მოსაზრება ერწო-ს მცენარე **ერწო**-ს სახელწოდებისაგან ჰომდინარეობის შესახებ. ასევე მცენარე ცირცელის სახელწოდებისაგან წარმოქმნილ ტოპონიმად მიაჩნია ერწო გ. ზარდალიშვილს: **ერ-წო**, სადაც **ერ-** თურმე ადგილმდებარეობას აღნიშნავს, **წო** კი — მცენ. ცირცელს (!) (მთიულ., მოხ., ფშ., ღორო || მწორო?) (იხ. გაზ. „ახალი თიანეთი“, № 87, 20 VII. 1972).

აღნიშნულ თვალსაზრისს, ბუნებრივია, აკლია დამაჯერებლობა. ადგილობრივ გავრცელებულია ხალხური ეტიმოლოგია, რომლის მიხედვითაც ერწო „ერწება“, „ერწევა“ ზმნურ ფორმებს უკავშირდება: ამ ადგილას წინათ დიდი ტბა მდგარა, მას ნაპირებზე მაღალი ჩალა იზრდებოდა და ქარი რომ დაუბერავდა, სულ ერთიანად ერწეოდაო (ტ. ობგაიძე).

უნდა დავუშვათ ტოპონიმ ერწუ-ს მომდინარეობის კიდევ ერთი ჩვენი ფიქრით, ყველაზე სარწმუნო ვარაუდი, რომლის თანახმადაც ჰერწუ (←ჰერწო || ერწო) კომპოზიტად შერწყმული არაქართული (ნახური) წარმოშობის ტოპონიმი უნდა იყოს. იგი მიღებული ჩანს **ჰერ-** და **-წუ** ფუძეებისაგან, რომელთაგან პირველი ეთნიკური **ჰერ-ი** ჩანს (შდრ. ჰერ-ეთ-ი), ხოლო მეორე — ასევე ნახური (ბაცბური) **წიუ** (წა || წაჲ || წუ) ფუძე, რაც ნიშნავს: **ღმერთი, ღვთაება** (გადატ. **ღვთის სახლი, ეკლესია**) ([95] 487).

მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ ჰერწუ (← ჰერ+წუ) ქართულად ნიშნავს **„ჰერების სალოცავი“**, (ჰერების წუ), **„ჰერების ეკლესია“**. ამგვარი სახელის წარმოშობას, უეჭველია, ხელს შეუწყობდა ამ არეალში ქრისტიანული სარწმუნოების ძლიერი ცენტრის (ნოკორნა || ნოტკორა, არჩილის ეკლესია, ჟალეთი, სიონი...) არსებობა. ტოპონიმმა **ჰერ-წუ-მ**, ეტყობა, შემდგომ მნიშვნელობა გაიფართოვა და იგი მთელი კუთხის აღმნიშვნელ სახელად იქცა. სხვათა შორის, **ჰერწუ** ჩანს ამოსავალი ტოპონიმ **ჰერწუხი-სათვისაც**, რომელიც, ალბათ, ასევე ბაცბურად **ჰერეთის სალოცავის წყალს** ნიშნავს: **ჰერ-წუ-ხი**. შესაძლებელია, ჰერწუხი მდ. ივრის ყველაზე ადრინდელი, არაქართული სახელწო-

დება იყოს. თუ კი ამ თვალსაზრისს გავიზიარებდით, მაშინ დავით აღმაშენებლის მიერ 1104 წ. გამართული ცნობილი ჰერწუხის ბრძოლა განძის ათაბაგის წინააღმდეგ ივრისპირეთში, მდ. იორზე მომხდარა და არა საინგილოში, როგორც ეს სპეციალურ ლიტერატურაშია შენიშნული.

ეღუელათ ახო ახო, საძოვ., სახნ. (ლიშო). ტოპონიმი გვაროვნული (პატრონიმული) წარმოშობისაა და ნიშნავს: „ეღუელას შთამომავლების კუთვნილი ახო". თვითონ **ეღუელა** აშკარად მიუთითებს ხევსურეთის სოფელ **ეღო**-დან წამოსულ, საცხოვრებლად სხვაგან დასახლებულ ადამიანზე: ეღო-ელ-ა—ეღუ-ელ-ა.

ეშმაკგორ-ი პატარა ბორცვი, გორაკი ს. თრანში, ე. წ. ხიმშირიანთუბანში.

ეშმაკთ ბოგირ-ი ადგილი, მინდორი ს. გუდანელების თავზე (ხად.).

ეშმაკთ ხევა ხევი, წყალი, რუვი (ქუშხ.).

3

ვაზიანა ველტყიანი ადგილი (თ. ხევა). „ამას ჩვენ ვეტყვით ვაზიანა ველასაც. პირმზითი ალაგია, ქვევრი ამოდის, ნაყორია" (ივ. არჩემაშვილი).

ვანათის თავ-ი სახნ. მინდვრები (დორ.).

ვანათის წმინდაგიორგის ეკლესია — ძველისძველი საკულტო ნაგებობის ნანგრევები, მდებარეობს ს. დორეულების ჩრდილოეთით (იგივე ვანათის ხატი).

ვაჟას წყარო წყარო დ. თიანეთის მისასვლელ გზაზე. „წინათ მაგ წყაროსთვი უძახნიათ ეშმაკების წყარო" (ანზორ 'მუშანაშვილი).

ვაჟიათ ნაჭერებ-ი სახნავი მინდვრებია (ნაჭრ., ალოტი).

ვაჟიკაის ნასახლარ-ი მინდ., საძოვ. (ქუშხ.).

ვაჟიკაის ტაფ-ი ჩავარდნილი ადგილია ს. სახევში (ზემოარტნის სას. საბჭო). „ეგ არის სახევისთავის გორაზე, საშვლიას თავზე".

ვარდისუბან-ი მინდორი, სახნ., საძოვ. (თ. ხევა). „კაი დიდი მამულია, — ეგრე 20-22 ჰექტრამდისინ იქნება. ყაყაჩო იცოდა ბევრი, გადაიღეღებოდა წითლადა, გლეხობა ვარდს ეძახდა ყაყაჩოსა" (ი. თიაბაშვილი).

ვარცლა მინდორი, სახნავი, საძოვ. (ქებ.).

ვარცლის გადასასვლელ-ი ტყე, გადასასვლელი სოფ. ვარცლასკენ (ვარცლა სოფელია დუშეთის რაიონში).

ვასოს ნაკაფ-ი სახნ., საძოვ. (ღულელ.).

ვასოს ნაქერალ-ი საძოვარი (ყუდრო). „მინდორი, რომელზედაც ვინმე ვასოს უწინ ქერი ეთესა“.

ვაჩნაძეების ხატ-ი სალოცავი (ტუშ.).

ველა პატარა სახნავ-სათესი მინდვრები (ჩეკ. გორი). „ბატარა ველა რამა გდია“ (ი. ხუმარაშვილი). ვ. ადგილის სახელად ს. საჯურეშიც გვხვდება. „ველათში ვიყავო, ვიტყვით“ (ჰზ. ჰინჭარაული).

ველაკა სახნ., საძოვ. (გორ.).

ველებ-ი სოფელი, დასახლებულია ხევსურებით (თიანეთის სად. საბჭო).

ვერხველ-ი სოფელი ზემო თიანეთში მდ. ვერხველას ხეობაში (ზარიძეების სას. საბჭო). დასახლებულია ფშაველებით და თიანეთელებით. ადგილობრივ გავრცელებულია ეტიმოლოგია: „ვერ ახველი“, თუმცა აშკარაა ამგვარი ახსნის ხელოვნურობა. მოსალოდნელია: ვერხვ+ველი „ვერხვთ ველი“ ან: „ვერხვიან-ველი“. ძალზე საყურადღებოა, რომ ს. ვერხველის ძველ სახელწოდებად ვახუშტისეულ **ცხვინჯეთს**, აგრეთვე, **ბარტოხევს** ასახელებენ ([76] 164).

ვერხველა მდინარე, ხევი, ერთვის მდ. ქუსნოს (მარცხ. შენაკადი). მდინარის სახელწოდების მიხედვით არის გაფორმებული სოფლის სახელი ვერხველი.

ვერხველთ თავ-ი მთა, საძოვარი (ვერხ.).

ვერხვიან-ი ტყის სახელწოდებაა ს. სიმონიანთხევში, ახალსოფელსა და წიკვლ. კარში; სახნავი მიწდვრის სახელად გვხვდება ს. თოლენჯში, ს. ზარიძეებსა და ს. ზემოშარახევში, აგრეთვე, ს. დულუზაურებსა და ს. ლიშოში.

ვერხვიანის გამოსავლებ-ი გზა, პატარ-პატარა ველები (ზ. შარახ.).

ვერხვიანხევ-ი მდინარე, ხევი: მდ. ხოფცის (იხ.) მარცხ. შენაკადი.

ვეძათხევა სოფელი ერწოში (ხევსურთსოფლის სას. საბჭო). სახელწოდება, უეჭველია, მომდინარეობს აქ არსებული მლაშე მინერალური, ვეძა წყაროების მრავლად არსებობის გამო. ამ არეალში, საერთოდ, ხშირია ვეძა („მლაშე მინერალური წყარო“) სახელისაგან გაფორმებული ტოპონიმები. მეტად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ აღნიშნულ არეალს ჯერ კიდევ შუა საუკუნეებიდან **საძმორე** ეწოდებოდა, გვიანდელ (XVII-XVIII) საუკუნეებში კი — **სავეძო**. ვეძათხევას 1926 წლის აღწერის მიხედვით ერქვა **ვეძათ ხევი** და მას მეორენაირად **ზურაბები** ეწოდებოდა

([68] 52). ზოგი ოფიციალური წყაროს მიხედვით ვეძათხევას უწინდელი სახელწოდება **ვეძები**, აგრეთვე, **უნგაძე** ყოფილა ([76] 166). ვახუშტი იცნობს **უგანაძე** ფორმას, მაგრამ არა გვგონია ამ სახელწოდების ქვეშ იგი დღევანდელ ვეძათხევს გულისხმობდეს. ვეძათხევს ვახუშტის მიერ დასახელებული სოფლის სახელწოდება ტუტალა უნდა ფარავდეს. **ტუტე** ‖ **მტუტე** ქართლურში სწორედ მლაშეს ნიშნავს: „მლაშე კერძზე იტყვიან მ ტ უ ტ ე ა ო; დამლაშებას დ ა მ ტ უ ტ ე ბ ა ს ეძახიან; ძალიან მლაშეს ვეძას ეტყვიან...“ (თ. სალარიძე, ალგეთის ხეობის ქართლური, თბ., 1978, გვ. 152). თვითონ ტოპ. ტუტალა (←ტუტ-ალ-ა)=ტუტიან-ი ადგილი; (შდრ. გორ-ალ-ა).

ვეძებ-ი საძოვარი (მელ. ხ.). „მლაშე წყალი ამოდის“. სახელწოდება „ვეძები“ დადასტურდა ს. ბოჟორმაში, ე. წ. გუდამაყრების ტყეში და ს. საყდრიონში, სადაც ინფორმატორმა ობიექტი ასე დაახასიათა: „ამ წყალზე დადენილა აქლემების ქარავანი, ხმარობდნენ მარილათ და ბევრიც მიჰქონებიათ“ (ვ. დოლიძე).

ვეძიგორ-ი ტყე მლაშე წყაროებით (მელ. ხ.).

ვეძისტყე ტყე, ვეძა, მლაშე წყარო (საყდრ.).

ვიწრო მგლიზურგა ადგილი ტყეში: ველტყიანი საძოვ. (მაგრ.).

ზ

ზაზაანთ ახო სახნ., საძოვ. (დორ.).

ზალაანთ წყარო წყარო (ახ. სოფ.).

ზანზარა კოდა წყარო, ჭაობი-ნი, ბველი ადგილი (ტ. სოფ.). „ადგილია, რო მიხვიდე და დაიდგე და აიქანავდე, ისიც სუ იძვრის. ერთ ათ-თხუთმეტ მეტრომდისინ სუ ქანაობს“ (ლ. წიკლაური).

ზაოტებ-ი ველტყიანი ადგილი (ბად.). ადგილობრივ „ზაოტი“ (←რუს. „завод“) ნიშნავს: არყისსახდელი მოწყობილობა. **ზაოტები**: ადგილი, სადაც შინაურ არაყს, ე. წ. ყიპიტაურს ხდიან (თვითონ სახელწოდება „ყიპიტაური“ წარმომდგარი ჩანს თიანეთის სადაბო საბჭოში შემავალი სოფლის — ყებოტას სახელის მიხედვით: **ყებოტა-ურ-ი→ყიპიტა-ურ-ი**).

ზარიძეებ-ი სოფელი ზემოთიანეთში, სას. საბჭოს ცენტრი. სოფელი დასახლებულია საკუთრივ თიანეთელებით და ფშაველებით. ოიკო-

ნიმი ზარიძეები მომდინარეობს გვარისაგან **ზარიძე**, რომელსაც მოგვიანებით სიმრავლე-კრებითობის **-ებ** სუფიქსი დართვია. ვახუშტი ამ ტოპონიმს **-ებ** ნიშნის გარეშე იცნობს: **ზარიძე** ([22] 206). 1930-იანი წლებისათვის მას **ზემო თიანეთი, ზარიძიანთ კარი** ეწოდებოდა ([68] 51).

ზაქარიასწვერ-ი მთა, ტყიანი ადგილები, საძოვ. (თრანი) შდრ. მცხეთის რაიონის ს. ზაქარო.

ზაქარიებ-ი რელიგიურ-საკულტო ადგილი (ორხ.). „ამაღლება არის, ზაქარიაობა იციან. მაგისი დღეობა მაისში იმართება. „ზაქარიების ხატობაში წავიდეთო“, — იტყვიან. „ზაქარიაობაში ვიყავ“-ო (გიორგი დევერაშვილი),

ზეზეუბან-ი ნასოფლარი (ყუდრო). „სამი-ოთხი კომლი იყო, სუ აქ ჩამოსახლდნენ. მგონი, ერთი კომლიღა რამ არი დარჩენილი“ (ვ. ქისტაური). სახელწოდება ზეზეუბან-ი, ვფიქრობთ, ისეთივე ნაწარმოები, როგორც: ზეზელა, ზეზე დგომა. ზეზეური და სხვ. ტოპონიმებში ზმნიზედური ზემო, ზედა, ზენ- ფორმების ორმაგი გამოყენების შემთხვევები ცნობილია. ასე ჩანს, კერძოდ, გაფორმებული ს. ზედა ზეგანი (მაიაკოვსკის რ-ში) და ცნობილი ტოპონიმი **ზედაზენ-ი** („ზედა ვაკე“).

ზეითა ანიხევ-ი ველტყიანი ადგილი (ქებ.).

ზეითა მეიდანგორ-ი ტყე (თეთრ.) .

ზემო არტან-ი სოფელი, სას. საბჭოს ცენტრი მდ. ივრის ზემო აუზში, მის სათავეებში. დასახლებულია ფშაველებით. ცხოვრობენ: თეთრაულები, ბერიანიძეები, კეჭრიშვილები, ჭამაშვილები (1966 წ.).

ზემო ბეროსნაგლეჯ-ი ტყე (ქებ.). (იხ. ბეროს ნაგლეჯი).

ზემო ერწო ერწოს ერთ-ერთი კუთხის, ჩრდ.-დას. მხარის სოფლების ზოგადი სახელწოდებაა. ზემო ერწოს სოფლებია: ალოტი, ევჟენტი, ველები, ჩეკურაანთგორი, მელიასხევი, ითოლენჯი, გორაანა, ბალებისხევი, სიონგორი, ნადოკრა, სიმონიანთხევი, ხევსურთსოფელი და სხვ.

ზემოთა კუჭა მინდორი, შემაღლებული ადგილი. ამჟამად ფიჭვის ნარგავებია გაშენებული; მსხლიანი ადგილი (მაგრ.). ფშაური კალოს მიხედვით „კუჭი“, საზოგადოდ, შემაღლებულ, ამოშველილ ადგილს (საგანს) ეწოდება.

ზემო თიანეთ-ი დ. თიანეთის სამხრ.-დას. მდებარე ტერიტორია; ადრე **ზ. თ.** ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად იყო გამოყოფილი. **ზ. თ**-ში შემავალი სოფლებია: ბაღიაანები, ტუშურები, ზარიძეები, ქვისკარები, საჭურე, ბუჭყინტა, ხოფცა, ლახატო, ჯი-

ჯეთი, ზენამხარი, ვერხველი, იარაჯულები, საკრეჭიო, იელიანგორი, ქვემო შარახევი, ზემო შარახევი და სხვ.

ზემო ნაქალაქარ-ი სოფელი ერწოში (ხევსურთსოფლის სას. საბჭო). დასახლებულია ძირითადად მთიულებით და ადგილობრივი თიანეთელებით. 1966 წლისათვის აქ ცხოვრობენ გვარები: წიკლაური, ობგაიძე, აფციაური, ბექაური, ღუდუშაური, ყორიაული, მამადაშვილი, პატაშური... სოფლის ძველ სახელწოდებად ასახელებენ **თელეთუბანს** ([76] 166), მაგრამ ეს, ალბათ, ადრინდელი **თილთუბნის** (→თელთუბანი) დამახინჯებული ფორმაა.

ზემო უღელტეხილ-ი ტყიანი ადგილი (ლიშო). „აქედან გადადის გზა ვერხველში, ზემოთიანეთში“.

ზემო ფშავ-ი ყოფილი ხატობის, რელიგიური დღესასწაულის ჩატარების ადგილი. ამჟამად დაფარულია სიონის წყალსაცავით.

ზემო შარახევ-ი სოფელი არაგვის ხეობის ფშავის მომიჯნავედ, მდ. შარახევულას ხეობაში. დასახლებულია ფშაველებით (ზარიძეების სას. საბჭო).

ზენაბაჭიჭას ახუებ-ი საძოვრები, მთა, ველები. ამჟამად სატყეო მეურნეობის ნარგავებია გაშენებული (საჭურე). „ვხნავთ, ვთესთ, კარტოფილია, ქერია, ყველასა ვთესთ“ (ალზ. ჭინჭარაული). ბაჭიჭა ადამიანის გამოცვლილი სახელია: ბაგიჭებიანი კაცი“.

ზენამხარ-ი სოფელი ზემოთიანეთში (ზარიძეების სას. საბჭო), მდ. ვერხველის მარჯვენა მხარეს, მდებარეობს ს. ჯიჯეთსა და ს. ლახატოს შორის. ზოგიერთი წყაროს მიხედვით ზენამხარის ადრინდელი სახელწოდება **ვეჟანთკარ-ი** ყოფილა ([76] 166) (შდრ. ვახუშტისეული **ვეჟანაანთ-კარი** ([22] 206). ვფიქრობთ, დღევანდელ ზენამხარს უნდა ფარავდეს უძველეს ეკონომიკურ საბუთებში (ერწოს საკათალიკოზო გამოსაღების ნუსხა) დასახელებული **ზედუბანი**: „ზედუბანს შედგომაჲ, დრამაჲ ჳ, ქრთილი კაბიწი ა“ ([33]. IV. 5); ზედუბანი→ზენუბანი→ზენამხარი (უბანი || მხარი „დასახლება“).

ზეცა სახნავ-სათესი მიწები; საძოვ. (ჭებ.). „ზეცაში მიბია გუთანი; ზეცაში მყავ ნახირიო“, — ვიტყვით (ნათ. ბადურაშვილი).

ზმარტლიანგორ-ი ბუჩქნარი, საძოვ. (ხევსოფ.).

ზმარტლიანის დაბალ-ი საძოვ., ველტყიანი ადგილი (ჭებ.).

ზურაბას ახო მინდორი, საძოვ. (ტ. ხოფ.). „აშენებულია პანტა და ვერხვი. წოწკოლაურთ ზურაბის ახო იყო, იმას გაუკეთებია“ (ლ. წიკლაური).

ზურაბებ-ი სოფელი ერწოში, ს. დორეულების ერთ-ერთი უბანი. „ერ-

თი ოზდახუთი კომლი იქნება, სუ ზურაბიშვილებია“ (ბ. აფციაური).

ზურაბთ ახო ახო, საძოვ. (ზ. შარახ.). „ადრე იყვნოდა, ეხლა და ეხლა კი სუ გააბეჩხრებულია“ (ი. კუდიანაშვილი).

ზურაბთ კარახტინ-ი სახნავი, საძოვ. (ქვ. შარახ.) (კარახტინის განმარტ. იხ. ალეკაანთ კარახტინი).

თ

თაგვათაღლაურა ძველისძველი ნანგრევები, ნაციხარი ადგილი მდ. ივრის ზემო წელზე (ზ. არტ.). ტოპონიმი მომდინარეობს ფშაური ხალხური ზეპირსიტყვიერებისათვის კარგად ნაცნობი გმირის თაგვა თაღლაურას სახელ-გვარის მიხედვით.

თავსველი- სახნაური მინდ., საძოვ. (ხოფცა). ადგილობრივ განმარტავენ როგორც **თავს-ველი** — „ზემოთ მდებარე ველი“, თუმცა აშკარაა მისი **სველ**-სიტყვისაგან მომდინარეობა: თავ+სველი „ადგილი, რომლის ზედა მხარეს მდებარე ადგილები სველია, წყლიანია“ (შდრ. ზემო თავსველი).

თავშალმეებ-ი მინდორი, ალმა-დალმა მამულები (მელ. ნ.). აქ ივრის ხეობაში მომუშავე არქეოლოგიურმა ექსპედიციამ უძველესი ხანის სამაროვანს მიაკვლია.

თათარიანთ ახო საძოვ., სახნ. (ქებ.). თათარი ფშაურ-ხევსურულ ონომასტიკონში ადამიანის საკუთარ სახელად საკმაოდ ხშირად დასტურდება.

თათარის ნასახლარი საძოვ., სახნ. (ფიქვ.). ანალოგიური სახელი დასტურდება ს. სახევში.

თათაროს წნორებ-ი გზაადგილი, მინდორი (ახ. სოფ.).

თათრების სალოცავ-ი საკულტო-რელიგიური ნიში, პატარა სამრეკლო ს. ქებოტაში, ე. წ. ამაღლების ტყეში. რატომ შეერქვა ქრისტიანულ სალოცავს თათრების სალოცავი გაურკვეველია.

თალანებ-ი (თალაანებ-ი?) იხ. გოჯიაანები.

თამარას მაჟალო ადგილი, მარტოხე, (ცვერნ.). „თამარა ლრჭმევია ქალსა, მაჟალოზეა თურმე ასული და ძმაჯამს მაჟალოსა, მიჰპარვიან ლეკები, ჩამოუყვანიათ და მოუტაცნიათ“.

თამარას საყდარა საკულტო-რელიგიური ნაგებობა, ადგილი (საყდრ.)-

„ხაცა აღარა ლოცულობენ. იმასა ჰქვიან საყდარა, საცა ლოცულობენ და იმაზე იტყვიან: ხატი, ეკლესია“ (ვ. დოლიძე).

თამარის ხატ-ი სალოცავი ს. ჟებოტაში, იხინჭის კოპალეს (იხ.) ახლოს. ანალოგიური სახელწოდება გვხვდება აგრეთვე ნასოფლ. ხატხევში, ხატხეორხის გორაკზე, მდ. ივრის სათავეებში.

თამარმეფის კალო პატარა ველი იხინჭის გორაზე (ქებ.).

თამრებას ჯვარ-ი სალოცავი ადგილი (მაგრ.). თამრობა — თამარობა?

თანგანთკარ-ი სასაფლაო და მისი ახლო-მახლო მდებარე ადგილები ღ. თიანეთში. შესაძლებელია, ესაა ვახუშტის მიერ თიანეთში სოფლის სახელად დადასტურებული **თანგირანთ-კარი** ([22] 206). როგორც ჩანს, ძველი თანგირაანთკარი (შდრ. გვარი თანგირაშვილი) ჯერ ნასოფლარად იქცა, ხოლო შემდეგ — ნასოფლარის აღმნიშვნელ მიკროტოპონიმად. საერთოდ სიტყვა **კარ-ი** უპირატესად ერთი გვარის ხალხით დასახლებული სოფლების სახელებში გვხვდება საზღვრულად.

თართიან-ი ვრცელი სახნავ-სათესი მინდვრები (ჯიხო). „ნაწილი ზღვამ დაიჭირა, ნაწილი კიდავ იკვნის, ვთიბთ“ (რ. მინდიკაური). **-იან** სუფიქსი აშკარაა: **თართ-იან-ი**. გასარკვევია **თართ-** ფუძის სემანტიკა. ხომ არ უნდა დავეშვათ, რომ ამოსავალია თართის ის მნიშვნელობა, რომელიც მთიულურ და მოხეურ დიალექტებს დაუცავს: „სუსტი, უღონო“? ([31] 207). შესაძლებელია, **თართიანი** მინდორს მწირიანობის, ცუდი მოსავლიანობის („უძაღლოობის“) გამო შეერქვა. ადგილობრივ თართიანის მნიშვნელობა დაბნელებულია და მას **თათრიანობა** სიტყვასთან აკავშირებენ.

თახიას ახო პატარა ველი, საძოვ. (ლიშო). „კაცს ექვივნა თახია“.

თეგერაანებ-ი სოფელი თიანეთის სადაბო საბჭოში. დასახლებულია ძირითადად აქ საცხოვრებლად გადმოსული ოსებით, აგრეთვე, თიანეთელი ფშავლებით. ამოსავალია გვარი — თეგერაშვილი. „თეგერაშვილების სოფელი“.

თეგერაანთ წყარო პატარა ნაკადული; წყარო (ზარ.).

თეთრამიწის გორა ადგილი ს. ბაღიანებში, დიდგორის ხევის დასავლეთ მხარეზე. ამოსავალია პირველადი **თეთრა მიწა** „თეთრი ფერის ნიადაგიანი ადგილები“.

თეთრაულებ-ი სოფელი თიანეთ-არტნის გზაზე, მდ. ივრის ზემო წელზე. სახელწოდება წარმოქმნილია სოფლის ძირითადი გვარის — „თეთრაული“-ს მიხედვით. თ. „სოფელი, რომელშიც თეთრაულების გვარის ხალხი სახლობს“ თ. ფშავლებით დასახლებული სოფელია. ვ. ბარდაველიძე ამ ტოპონიმს იცნობს რო-

გორც **თეთრაძეები** ([5] 86). საყურადღებოა, რომ გასული საუკუნის 80-იანი წლებისათვის თ. არ მოიხსენიება გ. რადეს მიერ აღწერილ არტნის ხეობის სოფელთა სიაში. გ. ჩიტაიას მიხედვით, 1940-იანი წლებისათვის თ.-ში მხოლოდ 3 კომლს უცხოვრია ([96] 58). ჩვენი მასალების მიხედვით (1974 წ.) თ.-ში 12 კომლია (29 სული).

თეთრაულების გორ-ი ტყიანი გორი (თეთრ).

თეთრაულთ ველ-ი სახნ., საძოვ. (თრანი).

თეთრაწყარო წყარო ზემოთიანეთში, მდ. ქუსნის აყოლებით (ტუშ.). „თეთრი ქვიშაა და წყალიც თეთრად ჩანს“ (ა. შუშანაშვილი).

თეთრახევა სოფელი (თიანეთის სად. სიბჭო). დასახლებულია ფშავლებით. სახელწოდება შერქმევია მდ. თეთრახევას მიხედვით, რომელიც მას ჩამოუდის. ვახუშტისთან თეთრახევას ნაცვლად დასახელებულია **არჩევანთ-ჯევი** ([22] 206), რაც **არჩემაანთ-ჯევი**-ს („არჩემაშვილების ხევი“) დამახინჯებული ფორმაა. როგორც ვხედავთ, თ.-ს თავდაპირველი სახელი **არჩემაანთ-ხევი** (|| **არჩევანთ-ჯევი**) ყოფილა, რაც ამ სოფელში ფშაველი არჩემაშვილების პირველსახლობაზე მეტყველებს. ზოგიერთი მკვლევარი არჩევიანთხევს ხევსურთსოფლის ადრინდელ სახელწოდებად მიიჩნევს ([76] 163), მაგრამ აშკარაა, რომ არჩევიანთხევი იგივე არჩემაანთხევია, ეს უკანასკნელი კი — დღევანდელი თეთრახევა! ასე რომ, არჩევიანთხევის ხევსურთსოფელთან გაიგივება მართებული არ უნდა იყოს.

თეთრახევა მდინარე-ხევი. ჩამოუდის ს. თეთრახევას. მდ. ქუსნოს მარჯვენა შენაკადი. სახელწოდება თ. მიღებულია მდინარის ფსკერის თეთრი ფერის გამო.

თეთრახევას ტყე ტყე (თ. ხევა)

თეთრი გზა გზა (ჟებ.). ს. ორხევში გვხვდება ტყის სახელწოდება თეთრი გზები“ — თიხნარი ნიადაგის მოთეთრო ფერის გამო.

თეთრიგზის მზვარე ტყე (ჟებ.).

თეთრი გიორგ-ი სალოცავი ადგილი, ეკლესია (ტუშ.).

თეთრი მიწებ-ი სახნ., საძოვ. (დორ.).

თეთრწიფელ-ი ველი, საძოვ. (ტ. სოფ.). „ველია, შოშია გზა მიდის ზედა, ამ ჩვენი ტოლაანების წილი იყო“.

თეთრწყლებ-ი თეთრი, თიხნარი ქანის შემცველი ადგილი (ღულელ.) „თეთრი მიწის წყარო“, „წყარო, რომელიც თეთრმიწიან ადგილას გამოდის“. თეთრწყლები სოფელია კახეთში, თელავის რ-ში (შდრ. თეთრიწყარო).

თ-ელათხევ-ი პატარა წყალი, ხევი (ტ. სოფ.). „თელების ხევი“.

თელთუბან-ი ძველი ნამოსახლარი (ნასოფლარი) ზემო ნაქალაქარის თავზე. აქაა წმ. გიორგის სახელობის ეკლესია, რომლის რელიგიურ დღესასწაულსაც ადგილობრივი მოსახლეობა „თელთუბნობას“ უწოდებს. „ოზდახუთ ქრისტიშობას, თელთუბნობას, ოზდახუთი საკლავი იკვლის“ (ნ. ობგაიძე). საფიქრებელია, რომ **თ.** ვახუშტის მიერ ამავე არეალში დადასტურებული **თილთუბანი** იყოს.

თელიან-ი ტყე (ძებნ.) მცენ. თელას სახელწოდების მიხედვით გაფორმებული ტოპონიმები ერწო-თიანეთში (საერთოდ, ქართლკახეთში) ძალზე ხშირად გვხვდება. ტოპონიმი თელიანი, ს. ძებნიაურებს გარდა, დადასტურდა ს. ს. თოლენჯში, ჟებოტაში, ქვემო ნაქალაქარში, ომარაანებში, ყუდროში, ბუჭყინტაში და სხვ. როგორც ცნობილია, მცენ. თელა არის ამოსავალი ქ. თელავის სახელწოდებისათვისაც თელ-ავ-ი (შდრ. მან-ავ-ი).

თელიანგორ-ი სახნ., საძოვ. (თეგერ.).

თელიანი ნაგლეჯ-ი ნატყევარი ადგილი, გაველებული ადგილი (ჟებ.).

თელიანყურე სახნ., საძოვ. (ლახ.).

თიანეთ-ი დაბა, რაიონული ცენტრი მდ. ივრის ხეობაში. ტოპონიმი **თ.** ამ სახით უძველესი ხანის ქართულ საისტორიო წყაროებშია მოხსენიებული ერწოს და ჟალეთის, იორისა და ნოტკორის, ჩელეთისა და ბოდოჯის, საძმორისა თუ ბოჭორმის გვერდით. თიანეთში მცხოვრები ხალხი — „თიანელნი“ ჯერ კიდევ „ქართლის მოქცევაშია“ ნახსენები წმ. ნინოს საგანმანათლებლო მოღვაწეობასთან დაკავშირებით: „გარდამოვიდეს მუნით და დადგეს ჟალეთს, და უქადაგეს ე რ წ ო - თ ი ა ნ ე ლ თ ა“... ([84] ტ. I. 126,1). საგულისხმოა ის, რომ X-XI საუკუნეებისათვის **თიანეთ-** ფუძეზე წარმომავლობის **-ელ** სუფიქსის დართვას წინამავალი **-ეთ** გეოგრაფიული სუფიქსის დაკარგვა გამოუწვევია: **თიანელთა** (და არა თიანეთელთა).

საისტორიო წყაროების მიხედვით, თიანეთის მხარე იყო კახეთის მთიულეთი „მთეულნი კახეთისანი“ ([84] I. 205). ტოპონიმ თიანეთის ეტიმოლოგია საკმაოდ ნათელია, იგი მიღებულია **მთიანეთი-**საგან წინამავალი **მ-**ს დაკარგვით ([115] 49). მაგრამ, მიუხედავად ამისა, იყო ცდები **თ.** დაეკავშირებინათ მცირე აზიაში არსებულ ანალოგიური გაფორმების სახელთან ([10] 4). ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავდა, თიანეთი ძველისძველი სახელია და წარმოშობით კახოსის ძეთ უკავშირდებაო ([22] 91).

ადგილობრივ საკმაოდ პოპულარულია ხალხური ეტიმოლოგია, რომლის მიხედვითაც თ. ქალის სახელს — **თინა-ს** უკავშირდება, იორი კი მის საქმროს — **იორამს**. ლეგენდა ჩაუწერია გ. ჩიტაიას ([96] 61). თიანეთ- ფუძეში ამკარაა ქონების **-იან** და მხარის, ქვეყნის აღმნიშვნელი ტოპონიმიკური **-ეთ** სუფიქსი: მთ[ა]-იან-ეთ-ი.

თიანეთის აღმართებ-ი ტყიანი გზა; ღაბა თიანეთში შესასვლელი გზის ერთი მონაკვეთთაგანი.

თიბელწყარო წყარო (თრანი). საკვლევია **თიბელ-**ფუძის სემანტიკა.

თილთუბან-ი უძველესი ნასოფლარი (ნამოსახლარი) ერწოში, დღევ. ზემო ნაქალაქარის ტერიტორიაზე. თილთუბანი სოფლის სახელწოდებად ძველ ქართულ ეკონომიკურ და საისტორიო ძეგლებში XVII-XVIII სს-დან გვხვდება. თ. სოფლად მოხსენიებულია კახეთის მეფის დავითის (იმამყულიხანის) მიერ მარტყოფის ეპისკოპოსის — რუსთველისათვის მიცემულ წყალობის გუჯარში (1722 წ.): „აგრეთვე თ ი ლ თ უ ბ ა ნ ი არს საკვამლონი ბევრნი, უცილობელად ღმრთისებისა არს. ბოლო მიაწევს საყდრამდე წმიდის ნიკოლოზისა **ძუძამდე**, ხოლო მთანი ვიდრე **ბათქამდენ**“ ([86] 366). ამ მონაკვეთში ჩვენს ყურადღებას ის ფაქტიც მიიპყრობს, რომ აქ ნახსენებია მდ. აძეძის ადრინდელი სახელწოდება ძ უ ძ ი (სქოლიოში ძუძი მართლაც ა ძ უ ძ ა-დ იკითხება), **ბათქ-ი** კი, საფიქრებელია, ს. **ბოტკო-ს** ძველი სახელწოდება იყოს.

ვახუშტის „აღწერის“ მიხედვითაც თ. ერწოს სოფელია. მკვლევარი მას ს. ვაგრანეთსა და ს. ამატანს შორის მოაქცევს ([22] 206). სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია ვარაუდი, თითქოს **თილთუბან-ი** თხილნარას თუ თ ხ ი ლ თ უ ბ ნ ი ს სახეცვლილი ფორმა იყოს (იხ. რ. ქიტესაშვილი, „მდინარე აძეძის სახელწოდებისათვის“, გაზ. „ახალი თიანეთი“, № 148, 10. XII. 1977). ამგვარი ვარაუდი არსებითად ინფორმატორთა ზეპირ გადმოცემას ეყრდნობა; ერთ-ერთი პირის განცხადება, ამ ადგილს **თელთუბანი** კი არა, ადრე **თხილთუბანი** ერქვაო, არგუმენტად არ გამოდგება. თვითონ **თელთუბანი** იმავე **თილთუბნისაგან** უნდა გვქონდეს მიღებული სემანტიკურად უცნობი **თილ-** ფუძის **თელა-**სთან გააზრიანების შედეგად.

თილთუბან-ი, ჩვენი აზრით, ანთროპონიმული წარმოშობის სახელია. ამოსავალია საკუთ. სახელი **თილი** (შდრ. თილისძე. თილი, თილის ობოლი ([21] 349.

თინიკაანთ ახო სახნ., საძოვ. (დორ.).

თიქონ-ი ნასოფლარი მდ. ივრის სათავეებში. დასახლებული იყო ფშაველებით. ეტიმოლოგია უცნობია.

თიქონის გორ-ი მთა, საძოვ. (ზ. არტ.).

თიხისწყარო წყარო (მაგრ.).

თოთელას მამულ-ი საძოვ., სათიბი (ქვ. არტ.). თოთელა ადამიანის ზედმეტი (შერქმეული) სახელია და ნიშნავს „სოფელ თოთიდან გადმოსული ადამიანი“: **თოთ-ელ-ა** (თოთი სოფელია ყაზბეგის რ-ში). **თოთელი** საკუთარ სახელად ვაჟას ნაწერებშიც გვხვდება ([15] 349).

თოთიანთ ახო ველტყიანი მინდორი, საძოვ. (ყუდრო). „თოთიას სახლეულების კუთვნილი ახო“.

თოთიაურთ ახოებ-ი ახო, საძოვ. (გორ.). ს. გორანას ერთ-ერთ უბანს თოთიაურთ უბანი ეწოდება.

თოლენჯ-ი დიდი სოფელი ერწოში (სიმონიანთხევის სას. საბჭო). დასახლებულია საკუთრივ თიანეთელებით (ერწოელებით) და ივრისხეველი ფშაველებით. ქართულ ისტორიულ და ეკონომიკურ ძეგლებში დასტურდება XIV-XV სს-დან **თვალენჯი || თოლენჯი-ს** სახით. ეს სოფელი ალექსანდრე მეფემ 1428 წელს შეუწირა სვეტიცხოველს ([50] 107). სარწმუნო ეტიმოლოგია არ არსებობს. ზოგიერთი ტოპონიმ **თ.-ს** იცნობს **თოლუნჯი-ს** ფორმით ([35] 237). (თოლ-უნჯი?) სსრ კავშირის გეოგრაფიულ სახელთა ლექსიკონში **თ.** წარმოდგენილია როგორც **თოლენჯისხევი.** თოლენჯ-ში **ნ** განვითარებული ჩანს. ამ ფუძისაგანაა ნაწარმოები საკუთ. სახელი **დოლენჯი** და გვარი **დოლენჯიშვილი || დოლენჯაშვილი.** შეიძლებოდა დაგვეშვა პირუკუ პროცესიც (შდრ. ჩეკურიშვილი — ს. ჩეკური), უძველესი ოფიციალური საბუთები **დოლენჯ-** ფუძეს რომ არ უჭერდნენ მხარს.

თოლენჯის თავ-ი სახნ., საძოვ. (თოლ.).

თომაის სახლთავ-ი სათიბი (ლახ.).

თომას ნაორმოვალ-ი ტყე, ველი (ღულელ.) „თომას ნაორმოვალი“.

თორელიანთკარ-ი ასეთი ნასოფლარი არის ნავარაუდევი თიანეთის რაიონში „სსრ კავშირის გეოგრაფიული სახელების ლექსიკონის“ (თბ., 1972, გვ. 178) მიხედვით.

ნასოფლარი **თ.** ჩვენ მიერ მოპოვებულ აქაურ ტოპონიმიკურ მასალაში არ ჩანს.

დუშეთის რაიონში დასტურდება **ს. თვარელიანთკარი || მთვარელიანთკარი,** რომელიც იმავე **თორელიანთკარი**საგან მომდინარეობს ვა—ო გზით. თიანეთის რაიონში ნაჩვენები **თ.** დუშე-

თის რ-ის ს. თვარელიანთკარ || თორელიანთკარს უნდა გულისხმობდეს.

თოხოლჩა სოფელი ერწოში (ღულელების სას. საბჭო). დასახლებულია ხევსურებით. ადგილობრივ: **თოხოლჩები, თოხოლჩაანები, თოხოლჩეები, თოხოლჩათ უბანი.** ინფორმატორის ცნობით, თოხოლჩაში ს. ჯუთიდან (ყაზბ. რ.) გადმოსახლებული ხევსურები ცხოვრობენ.

ზოგიერთი წყარო თოხოლჩები-ს ნაცვლად **თოლოხჩებ-** ფუძეს წარმოგვიდგენს ([76] 166, 178) თუკი **თოლოხჩებ-ი** ბეჭდვის შეცდომა არ არის, მაშინ, ალბათ, შესაძლებელი იქნებოდა იგი თურქ. წარმოშობის **თულუხჩი** (შდრ. მეთულუხჩე „სასმელი წყლის დამტარებელი", „წყლით მოვაჭრე") სიტყვისაგან მომდინარე ტოპონიმად გვეცნო. საფიქრებელია **თოლოხჩი** (←თულუხჩი) ადამიანის შერქმეული (პროფესიის აღმნიშვნელი) საკუთარი სახელი იყო, საიდანაც მრავლობითობა-გვაროვნულობის **-ებ** სუფიქსის დართვით თულუხჩ-ებ-ი (←თოლოხჩებ-ი !! თოხოლჩებ-ი) მიგვიღია. რ. ქიტესაშვილის ცნობით, **თოხოლჩანი** არაბულთა მამიშვილობის აღმნიშვნელი გვაროვნული სახელი ყოფილა.

თრან-ი სოფელი ერწოში (ღულელების სას. საბჭო). ეტიმოლოგია უცნობია. ადგილობრივ თრანს **მთვრალ-** სიტყვასთან აკავშირებენ, რაც, რა თქმა უნდა, სარწმუნოდ ვერ ჩაითვლება. ნ. კეცხოველი მას **თრინ-ს** უწოდებს ([35] 237), თუმცა ადვილი შესაძლებელია ეს ბეჭდვის შეცდომა იყოს. თრანი პირველად მოხსენიებულია ერთ-ერთ უძველეს ეკონომიკურ საბუთში, კერძოდ, ერწოს საკათალიკოსო გამოსაღების ნუსხაში, რომელსაც, რატომღაც, X საუკუნის საბუთად მიიჩნევენ ([33] წ. IV. გვ. 5). ხომ არ შეიძლებოდა დაგვეშვა თრანი-ს ანთროპონიმული წარმომავლობა: **თარა-ან-ი?** (შდრ. გვარი თარა-შვილი).

თრიალეთ-ი საძოვარი, ტყიანი, ადგილი, გორაკები (თოლ.). როგორც ჩანს, ამოსავალია ცნობილი ისტორიული ოლქის, თრიალეთი-ს სახელწოდება. ერწოში ამგვარი ტოპონიმის გაჩენა მისი ანალოგიით უნდა იყოს მომხდარი.

თურაშაულების ვაშლი- სახნ., საძოვ. (ღულელ.). „ერთი ძირი ვაშლი მდგარა და იმიტომ დაურქმევიათ" (გ. ქისტაური).

თურმანიანთ ახო საძოვარი, მინდ. (ქახ.).

თურქიაანებ-ი ს. გორანას ერთ-ერთი უბანი. აქვეა ტოპ. **თურქიაანთ ხევ-ი.**

თხილა სოფელი (თიანეთის სად. საბჭო). თხილ-ა „თხილნარი ადგილი“.

თხილას ბოგირ-ი ადგილი, გზა (ქებ.). თხილა ადამიანის საკუთარი სახელია (იხ. ტოპ. **თხილას წყარო**).

თხილას ძირველებ-ი სახნ., საძოვ. (თეგერ.).

თხილას წყარო წყარო (ქებ.). „ლელოვანში გადმოსახლდა ხევსური თხილა, იმისი წყარო იყო“ (ზ. ბადრახიშვილი).

თხილთხევ-ი ტყიანი ადგილი (ქებ.)

თხილთხევის მზავრე პირმზითი ადგილი, მზვარე (ქებ.).

თხილიანა ტყე (მაგრ.).

თხილიანგორ-ი ტყე (კვერნ.).

თხილიანგორის წყალ-ი წყარო (ბ. ხევი).

თხილიანთავ-ი სათიბი, საძოვ. (ჭუშხ.).

თხილიანტაფ-ი ველტყიანი საძოვ. (თრანი).

თხილნარა სოფელი ძველ ერწოში. მოხსენიებულია ადრინდელი ხანის ქართულ ეკონომიკურ და საისტორიო ძეგლებში. XVI ს-ის დამლევის ერთ-ერთი საბუთის მიხედვით თხილნარაში „ცხოვრობდა 2 გლეხი ტოხაძე“ (1579 წ.) ([50] 109). ტოპონიმ თხილნარას ერწოში არსებობამ ზოგიერთ მკვლევარს გამოათქმევინა საეჭვო ვარაუდი ნასოფლარ თილთუბნის თხილთუბნისაგან მოვდინარეობის თაობაზე (იხ. თილთუბანი).

ი

იალაჲს ახო სათიბი, საძოვ. (ზენამხ.) „იელის ახო“, „ახო, სადაც მცენ. იელი ხარობს“.

იალნუ მთა, საძოვრები, ტყე: ქედების ვრცელი მასივი; მისი კალთები ესაზღვრება საგარეჯოს რაიონს, კერძოდ, ლილო-მარტყოფის სანაპებს; ცხვარიჭამია-მარტყოფის გამყოფი მთა. ვახუშტისთან გვაქვს **იალონი**, რომელსაც იგი კუხეთის მთასთან აიგივებს: „ამას ქვეით ერთვის არაგვს ხერკის-ჯევი ანუ თეზმის-ჯევი. გამოსდის კუხეთის მთას ანუ იალონს“ ([22] 93). ვახუშტის მიხედვით **იალონი კუხეთის მთას** გვიან დარქმევია. საყურადღებოა, რომ გარეკახეთურ მეტყველებაში იალნუ **იალონ** და **იალნო** ფორმით არის შემორჩენილი. სპორადულად გვხვდება **იანლუ**

ფორმაც, რომელიც იმავე **იალნუ**-საგან არის მიღებული **ნ**-ს წინ გადმოწევით.

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია ვარაუდი, რომლის თანახმადაც იალნუ ალიონს უკავშირდება ([71] 325). ალიონის სინონიმები ძველ ქართულში **იალომი** და **იალონი** ყოფილა. ეს მნიშვნელობანი საბასთან მართლაც დასტურდება. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ადგილობრივი მოსახლეობისათვის **იალონი** || **იალნუ** ამინდის წინასწარ გამოსაცნობი ორიენტირიცაა, რაც ჯერ კიდევ ვახუშტის ჰქონდა შენიშნული ([22] 93), მაშინ თითქოს მართლაც შესაძლებელი ხდება აღნიშნული ტოპონიმის წარმოშობა **იალონ-** || **ალიონ-** სიტყვებს დავუკავშიროთ. თუმცა, ჩვენი აზრით, სახელის ეტიმოლოგიის საბოლოო გარკვევას დამატებითი კვლევა დასჭირდება.

იანვართ ნასახლარებ-ი მამული, სახნ., საძოვ. (ქუშხ.).

იარაჯულებ-ი სოფელი ზემო თიანეთში (ზარიძეების სას. საბჭო). ეს ტოპონიმი შედარებით გვიანდელი წარმონაქმნია (მას არ იცნობს ვახუშტის „აღწერა"). ამოსავალია გვარი **იარაჯული.**

იახსარ-ი ფშავ-ხევსურეთში გავრცელებული ღვთაების სახელი. „იახსარი" სალოცავი ადგილების სახელად ხშირად გვხვდება მდ. ივრის ზემო აუზში (ს. ს. ჟებოტა, დ. თიანეთი, ზ. არტანი...).

იახსარი წარმოშობით ოსური ენის კუთვნილება ჩანს. წარმართული პანთეონის ღვთაების სახელი **იახსარი** ქართული ენის მთის კილოებში ოსურის მეშვეობით უნდა იყოს შემოსული. ოსური ნართების ეპოსში კარგადაა ცნობილი ღვთაება **ახსარი, ახსართაგი,** რომელიც უეჭველია ქართულ **იახსარ**-თან ავლენს საერთოს. ოსურში **ახსარი** (æxsar) ნიშნავს: „ბრწყინვალე, მძლეთამძლე" («доблесть», «воєнная доблесть». ფორმა **æxsar-ი** თავის მხრივ ძვ. ირანული **xšaϑra**-საგან მომდინარეობს, რომლისთვისაც ამოსავალი ძვ. არიული **kša(y) xša(y)** ფუძეა და ნიშნავს «снять», «властвовать». ეს სიტყვა ოსურიდან უსესხებია უნგრულს, სადაც ის ზოგადად „ქალს" აღნიშნავს; სომხურში კი **ašxen** || **axšen** სიტყვა ქალის საკუთარ სახელად ქცეულა და სიტყვასიტყვით „ბრწყინვალეს", „შუქმფენს" ნიშნავს ([1] 64,527), ქართულ წარმართულ პანთეონში **იახსარ-ი** თავდაპირველად სწორედ ბრწყინვალებასთან, უძლეველობასთან უნდა ყოფილიყო გაიგივებული და დაკავშირებული.

იდრაყო სახნ., ველტყიანი ადგილები (ჟებ.). ეტიმოლოგია უცნობია.
იდრაყოს ყელებ-ი საძოვ., სათიბი (ახ. სოფ.).
იდუკაანთ უბან-ი ს. გორანას ერთ-ერთი უბანთაგანი.
ივანეს გძელა სახნ. საძოვ. (ნად.).
ივანიათ ნასახლარ-ი სახნ., საძოვ. (ომარ.).
ივლიანა გორა ადგილი (ქუშხ.). „გორა, სადაც მცენარე იელი ხარობს“ (შდრ. ვაჟა: **ივლიან გორაკი**).
ივლიანგორ-ი ტყე (ჟებ.).
ივლიანგორ-ი სოფელია ზემო თიანეთში (ზარიძეების სას. საბჭო). ლიტერატურაში ზოგჯერ გვხვდება **ივლიანთგორი** ([76] 179), რაც უზუსტობაა. უძველეს ქართულ საისტორიო და ეკონომიკურ საბუთებში მოხსენიებული **ივლა** (—იელა?) ([33] 5). ჩვენი ვარაუდით, თიანეთის სოფ. **ივლიანს** || **ივლიანგორს** უნდა აღნიშნავდეს.
ივრებს გაღმა ტყიანი მასივი (ბოჭ.) „მდ. იორის გაღმა მდებარე ტყიანი ადგილები“.
ივრებს შუა სახნავი ადგილი, მინდ. (ახ. სოფ.) „მამულია, ერთი ტოტი აქეთ ჩაუდის, მეორე — იქით“ (ვ. ოთარაშვილი).
ივრისკუდებ-ი მთიანი, ტყიანი მასივი ივრის ზემო წელზე; მდ. ივრის სათავეები.
ივრისპირის წყარო ცივი და გემრიელი წყაროა ს. ბოჭორმაში.
ივრიჭალებ-ი ჭალა, ტყე, საძოვრები (ბოჭ., დორ.).
იზოლდას სახლ-ი (იზოლდაჲს სახლ-ი) ადგილია ს. ლიშოში, ვიწრო გზა-ადგილი. „ე მანდ მოვდიოდით და კინაღარ გადავერიენით იზოლდაჲს სახლთანა“ (ს. კუდიანაშვილი).
იკვლივ-ი მთა, საძოვრ. ტყიანი მასივი ს. ნაქალაქარისა და ს. მაგრანეთის მოსაზღვრედ. ეტიმოლოგია უცნობია.
იკვლივის კლდე დიდი კლდე, ფრიალო ადგილი ტყეში (ბოჭ.).
ილ-ი — ასეთი სოფლის არსებობა ივარაუდება ერწოში აქაური საკათალიკოსო გამოსაღების ერთ-ერთი ნუსხის მიხედვით ([33] 5). **თილ-ი?**
ილალოს ნასაღორლებ-ი საძოვ., ტყიანი ადგილი (თ. ხევა). ილალო ადამიანის საკუთარი სახელია.
ილდაკან-ი ადგილ-მამული, საძოვ., სახნ. (ჟებ.). ეტიმოლოგია უცნობია.
ოორ-ი ერწო-თიანეთის მთავარი მდინარე. გამოსდის ბორბალოს მთას, მოედინება მთელ ერწო-თიანეთის ტერიტორიაზე, ჩრდილოეთიდან სამხრეთით, შემდეგ მიიქცევა სამხრეთ-აღმოსავლეთით

და შეერთვის მდ. ალაზანს მარჯვენა მხრიდან აზერბაიჯანის სსრ-ში (მდინარის სიგრძე 300 კმ-ს აღწევს).

ჰიდრონიმი **იორი** ერწო-თიანეთის ტოპონიმთა შორის ერთ-ერთი საკმაოდ დიდი ხნოვანობის, შინაარსის თვალსაზრისით საინტერესო გეოგრაფიული სახელია.

იორის ეტიმოლოგიით არაერთი სპეციალისტი დაინტერესებულა. საკმაო გავრცელება მოიპოვა ეტიმოლოგიამ, რომლის მიხედვითაც იორი რიცხვით სახელს — ორს — უკავშირდება. ვახუშტი ბატონიშვილი პირდაპირ მიუთითებდა, ამ მდინარემ სახელი მოიგო გაორების გამო, ვინაიდან ერთი სახელი აქვს ორ მდინარეს, იორს და მცირე ალაზანსო. „იორა ამ მდინარემ“ ([22] 88). ეტიმოლოგია აშკარად ხელოვნურია, რადგან ქართული ტოპონიმები (ჰიდრონიმები) ამ წესით არასოდეს ფორმდებოდნენ და არც ახლა ფორმდებიან. დაუშვებელია ი-სამა, ი-ხუთა და ა. შ. ტიპის წარმოება. იორ-ს ეთნიკურ **ივერ-** ფუძესთან აკავშირებდა მ. ჯანაშვილი. იგი აქედანვე მიღებულად თვლიდა **ივერეთს,** რომლისაგანაც შემდგომ **ჰერეთი** მივიღეთ-ო (СМОМПК) вып. 27, отд. IV, Тифлис, 1900). იორის ივერ- ფუძესთან კავშირი უეჭველად მიაჩნდა კირიონსაც, რომელიც მდ. იორს Иверца ფორმით მოიხსენიებდა (ეპისკოპოსი კ ი რ ი ო ნ ი, სალექსიკონო მასალა, კრებ. „ძველი საქართველო“, 1913, გვ. 126).

სხვაგვარი ვარაუდით ი. ბერძნულ წყაროებში დადასტურებული **პელორის** შესატყვისია (ლ. გოთუა, ჟურნ. „ძეგლის მეგობარი“, XXVIII, 1971, გვ. 35-36), თუმცა ამ თვალსაზრისმა მხარდაჭერა ვერ ჰპოვა. სხვაგვარი მტკიცებით **პელორ-ი** მდ. არაგვს შეესაბამება და არა იორს (ნ. ლომოური).

იორი გვიანდელი ხანის ქართველ და არაქართველ ისტორიკოს-მოგზაურთა ნაწერებში სხვადასხვა სახელწოდებით მოიხსენიებოდა. ისქანდერ მუნში, მაგალითად, იორს ყ ა ბ ა რ ს უწოდებდა, იოანე ბაგრატიონი კი — ღ ა ნ უ ხ-ს ([6] 4).

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი იორის სახელწოდების ხუნძური (resp. ღუნძური) ენიდან მომდინარეობის შესახებ ([113] 53-54), თუმცა ამ ვარაუდის სასარგებლოდ რიმე გადაჭრით თქმა ძნელია. უპირველეს ყოვლისა, ჭირს ოდენმოვნიანი **-ი-** ძირის სემანტიკის გარკვევა: **ი-ორ.** სახელწოდება იორ'ში **-ორ** სუფიქსს ისევე გამოყოფენ, როგორც ეს **გომბ-ორ, კოჯ-ორ...** სახელებში გვაქვს ([93] 55), მაგრამ არც **ი-** ფუძის (?)

შესახებაა რამე თქმული და არც **-ორ** სუფიქსის რაობის შესახებ.

ალბათ მართებული იქნებოდა, თუ კი იორს გაურკვეველი წარმოშობის ჰიდრონიმად ჩავთვლიდით კვლევის ამ ეტაპისათვის მაინც.

დასასრულ, ისიც უნდა ითქვას, რომ მდ. იორის უძველეს არაქართულ სახელწოდებად ჩვენ **ჰერწუხი** მიგვაჩნია, რაც „ჰერების სალოცავის წყალს“ უნდა ნიშნავდეს (იხ. ერწო, ჰერწუხი).

ითრამაან-ი ნასოფლარი. ამჟამად ეს ადგილები დაფარულია სიონის წყალსაცავით. 1930-იანი წლებისათვის ამ სოფელს იორამაანთკარი რქმევია და 18 ოჯახს უცხოვრია ([68] 51).

ითრამას ნაჭერ-ი პატარა სახნავ-სათესი მამული (ახ. სოფ.).

ირმის სალოკელა ადგილი ტყეში (ორხ.) „თეთრი თიხა-მიწა არი, ირმები მიდენილა, ლოკავენ ამ მიწასა“ (გ. დეველაშვილი).

ირმისსალოკელას ჭალა ტყიანი ადგილი, საძოვ. (ბად.).

ისმეილას ტყე ტყე (ომარ.). „ყაჩაღები იყვნენ ქაქუცა და ისმეილა. გასულები იყვნენ ერთი ექვსი წელი, მანდა ჰქონია ბუნაგი“ (ანა ხუციშვილი).

იფან-ი რელიგიური რიტუალის შესასრულებელი ადგილი, ხატი (კეერნ.). „ხან იფნს ვიტყვით, ხან — ხატსა“ (მაყვ. წიკლაური).

იფნია ველ-ი ველი, საძოვ., სახნ. (დულუზ.). „ველი, რომელზედაც იფნის მარტოხე დგას“.

იფნიანგორ-ი ტყე (საყდრ.).

იფნიანტაფე სახნ., საძოვ. (ზარ.).

იფნიანჯვარ-ი ნიში, სანთლის დასანთები ადგილი (ზ. არტ.).

იფნის ხატ-ი სალოცავი ადგილი, ხატი (ღულელ.).

იქითხევ-ი ხევი, წყალი, მდ. აბეძის შენაკადი (საყდრ.).

იქურნა ადგილი ერწოში. ძველი ნამოსახლარი თიანეთის ნაწილის და ერწოს საკათალიკოსო გამოსაღების ნუსხაში მოხსენიებულია ტოპონიმი **იკორდნი**, რომელიც თანამედროვე **იქურნა-ს** ძველის-ძველი ფორმა უნდა იყოს ([33] 4).

იხინჭა ნასოფლარი, ძველი ციხე-ეკლესიების კომპლექსი სოფ. გოჯიაანების თავზე, სოფ. ჟებოტის ჩრდ.-დას. მხარეს. ტყიანი ადგილი. ამჟამად რელიგიურ დღესასწაულს „იხინჭობას“, რატომღაც, „ვაჟაობა“ შეარქვეს. „იხინჭობა იცის ხუთშაფათ დღეს, აღდგომის მეცხრე კვირას, 7-10 ივლისს, იმართება იხინჭის მთაში“ (ნათელა ბადურაშვილი).

იხინჭის გორა ველტყიანი ადგილი ნასოფლარ იხინჭაში. ამ გორაკზე

მდებარეობს ხუროთმოძღვრული კომპლექსი, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია დარბაზული ტიპის ეკლესია წმ. მარიამის სახელობისა.

იხინჭის წვერ-ი მდებარეობს მდ. ივრის მარცხენა სანაპიროზე, ჩრდ.-აღმ. მხარეს, დ. თიანეთიდან დაახლ. 10-12 კმ მანძილზე ([15] 145).

იხინჭის კოპალე სალოცავი ხატი, დღეობა (ქებ.).

კ

კადაჩალ-ი ტყე, ველები (სხლოვ.). „ეგ ადგილები ეხლა სატყეომ დაიჭირა, ნარგავები გააკეთა“ (ს. კუდიანაშვილი). ამავე სახელწოდებით დასტურდება ტყიანი მთა. ს. თეთრაულებში. „ქვემო-არტნის გაღმით არი, ივრის პირზე, ჩვენაც ვმთობთ, სხლოვანიცა. სად გააკდინე საქონელი და — კადაჩალშიო, — ვიტყვით“ (ი. თეთრაული). სახელწოდების წარმოშობა გაურკვეველია.

კაკბეთ-ი, კაკაბეთ-ი სოფელი თიანეთში. იგი მოიხსენიებოდა ერწო-თიანეთში ჯერ კიდევ XVIII ს-ის ისტორიულ-ეკონომიკურ საბუთებში. ვახუშტი ალაგვისა და ლოშოს (ლიშო?) გვერდით ასახელებს სოფ. **კაკვეთ-ს**, რომელიც, ჩვენი ფიქრით, იგივე **კაკბეთი || კაკაბეთი** უნდა იყოს. აღსანიშნავია, რომ კახეთის ხალხთა XVIII ს-ის I მეოთხედის აღწერის მასალებში ს. კაკაბეთის მცხოვრებლებად დასახელებულნი არიან: „**ჭიანი** შიო, **ჭიანი** როსტევან და **ჭიანი** თევდორე ახლა გაყრილი“ ([112] 41). გვარი ჭიანი (ჭია-ნ-ი) უნებურად გვახსენებს ამ არეალში არსებულ დღევანდელ სოფ. **ჭია-ურა-ს**, რაც „ჭიას კუთვნილ მამულად“ უნდა გავიგოთ. თვითონ ჭიაურა გვიანდელი სახელი ჩანს. მას ვახუშტი საერთოდ არ იცნობს. საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ძველ ცნობარში (1930 წ.) კაკბეთის მეორე სახელწოდებად **მამადაანები** არის ნაჩვენები ([68] 52)

კაკლის ხევ-ი ხევი (საყდრ.) „ხევი, სადაც ბევრი კაკლის ხეები დგას“.

კალმახას წყარო წყარო (ქებ.). კალმახა — ადამიანის საკუთარი სახელია.

კალუების გაღმიდან საძოვ., სახნ. (ზარ.).

კარახტინებ-ი სახნ., საძოვ. (ზ. შარახ.). როგორც ზემოთ გვქონდა

აღნიშნული (იხ. ალეკაანთ კარახტინი), სახელწოდებისათვის ამოსავალია რუს. «карантин»-ი.

კარახტინის ხევ-ი ხევი, მდინარე, ერთვის მდ. შარახეულას (ზ. შარახ.).

კარგოს ნაბინავარ-ი ადგილია ივრის კუდებში, მთაზე (ზ. არტ.). **კარგო** ადამიანის ზედმეტი სახელია.

კარსა მთა მდ. საგამის (იხ.) სათავეებში. ამ მთის დასავლეთით 2-3 კმ-ზე მდებარეობს ს. კორსავი. ეტიმოლოგია უცნობია.

კაცელაანთ ახო სახნავი, საძოვ. (ახ. სოფ.).

კაცმონაკლავა მინდორი, ველტყიანი აღგილი (ყუდრო). „აღგილი, სადაც კაცი მოუკლავთ“.

კაწალო ახალსოფლის ერთ-ერთი დიდი უბანთაგანი. 50-იან წლებში კ. ცალკე სოფლად იყო გამოყოფილი. აღგილობრივი მასწავლებლის, ვასო არჩილის ძე ო თ ა რ ა შ ვ ი ლ ი ს ვარაუდით კაწალო **კაწან**-სიტყვას უნდა უკავშირდებოდეს, რაც თიანეთურ მეტყველებაში ქვის პატარა კედელს, ყორეს ნიშნავს. „როცა მდინარეს დასწურვენ, ბოლოში, ფაცრის აქეთ-იქით გაავლებენ ქვებს, მერე ამ ქვას მიჰქვიშავენ, რომ თევზი არ წაუვიდეს და ფაცერში ჩავიდეს. ამ კედელს ჩვენ ვეძახით კაწანს. სოფელსაც კაწანივით მდებარეობა აქვს, რამდენიმე ხევი მოდის და ბოლოში არი მინდორი. მინდორს ერქვა კაწალო და სოფელსაც კაწალო დაარქვეს“.

კაწანი-ს ეს მნიშვნელობა, ოდნავ ცვლილი შინაარსით, საბასთანაც დასტურდება: „ღობე, მცირე ეკალთაგან აღმართებული“. კაწანი ცოცხალი ენობრივი ფაქტია ქიზიყური დიალექტისათვისაც ([54] 87). კაწანს იცნობს ნ. ჩუბინაშვილი: „ღობე ეკალთაგან“ ([100] 245). **კაწანი** უძრავად მოწნული ღობე; **გადაკაწნა** — გადაღობვა ([51] 182).

მთიულურს დაუცავს **კაწალა**: „პირზე კაწალა მომაკარ“ ([32] 186), რაც ნიშნავს: პირი შემიკარი („ხახამშრალი დამტოვე“). მთიულ. კაწალას **კაწან**- სიტყვასთან ფონეტიკური და სემანტიკური სიახლოვე აშკარაა. ს. კაწალო ზოგიერთ წყაროში ([76] 167) წარმოდგენილია როგორც **კაწალ-ი** (ბეჭდვის შეცდომაა?).

როგორც ჩანს, თიანეთური დიალექტი **კაწან**- სიტყვას ადრე უფრო ფართოდ იყენებდა. სავარაუდებელია, რომ **კაწან**- ფუძე იყოს ამოსავალი არაგვის ხეობის ფშავის კაწალხევისათვისაც (←კაწანხევ-ი?).

კაჭუას ნაკაფ-ი სახნ., საძოვ. (ჭურჭ.) „ცხვარი დგმია იქა კაჭუასა“ (ლ. ჭურჭელაური).

კახების ხატ-ი სალოცავი ადგილი, ეკლესიის ნანგრევები ჭალეთის მთის ძირში, სამხრ.-აღმ. მხარეს.

კახოიანებ-ი სოფელი ზემო თიანეთში (ზარიძეების სას. საბჭო). ვახუშტი მას იცნობს როგორც **კახიანი** ([22] 206). მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ ტოპონიმისათვის ამოსავალია ადამიანის საკუთარი სახელი **კახი, კახა**. კახოიანები კახოშვილების სოფელს ნიშნავს. ზოგიერთი წყაროს მიხედვით კახოიანების ძველი სახელწოდება **კახო** ყოფილა ([76] 167).

კევლიანკუჭა ტყე, პატარ-პატარა ველებიო (მაგრ.). თიანეთური ქალოს მიხედვით კუჭა ზოგადად ბორცვს, გორაკს, ბუნებრივად ან ხელოვნურად შექმნილ რაიმე შემაღლებულ, წვეტიან ადგილს ეწოდება. კევლიანკუჭა-ს პირველი ფუძე (კევლიან-) ანთროპონიმული წარმოშობისაა და ნიშნავს: „კეველიშვილების გორაკი, კევლიანთ კუჭა“. სხვათა შორის, ამ სოფლის მოსაზღვრედ მდებარეობს სოფ. **კევლიანი** (ცხვარიჭამიას სას. საბჭო, მცხეთის რ.), რაც, უეჭველია, კეველიშვილების სოფელს ნიშნავს. თვითონ კევლია, ალბათ, **კელია**-საგან („მკელობელი“, „კოჭლი“) გვაქვს მიღებული.

კეკაის ნაყანობ-ი სათიბი (ფარ.); ადგილობრივთა დამოწმებით **კეკა** იყო ფშაველი, ს. ომარიანიდან.

კეკელთ ახო სათიბი, საძოვ. (ღუღელ.). „კეკელთ ეძახოდენ ხევსურებსა, ქისტაურები იყუნენ გვარათა“ (გ. ქისტაური).

კელეთ ციხე ასეთი ნასოფლარია დასახელებული თიანეთში ([76] 179). ჩვენი მასალის მიხედვით კ. ც. ამ არეალში არ დასტურდება.

კენკიანთველის წყარო ველი, წყარო, ადგილი (ხევსოფ.). „წყარო, რომელიც გამოდის კენკიშვილების კუთვნილ ველში“.

კენკიაანთ ნაჭერ-ი სახნ., საძოვ. (ხოფცა).

კეჟერთ წყარო წყარო, ადგილი (ლიშო) „ფშაველი კეჟრიშვილების კუთვნილი წყარო“.

კეხაციხე ციხის ნანგრევები ს. ბაღიაანების ჩრდილოეთით, დიდგორის ხევის აღმოსავლეთით.

კვერნაულა სოფელი (2) ერწოსა და არტნის ხეობაში. ამათგან ერწოში მდებარე სოფელი (ხევსურთსოფლის სას. საბჭო) ვახუშტის დროს ცნობილი ყოფილა **კვერნიულ-** ფორმით ([22] 206). 1930-იან წლებში მას **ძიათსოფელი** ეწოდებოდა. არტნის ხეობის კვერნაულა შედარებით გვიანდელი წარმონაქმნი ჩანს: მას არ იცნობს არც ვახუშტი, არც გ. რადე. ადრინდელი ოფიციალური

წყაროების მიხედვით კვერნაულას **პანკელაანები** რქმევია ([68] 52). რაც აქ ხალხს პანკისიდან მოსულობაზე მიგვანიშნებს. 1926 წელს კვერნაულაში 14 კომლს უცხოვრია. ჩვენი მასალის მიხედვით (1974 წ.), აქ ფშავლების 21 კომლი ცხოვრობს.

კვინწას ნადიკვრებ-ი ველტყიანი ადგილები (ჯიჯ.). კვინწა ადამიანის ზედმეტი სახელია. ამის დასამტკიცებლად ისიც იკმარებს, რომ ს. ტუშურებში ადგილის სახელად დადასტურდა **კვინწანაანთ ჭყანტები.**

კვირია ხატი, სალოცავი; ადგილი, სადაც კვირიას სახელობის ხატი (ნიში) არის აგებული. ესაა მთელ ერწო-თიანეთში ყველაზე გავრცელებული საკულტო სახელი. იგი დასტურდება როგორც ზემო არტნის ხეობაში, ისე ცენტრალურ თიანეთში და ზემო და ქვემო ერწოში (სულ დაახლ. 30 ერთეული).

კვირიასხევ-ი სოფელი ერწოში, ს. სიონგორის ადგილობრივი სახელწოდება. აღსანიშნავია, რომ მას დამწვართსოფელსაც უწოდებენ.

კვირიკაანთ ახოებ-ი ახოები, სახნ., საძოვ. (ვერხვ.). ამოსავალია ანთროპონიმი **კვირიკა** (შდრ. კვირიკაშვილი).

კვირიკლიხევის გზა გზა, ადგილი (გორ.).

კვირისგორ-ი ადგილი, მინდორი, საკულტო ნაგებობა (მელ. ხ.). „კვირა-ცხოველსაც ვეტყვით. აღდგომის სწორზე ქათმის მამლებსა ჰკლავენ“ (ხ. ჯამაგიძე). ასეთივე სახელი დადასტურდა ს. ხოფცაში, ხოლო დ. თიანეთში არის კვირის ქედი. (კვირის—კვირიის; კვირია).

კვირისჯვრობა რელიგიურ-საკულტო ადგილი (მაგრ.) „კვირიის ხატობა“.

კვლიაანთ ახო საძოვ., სახნ. (ჟებ.). **კვლია** ადამიანის ზედმეტი სახელი ჩანს.

კვნიწანაანთ ჭყანტებ-ი ნოტიო, სველი, ჭყანტობი ადგილი; საძოვ., სათ. (ტუშ.). **კვნიწანა** ადამიანის ზედმეტი სახელი ჩანს. საინტერესოა, რომ ს. ჯიჯეთში მინდვრის სახელად გვხვდება **კვინწას ნადიკვრებ-ი,** რაც იმავე **კვნიწა || კვინწა** საკუთარ სახელს გვავარაუდებინებს. **კვნიწა** — „პატარა, ნამცეცა, ერთი ბეწო“. როგორც ჩანს, **კვნიწა || კვინწა** დაბალი ტანის ადამიანის ზედმეტი სახელი იყო.

კვრინჩხებ-ი სახნ., საძოვ. (ახ. სოფ.).

კვრინჩხიან-ი სახნ. მინდ. (მელ. ხ.).

კიკოიანთ ნაყიდობა სახნ., საძოვ. (გორ.) „მინდორი, რომელიც კიკოიანთ ჰქონიათ ნაყიდი“.

კიკოლათ გორ-ი ტყე (ქვ. ნაქალ.).

კიკონას ველებ-ი საძოვ. სახნ. (ვერხვ.).

კიკოს ახო სახნ., მინდ. (ახ. სოფ.).

კიმოთის ნასახლარებ-ი მამული (წიკვლ.).

კინთა ნასოფლარი თიანეთის რ-ში. ზოგიერთი წყარო ნასოფლარს **კინთას** დუშეთის რ-ში უჩვენებს ([76] 180). ფაქტიურად კინთა ერწოშია (იხ. კინთის ტყე).

კინთის ტყე მაღალი ტყიანი მთა თიანეთ-ახმეტის რაიონების მიჯნაზე (ჯიხო). 1926 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით ერწოში დადასტურებულია ს. კინთა (9 კომლი, 44 სული). იგი მოქცეულია ამჟამინდელი სიონის წყალსაცავის ტერიტორიაზე, ს. იორამაანთკარისა და ს. კუპრიანთკარს შორის ([68] 51). ტოპონიმი **კ.** სწორედ ამ სოფლის სახელს მიხედვით არის გაფორმებული.

კინჭოტა საძოვ., სათ. (სიმხ.). ეტიმოლოგია საკვლევია.

კირცხილების გზა გზა, ტყიანი ადგილი (საყდრ.). კირცხილა მცენ. რცხილა-ს მთიულური სახელწოდებაა (კირცხილა—ძვ. კრცხილა || ქრცხილა).

კირცხილიან-ი სოფელი ერწოში; ამჟამად შედის ს. ალოტში. ერწო-თიანეთის ტოპონიმიაში საერთოდ ძალზე ხშირია მცენარე კირცხილა-ს მიხედვით წარმოქმნილი მიკროტოპონიმები.

კლდე ტყე, ბუჩქნ. (ქებ.) „კლდეში გავჭერი სარი“ (ზ. ბადრახიშვილი).

კლდეთა სათიბი, საძოვ. (ქუშხ.).

კლდეთავ-ი მინდ. საძოვ. (ქუშხ.) სავარაუდებელია, რომ **კ. კლდეთთავი**-საგან იყოს წარმოქმნილი.

კლდეწითელ-ი ტყე (თ. ხევა). ანალოგიური სახელწოდების ტოპონიმი დასტურდება ზემოთიანეთში, ს. წიკვლიანთკარში.

კლდეწითლის ხევ-ი მდინარე, ხევი; მდ. თეთრახევას ერთ-ერთი სათავე. მიერთვის მდ. საჩქვეფების ხევს (იხ.) საყდარაგორთან; მათი შეერთებით წარმოიქმნება მდ. თეთრახევა.

კლდითავ-ი ტყე, მინდორი (საკრ.). ს. ახალსოფელში, ს. მაგრანეთში, ს. საყდრიონში ადგილის სახელებად გვხვდება კლდისთავ-ი.

კლდის ბოლოებ-ი სახნ., საძოვ. (თ. ხევა).

კლდიძირ-ი დიდი კლდე (ზენამხ.) .

კლდის წყარო ცივი წყარო (მელ. ხ.). ანალოგიური სახელწოდებები ერწოში ხშირად გვხვდება.

კობლეთგორ-ი სახნ., საძოვ. (ლელ.). კობლე—კომბლე (შდრ. საბა: **კობალი** — ჯოხი თავმრგვალი ([62] ტ. IV_1). ვაჟაც **კობალ-** ფორმას ხმარობს: „ზურგზედა გუდა ჰკიდია, თავით კობალი უძევსო“ („მწყემსი ქალი“).

კოდა ვრცელი მინდორი, საძოვ. (მელ. ხ., ხევ. სოფ.). „დიდი ადგილია, ხევსოფელიც ჩემულობს, მელიასხეველებიც. ამ მინდორში ძველათ იკრიფებოდნენ ბერიკები, მოდიოდა აქ მთელი ეს ზემო და ქვემო ერწო და იყო ერთი ჭიდაობა, ევრე კიდევ სხვა გართობა“ (ენუქ წიკლაური).

ტოპ. **კოდა** ძალზე გავრცელებული სახელია არა მარტო ერწო-თიანეთში, არამედ მთელს აღმოს. საქართველოში (შდრ. ს. **კოდა** ქარელისა და თეთრიწყაროს რ., **კოდისწყარო** კასპისა და თეთრიწყაროს რ., **კოდიჯვარი** — ლენინგორის რ., **კოდმანი** — ქარელის რ.).

კოდა წყაროს, ადგილის სახელად ხშირად დასტურდება ზემო და ქვემო ერწოში (ს. ს. საყდარ., ბად., ღულ., კვერნ., დევ. ხევი). **კოდას წყარო** დასტურდება ს. საჯინიბოში; **კოდიწყარო** გვხვდება თიანეთ-არტანის სოფლებშიც და ერწოშიც (ს. ს. მამად., თეგერ., ყებ., ომარ., ზარიძ., საყდრ., ხოფცა, იარაჯ., სიმხ., დ. თიან., ბოკ. და სხვ.).

კოკოას წყარო წყარო, ადგ. (მაგრ.).

კოკოთ ახოებ-ი ძველი ნასახლარი, ნაშალი ადგილები (თრანი). „ე მა გაღმით არი გუდანელები, სოფელია. ადრე მაგისათვი უბახნია კოკოს სოფელი. იქ არი წყაროთუბანი, იმაზეც ვიტყვით ახალსოფელს“ (ლ. წიკლაური).

კოკოთ ველა სათ., საძოვ. (ღულ.).

კოკონაანთ დაბალ-ი სახნ. (ახ. სოფ.).

კოკოს სოფელ-ი (კოკოთსოფელ-ი) ს. გუდანელების ადრინდელი, არაოფიციალური სახელწოდებაა (იხ. გუდანელები).

კოლას ნაფარეხლებ-ი ტყიანი ადგილი (საჯინ.). „ადგილი, სადაც კოლას ფარეხი ჰქონია მოწყობილი“.

კოპალა/ე სალოცავი ადგილი არტნის ხეობაში (ქუშხ.). რიტუალური ადგილების სახელებად **კოპალა/ე** საკმაოდ ხშირად გვხვდება როგორც ივრის ზემო აუზში, ისე ერწოში: **კოპალე** ხატი, მინდორი; ამჟამად წყალსაცავს უკავია (ორხ.), **კოპალეს მამულები** საძოვ. (ზარ.); **კოპალეს ხატ-ი** სალოცავი ადგ. (ტუშ., ყებ.) და სხვ.

კოპიტის ახო ახო (ლიშო). „კოპიტი კაცი იყო, კოპიტს ეძახდენ“ (ს. აბალიშვილი).

კოუიას წყარო წყარო (საყდრ.). **კოუია** ადამიანის ზედმეტი სახელია, არქმევენ კოპებიან, ჯირყვლებიან ადამიანს.

კორკოტას ველა სახნ., სათ. (მელ. ხ.).

კორმიანა პატარა სანერგე ველი საბადურის ტყეში (ღულელ.). **კორომ-იან-ა** კორომი — ხენი ჯგუფად მდგარნი ([62] ტ. IV$_1$). თუმცა ამოსავლად სავარაუდებელია **კორომი-ს** მეორე მნიშვნელობა: „პატარა ბორცვი, გორაკი“ (ლ. ნიზაძე, ქართლური დიალექტური მასალები: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XVII, 1970).

კორსავ-ი ნასოფლ. მდ. ივრის სათავეებში (ზ. არტ.). საგულისხმოა, რომ გასული საუკუნის დასასრულისათვის (1870-იანი წლები) **კორსავი** მთის სოფლის კვალობაზე მოზრდილი დასახლებული პუნქტი ყოფილა — 13 კომლი (გ. რადეს მიხედვით). ჩვენი საუკუნის 40-იანი წლებისათვის მოსახლეობა აქ საკმაოდ ათხელებულა — 5 კომლი (გ. ჩიტაიას მიხედვით), 1970-იანი წლებისათვის კ. უკვე ნასოფლარია. აქედანაა გვარი კორსაველი. თვითონ კორსავი-ს წარმომავლობა გაურკვეველია. შეიძლებოდა ამოსავლად დაგვეშვა აქ მდებარე მთის სახელი **კარსა** (კარს-ავ-ი—კორსავი?).

კორსავის ჭალა ადგილი, საძოვ., სათ., მდინარისპირი (ზ. არტ.).

კორსავლის გორაკა სახნ., საძოვ. (გოჯ.). „კორსაველი კაცის გორაკი“.

კორომ-ი სახნ., საძოვ. (სიმ. ხევი).

კორუღ-ი ველი. მინდორი (საყდრ.). „ერთ გუდამაყრელს ლეკი მოუკლავ და კორუღად ჩაუგდია“ (ვ. დოლიძე).

კორუღებ-ი მინდვრები მდ. აძეძის პირას (ზ. ნაქალ.).

კორხელაურთ ნაწისქვილარ-ი (იხ. კორხულა).

კორხულა მდინარე, ხევი (ზ. არტნის სას. საბჭო), მდ. ივრის ერთ-ერთი შენაკადი. სახელწოდებისათვის ამოსავალი ჩანს ძირითადი (პირველადი) ფუძე **კორხ-ი**. -ულა (←-ურ-ა) აშკარად კუთვნილების სუფიქსია. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ **კორხი** აქ ოდესღაც სოფელი უნდა ყოფილიყო. დ. თიანეთის ახლოს, კუჭბაღის (იხ.) ზემოთ, ივრის პირას მდებარე ერთ მამულს **კორხელაურთ ნაწისქვილარი** ეწოდება (იხ.). კორხელაური, მაშასადამე, გვარი ყოფილა; კორხ-ელ-ა-ურ-ი „ს. კორხიდან წამოსული ადამიანი“, „კორხელი კაცის შთამომავლობა“. თვითონ „კორხი“ ქვაღნარ, მწირ ადგილს ეწოდება. აჭარულ ტოპონიმიაში ადგილის სახელებად გვაქვს: **კორხი** || **კოხი, კოროხა** და ა. შ.

კოტაანთახოს თავ-ი ტყე (სიმ. ხევი). „კოტაანი“ პატრონიმული სახელი ჩანს.

კოტაანთ ახუებ-ი სახნ. (სიმ.ხევი).

კოტაისძირის ნასოფლარ-ი ადგილი ს. თრანში, მდ. თრანულას და შირიმისხევს შორის, ე. წ. „საქალაქო გზასთან“, სოფლის სამხრეთით.

კოტეებ-ი საძოვ., ველტყიანი ადგილი (თრანი) **კოტა, კოტე** ერწოთიანეთურში დაქანებულ ადგილს, საერთოდ, ფერდობ, გვერდა, დამრეც ადგილს ეწოდება.

კოტიას წმინდაგიორგი სალოცავი ადგილი, ხატი (წიკვლ.). „ფერდობის წმ. გიორგი“, „ხატი, რომელიც ფერდობზეა აგებული“.

კოფიას ახო სახნ .(ახ. სოფ.).

კოღერას ახო ახო, საძოვ. (თიან.).

კოშკის წყარუებ-ი მინდვრები (ორხ.).

კოჭაყელა გადასასვლ., დაბლობი (ჯიჯ.). სახელწოდებისათვის ამოსავალი ჩანს **კუჭას ყელა** „ბორცვის ყელი, გადასასვლელი“. აქვეა ტოპ. **კოჭაყელის ხევი** — მდინარე, ხევი. ადგილობრივ მას წითელიკლდის ხევს უწოდებენ.

კოჭიტათ ველა საძოვ., ტყიანი ადგილები (ქვ. ნაქალ.).

კოჭლათ მსხალტკბილ-ი ადგილი, მინდ. (თ. ხევა). „ორ-სამი კომლია კოჭლაშვილები“ (ი. თიაბაშვილი).

კოხ-ი მთა, საძოვ. (ევეკ.). კოხი ერწოთიანეთურში ეწოდება მაგარ ქვას: იყენებენ კევრის ქვედა ძირის მოსაკენჭავად („მოსაკოხავად“).

კოხრიანა მთა; სათიბი, საძოვ. (სახევი). როგორც ჩანს, ამ ტოპონიმში რ- განვითარებულია. ამოსავალია **კოხ-ი**: კოხ-იან-ა. კ. მთის, საძოვრების სახელწოდებად გვხვდება ხაიშოში, ალოტში და ზემო არტანში.

კოხტაანთ ნაჭერ-ი სახნ. (ზარ.).

კოხტაფ-ი ადგილი, ველი, ჩავარდნილი მინდორი (ევეკ.). „კოხიანი ტაფი“.

კრუმათ ნასახლარ-ი ადგილი (ყუდრო). **კრუმა** აქაური ხევსურის საკუთარი სახელი იყო.

კუდგორა ადგილი, ველები (ზ. არტ.). „გორაკის კუდი, ბოლო“.

კუდიაანთ ველებ-ი სახნ., სათესი მინდ. (ორხ.).

კუდულიას ახო სახნ. (ბოდახ.).

კუიაანთ ახო საძოვ. (ჭებ.). „კუია“ პატარა ტანის ადამიანის (მამაკაცის) ზედმეტი სახელია.

კუთხიანი წყარო წყარო (ბოჭ.).

კუკელათ ალმადაღმეებ-ი ველი, საძოვ. (ლიშო). ტოპონიმი პატრონიმული წარმოშობის ჩანს.

კუკიაანთკარი- ასეთი სოფელი ივარაუდება ერწოს ველზე ([51] 110), თუ ეს ჩაწერის შეცდომა არაა და აქ **კუპრიაანთკარი** არ ივარაუდება.

კუკუას წყარო წყარო, ადგილი (ღულელ.).

კულიას წყარო წყარო, მინდ. (ზ. ნაქალ.).

კუნელას ნასახრალეებთან საძოვ., სახნ. (გორ.). „ადგილი; ნასახლარები კუნლის ხესთან".

კუნტას დაბალ-ი ტყე, საძოვ. (ბალ. ხ.). **კუნტა** ადამიანის საკუთარი სახელია.

კუნძიანა ველტყიანი ადგ. (ქვ. ნაქალ.).

კუნწულაანთ მამულებ-ი საძოვ. (მშრ. ხ.).

კუპრიაანთკარ-ი ყოფილი სოფელი ერწოში, დაიფარა სიონის წყალსაცავით. მდებარეობდა მდ. ივრის ნაპირას, ს. ჯიხოსთან ახლოს. კ. ანთროპონიმული წარმოშობის ტოპონიმია. ამოსავალია გვარსახელი **კუპრიაანი**. გვარის თავკაცის სახელი **კუპრია** შერქმეული სახელი ჩანს „კუპრივით მავი კაცი". შესაძლებელია **კუპრიაანი** გვარს პროფესია-ხელობის გამოც შეარქვეს. ქ. დუშეთში, მაგალითად, ცნობილია გვარის სახელი **კუპრავიანი** (←მკუპრავიანი) „ტიკების მომკუპრავი", „ტიკების ხელოსანი".

კუუბაღ-ი კულტურისა და დასვენების პარკი დ. თიანეთში, მდ. ივრის ჭალაში. ეს ადგილები უყიდია ვინმე კუჟანას (გვარად ცომაია ყოფილა), შემდგომ კი აქ პარკი გაუშენებიათ. კუბაღი — კუჟანას ბაღი.

კურდღელას ნასახლარ-ი მინდ. (ქუშხ.).

კუტარელას ველ-ი საძოვ., სახნ. (ხოფცა).

კუჭა ტყე (საყდრ.). ადგილების სახელებად კუჭა („ამო'მვერილი ადგილი, მაღლობი, კუჭივით ამოწვერილი ადგილი") ერწო-თიანეთში საკმაოდ ხშირად გვხვდება (ქვ. ნაქალ., ომარ., ევე.).

კუჭეჭა მთა, საძოვ. (სახევი). „კუჭივით არი აწვერილი, იმიტო თუ მააქვივნეს" (ს. კუდიანაშვილი).

კუჭეჭათ გორ-ი გორაკი, საძოვრები (ომარ.). „კუჭეჭა ნამდვილი სახელია კაცისა. ეგ გვარად იყო ზურაბაული. მთასავით კაცი იყო, მე მოვესწარ" (ანა ივანეს ასული ხუციშვილი).

კუჭეჭას გორ-ი სახნ., საძოვ. (თეგერ.).

კუჭისწყარო წყარო, ადგილი (საყდრ.). „ტყე არი კუჭა და იქ გამოდის".

ლ

ლაგაის მთა საძოვ., მთა (ზ. არტ.). ზოგიერთ წყაროში მას **ლაგის მთა** ეწოდება ([114] 111).

ლაგირ-ი სახნ. დიდი მინდვრები (თ. ხევა). „კანუშნები ყოფილა, ჯარი მდგარა". რუს. „лагерь" („ბანაკი").

ლაზარეს ტაფ-ი ველტყიანი ადგილი, ჩავარდნილი, ჩადაბლებული მინდორი (საყდრ.).

ლათბეებ-ი საძოვ. სათ., ველტყიანი ფერდობი (ბალ. ხ.). ამოსავალია მთიულ.-გუდამაყრული **ლათბე** || **ლათვე** „ხის დიდი გეჯა, სარნა; საქონლის დასარწყულებელი ხის გრძელი გეჯა". ლ. „ადგილი, სადაც საქონლის დასარწყულებელი გეჯა, სარნა იყო". როგორც ჩანს, ტოპ. ლ. ერწოში მთიულურ-გუდამაყრული შემონატანია. მთიულეთ-გუდამაყარში ხშირად გვხვდება **ლათბე** || **ლათვე** სიტყვისაგან წარმომდგარი ტოპონიმები: **ლათვე** — წყარო (ს. დუმაცხო), **ლათვია** — წყარო (ს. ჯუღისი) [110]. საინტერესოა, რომ საქონლის სადგომის აღსანიშნავად ჩაჩნურ-ინგუშური წარმოშობის ტოპონიმებში გვხვდება ფუძე **ლათუე**, რაც საერთოს უნდა ავლენდეს მთიულ.-გუდამაყრულ **ლათბე** || **ლათვე** სიტყვასთან. თუშეთში (პირიქითის ხეობაში) ადგილის სახელად დასტურდება ტოპ. **ჯელათუე**, რაც ცხვრის სადგომს ნიშნავს: **ჯე** „ცხვარი", **ლათუე** „სადგომი" ([79] 102).

ლამაზგორ-ი სათიბი, ტყიანი ადგილი (ბოდახ.).

ლამებ-ი მინდორი (თ. ხევა). სიტყვა ლამი „სილა, შლამი" (გადატ. ნოყიერი, მოსავლიანი მიწა) ძალზე ხშირია აღმოსავლეთ საქართველოს ტოპონიმიაში (შდრ. ს. ს. ლამისყანა (მცხ. რ.), ლამოვანი (დუშ. რ.). თვითონ ერწო-თიანეთში **ლამი**-საგან წარმოქმნილი სახელები მხოლოდ მიკროტოპონიმიაში გვხვდება. **ლამები** მინდვრის სახელებად დასტურდება მელიასხევში და სიმონიანთხევში, **ლამების გორი** კი — ს. ჩეკურაანთგორში და ევენტში.

ლამორდენ-ი მინდორი, ადგილი (თ. ხევა). ეტიმოლოგიურად **ლ. ლამ-ი** და **ორდი** (|| ვარდი) სიტყვების ნაერთს უნდა წარმოადგენდეს **ლამ-ორდე-ნ-ი** „ლამის ვარდები", „ლამიანი ადგილი, მინდორი, სადაც მრავლად ხარობს მინდვრის ვარდი, ანუ ყაყაჩო (იხ. ვარდისუბანი). **-ნ** ობიექტის სიმრავლის ნიშანია. ძალზე ნიშანდობლივია, რომ ლამორდენი ადგილის სახელწოდებად გვხვდება ხევში (ყაზბეგის რ-ნი) ს. ცდოში სათიბ მინდორს **ლამორძე** ეწოდება (←ლამორდე); გვაქვს აგრეთვე **ლამორძეთ ქოხი**

(„ლამორძეს გამოქვაბული“ ([28] 33). ლამორდე, ლამორდენი, ლამორძე ერთი და იმავე წარმოშობის სახელები ჩანს.

ლარეებ-ი სახნ. მინდვრები (ნად.). „ლარივით წვრილი, ნაკვეთ-ნაკვეთი მიწები“.

ლარტუშო მთა; ვრცელი საძოვრები: მინდვრები ს. სახევის ხეობაში. ეტიმოლოგია გასარკვევია. საგულისხმოა, რომ ტოპონიმი **ლ.** დასტურდება თუშეთში (ს. ჩიღო). აქ **ლარტუშო** ჰქვია ჩიღოს საზამთრო საბოსლოებს (გ. ცოცანიძის ცნობით).

ლარტუშოს გლუვ-ი ვრცელი ველტყიანი ადგილი (სახევი).

ლარტუშოს საჩქვეფებ-ი ტყიანი მთა (სახევი) „კლდიანი ადგილებია, ერთავად წყალი რომ გადმოჩქეფს“.

ლარტუშოულა პატარა მდინარე, ხევი, მდ. სახეურას (იხ.) ერთ-ერთი შენაკადი. მდინარის სახელწოდებაში კუთვნილების **ურ-ა** სუფიქსი იმაზე მეტყველებს, რომ აქ ოდესღაც სოფელი ლარტუშო უნდა ყოფილიყო. წინააღმდეგ შემთხვევაში **ლარტუშოს წყალი** ან **ლარტუშოს ხევი** გვექნებოდა, რადგან მიკროსახელებთან (სათიბი, სახნავი, პატარ-პატარა ახო-ოლეები...) კუთვნილების **ურ-ა** სუფიქსი აქ თითქმის არ შეიმჩნევა.

ლარტუშო ისეთივე არაქართული წარმოშობის სახელი ჩანს, როგორიცაა: ლიშო, ხაიშო, აკუშო, აფხუშო, აფშო, ხარტიშო, ჭანიშო, ღონიშო.

ლატიძეურის გორ-ი სახნ., საძოვ. (იარაჯ.) „გორაკი, რომელიც ლატიძის კუთვნილი მამულის სიახლოვესაა“.

ლაფიანა ადგილი, პატარა გუბე, მინდორი ტყეში (მაგრ.). ასეთი სახელები აქაურ მიკროტოპონიმიაში ხშირია.

ლაფიანა ადგილი ტყეში (ბოკ.).

ლაფიანწყარო წყარო, ადგილი (ტუშ.).

ლაფიანხევ-ი ტყიანი ხევი, სველი ადგილებით (გორ.).

ლაფის თარგ-ი ადგილი, მინდორი (ახ. სოფ.). სიტყვა თარგი-ს მნიშვნელობა ერწო-თიანეთში ამჟამად დაბნელებულია, მაგრამ, ჩანს, ადრე სამეურნეო ტერმინად გამოიყენებოდა: ს. ჩაბანოში სახნავი ნაკვეთის სახელად გვხვდება **ჯვართ თარგი** (იხ.). როგორც ჩანს, **თარგ-ი** ეწოდებოდა სახნავ-სათეს მინდორს, ერთიმეორისაგან გამოყოფილ (დაკვალულ) ნაკვეთებს. **თარგ-ი-2**. ბაღებში დიდი კვალი: „ნაკვეთი უნდა დაიყოს მცირე თარგებად და სასუქი გამოზომილ იქნეს თითოეული თარგისათვის“ ([85] ტ. III). საგულისხმოა, რომ სულხან-საბა ორბელიანი ამ მნიშვნელობით სიტყვა **დარგს** გვაწვდის: „**დარგი** არს, ოდეს საყანურსა და ვე-

ნაჯთა ვაჯსენებდეთ, ვიტყვით: ქვეით დარგი, ზეით დარგი, აქათიქითი და ეგევითარნი“ ([62] ტ. IV$_1$). **„დარგი** — თჯთოეული გვერდი ოთხკუთხისა განფენილებისა, ვენახისა, საბნავისა და მისთანათა. დარგი ზევითი, ქვეითი, აქათი და იქითი; бок, сторона, фланг“ [100]. სიტყვა **თარგ-ი** ხშირია ქართლის (მცხეთის რ.) სამეურნეო ტოპონიმიკაში: **აკაკების თარგი** მინდ., ვენახი ს. წეროვანში **გარდუშას თარგი** მამული ს. ძალისში; **იასთარგი** მამული (იქვე), **რუხიანთტირიფების თარგი** ადგილ-მამული (იქვე): **წილკნის თარგი** მამული ს. წილკანში და სხვ. მრ. ([91]). თარგ- სიტყვასთან უნდა ჰქონდეს კავშირი ტოპონიმ **დარგულა-ს** (ტყე ს. კვირიკეში, აჭარა): **დარგ-ულ-ა** „ნაკვეთებად დაყოფილი ტყე“?

ლაშარის ხატ-ი ხატი, სალოცავი ადგილი (ქებ.). ლაშარი, ლაშარობა, ფშაველთა უპირველესი ხატი, სალოცავი. ლაშარის მთავარი ხატი უკანაფშავშია, მაგრამ ამ სახელწოდების ცალკეული ხატები (ნიშები) როგორც არაგვის, ისე ივრის ხეობის ფშავში სხვაგანაც გვხვდება. ლაშარის ხატი წმ. გიორგის სახელობის სალოცავია; **ლაშარობა** სიტყვაში „თამარობა“-ს ანალოგიით **რ** თანხმოვანს გაჩენილად მიიჩნევენ [21]. მაშასადამე, ლაშარობა — ლაშა-ობა, თუმცა საამისოდ დამატებითი კვლევაა საჭირო.

ლაშარის ჯვარ-ი ივრისხეობელ ფშაველთა ძლიერი ხატი თიანეთში, ზემოარტნის თემში (ს. ხატხევი). იგი მდებარეობს ხატხეორხის (იხ.) გაყოლებით ტყიან გორაკზე, თამარის ხატის (იხ.) შორიახლოს, 1,5—2 კმ-ზე. ანალოგიური სახელწოდების სალოცავი დასტურდება ს. ტუშურებშიც.

ლაშქარას წყარო წყარო, ადგილი (ბოჭ.) „ეგ გამოუკეთებია ლაშქარა ბაძიაშვილსა და იმისი სახელობა დარჩენილა“ (ა. ხუბაბ̌ვილი).

ლახატო სოფელი ზემო თიანეთში (ზარიძეების სას. საბჭო). დასახლებულია ფშავლებით. ეტიმოლოგია საკვლევია.

ლახატოურა ხევი, მდინარე; ერთვის მდ შარახეულას (ლახატო).

ლეგაის საიჯარო ნესტიანი, ჟალტამი ადგილი (მაგრ.). „კაცი იყო, ლეგა ექვივნა, ჩავიდოდა და სუ იქა ჯთიბდა. ეგ ადგილი იჯარითა აქუ ლეგას აღებულიო“ (ა. ფეტვიაშვილი).

ლეგუშაანთ წყარო ადგილი, წყარო (ბაღ.).

ლეკიას ნაყვერ-ი ტყე (სიმ. ხევი) „ადგილი ტყეში, სადაც ლეკიას ხეები შემოუყვერავს“.

ლეკოვანა მთა, საძოვ. (ზ. არტ.) „ადგილი, სადაც მცენ. ლეკი მდგა-

რა“. ადგილობრივ ლ. გააზრებულია ეთნონიმ ლეკთან კავშირში (იხ. ლეკის წყარო).

ლეკისჩალის თავ-ი ადგილი (საყდრ.) „ჩალიანი ადგილი, სადაც ლეკის ხე მდგარა“. ადგილობრივ ამ ტოპონიმს ეთნონიმ **ლეკ-**თან კავშირში განმარტავენ: „ლეკებს უცხოვრიათ ადრე აქ“ (ვ. დოლიძე).

ლეკის წყარო წყარო (მაგრ.) „წყარო, რომელიც მცენ. ლეკის ძირში გამოდის“. ანალოგიური სახელწოდების ობიექტები ხშირად გვხვდება როგორც მეზობელ მცხეთა-დუშეთისა და კახეთის მიკროტოპონიმიაში, ისე მთელს დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით კი სამეგრელოში [18].

ლელას გორ-ი მუხნარი ადგილი, ველები (ცვერწ.).

ლელაძს წყარო წყარო (საჭურე) „ისეთ წყარო, ისეთ წყარო, რო მართლ კარქი რამე“ (მზ. ჭინჭარაული).

ლელოვან-ი სოფელი მდ. ივრის მარცხენა სანაპიროზე, ქებოტის სამხრ.-აღმ. მხარეს. ზოგიერთი წყაროს მიხედვით, ლელოვანის ადრინდელი სახელწოდება **აჩხოტი** ყოფილა ([76] 164). ვახუშტი აჩხოტს მართლაც ქებოტის გვერდით უჩვენებს ([22] 206).

ლიშო სოფელი მდ. ივრის ხეობაში (არტნის სას. საბჭო). დასახლებულია ფშაველებით. სარწმუნო ეტიმოლოგია არ მოგვეპოვება. ვახუშტი ბატონიშვილი ამ ტოპონიმს **ლოშო** ფორმით წარმოგვიდგენს ([22] 206).

ლიშოს მთა მთა, საძოვრ. ს. ლიშოს დასავლეთით, მთა, გუზუმბათის ჩრდილოეთ მხარეს.

ლიშოს თავ-ი მთა, სათ., საძოვ., (ზ. არტ.).

ლიშოს ჭალა მურუნიანი ჭალა მდ. ივრის პირას (დულუზ.).

ლიშოურა ხევი, მდ. ივრის მარჯვ. შენაკადი. **ლიშო-ურა** — „სოფელ ლიშოს კუთვნილი წყალი“.

ლიჩანურ-ი ნასოფლარი ზ. არტნის სას. საბჭოში ([76] 180).

ლოდების გორ-ი ქვაკლდიანი ადგილი (ს. მშენი).

ლოთიგორა — ადგილი ნასოფლ. ყვარას ზემოთ; ძველისძველი ნასახლარები (ზ. არტ.). მოსალოდნელია **ლოდიგორა** || **ლოდგორა** → **ლოთ-გორა.**

ლომისა — სალოცავი ადგილი, ხატი (ტუშ.); ამავე სახელწოდების ხატი სხვაგანაც დასტურდება (საყდრ., ვეძ ხ., სიმ. ხევი).

ლომის წყალ-ი წყარო (ზ. არტ.). **ლომი** აქ ადამიანის ზედმეტი სახელია.

ლომისის წყალ-ი წყარო; სალოცავი ადგილი (ზ. არტ.).

მ

მაგრანეთ-ი სოფელი ერწოში (ღულელების სას. საბჭო) ძვ. **ნაფანთ სოფელი**; „ვითომ რო ნაფანტი სოფელია, აქა-იქ უდგა სახლები“ (ლექსო წიკლაური); ფაქტიურად **ნაფანთ-** (ნაფაანთ?) **სოფელი** პატრონიმული წარმოშობის სახელი ჩანს. ადრინდელი ხანის ეთნოგრაფიულ და ისტორიულ წყაროებში **მ.** მოხსენიებულია როგორც **ვაგრანეთი** (ვახუშტი, გ. რადე.). თუმცა საფიქრებელია, რომ **ვ.** სწორედ **მაგრანეთი**-საგან მომდინარეობდეს. ადგილობრივ გავრცელებულია ხალხ. ეტიმოლოგია: „ქვიანი ადგილია, მაგარი მიწაა და მაგრანეთი იმიტო დააქვიენეს“ (ა. ფეტვიაშვილი). ტოპონიმში **-ეთ** სუფიქსი აშკარაა. ხომ არ შეიძლება **მაგრან** ფუძე ძვ. ქართ. **მაღრან-** || **მაღნარ-** სიტყვას დავუკავშიროთ?

მაგრანეთის ხევ-ი ხევი, მის მარცხ. ნაპირზე მდებარეობს ე. წ. საუდარას ეკლესია.

მაიაკ-ი ველები ადგ. ვანათის თავზე (დორ.). ამოსავალია რუს. „маяк“-ი „შუქურა“. აქ ადრე მდგარა პრრჟექტორი და მაიაკიც ადგილს ამიტომ დარქმევია.

მაკასტახ-ი მთა, საძოვ. მდ. ივრის სათავეებში (ზ. არტ.). ეტიმოლოგია საკვლევია. ანეკდოტურია აქ გავრცელებული თქმულება, რომლის თანახმადაც **მ.** მეღორე ქალს — მაკას — და მის ტახს უკავშირდება.

მალაქია ტყე (კვერნ.) „კაცი ყოფილა, იმასა ჰქერია, შაენები უმზადებია და თავისი სახელი მაუქვიენებია“ (არჩ. ჯავახიშვილი).

მალაქიას წყარო ადგილი, წყარო (ღულელ.) „მალაქია იყო, ხე ეპრა, ნახშირი ეკეთებინა და წყარო თუ რამ გამააკეთა“ (ვ. გოცირიძე).

მამადაანებ-ი სოფელი თიანეთის სადაბო საბჭოში. ტოპონიმისათვის ამოსავალია ადამიანის საკუთარი სახელი **მამადა** (მამადაშვილები ამჟამად ერწოში, ზემო ნაქალაქარში ცხოვრობენ, თვით მამადაანეებში კი — ჭურჭელაურები). ადგილობრივ გავრცელებულია ხალხური გადმოცემა იმის შესახებ, რომ მამადაშვილები ერთი ნატყვევარი თათრის — მაჰმადას შთამომავლები ყოფილან: „პლენათ მოუყვანიათ ერთი აქა და უშვილ-ძირო კაცი ყოფილა და ეს პლენი ამ ხიბლასათვი მიუცია. ხემსურები ყოფილან ეს ხიბლაანი და ეს პლენი ამათათვი მიუცია. ამასა რქმევია **მაჰმად**ა. მერე ამათ მაჲწონებიათ ეს კაცი, რომელიც თათარია ძირათ

და დეერქო მაჰმადაანები. გვ:რები ეხლა და ეხლა აირივა. ხოლოთ ეს ხიბლაშვილები გ:დაჯიშებული ხალხია“ (ლექსო ჭურჭელაური). მამადაანების ძველი სახელი **კაკბეთი** ყოფილა ([76] 167).

მამადაანების ციხე ციხე, ისტორიული ძეგლი ს. მამადაანებში.

მამალა მთა, საძოვარი, სათ. (დულუზ·) „ეგ არი მაგ:რი მთა. სუ აქეთ დ:უდის არხალ-ჭიაურას ცხვარ-ძროხა. ეგ არი, ქაშო რო არი, წყალი, იმის მარჯვენა მხაროზე. ვიტყვით კიდენ „მამალა ქედი“. წოწოლა მთა არი, მაღალი“, ზოგიერთ ძველ გამოცემაში **ე.** მოხსენიებულია როგორც **მამლის ქედი** ([114] 196).

მამითანას წყარო წყარო, ახო, საძოვ. (ჭიაურა). **მამითანა** (|| **მანითანა**) ადამიანის ზედმეტი (შერქმეული) სახელია. „ჭინჭარაული იყო, ივ:ნე და ენას ასწავლიდენ: ანი-ბანი, მანი-თანი-ო და თუ ვერ ამბობდა და უძახნია მამი-თანი-ო და მოუქვივნებაც ეგრე“ (ს. აბალიშვილი).

მამუკაანთ ახო სახნაური (დორ.). „ისე ჩვენ ამაჲ აბუებ ვეძახით“ (ბ. აფციაური).

მამუკას მონაკლავა ადგილია (ყუდრო). „ადგილი, სადაც მამუკა ვიღაცას მოუკლ:ვს“.

მამულაანთ ველ-ი სახნავი ადგილი (ძებნ.).

მანგიას ნასაღორლებ-ი ტყე (ქებ.). „ადგილი, სადაც მანგიას საღორე ჰქონია გამართული“.

მანითანას ახო (იხ. მამითანას წყარო).

მაუალოიან-ი საძოვ. სახნ. (გორ.).

მაუალოიან-ი ნასოფლ., ველი; ამჟამად მისი ნაწილი დაფარულია სიონის წყალსაცავით. სოფლის ერთი ნაწილი ადრევე შეუერთდა ს. ლელოვანს ([76] 168).

მაუალოიანველ-ი ტყეველიანი ადგილი (ყუდრო).

მაუალოსთან სახნ., საძოვ. (გორ.).

მაუერას ნაჭერ-ი სახნ., საძოვ. (ზარ.). „მაუერა ფშაველ კაც იყო“ (შ. დოლიაშვილი).

მარგალიტის წყარო წყარო, ადგილი (ყუდრო). „წყაროა თან მაიყოლებს რაღაცა მოყვითალო კენჭს. ამას დაჲჰფხვნი, დაიყრი დაჭრილზე, ხელი იქნება, თუ რა და უმალ არჩენს“ (ვ. ქისტაური).

მარიამის მუხა ადგილი (ბოდახ.). „ამ მუხაზე დაუმბია ქმარსა“.

მარიამის ნაქოხვარ-ი ადგილი ტყეში (სახევი). „ლარტუშოს ვეტყვით, იმის გაღმაა, ჩირდილისკე“ (ი. კუდიანაშვილი).

მარიამწმინდა ტყე; რელიგიურ-საკულტო ნაგებობა (ს. მშენი).

მარიასწმინდა ხატი (თოლ.).

მარტიანთ ახო სახნ., საძოვ. (ნად.).

მარტიათ გვერდ-ი ადგილი, სახნ. (ქუშხ.).

მარტიათ სანიაო დგილი, ქედობა (ქუშხ.).

მარცვალაანთ გორ-ი ტყიანი გორაკი (ცვერნ.). „ილო ყოფილა მარცვალათი, განთქმული მონადირე ყოფილა. იმის სახელობაზეა“ (ნ. ხამხაძე).

მარწყვიან-ი ახო (დულუზ.).

მასარა მთა, საძოვ., თიანეთის რაიონის უკიდურესი ჩრდ.-აღმ. წერტილი მდ. ივრის სათავეებში. ეტიმოლოგია უცნობია.

მაღალა მთა, საძოვ. (ლახატო). „დაუქმებული ადგილია“.

მაღალველ-ი სახნ., საძოვ. (ხოფცა).

მაღალმამულებ-ი ველები, საძოვ. (ქუშხ.).

მაღალმთა მთა, საძოვ. (სახევი).

მაღალმიწებ-ი სახნ., საძოვ. (ახ. სოფ.).

მაღალღელე საძოვ., ჩავარდნილი ადგილი (თეთრ.).

ნაღალწიფლებ-ი ადგილია ტყეში (ქუშხ.).

მაყვლიან-ი ტყე (ომარ.).

მაყვლიანა ტყე, ველი (ქვ. ნაქალ.). „ეგ არი იკვლივის გორაზე. ძველი ნამოსახლარია. ყორეებია. ხალხი ყოფილა. ეკლესია მდგარა“ (ბ. აფციაური).

მაშასქალის ნასახლარ-ი საძოვ., სახნ. (ზარ.). „მაშასქალი“ ადამიანის ზედმეტი (შერქმეული) სახელია.

მაშას წყარო წყარო, ადგილი (მაგრ.). „მაშა კაცი იყო, აფციაური გვარათ“ (ა. ფეტვიაშვილი).

მაჩიტა გორ-ი ჯაგნარი მამული (ტუშ.). მცენ. მაჩიტა?

მაჩურიანთკარ-ი სახნ., საძოვ. (ნად.). „მაჩურიშვილების ნაქონი მამულები“. თვითონ მაჩური—„მაჩვური“ („მაჩვის თვისების კაცი“).

ნაჩხაის ტაფ-ი — ველტყიანი ადგილი, საძოვ. (სახევი). **მაჩხა** ადამიანის საკუთარი სახელია (შდრ. სოფლის სახელწ. ქიზიყში — მაჩხაანი).

მგელაანთ ახო სახნ., საძოვ. (ახ. სოფ.).

ნგელაის ახო მინდ., საძოვ. (სახევი).

მგელთაციხე ნასოფლარი მდ. ივრის სათავეებში. იგი ცნობილია **მგელათციხის** ფორმითაც, რაც მის ანთროპონიმულ წარმომავლობაზე მეტყველებს.

მგელთახევა ხევი, პატარა ნაკადული, მდინარე; ერთვის მდ. ჭაშოს (ახ. სოფ.).

მგელიაანებ-ი სოფელი ზემო თიანეთში, ს. საკრეჭოსთან. „მგელიაშვილების სოფელი“. ოფიც. **ალაჭანი.**

მგლისზურგა მინდორი, ველტყიანი ადგილი (მაგრ.).

მდგნალიანი ნაგლეჯ-ი ადგილი, საძოვ. (ქებ.).

მეიდანა — მინდორი (ხევ. სოფ.). „ახალი ტყე არი გაშენებული“.

მეიდანგორ-ი ვაკე ადგილი მთაზე (თეთრ.).

მეიდნებ-ი ტყიანი ადგილი (ტ. სოფ.). მეიდანი — „ვაკე, სწორი ადგილი“.

მეიდნის წყარო წყაროა ბოჭორმის ცხენისთან (ბოჭ.).

მეკალათიანთ სოფელ-ი სოფელია ერწოში; ს. კვერნაულას ადგილობრივი სახელწოდება. ამოსავალია ადამიანის ზედმეტი (შერქმეული) სახელი **მეკალათე** „კალათების დამწვნელი“, რომელიც შემდგომ პატრონიმად ქცეულა: **მეკალათ-იან-ი.**

მელიას სოროებ-ი საძოვ. (საკრ).

მელიას წყარო წყარო (საყდრ.). „ცივი წყაროა ძაანა“.

მელიასხევ-ი სოფელი ერწოში (სიმონიანთხევის სას. საბჭო). სახლობენ საკუთრივ თიანეთელები. მელიასხევი სოფლისათვის აქ მრავლად არსებული მელიის სოროების გამო შეურქმევიათ (შდრ. მელიას წყარო).

მელისწყარო ტყე (წიკვლ.).

მელუას წყარო წყარო, ადგილი (გორ.). „ზედ დუშეთის მიჯნაზეა, დავათისაკე“.

მეორე კარახტინ-ი სახნ., საძოვ. (ზ. შარახ.).

მეფარიათ ნასახლარ-ი საძოვ. (სახევი). „მეფარიშვილების ნამოსახლარი“.

მეფარიათ ხევ-ი ხევი, ადგილი (სახევი).

მექვაბიანთ ახოებ-ი ახოები, საძოვ. (თიან.) „მექვაბიშვილების ახოები“.

მეშველაანთ ყურე სახნ. (ჩაბ.).

მეჭიანურებ-ი მინდ., სახნ., საძოვ. (წიკვლ.). ტოპონიმი ხელობის აღმნიშვნელი სახელისაგან („მეჭიანურე“, „ჭიანურის გამკეთებელი ან ჭიანურზე დამკვრელი“) ჩანს მიღებული, ისევე როგორც **მეფარე** (შდრ. მეფარიათ ნასახლარი...). **მექვაბე** (მექვაბიანთ ახოები) და სხვ. ზოგი წყაროს მიხედვით ცნობილი ყოფილა ნასოფლარი **მეჭიაურები** ([76] 181). საფიქრებელია მ. ამ გვაროვნული „მეჭიაური“-საგან მომდინარეობდეს.

მეკიაურთ გორ-ი გორაკი, ხატი (საკრ.) „ამას ჩვენ მეორენაირათ ხიტლაკურის გორსაც ვეძახით“ (მეკიაურთ—მეკიანურთ).

მეკიაურთ ჰალა ჰალა, საძოვ. (წიკვლ.).

მზვარეებ-ი სახნ., საძოვ. (დორ.).

მზვრის კუდ-ი ტყიანი ადგილი (გორ.).

მზორე სახნ., ფერდობი ადგილი, პირმზითი (ტუშ.). სახელი **მზორე** ერწო-თიანეთში ძალზე ხშირია. იგი გვხვდება ადგილის სახელწოდებებად ს. გორანაში, ს. დულეზურებში, ს. საყდრიონში და სხვ.

მთავარანგელოზ-ი საყდარი; საკულტო ადგილი (გორ.). აქ იმართება „ამაღლება“.

მთაწმინდა მთა; ხატი: მდებარეობს მდ. ივრის ზემო წელზე, მდინარის სათავეებში ადგილ **საყუჩიასა** (იხ.) და **ქვაჯამას** (იხ.) შორის (ქუშხ.) აქ აგებულია წმ. გიორგის სახელობის ხატი, სალოცავი ნიში.

მთეფშუას ხევ-ი ხევი, მდინარე (სიმ. ხევი). ამოსავალია პირველადი ტოპონიმი **„მთეფშუა“**.

მთვარელაანთკარ-ი სახნ. (ტუშ.) ადგილობრივ: „თორელაანთ კარი“.

მთის წყარო წყარო, ადგილი (ზარ).

მთიულთხევ-ი ხევი ს. ქვ. ნაქალაქარში.

მიედან-ი საძოვ., ვაკე ადგილი (საჭურე). „მიედნის ბოლოთ მყვანდა საქონიო“ (მზ. ჭინჭარაული). **მიედანი** ხევსურული **მიადანი**-საგან არის მიღებული ([108] 224).

მიმიას ახო ტყე, ნაკაფი ახო (ქებ.).

მინდორა საძოვ., სველი, ჭაობნარი ადგილი (ბალ. ხ.).

მირგვალველ-ი მინდ., საძოვ. (ყუდრო.).

მირეულას წყარო წყარო, ადგილი (გუდან, წყ. უბ.). ტოპონიმისათვის ამოსავალია პირველადი ფორმა **„მირეულა“**, რომელიც **მირ-** ფუძისა და კუთვნილების **-ეულ** სუფიქსის შეერთებით არის წარმოქმნილი.

მისელურის მთა ჵწვერვალი, ალპური საძოვრები ივრის ხეობის სათავეებში. „იორის ხეობას სამხრეთისაკენ გასდევს **ჩიჩოს** (უნდა: ჭიჩოს, გ. ბ.) ქედიდან გამოყოფილი მისელურის მთასთან, თიანეთის ქედი...“ ([114] 111).

მიტრიაანთ ქვითკვირეებ-ი ადგილი; ნანგრ., ხატი (საყდრ.). „ნარჩომა ხატია, ნანგრევებია“ (ვ. დოლიძე). **ქვითკვირეებ-** ფორმაში მეორე ვ-ნი გაჩენილია. საფიქრებელია, **კვირა** || **კვირია** სიტყვის ანალოგიით.

მიცქიათ მამულებ-ი ახო, საძოვ. (თ. ხევა). „მიცქია კაცს ექვივნა“ (ვ. არჩემაშვილი).

მიხას წყარო წყარო (ჯიხო).

მიხეილის ნაჭონ-ი მინდ., საძოვ. (ყუდრო).

მიხეილის წყარო წყარო, ადგილი (გორ.).

მიჯნის ხევ-ი ხევი ს. პანტიანში (სიონმშენი).

მკერვლიან-ი ამჟამინდელი ს. ყუდროს ძველი სახელწოდება ([76] 168). ვახუშტი იცნობს ს. მკერვლიანს და მას ორხევსა და ბოჭორმას შორის მოაქცევს ([22] 206).

მლაშეებ-ი სახნ., საძოვ. (ნად.). ეგეთე სახელწოდება მინდვრის სახელწოდებად გვხვდება თოლენჯში, სიმონიანთხევში.

მლაშე წყარო წყარო, ადგილი (ჭებ.). „წამლაშო წყალია“.

მლაშისხევა პატარა ხევი, მდინარე: ერთვის მდ. სიმონიანთხევს.

მოგელასეულ-ი ახო, საძოვ. (მამად.). **„მოგელა“** ადამიანის საკუთარი სახელია.

მოდურის პანტა ადგილი, მინდორი (ახ. სოფ.). „მოდური ქალის სახელია. უშნო, შეუხედავი ქალისათვი დაურქმევიათ მოდური“ (ვ. ოთარაშვილი).

მოელებულ-ი მინდ., საძოვ., სახნ. (ზარ.). სახელწოდება მიღებულია ვ-ინის ჩავარდნით; მოველებული—მოელებული „პატარა ველივით ადგილი“.

მოკვერაანთ ადგილ-ი სახნ., საძოვ. (ჯიჯ). „მოკვერაშვილების ნაყიდობა ადგილია“.

მოკლე მიწებ-ი სახნ., საძოვ. (მამად.).

მოლამურ-ი სახნ. ველტყიანი ადგილი (კვერნ.). ტოპონიმი მიღებულია მოლამული-საგან „წყლის დინებისაგან წალამული ადგილი“.

მოლამურის გორ-ი დიდი მუხიანი გორი (კვერნ.).

მოლამურის ციხე ადგილი, ისტორიული ძეგლი (თეთრ.).

მოლას ველ-ი სახნ., სათიბი (თოლ., ჩეკ. გორი).

მოსაბრუნი გორ-ი ადგილი, ველტყიანი მინდორი (ჭებ.). „იმას იქით ახმეტა არი“ (ზ. ბადრახიშვილი).

მოსახლიანთ ნაკაფებ-ი ტყე (თიან.).

მოსეს მოჭრილ მუხასთან ველი, ახო (ბად.).

მოსიას ველებ-ი სახნ., საძოვ. (მამად.).

მოურავი პანტა მინდ., სახნ., საძოვ. (ხოფცა). „დიდი პანტა დგა და იმიტო ჰქვიან“ (ზ. ბადრახიშვილი).

მოურავის ველ-ი ველტყიანი ადგილი, ახო (ლელ.).

მოცლილ-ი მინდ., საძოვ. (ახ. სოფ.).

მოხევიანთ გორ-ი ტყე (საყდრ.).
მოხვეულა, მოხვეულან-ი სათიბი, სახნ. (ალოტი).
მოხვეული მიწა სახნ. (ხოფცა).
მოხრილმიწებ-ი მინდ., სახნ., საძოვ. (თიან.).
მრავალწყარო წყარო, ადგილი (მაგრ.). „ერთი ადგილია და ბლომა წყაროები ამოდის“ (ა. ფეტვიაშვილი).
მრუდა გვერდობი ადგილი; საძოვ., სახნ. (ქუშხ.).
მრუდას ხევ-ი მდინარე, ხევი, მიერთვის მდ. შარახეულას (ბუჭყ.).
მსუნაგის ნაჭერ-ი მინდ., საძოვ. (ლიშო).
ქსხლიან-ი სახნ., საძოვ. (ტ. სოფ.).
მსხლიანგორ-ი ტყიანი ადგილი (ტ. სოფ.).
მსხლიანკუჭა ტყე, პანტნარი გორაკი (მაგრ.).
მტირალეებ-ი მინდვრები, სველი, ნესტიანი, ჭონჭყო ადგილები (დ. თიან.).
მუგუდო მინდ., ველი (ახ. სოფ.) (შდრ. სოფ. **მუგუდა** მთიულეთში, დუშ. რ.).
მუნიანწყარო წყარო, ადგილი (გორ.). „ალბათ ხალხს თუ ეძახდენ მუნიანთასა“ (ნ. ხამხაძე). შეიძლებოდა დაგვეშვა, რომ წყაროს ეს სახელწოდება შეერქვა სამკურნალო თვისებების გამო. ქართლში, მაგალითად (ს. წინარეხი), დასტურდება ეკლესია, რომელსაც **მუნის საყდარი** ეწოდება. აქ მკურნალობდნენ მუნით (ქავანა) დაავადებულ ხალხს; მოჰყავდათ წითელი მამლები და ღმერთს შველას შესთხოვდნენ. იქვე ახლოს ყოფილა რაღაც მინერალი, მიწა, რომელსაც მუჭით იღებდნენ და დაავადებულ ადგილებს შეიზელდნენ ([44] 19-20). ს. ტონჩაში (დუშეთის რ., გრემისხევის სას. საბჭო) არის წყარო, რომელსაც ასევე **მუნის წყარო** ჰქვია. აქაური მკვიდრის სიმონ ბესარიონის ძე პეტრიაშვილის გადმოცემით, ამ წყაროს წყალს სვამდნენ მუნით დაავადებულები და განიკურნებოდნენ ხოლმე.
მუნჯა — წყაროა ტყეში (საჯინ.).
მუნჯათხევა — ხევი, ერთვის მდ. იორს (ზ. არტ.). **მუნჯა-** ფუძიანი ტოპონიმები ხშირად გვხვდება აღმ. საქართველოს მთიანეთში, კერძოდ, ფშავსა და ხევში (ყაზბეგის რ.), აგრეთვე ქართლის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში (მდ. არყლის ხეობა, დუშეთის რ.; ს. ანანურისა და ჭონჭაძის სას. საბჭოები): **მუნჯახევა** ღელე, ხევი (ს. სწროფავი, ჟინვალის სას. საბჭო), **მუნჯის დაბალ-ი** ადგილი ტყეში (ს. მეტანი, ახმეტის რ.), **მუნჯათ გორა** ადგილის სახელწოდებად ორგან გვხვდება არაგვის ხეობის ფშავში, ს. კუ-

ჰეჭაში და ს. შარახევში: **მუნჯა გორა** ველტყიანი გორაკი (ს. სწროფავი) „მუნჯაგორაშია მყავ საქონიო, ვიტყვით“ (ანიკო ჩარბოდაშვილი); **მუნჯა** სახნ., საძოვ. (ს. ქაისხევი, ანანურის სას. საბჭო); ადგილის, ტყის სახელწოდებად **მუნჯა** დასტურდება ს. ბანცურებში (ანანურის სას. საბჭო) და ს. მგლიანებში: **მუნჯა ჯევი** ღელე, ხევი (ს. სწროფავი, ჟინვალის სას. საბჭო) „რაღაც ნაირი უხვედრი ალაგია, ხეობა ჩამოდის, ტყიანი ადგილია, მარილიანი გეგონება, იქაურობა ისეა თეთრად მოდებული“ (ანიკო ჩარბოდაშვილი). საკმაოდ ხშირია **მუნჯა** სიტყვისაგან ნაწარმოები მიკროტოპონიმები ყაზბეგის რაიონში: **მუნჯა-** საძოვარი, მჟავე მინერალური წყარო (ს. ცდო). აქვეა ადგილის სახელი **მუნჯათ წყარო; მუნჯა-ჲ** ხევი, მდინარე ს. გველეთში ([28] 33). უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ის ობიექტი, რომლის სახელწოდებაც **მუნჯა** ფუძეს შეიცავს, უგამონაკლისოდ არის მლაშე მინერალურწყაროიანი ადგილები, რაც ძალაუნებურად გვაფიქრებინებს, რომ ეს იგივე **მუჯა** ფუძეა, ნ-ს განვითარებით: მუჯა—მუნჯა.

მუჯა (ისევე როგორც მუნჯა) ფშაურ-ხევსურულში დადასტურებული **მიტალა** („ვეძა, მლაშე წყალი“) სიტყვის სინონიმია: ოდნავ მომჟავო, ცუდი გემოს წყალი — მუჯა (‖ მიტალა): ([108] 215). მუჯა, საბას განმარტებით, მლაშობი ადგილია; „მლაშე მიწა, სადა ნადირნი სალოკელად მივლენ B. მუჯა არს მიწა მლაშე, სადა ნადირნი ლოკად მივლენ“ CE ([62] ტ. IV$_1$). მუჯას ეს მნიშვნელობა (მლაშე მინერალური წყალი, ვეძა) ვაჟასთანაც გვხვდება [21]. **მუჯა-**ს მლაშე მიწად განმარტავს ნ. ჩუბინაშვილიც ([100] 303). ბაჩანას მიხედვით მუჯა—ვეძა წყაროა: „გაჟონავს თავზე წინწკლებსა კლდეები წყაროიანი, იქვე დუღს გველდზე მ უ ჯ ე ბ ი შუშხუნა, გემოიანი“ ([85] ტ. IV). **მუჯა-** ფუძიანი სახელები ბევრია ზემოაღნიშნულ არეალში: **მუჯა** წყარო, ადგილი, სადაც მინერალური წყალი ამოდის (ს. პაველეური, ანანურის სას. ს., დუშეთის რ.): **მუჯან-ი** ადგილის სახელია არაგვის ხეობის ფშავში; **მუჯამთა** მთა, საძოვ. არაგვის ხეობის ფშავში: **მუჯათ სერ-ი** ტყიანი მთა ს. ხევისჭალაში (ახმეტის რ. დუისის სას. საბჭო); **მუჯათჯევ-ი** მლაშე მინერალურწყლიანი ხევი (იქვე): **მუჯათკარ-ი** სათ. (ს. გაიბოტენი); **მუჯათგორ-ი** სოფელი ფშავში; **მუჯან-ი** სათიბი (ს. ართხმო, ყაზბეგის რ.). ([87] 78). **მუჯა** და **მუნჯა** ფუძეების იდენტურობა აშკარაა: ერთიც და მეორეც მლაშე მინერალურ წყალს, ვეძას, მლაშობ ადგილს ნიშნავს. ამის მიუხედავად, ზოგჯერ **მუჯა-**ს ჰიდრონიმულ ფუძეს

მიიჩნევენ. **მუნჯა-ს** კი (მუნჯათგორა, მუნჯების წყარო, მუნჯების ჭალა) ადამიანთა სახელებისაგან მომდინარე ტოპონიმთა რიგში გვიხილავენ ([47] 143, 148).

საყურადღებოა, რომ **მუჯა** ფუძე მჟავე მინერალური წყაროს, ვეძაწყაროიანი ადგილის აღსანიშნავად დასტურდება ჩაჩნეთ-ინგუშეთის ტერიტორიაზე. აქაურ ტოპონიმიაში ადგილების სახელებად გვხვდება ისეთი ფორმები, როგორიცაა **Мужиечу** „მინერალურ წყაროსთან“ (минеральный источник в); **Мужичоь** «мужичё» — минерального (источника) лощина» 36...). უნდა ვიფიქროთ, რომ ფშავ-ხევსურული **მუჯა** (|| **მუნჯა**) და ჩაჩნურ-ინგუშური **მუჟ-** სიტყვათა სიახლოვე შედეგია ამ ენებს შორის ოდინდელი კულტურულ-ისტორიული ურთიერთობისა. აღნიშნული სიტყვის ჩაჩნურ-ინგუშური ენობრივი სამყაროდან მომდინარეობა სათუო ჩანს, რადგან **მუჯა- || მუნჯა-** ფუძიანი ტოპონიმები ფშავ-ხევსურეთის გარდა ქართლშიც დიდ ტერიტორიაზე არის გავრცელებული და, რაც მეტად არსებითია, **მუჯა** შესატყვისს პოულობს ზანურ **-ჯ-** ძირთან (შდრ. ტოპ. **მენჯ-ი**, **-ნ-**არი განვითარებულია) ([109] 181). **მუჯა || მენჯ-** ფუძეთა შორის ერთგვარ პარალელს ავლებდა ვ. თოფურია ([25] 143).

მუნჯების ჭალა მდ. ივრისპირა ჭალა, ადგილი (ყუდრო). „ჭალა, ადგილი, სადაც მუნჯები, ე. ი. მლაშე მინერალური წყაროები გამოდის“. ინფორმატორის ცნობით, აქ მართლაც მომლაშო, უგემური წყალი ამოდის (იხ. მუნჯა, მუნჯათხევა).

მურგვალა თხილიან-ი სახნავი, საძოვ., ველტყიანი ადგილი (ლიშო).

მურგვალათ ხევ-ი პატარა ხევი, მდინარე; ერთვის მდ. აძებს ს. გუდანელების ბოლოზე (ტ. სოფ.).

მურგვალჯაგიანა ბუჩქნარი ადგილი, საძოვ. (მაგრ.).

მურღოევთ წყარო წყარო (ბოკ.). „ამას ვეტყვით კიდევ კოდისწყაროს, გამოდის მურღოევების სახლთან ახლოშია. ეგ მურღოევი ჯევსურია, ოღონდა ლეკის ჩამამავლები კი არიან“ (რ. მინდიკაური).

მუხა და პანტა სახნ., საძოვ. (ხოფცა). „შვიდი-რვა გექტარი იქნება, სოფლის პირშია. ერთადა ყოფილა მუხა და პანტა ამოზდილი. სად იყავ? — მუხა და პანტაშიო, — იტყვიან“ (ზ. ბადრახიშვილი).

მუხასთან საძოვ. (ლახ.).

მუხიან-ი მინდორი ადგილია ქვ. არტანში. ერწო-თიანეთში მცენ. მუხის დიდ გავრცელებაზე მიუთითებს მუხასთან დაკავშირებული

არაერთი ობიექტის სახელწოდება. ტყის, ველების სახელებად **მუხიანი** დასტურდება სოფლებში: საკრეჭიოში, დულუზაურებში, ნადოკრაში და სხვ.

შუხიანი გორ-ი ტყე (ქებ.).

შუხიანის გორ-ი ტყე (ტ. სოფ., წყ. უბ.).

მუხის მამულებ-ი (ქებ.).

მუხის წყარო წყარო, ადგილი (მ:გრ.).

მშრალაკევა ხევი, რუობა (საჭურე). ეგევე სახელწოდება ხევის, მინდვრის სახელად გვხვდება ტოლაანთსოფელში, ჯიჯეთში, დ. სიონში.

მშრალკევა სოფ. საჭურეს ერ-ერთი უბანი, დასახლებული პუნქტი.

მძივიანებ-ი სახნ. (ჩაბ.). როგორც ჩანს, ამოსავალია მც. ფამფარას თუშური სახელწოდება **მძივანა** ([52] 67).

მწარიას მონაკლავ-ი ტყისპირა პატარა ველები (ყუდრო). „ადგილი, სადაც მწარია ვიღაცას მოუკლავს“.

მწარიას ნაჯაგ-ი საძოვ. (ლიშო). მწარია ადამიანის გამოცვლილი სახელია.

მწარიას წყარო, წყარო ადგილი (ლიშო).

მწვეტაგორა მაღალი ტყიანი გორაკი (ახ. სოფ., ყუდრო).

მჭედელას ნაჭერ-ი სახნ., საძოვ. (ცირცხ.).

მჭედლიაანთ ახო სახნ., ველი (ახ. სოფ.).

მჭედლურებ-ი სახნ., საძოვ. (დულუზ.). ამოსავალია ადამიანის გვარი **მჭედლური**. „მჭედლურების კუთვნილი ადგილები“.

ნ

ნაარხაჯალ-ი მინდორი, ადგილი (საჭურე). „არხაჯს ვეტყვით იმ ადგილს, საცა რო ცხვარი ან ეგრე საქონელი გვიყენია“ (მზ. ჭინჭარაული). **ალხაჯი, არხაჯი** — ცხვრის საყარი, ცხვრის დასასვენებელი ადგილი შუადღისას [54].

ნაასლარებ-ი საძოვ. (ლიშო). „ადგილ-მამული, სადაც ასლი ითესებოდა“. მცენ. ასლს მიხედვით აქ ბევრი მიკროტოპონიმი არის წარმოქმნილი: **ნაასლარები** მინდ. (წიკვლ.; **ნაასლარის წყარო** ადგილი (თიან.) და სხვ.

ნაბაკარ-ი ტყიანი ადგილი (ბოკ.).

ნაბაკევ-ი მთა, საძოვ. (ზ. არტ).

ნაბაკვრებ-ი ტყე (ახ. სოფ.). (←ნა-ბაკ[ე]ვ[ა]რ-ებ-ი).

ნაბაკრებ-ი ტყე (ქებ.). ფუძეში ვ-ინის ჩავარდნით: ნა-ბაკ-ვ-რ-ებ-ი (←ნა-ბაკ-ევ-არ-ებ-ი).

ნაბაკრების გორა ველტყიანი ადგილი (ბ. ხევი).

ნაბარაკლებ-ი ადგილი ტყეში (თიან.). „ადგილი, სადაც დროებითი ქოხები, საცხოვრებელი ხის სახლები „ბარაკები" (რუს. Барак) მდგარა" (←ნა-ბარაკ-[ა]ლ-ებ-ი)

ნაბინავარ-ი ატყევებული ველი (ქვ. არტ.).

ნაბინავრებ-ი ადგილი ტყეში (ღულელ, ლახ., დულუზ., თეგერ.).

ნაბინაურების წყარო წყარო (თეგერ.). „ძაან მაგარი წყაროა, ცივია და უწყინარი" (მათე ღვინიაშვილი).

ნაბოსტნარებ-ი სახნ. (ზ. შარახ.).

ნაგლეჯ-ი ტყე; საძოვრები (სიმ. ხევი). ანალოგიური ტოპონიმი დასტურდება ტყის და მოგლეჯილი კლდის სახელად ს. კვერნაულაში, ხოლო ლელოვანსა, ჩეკურაანებსა, თოლენჯსა და ბოჭორმაში — **ნაგლეჯები.**

ნაგლიაანთ ნაქოხვრებ-ი საძოვ., სახნ. (ღულელ.). წარმოშობით ეს ტოპონიმი პატრონიმულია. ნაგლია ადამიანის ზედმეტი (შერქმეული) სახელია (დუშეთის რაიონში სოფელია ნაგლიაანთკარი). ერთი შეხედვით ნაგლია თითქოს რუს. **наглый** („ურცხვი, მოურიდებელი") სიტყვისაგან უნდა გვქონდეს მიღებული (შდრ. რუსულიდან მომდინარე თიკუნი სახელები: ჩორნა, პრივეტა, პაშოლა, ტრიწკუა (←Трицатка „სამთუმნიანი") და სხვ. მრ., მაგრამ, ჩვენი ფიქრით, ნაგლია ქართული ენის კუთვნილებაა და ნიშნავს — ნაგალა „სუსტი, უღონო, პატარა ტანის საქონელი ან კაცი" ([21] 210). ნაგლია (←ნაგალ-ია) — სულ ბოლონა შვილი; გადატ. უვარგისი, უძალო ადამიანი (შდრ. ნაგალა სიმინდი, ნაგალა წიწილა...).

ნაგომურლებ-ი ადგილი, ძველი ნამოსახლარი (ზ. შარახ.). „ნაგომურალები". თიანეთის რაიონში მეცხოველეობის განვითარების გამო ბევრი ასეთი სამეურნეო ხასიათის ტოპონიმი წარმოშობილა. **ნაგომურლები** („ადგილი, სადაც საქონლის გომური ყოფილა") აქ მიკროტოპონიმებად საკმაოდ ხშირად გვხვდება (ს. ს. ჰურჭ., ჯიჯ., ქებ. და სხვ.).

ნაგუბრებ-ი ტყე; საძოვ. (საკრ.).

ნადელებ-ი სახნ., საძოვ. (სიმ ხევი). რუს. **надел** „მიწის ნაკვეთი".

ნადიკვრებ-ი სახნ. (ახ სოფ.)←ნა-დიკ-[ა]ვ-[ა]რ-ებ-ი. „მამული, სადაც

უწინ დიკა მოჰყავდათ“. ნ. ფართოდ გავრცელებული ტოპონიმია მთელს საქართველოში.

ნადიკორელ-ი ველტყიანი ადგილი; ნაცახლარები (დულუზ.). შეიძლება დავუშვათ, რომ აქ **-ელ** ფორმანტი ადამიანის სადაურობის აღმნიშვნელი სუფიქსი იყოს. ამის მიხედვით გვექნებოდა: **ნადიკორელ-ი || ნადიკვარ-ელ-ი** „ს. ნადიკვარიდან საცხოვრებლად გადმოსული პირი; მისი კუთვნილი მამული“ (შდრ. ს. **ხორხ-ელ-ი, ქ. ყვარ-ელ-ი...**). მაშასადამე, ტოპ. **ნადიკორელ-ი** აღგვადგენინებს სოფ. ნადიკვარის სახელწოდებას, რომელიც ამჟამად მხოლოდ მიკროობიექტების საკუთარ სახელებადღა გვხვდება.

ნადირაანთ ხევ-ი წყლიანი ხევი (ხევსოფ.). ძველ ერწოში ყოფილა ამ სახელწოდების სოფელი, რომელიც მოგვიანებით ხევსურთსოფელს შეერთებია ([76] 168).

ნადირათ ტაფ-ი სათიბი, ნასადგომარი ადგილი (ბოდახ.).

ნადოკრა სოფელი ერწოში (სიმონიანთხევის სხ. საბჭო). ზოგიერთი ადგილობრივი პირის მეტყველებაში გვხვდება **ნადოკრალ-** ფორმაც (გიორგი წოვას ძე ქისტაური). ფიქრობენ, თითქოს ნ. ისტორიული **ნოკორნას** სახეცვლილი ფორმა იყოს ([76] 169).

ნადოკრის ხევ-ი წყლიანი ხევი (ნად.).

ნადუქნარა მინდ., ადგილი (მაგრ.).

ნავეძრებ-ი სახნ., საძოვ. (ტუშ.). „ადგილი, სადაც უწინ ვეძა-წყალი ყოფილა“.

ნავროზასველის ტყე ტყე (სიმ. ხევი).

ნავროზასველის წყარო ადგილი, წყარო (სიმ. ხევი).

ნათათრალაანთ ნაქერებ-ი მამულები (თ. ხევა). „ესენი ჩამოსულები არიან ყვარას ვეძახით, იქიდანა. ხუთი კომი ჩამოსულა ნათათრალიშვილები და იმ ხუთ კომობაზე აჩი აშენებული ეს თეთრაჯევა“ (ივ. თიაბაშვილი).

ნათათრალებ-ი ველტყიანი ადგილი (ომარ.). „აქ ადრე ნახშირი უწვავთ თათრებს, ტყესა ჭრიდნენ“ (თ. ცალუღელაშვილი). ს. ფიქვიანშიცაა ასეთივე სახელწოდების ადგილი. „თათრები მდგარან, ნახშირი უწვავ, ეზიდებოდენ გონბორში“ (ბაბუა ჭინჭარაული).

ნათოხნებ-ი ტყიანი ადგილი (ვერხვ.). „წინათ ველები იყო, ეხლა ახალი ტყე აშენდა, სუ სატყეომ დაიჭირა“ (მ. ღვინიაშვილი).

ნათიათ ფუტკარებ-ი ტყე, მინდვრები (წყ. უბ.) „ფუტკარი მაუხელავ ნათიასა“ (გ. ქისტაური).

ნათიბებ-ი სახნ., სათიბი (მამად.).

ნაიმერლარ-ი ტყის ვრცელი მასივი (წყ. უბ.). „იმერლების ნაბდგომი“.

ნაიონჯავრებ-ი სახნ. (ჩაბ.).

ნაკალოვარ-ი მინდ. (საჸურე). ადგილის სახელებად გვხვდება ს. ს. ყუდროში, ზ. არტანში, ზარიძეებში, დულუზაურებში...

ნაკაფებ-ი მინდ, ახო (ტ. სოფ.). ეს სახელწოდება გვხვდება აგრეთვე სოფლებში: თრანში, ღულელებში, ქებოტაში...

ნაკერჩხლის ნასახრალეებთან მამული, საძოვ. (გორ.). „ნასახლარები, სადაც ნაკერჩხალი დგას".

ნაკვეთაურებ-ი ყოფილი სოფელი ერწოში. მისი ტერიტორია ამჟამად სიონის წყალსაცავით არის დაფარული. ხალხი სართიჭალასა და ბარის სხვა სოფლებში გადასახლებულა. ნაკვეთაური ადამიანის გვარია. 1930-იან წლებში ნ-ს **ფიჩხაურთკარი** რქმევია და იქ ნ კომლს უცხოვრია ([68] 51).

ნაკოშკარ-ი ვაკე ადგილი ს. ზემოარტანის მთებში.

ნალებოარ-ი სახნ. (ხოფცა). „მინდორი, სადაც უწინ ლობიო მდგარა".

ნამგალა მინდ., სახნ. (ბალ. ხ.). „მოხრილი როგორმეა, ჰარხალსა ვთესამთ (ა. აფციაური).

ნამგალეებ-ი სახნ. (სიმ. ხევი). „დაპრანჭული მამულებია, მიხვეულ-მოხვეული" (არჩ. მოხეიშვილი).

ნამზღვლევებ-ი თიხნარი ადგილები (ყუდრო).

ნამორაძის წყარო წყარო მდ. ქუსნოს ხიდთან (თიან.).

ნამტვრევიან-ი უღრანი ტყე (ახ. სოფ.). „არაფერი არ უდგება. არც ურემი, არც მარხილი, უხვედრი ალაგია. ხეები ბერდებიან, იქცევიან და იმტვრევიან, სუ ჩალეწილები ყრია" (ვასო ოთარაშვილი).

ნამტვრევიანთავ-ი ტყე (ბად).

ნამყნიან-ი სახნ., საძოვ. (ნად.).

ნამძღვლევიან-ი სახნ. (გორ.).

ნამცეცას წყარო წყარო (ომარ.). „ეგ იყო ნამცეცა ბატარაშვილი, იმისი წყარო იყო. ნამცეცა უძახნია" (ანა ხუცაშვილი).

ნამცხვრევებ-ი ადგილი, მინდ. (ღულელ.). „ადგილი, სადაც ცხვარი მდგარა".

ნამცხვრევის გორ-ი ვაკე ადგილი, მინდ. (საჸურე).

ნაორმოვლებ-ი ტყე; ფიჩვია გაშენებული (ტ. სოფ.).

ნაოშრებ-ი საძოვ., მინდორი (საკრ.). „მინდვრები, რომლებსაც აოშავდნენ". **აოშვა** — მიწის ხელმეორედ არაღრმად მოხვნა გასაფხვიერებლად ([85] ტ. I); ნა-აოშ-[ვ]-არ-ი || ნა-ოშ-რ-ებ-ი.

ნაპალატკრებ-ი სახნ. მინდვრები (ლელ.).

ნარიან-ი სახნ., საძოვ. (დ. ხევი).

ნარიანველ-ი ეგ ადგილები ეჭირა ჩაძირულ სიონს“ (ს. მშენი).
ნარიანველის წყარო წყაროა (საყდრ.).
ნარიანმამულ-ი მინდ. (თრანი). „ადგილი, სადაც ნარი ხარობს“.
ნარუსალებ-ი სათიბი (ღულელ.). „ადგილი, სადაც რუსები მდგარან“.
ნასადგომრებ-ი ტყე ს. ყუდროს მთასთან (ყუდრო).
ნასათხევრებ-ი მინდ., ველტყიანი ადგილი (სახევი). „ადგილი, სადაც თხებს აყენებდნენ“.
ნასაკირევალ-ი მინდ. (ქუშხ.). „ყოფილი საკირე; ადგილი, სადაც კირის გამოსაწვავი ქურა ყოფილა ჩადგმული“.
ნასაკირლებ-ი სახნ., საძოვ. (ხოფცა). („ნასაკირალ-ებ-ი“). ეგევე ფორმა ადგილების სახელად გვხვდება ახალსოფელში და თეთრახევაში.
ნასაღორლებ-ი ადგილი ტყეში; ველი (ღულელ., ახ. სოფ., ქებ., ევჟ., დულუზ.).
ნასაღორლების ხევ-ი პატარა მდინარე, ხევი, მიერთვის დიდხევს (ევჟ.).
ნასაუდრალა სამლოცველო ნაგებობის ნაშთი (საკურე).
ნასახლარების ხევ-ი პატარა მდინარე: მიერთვის მდ. ლიშოურას, მერე ორივე ერთად — იორს (მარჯვ. შენაკ.).
ნასახრალეებ-ი სახნ. მამულები (ჯორ.). „ნასახლარები“. ტოპონიმი გაფორმებულია **რ-ლ** ბგერათა მეტათეზისით: **ნა-სახლ-არ-ა — ნასახრ-ალ-ა**, რომელსაც შემდგომ აქაური ტოპონიმებისათვის ესოდენ დამახასიათებელი **-ეებ** სუფიქსი დართვია.
ნასემიჭკარ-ი სათიბი მინდორი: ადრე იხვნებოდა (მაგრ.).
ნასვილარ-ი სათიბი (ევჟ.). ეგევე სახელწოდება პატარ-პატარა მინდვრების სახელწოდებად გვხვდება ს. ლახატოში, ზემოარტანში, სახევში და სხვ.
ნასიმინდარ-ი სასაფლაო (დულეზ.). „შე ნასიმინდარში წასასვლელო!“ „შენამც წახვალ ნასიმინდარში“ — აქ წყევლის ფორმებია.
ნასოფლარ-ი ადგილის სახელებად გვხვდება ს. მაგრიანეთსა და ქვემო-ნაქალაქარში (იკვლივის მთაზე). მიკროობიექტების სახელწოდებად „ნასოფლარი“ ერწო-თიანეთში ძალზე ხშირად დასტურდება.
ნატალას ბოხჩა საძოვ. (მელ. ხ.).
ნატბავარ-ი ხევი, გადასასვლელი (ტუშ.).
ნატრესტალ-ი ტყე, ძველი ნაკაფი ადგილი (საჯინ.).
ნატუს-ი ნახანძრი ტყე (ღულელ.). „ნატუსი“ ადგილის სახელად გვხვდება აგრეთვე ახალსოფელში, წიკვლიაანთკარში, ზარიძეებში, ბადაანებში, ხოლო ს. ალაჯანში — **ნატუსების გორი**, დ. თიანეთში — **ნატუსიანი**, დულუზაურებში — **ნატუსი გორი**...

ნაფარებალთ გორ-ი ადგილი (ზენამხ.) „გორაკი, ადგილი, სადაც უწვიმ მწყემსებს ფარეხები ჰქონიათ“.

ნაფარეხლებ-ი სახნ., საძოვ. (ახ. სოფ.).

ნაფელახარ-ი მინდორი, საძოვ. (საყდრ.). „ადგილი, სადაც ფელახი („ყასაბი“) მდგარა“. ნა-ფელახ-არ-ი?

ნაფეტვარ-ი მამული, სახნ. (ახ. სოფ.). ტოპონიმიკურ სახელად ნაფეტვარი ერწო-თიანეთში საკმაოდ ხშირად გვხვდება (ს. ს. დულუზაურები, ლახატო, კვერნაულა, ბოჭორმა, საჭურე, მშრალახევა. ყუდრო, ღულელები და სხვ. მრ.).

ნაფოტიანა ადგილი ტყეში (ზენამხ.).

ნაქედლებ-ი სახნაური მინდვრები (ჭებ.) „ქედ-ქედ გამყოლი მინდვრები“.

ნაქერალა ველტყიანი ადგილი (თეთრ.).

ნაქერალნ-ი გორაკი, მინდ. (ზ. არტ).

ნაქერლებ-ი პატარა ველობი, საძოვ. (მამად.).

ნაქოხვარ-ი საძოვ. (ზ. არტ.).

ნაქოხვრებ-ი მამულები (ტუშ.).

ნაქურავლებ-ი ადგილია მდ. ივრის მხარეს (ჭებ.) „სადაც ქურა („სამჭედლო“) მდგარა“.

ნაღორალ-ი ხევი, კლდიანი ადგილები (ბოდახ.) „ნა-ღვარ-ალ-ი“.

ნაღორალა ველტყიანი ადგილი (თრანი).

ნაყვერ-ი სახნ. (ხოფცა) „ხეების შემოყვერვით (ქერქისა და შემოჭრით) გაახოვებული მინდორი“. ადგილის სახელწოდებად **ნაყვერი** აქაურ ტოპონიმიაში საკმაოდ ხშირად გვხვდება (ს. ს. ზემონაქალაქარი, დორეულები...).

ნაყვრიან-ი ახოები, საძოვრები (თ. ხევა, ლიშო). „ნაყვერი ადგილები“. „ტყეს რო გაველებენ, ნაყვრიანს იმას ვეძახით“ (ალაზა ხაიაური).

ნაყიდმიწებ-ი სახნ. (ჩაბ.).

ნაყიდობის გორ-ი სახნაურები (ნად.).

ნაყორა ხატი, საკულტო-რელიგიური ნაგებობა (ომარ.) „ყორეებიანი, ნაშალი, ნანგრევიანი ადგილი“.

ნაყორთან ადგილი ტყეში (ქუშხ.).

ნაყორნ-ი ძველისძველი ნასახლარები (ქუშხ.). „ნაშენებია, ყორეებია, ნასახლარებია, ეგეთა ქ'ვებია, თითო ორმეტრიანი“ (ს. კუდიანაშვილი).

ნაშავარიან-ი ხევსურთსოფლის ერთ-ერთი უბანი. სახლობენ ჯამაგიძეები. ტოპონიმი, საფიქრებელია, მომდინარეობს წინა ვითარე-

ბის აღმნიშვნელი მიმღეობური **ნაშვავარი**-საგან (ნა-შვავ-არ-ი) ფუძისეული ვ-ინის დაკარგვით და ქონების -იან სუფიქსის დართვით: ნაშვავ-არ-ი—ნაშვავ-არ-იან-ი—ნაშავარ-იან-ი.

ნაშალა ძველისძველი საყდრის ნაშთი (ღულელ.). შდრ. ნაყორა.

ნაშალან-ი ჩამოშლილი, ჩამოწოლილი ადგილები (ომარ.). „ნაძრავ ადგილია და იმიტო ჰქვია“ (ა. აფციაური).

ნაშალა ხატთან სახნაური ადგილები (ნად.).

ნაშარობ-ი ბილიკი, საცალფეხო გზა (ქებ.). **ნა-შარ-ობ-ი**. ანალოგიური სახელწოდების ობიექტი დადასტურდა ს. ქუშხევში და ახალსოფელში. ადგილობრივთა განმარტებით ნაშარობი ეწოდება მხოლოდ ტყის ციცაბო ფერდობზე გამავალ საცალფეხო ან სამარხილე გზას (ზაქრო ბადრახიშვილი, ს. ყებოტა).

ნაშარობის წყარო ადგილია ახალსოფელში. „წყლიანი, ნაძრავი ადგილებია“ (ვ. სიხარულიძე). „ადგილი, რომელზედაც ადრე შარა გზა გადიოდა“.

ნაშეშრებ-ი ტყე (თიან.). „ადგილი, სადაც შეშა უმზადებიათ“.

ნაცერცვლებ-ი მინდვრები (თიან.). „ნამული, სადაც ცერცველა ყოფილა ადრე დათესილი“.

ნაციხვარ-ი ბუჩქნარი; ძველი ნანგრევები (ახ. სოფ.).

ნაციხვარის გორ-ი — ნასახლარები (ზ. არტ.).

ნაციხვრებ-ი საძოვ. (საჭურე). (←ნა-ციხ-ავ-არ-ებ-ი).

ნაწისქვილარ-ი სახნავ-სათესი მამული (თ ბევა).

ნაწისქვილარის კაკლებ-ი საძოვ. (მამად.).

ნაჭრებ-ი ტყე (ქებ.). „სადაც ხე-ტყე უჭრიათ“.

ნაჭრიან-ი სოფელი (თიანეთის სად. საბჭო), ს. ალოტთან. სახლობენ ხევსურები. „ადგილი, სადაც ტყე გაუჭრიათ; ნაკაფი ადგილები“.

ნაჭრიან-ი სახნ. (ჩაბ.): (= ნაკაფიანი).

ნაჭრიანგორ-ი ტყე (ჩეკ. გორი). „აკლდამები არი, ძველი საფლავებია“ (ა. ხუმარაშვილი).

ნაჭრიანისთავ-ი ტყიანი ადგილი, კობის მთის მხარეზე (ნაჭრ.).

ნახიზნარებ-ი მინდ., ნარგავები (ღულელ.).

ნახოვლარ-ი ძველი ნამოსახლარი, შეტოვებული, გაუკაცრიელებული ველი (ახ. სოფ.).

ნაჯოლარ-ი ჯაგნარი, ძველი ნამოსახლარი ადგილები (ტ. სოფ.).

ნახშირწყარო წყარო (საყდრ.).

ნაჯაგ-ი მინდვრები, საძოვრები (თიან.).

ნაჯაგა ტყიანი სერი (ქვ. არტ.).

ნაჯაგარ-ი ტყე (მ. ხევი).

ნაჯაგებ-ი სახნ. (ძებნ.).

ნაჯაგრებ-ი მინდორი; ამჟამად ფიქვის ნერგია ჩაყრილი (ხევ. სოფელი).

ნემენცების ნასახლარებ-ი ტყიანი ადგილი (თიან.).

ნიბლიას ნასაღორლებ-ი ტყე (თ. ხევა).

ნიბლიებ-ი ტყე, ველები (თიან.).

ნიბლოთ ახო საძოვ. (ლიშო). „ნიბლოშვილების კუთვნილი ახო".

ნიბლოთ თავ-ი მამულები ტყეში (მაგრ.).

ნიბლოთხვთისოს ნაჯაგი საძოვ. ჯაგნარი (ლიშო).

ნიბლოთხვთისოს წყარო წყარო ს. ლიშოს ბოლოზე. „ძაან ცივი და გემრიელი წყალია" (ს. აბალიშვილი).

ნიგოით გორ-ი სახნ., საძოვ. (ბალ. ხ.). ეტიმოლოგია საკვლევია.

ნიკორას ტყე სასაძოვრე ადგილები (ბალ. ხ.).

ნიკოს ნატეხ-ი სათიბი (ლახ.).

ნინიას ჩირდილ-ი ტყიანი ადგილი (კვერნ.). „ჩრდილიანი ტყე, რომელიც ნინიას ეკუთვნოდა".

ნინიკაანთ ნაყანრებ-ი მინდ., სახნ., საძოვ. (საყდრ.).

ნისლიას ნაყანობ-ი მინდ., საძოვ. (თიან.). **ნაყანობი** — მამული, რომელიც ადრე იხვნებ-ითესებოდა. შდრ. სოფ. **ყანობი** (ხევში), მთა **ყანობ-ირ-ი** (აბასთუმანი). ხევსურეთში ადგილის სახელად დადასტურებულია **ნაყანობის ჩდილ-ი**: „ნაყანობაის ჩრდილშია ქურდებს მახვედეს თვალია" (გ. დოლიძე, ხევსურული ტექსტები (ლექსიკონითურთ), თბ., 1975, გვ. 81).

ნოდოკრა სოფელი ისტორიულ ერწოში (დღევანდელი ნადოკრა). ეს ტოპონიმი სოფლის სახელად ერწოში ჯერ კიდევ შუასაუკუნეებისდროინდელ ისტორიულ-ეკონომიკურ საბუთებში მოიხსენიება: „ნ ო დ ო კ რ ა ს შედგომად ქართლი კაბიწი გ, ქალამანნი ერთნი" ([33] ტ. IV, 5).

ნოკორნა ასეთ სოფელს ასახელებენ ერწოში ძველი ქართული ისტორიული და ეკონომიკური ძეგლები. აქ **ნ.** მოხსენიებულია როგორც **ნაკარნა** ([33] ტ. IV, 3). რაც **ნა-კარ-ნ-** ფუძეს გვავარაუდებინებს.

ნოტკორა სოფელი ერწოში. ამ ფორმით ის მოიხსენიებულია „ქართლის ცხოვრებაში" (ტ. I, 248), ქართლის მეფის აოხით II მიერ ნოტკორაში ეკლესიის აგებისა და წამებელი მეფის თავისსავე აგებულ ეკლესიაში დაკრძალვის ამბებთან დაკავშირებით. სოფლის სახელწოდება **ნოტკორა ნოდკორა**-საგან ჩანს მოლებელი, ეს

უკანასკნელი კი **ნოდოკრა** || **ნადოკრა** ფორმებთან ავლენს საერთოს. დღევანდ. ოფიციალური **ნადოკრა** ზოგჯერ **ნადკორა**-ს სახითაც გვხვდება ([35] 237).

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია ვარაუდი **ნოტკორა- ნადოკრა-სიონთგორის** (ე. ი. არჩილის მონასტრის) იგივეობის შესახებ [89].

ნონიაანთ ქვებ-ი საძოვ., ახოები (ღულელ.).

ნოქვის გზა გზა; ტყიანი ადგილი (ლიშო). **ნოქვი** „ძნელადსავალი გზა“ (საბა).

ნოჯიკეთის ყელებ-ი ველტყიანი ადგილები; გადასასვლელი; თიანეთ-დუშეთის რაიონების შესაყარი მიჯნა ს. ევენტთან ახლოს. ტოპონიმისათვის ამოსავალია ს. ნოჯიკეთის სახელწოდება, რომელიც, თავის მხრივ, გვაროვნულ **ნოჯი-** ფუძისგან ჩანს მიღებული. ნოჯა — ნოჯიკეთი გვერდიგვერდ მდებარე სოფლებია დუშეთის რაიონში (ხეობის სას. საბჭო) თიანეთის რაიონის მოსაზღვრედ.

ო

ოგრუტის ნაყვერ-ი ტყე (ახ. სოფ.). „ოგრუტი“ პიროვნული სახელია.

ოდინათ ნასახლარებ-ი სახნ. (თრანი). „ოდინაშვილების ნასახლარები“ (ოთინაშვილი?).

ოდოლას ახო სახნ., სათ. (ჭურჭ.). „თიანელი კაცი იყო, აქ გაეკეთებინა მამული და წაართვეს, თიანელს აქ რა უნდაო. სახელი კი იმისივე დარჩა“ (ლ. ჭურჭელაური).

ოთარაანთ ახო სახნ., საძოვ. (ახ. სოფ.). „ოთარაშვილების ახო“.

ოთარაანთ ნაყვერ-ი ტყე (ახ. სოფ.).

ოლეებ-ი სახნ. (დუღუზ.). „მინდვრებს შუა მოქცეული წაგრძელებული ტყე, ბუჩქნარი“ (შდრ. საბა: „ბრაყენა, გინა მოგრძე ტყე ველთა შუა)“. დუშეთის რაიონში (გრემისხევის სას. საბჭო) დასტურდება პატარა სოფელი (2 კომლი) ო ლ ო ბ ი, რომელშიც იგივე **ოლე** ფუძე და **-ობ** სუფიქსი გამოიყოფა: ოლ-ობ-ი „ოლეებიანი ადგილი, პატარა ოლე“. (შდრ. ბექი — ბექობი, ყანა — ყანობი, ფერდა — ფერდობი...).

ომარაან-ი სოფელი ქვემო ერწოში (სიონმშენის სად. საბჭო). ადგილობრივ მას იცნობენ როგორც **ომარაულები** და **ომარაანები.**

სოფელი **ო.** ახალი დასახლებული ჩანს; მას არ იცნობს ვახუშტის „აღწერა“.

ონჭალა ასეთი სოფელია დასახელებული ერწოს საკათალიკოსო გამოსაღების ერთ-ერთ უძველეს ნუსხაში, რომელსაც რატომღაც X ს. ძეგლად მიიჩნევენ ([33] წ. IV, 5). ძეგლის სიძველე უეჭველია მაგრამ XIV-XV ს-ზე ადრინდელი არ უნდა იყოს. „ონჭალას შედგომაჲ, დრამაჲ **დ**, ქრთილი კაბიწი **გ**, ქალამანი **ა**“.

ორაგულის ნაბინავარ-ი ადგილი ივრის ხეობაში, ს. ლელოვანთან. ინფორმატორთა ცნობით, აქ ადრე ვიღაც გლეხს ორაგული სახრით მოუკლავს. ორაგულის ჭერასთან დაკავშირებული ადგილის სახელი დასტურდება არაგვის ხეობაშიც, ს. ავენისის ბოლოს, მდ. ხორხულას და მდ. არაგვის შესაყარში.

ორაგული-ს **არაგვ**-თან დაკავშირების ცდას დიდი ხნის ისტორია აქვს. მიაჩნიათ, რომ ო რ ა გ უ ლ ი იგივე ა რ ა გ ვ უ ლ ი („არაგვის თევზი“) არის (ვაჟა-ფშაველა, თხზ., ტ. IV, თბ., 1961, გვ. 53; ზ. ჭ უ მ ბ უ რ ი ძ ე, რა გქვია შენ?, თბ., 1971, გვ. 145; ირ. ქ ე რ ქ ა ძ ე, ცხოველების აღმნიშვნელი ლექსიკა ძველ ქართულში, თბ., 1974, გვ. 206). ასეთი ვარაუდი ამ სიტყვათა ფონეტიკური სიახლოვის გამო უნდა იყოს გაჩენილი. ფაქტიურად **ორაგულ-** ფუძეს **არაგვ**-თან საერთო არაფერი აქვს. **ორაგულ-ი,** ჩვენი აზრით, **რაგვ-** სიტყვასთან კავშირშია განსახილველი, რაც დასავლურ დიალექტებში მახეს, ჩიტთა და თევზთა საჭერ ხაფანგს ნიშნავს (იხ. ქეგლ, საბა, ჩუბინ.). **ორაგ[ვ]-ულ-ი** — „რაგვით დასაჭერი თევზი“. თავკიდური **ო-** ზანური დანიშნულების პრეფიქსი ჩანს; ო-რაგ[ვ]-ულ-ი („სა-რაგვ-ე“). ანგარიშგასაწევი ჩანს ის ფაქტი, რომ ორაგულს მდ არაგვზე უწინ მართლაც რაგვებით, ე. ი. დაწნული ლასტებით, გოდრებით და მსხვილი ფაცრებით იჭერდნენ. დას. საქართველოში ორაგულის რეწვა მდ. რიონზე უძველესი ხანებიდან იყო ცნობილი. როგორც ჩანს, ამ ჯიშის თევზს რაგვით იჭერდნენ და მას ხალხმა **ო-რაგვ-ულ-ი** შეარქვა (შდრ. თევზის ჯიში **ფიჩხ-ულ-ი**, რომელსაც, საფიქრებელია, სახელწოდება ფიჩხის დაწნული ფაცრით, ფიჩხის რაგვით ჭერის გამო შეერქვა).

საინტერესოა, რომ **ორაგვე, ორაგვეთ-ი** (—ორაგვე-ეთ-ი) მდინარისა და სოფლების სახელებად გვხვდება გურიასა (ლანჩხ. რ.) და სამეგრელოში (წულუკ. რ.). ამ ტოპონიმებისათვისაც ამოსავლად **„რაგვი“** არის მიჩნეული (მეგრ. **რაგვი**, ლაზ. **რაგ-ი**). გურიის მიკროტოპონიმიაში ძალზე ხშირია ზანური წარმოშობის

სახელწოდებანი, რომელშიც ეს **რაგვ-** ფუძე მონაწილეობს: **ორაგვისზრუგ-ი** ტყე (ს. წყარო, აცანის სას. ს.), **ორაგვის ღელე** ქ. ლანჩხუთის ერთ-ერთი უბანთაგანი და სხვ. საბოლოოდ: **ორაგული** (←ო-რაგვ-ული-) — „სა-რაგვ-ე, რაგვით დასაჭერი თევზი“.

ორვილ-ი მდინარე ქვ. ერწოში, ჩამოუდის ს. ბოჭორმას; მდ. ივრის მარცხ. შენაკადი. ადგილობრივ გავრცელებულია ხალხური ეტიმოლოგია ჰიდრონიმ ორვილის **ორ მილისაგან** მომდინარეობის თაობაზე: „ორი მილიდან თუ მოდის, ერთი ჩვენკე, მეორე — ახმეტისაკე“(ზ. ქისტაური).

ორთიებ-ი სახნ., საძოვ. (ორხევი). ამჟამად აქ ფიჭვის ნარგავებია გაშენებული. ამოსავალი ჩანს ორთა-ებ-ი (→ორთე-ებ-ი→ორთიებ-ი) „ორ ხევს შუა მდებარე ადგილი“.

ორმამულა ტყე ტყე ს. ნაჭრიანში

ორმოების გორ-ი ტყიანი გორაკი (თ. ხევა). ადგილის სახელწოდებად **ო. გ.** დადასტურდა ს. თოლენჯშიც.

ორმოან-ი მინდ., საძოვ. (ჩეკ. გორი). „ორმოიანი ადგილები“.

ორმუებ-ი ველტყიანი ადგილი (საყდრ.).

ორპანტის მამულ-ი სახნ., მინდ. (წიკვლ.).

ორწყალ-ი სასაძოვრე მინდორი, ორი ხევის (ღელის) შესაყარი ადგილი (შდრ. ფშავში ცნობილი ადგილის სახელი — **ორწყალი** — უკანაფშავისა და ხევსურეთის არაგვთა შესაყარი ადგილი).

ორხევ-ი სოფელი ქვემო ერწოში (სიონჰშენის სად. საბჭო). დასახლებულია ხევსურებით. ზოგიეროი წყაროს მიხედვით ორხევს ძველად **ბუშატი** რქმევია ([76] 164). აღსანიშნავია, რომ **ო.** უძველეს ქართულ ეკონომიკურ სიბუთებში XIV ს-დან დასტურდება ([50] 170), რაც ბუშატისა და ორხევის ერთი და იგივეობის ვარაუდს საეჭვოს ხდის.

ოსეფაანთ ახუებ-ი ტყე, საძოვ. (ხევ. სოფ.).

ოქრუას მიწებ-ი მწირი მინდვრები; საძოვ. (გორ.).

ოქრუას წყარო წყარო, ტყე (საყდრ.).

ოჩანის ციხე ისტორიული ძეგლი, ციხე-სიმაგრის ძველი ნაშთები მდ. ივრის ზემო წელზე, ნასოფლ. ხატბევთან. „კვალად ამ თიანეთის-წყლის შესართავს ზეით, იორზედვე, არს მთაში ციხე ო ჩ ა ნ ი ს ა, მაგარი და შეუვალი, და შენი არს ორთა მდინარეთა შორის“, — წერდა ვახუშტი თავის „აღწერაში“ (გვ. 91). ეს ორი მდინარე **ორი** და **საგამი** უნდა იყოს. ზოგიერთ წყაროში გვხვდება **ოჩონის ციხე**, XVIII ს-ის ერთ-ერთ ძეგლში (თეიმურაზ მეფისეული წყალობის წიგნი) კი ნახსენებია **ყოჩანის ციხე** ([63]

207). იქვე მინაწერიცაა, „ამას ვგონებთ ოჩანის ციხედ“-ო. თუ **ყოჩანი** მცდარი ფორმა არ არის, მაშინ შეიძლებოდა დაგვეშვა ტოპონიმის ანთროპონიმული წარმოშობა: **ყოჩა-ან-ი** (შდრ. გვარი ყოჩა-შვილი). ზოგიერთ ოფიციალურ წყაროში ნასოფლ. **ოჩან-ი** ყვარა-სთან არის გაიგივებული: **ოჩანი (ყვარა)** ([76] 182).

პ

პავლეთახოს ფერდ-ი საძოვ. (საჩურე).

პავლეს ნაჯაგ-ი ველტყიანი, ბუჩქნარი ადგილი (ლიშო).

პანტიან-ი საძოვ. სახნ. (ბად.). პანტა — ტყის წვრილი მსხალი. ტოპონიმი **პ.** ყოლა-ქონების **-იან** სუფიქსით არის გაფორმებული და აღნიშნავს ადგილს, სადაც ბევრი პანტის ხე დგას; თვითონ სახელწოდება **პანტა,** საფიქრებელია, **პატა** (|| პაწა) სიტყვისაგან იყოს მიღებული მკვეთრი **-ტ-**ს წინ **-ნ-** სონორის მოსალოდნელი განვითარებით: პატა→პა-ნ-ტა (შდრ. ატრია→ანტრია, ოტოფო →ონტოფო და სხვ. მრ.). საყურადღებოა, რომ ქართული ენის კილოებში, აგრეთვე, სხვა ქართველურ ენებში, „პანტა“ გადმოცემულია სიტყვით, რომელიც ჩვეულებრივ წვრილს, ჟიმატს, პატარას, ციცქნას ნიშნავს: რაჭ.. ქვ.-იმერ. — ჭკუტამსხალი; ლეჩხ. — ჭკუტა: შდრ. არქაბ. ჭუტანუსა „პატარძალი“ (პატარა რძალი) ([97] 39); ზემო იმერ. — ჯარჭი; გურ. — კვიჭიჭი, კვიჭიჭი-მსხალი; ინგილ. — ჭირჭიმა; მეგრ. — პანტე სხული. კვეტელე სხული... ჭიკე სხული; სვან. — გოწო ვიცხ ([52] 57).

ერწო-თიანეთში მცენ. პანტასთან დაკავშირებული ტოპონიმები ძალზე ხშირად გვხვდება. ამ ფუძის შემცველი ტოპონიმები სხვადასხვა გეოგრაფიული ობიექტის სახელწოდებად დასტურდება დ. თიანეთში, ს. ს. მაგრანეთში, თოლენჯში, იარაჯულებში, შარახევში, ხოფცაში, ზარიძეებში, დულუზაურებში, ბადაანებში, თეთრახევაში, ყუდროში, ალაჯანში, კვერნაულაში, ზემო ნაქალაქარში, დ. სიონში და სხვ.

პაპასგორ-ი ტყე (თიან.).

პაპაის ახო სახნ. (თეთრ.).

პაპთახუებ-ი საძოვ., სახნ. (ომარ.) „პაპის (სახელია) ნასყიდობა ყოფილა“.

პაპუაანთ ნასახლარ-ი ადგილი, მინდორი (ბოდახ.).

პართელის ნაჭერალაგ-ი ახო, მამული (ზ. შარახ.) „პართელის კუთვნილი ადგილი“. ბერძნული წარმოშობის საკუთ. სახელი **პართენი** („წმინდა“, ქალწულებრივი“) ფშაურში **პართელ**ად ქცეულა, რაშიც, ეტყობა, ქართული ონომასტიკისათვის ნიშანდობლივ -ელ სუფიქსს უთამაშია გადამწყვეტი როლი. პართენი—პართელი. არაგვის ხეობის ფშავში პართელი მამაკაცის მეტსახელად დასტურდება.

პართელისნაწიქვილრის თავ-ი სახნ., საძოვ. (ზ. შარახ.).

პარკინათ ახუებ-ი საძოვ., მინდორი (საჯურე).

პარკინაშვილის ნასახლარებ-ი მამული, სახნ. (წიკვლ.).

პარტიებ-ი ტყე (ქვ. ნაქალ.). სარწმუნო ეტიმოლოგია არ არსებობს. ადგილობრივ გავრცელებულია გადმოცემა, ამ ადგილებს პარტია-პარტიად (ნაკვეთ-ნაკვეთად, თარგებად) ამუშავებდნენ და სახელწოდებაც აქედან არის მიღებული.

პატარა ბერტყე ტყე (ძებნ.). აქვეა დიდი ბერტყე. სახელწოდება პატარა ბერტყე ს. თეგეროანებშიც დადასტურდა. **ბერ-ტყე** „დიდი, ძველი, ბებერი (უღრანი) ტყე“.

პატარა ბოკონ-ი ს. ველების და ს. ბოკონის კუთვნილი მინდვრების საერთო სახელწოდება. ამჟამად ამ მინდვრების დიდი ნაწილი სიონის წყალსაცავით არის დაფარული.

პატარა გარეჯა მთა, საძოვ. (ზ. არტ.).

პატარა გუზუმბათ-ი მთა (ლიშო).

პატარავაკის ჯევ-ი მშრალი, უწყლო ხევი (დორ.).

პატარა თავსველ-ი ტყე, პატარ-პატარა ველები (სიმ. ხევი). (იხ. დიდი თავსველი).

პატარა კლდისთავა- ტყე (ქვ. ნაქალ.).

პატარამაგრანეთის ხევ-ი მდინარე, ხევი ერწოში (მაგრ.) „ეგ ჩადის სანაქებო ხევში, მერე ორივე აძეძს ერევა“ (ა. ფეტვიაშვილი).

პატარა მიადნებ-ი ტყიანი ადგილები, პატარა ველები (ყუდრო).

პატარა ნასოფლარებ-ი სახნ., სათ. მამულები (ორხ.).

პატარა ნიშებ-ი ველტყიანი ადგილები (თოლ.).

პატარა პანტიან-ი სახნ., საძოვ. (ძებნ.).

პატარაპანტიანის წყარო ტყე, წყარო (თეგერ.).

პატარა საბადურებ-ი კლდოვანი ადგილი, გორაკები (ღულელ.).

პატარატყე ადგილი; სასაძოვრე ველები (მელ. ხ.).

პატარა ჩირდილ-ი ტყე (თიან.).

პატარა ჩხვინჯეთ-ი სახნავ-სათესი მინდვრები (ზარიძ.). აღსანიშნავია, რომ ვახუშტი ამ არეალში ასახელებს ს. **ცხვინჯეთს** ს. ტუშურებ-

სა და ს. ჯიჯეთს შორის, ს. ს. ვეჟანაანთკარისა და თორიულთკარის მეზობლად ([22] 206).

პატაშურთ ნაჭერებ-ი სახნ., საძოვ. (ქვ. ნაჭალ.).

პატურაანთ მიწებ-ი სახნ., საძოვ. (ჯიჯ.).

პეტრიას ნახაზინარ-ი ადგილია ზ. ნაჭალაჭარში. „ეგ მააქვიენეს იმაზედ, რო აქ ამაჲჩენიყო ქილა პეტრიასა“ (ნ. ობგაიძე).

პირიმზის ხატ-ი სალოცავი ადგილი ს. თრანში, მდ. თრანულას მარჯვ. ნაპირზე.

პირისგორ-ი მაღლობი ადგილი, მინდორი (დულუზ.) „პირიგორზე გვყავ საქონელიო, ვიტყვით“ (ა. ხაიაური). „სოფლის პირის გორი“, სოფლის წინა, კარისწინა მინდორი, ადგილი“.

პირიქითებ-ი სახნ. (ჩაბ.).

პირიქითმამულებ-ი სახნ., საოესი (ტუშ.).

პირმზით-ი მუხნარი ადგილი, კელები (თეთრ.). ტოპონიმი პ. მზვარე ტყიანი ადგილების აღმნიშვნელ სახელებად გვხვდება ს. ქუშბევში, ს. ლილოში, ს. ევჟენტში, ს. ღულელებში.

პირმზითის წყალან-ი წყალი, ხევი (ქუშხ.).

პირქუშ-ი, პირქუშის ხატ-ი ხატი, სალოცავი ადგილი (ქუშხ.) „ეგ არი დევთ ნასახლარებთან, ბატხევის გზაზე“.

პიტლოვან-ი სახნ. ადგილი (სიმ. ხევი). ტოპონიმისათვის ამოსავალი ჩანს სიტყვა **პიტალო**: პიტალ-ოვან-ი→პიტლ-ოვან-ი. შეიძლებოდა გვეფიქრაუდა, აგრეთვე, ზმნური „გაპიტლება“. მთიულურში, მაგალითად, გვაქვს მიმღეობური ფორმა **გაპიტლებული**, რაც გაყვითლებულს ნიშნავს ([32] 235), ასე რომ, **პიტლ-ოვან-ი**, საფიქრებელია, ამ ადგილს ნიადაგის ყვითლად შეფერილობის გამო შეერქვა.

საყურადღებოა, რომ პიტლოვანი უძველესი ქართული ეკონომიკური საბუთების მიხედვით სოფლად მოიხსენება ერწოში: „პ ი ტ ლ ო ვ ან ს შედგომაჲ, ქალაქური დრაჰაჲ ნ, ქრთილი კაბიწი ვ“ ([33] წ. IV, 5). ტოპონიმი პიტლოვანი **პიტლოვან-** ფორმით სოფლის სახელად XIV საუკუნის დასასრულიდან არის ცნობილი ([50] 173).

პიტნიან-ი სახნ. ადგილი (ქებ.).

პოვლიას წყარო ცივი წყარო (გორ.).

პრასებ-ი სახნ. (ხოფცა).

პრასიკებ-ი საძოვ. (ღულელ.).

პტყელა საძოვ., სახნ. (ტუშ.).

პტყელმამულებ-ი სახნ. (იარაჯ.).

პტყელმიწებ-ი საძოვ., სახნ. (ჭურჭ.).
პუნქტის გორებ-ი გორაკი (დორ.).

ჟ

ჟალეთ-ი ერწო-თიანეთის „ქვეყნის“ ერთ-ერთი უძველესი ტოპონიმი. მას, როგორც დასახლებულ, ამასთან საკმაოდ განვითარებულ და ეკონომიკური თვალსაზრისით დაწინაურებულ პუნქტს, იცნობს ძველი საისტორიო ლიტერატურა, კერძოდ, „ქართლის ცხოვრება“ და „მოქცევაჲ ქართლისაჲ“. ჟ. პირველად „ქართლის მოქცევაშია“ ნახსენები წმ. ნინოს საქართველოს მთიანეთში ქრისტიანულ-მისიონერულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით. „... წარვიდა წმიდა ნინო და ეპისკოპოსი იოვანე და... გარდამოვიდეს და დადგეს ჟ ა ლ ე თ ს და უქადაგეს ერწო-თიანელთა“ ([84] ტ. I. 126). ისტორიული ერწო-თიანეთის ქვეყანაში ჟ. ისეთი აყვავებული და მნიშვნელოვანი დასახლება ყოფილა, რომ მემატიანე მას ე დ ე მ ს ადარებს: „გარდავიდა ერწუდ და დადგა ჟალეთს, დ ა ბ ა ს ა ე დ ე მ ს ა და ნათელსცა ერწუ-თიანელთა. ([103] 89Გ). „წარვიდეს ერწოდ და დადგეს ე დ ე მ ს დაბასა ჟალეთს, და ნათელ-სცა ერწო-თიანელთა“ ([103] 89Ⴔ). როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, გამოთქმაში **„დადგა ჟალეთს, დაბასა ედემსა“** მკვლევართა ერთი ნაწილის მიერ ჟალეთი რატომღაც მხარედ, კუთხედ იქნა გაგებული, ედემი კი — ამ მხარეში არსებულ სოფლად (იხ. სტ. ედემი).

ეტიმოლოგიური თვალსაზრისით ჟ. დიდიხანია მიიპყრობს სპეციალისტთა ყურადღებას, მაგრამ მეცნიერულად დასაბუთებული, საარწმუნო ვარაუდი დღემდე არ მოგვეპოვება. ივ. ჯავახიშვილი ჟალეთს ჩერქეზულ სატომო **ჟან-** სახელისაგან მომდინარედ თვლიდა. „ეგების ჟალეთის სახელი ჩერქეზთა ტომის **ჟან-**ების სახელთან იყოს დაკავშირებული“-ო ([113] 47).

სპეციალისტთა შორის სადავოდ იყო ქცეული ჟალეთის ლოკალიზაციის საკითხიც. ვახუშტი გარკვევით მიუთითებდა მის ადგილსამყოფელს: „კვალად ამავ წყლის (იგულისხმება მდ. აძეძი, ვ.ხუშტის მიხედვით — ერწოს წყალი, გ. ბ.) შესართავს ზეით, იორის პირზედ, არს აღმოსავლით კერძ ჟ ა ლ ე თ ი, შენობა დიდი და შემუსვრილი. ეგონებთ ამას ჩელეთად, რომელსა პირველ

ბერ ერქვა“ ([22] 91). ამის მიხედვით ჯ. ლომაშვილი ჟალეთს დღევანდელი ს. ნაქალაქარის ტერიტორიაზე ათავსებს. რაკი **ჩელეთი** ანუ **ბერ-ი** მას ნაქალაქარში ეგულება ([41] 175). საკმაოდ ხელოვნურია ვარაუდი, რომლის თანახმადაც ჟალეთი იგივე დღევანდელი **მაჟალოიანია**: „სოფელ საყარაულოდან 2-3 კილომეტრზე არის მეტად საყურადღებო ნასოფლარი, რომელსაც მაჟალოიანი ჰქვია. ჩვენი აზრით, ამ სახელის ფუძე **ჟალოიანი ჟალეთის** ფუძეს უნდა ენათესავებოდეს“ ([2] 149). **ჟალ-ეთ-** || **[მა]-ჟალ-ო** (?!). ამ ბოლო ხანს ჟალეთის ლოკალიზაციის საკითხს შეეხო ჯ. სონღულაშვილი, რომელმაც ეს ტოპონიმი ქვემო ერწოში, ს. ბადაანებში აღმოჩენილ „ცხრაკარას“ ტერიტორიაზე ივარაუდა ([75] 21-22).

ჟალეთი ანუ ჟალეთის ეკლესია მდებარეობს ერწოში, სიონის წყალსაცავის ჩრდ.-დას. მხარეზე, იორის შესართავის მარჯვნივ, ქედზე. ნიში (საკულტო ნაგებობა) კარგად მოჩანს ს. ჩეკურაანთგორიდანაც. მაშასადამე, უნდა ვივარაუდოთ, რომ თვითონ სოფ. ჟალეთიც ამავე არეალშია საგულვებელი. ჟალეთი რომ ძველთაგანვე ერწოს ქვეყნის განვითარებული და მძლავრი პოლიტიკურ-ეკონომიკური ცენტრი ყოფილა, უდავოა. ბაგრატ IV დროს (XI ს. II ნახევარი). ჟ. მესხი აზნაურის ისაკ ტოლოშელისძის (შდრ. თანამედროვე გვარი ტოროშელიძე) რეზიდენცია იყო ([33] წ. IV. 3). სხვათა შორის, XVIII ს. კახეთის ხალხის აღწერის მასალებში გვხვდება გვარი **ჟალელი**: „ჟალელის შვილი გიორგი“ ([38] 38), რომელიც, უდავოა, **ჟალეთელი**-საგან გვაქვს მიღებული: ჟალ-ეთ-ელ-ი→ჟალ-ელ-ი (შდრ. თიან-ეთ-ელ-ი→ თიან-ელ-ი (→თიან-ლ-ი[ს]შვილი). საფიქრებელია, რომ ს. ჟალეთი, როგორც სოფელი, გაპარტახდა და იავარიქმნა XVII საუკუნეში, სპარსეთის მიერ კახეთის არაერთგზის დალაშქვრის დროს.

ტოპონიმი **ჟალეთ-ი** გეოგრაფიული **-ეთ** სუფიქსითაა ნაწარმოები. **ჟალ-** ძირი ფერის აღმნიშვნელი სიტყვაა, იგი ძველქართულში შავ-მოწითალოს ნიშნავდა ([62] ტ. IV$_1$). ამავე მნიშვნელობით იცნობს ჟალს ნ. ჩუბინაშვილი [100]. **ჟალ-ეთ-ი** „ადგილი, სადაც ნიადაგი შავ-მოწითალო, რუხი ფერისაა“. ჟალეთის ამგვარ წარმოშობას ვარაუდობს ჯ. ლომაშვილიც ([41] 175). ნიადაგის ფერის აღმნიშვნელი **ჟალ-** სიტყვა სხვა რაიონის ტოპონიმიაშიც შეინიშნება: დაბა ახმეტის ერთ-ერთ ჩრდილოეთით მდებარე უბანს, სადაც არქეოლოგიური გათხრები მიმდინარეობდა,

სწორედ **ჟალეთი** ჰქვია ([81] 72), თუ კი აქ სახელის (ტოპონიმის) მიგრაციასთან არა გვაქვს საქმე.

ჟატების ველ-ი საძოვ... (ომარ.). ადგილობრივთა ცნობით, „ჟატი მცენარეა, პრტყელი ფოთოლი აქ, ღერს უშვებს ჩადუნასავით, საქონელი არა ჭამს“.

ჟებოტა სოფელი თიანეთის რ-ში. ძველი სახელწოდება — **მათურელები** ([76] 171). იგი მდებარეობს მდ. ივრის მარცხ. სანაპიროზე, დ. თიანეთის გაღმით, 2 კმ-ზე. დასახლებულია ფშაველებით და საკუთრივ თიანეთელებით. სარწმუნო ეტიმოლოგია არ მოგვეპოვება. XIX ს-ის II ნახევრის ისტორიულ-ეკონომიკური საბუთების მიხედვით ჟ. კახეთის მემამულეების — მაყაშვილებისა და ჩოლოყაშვილების კერძო მამული ყოფილა და მას **ჯებოტა** რქმევია ([101] 319).

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია ვარაუდი ამ სახელწოდების ნახური ენიდან მომდინარეობის შესახებ. თ. უთურგაიძე ჟებოტას ბაცბურ -ტე სუფიქსიან გეოგრაფიულ სახელთა შორის გაზიხილავს, სადაც -ტე სუფიქსი ბორცვს, გორაკს, თავს, ზემო ნაწილს ნიშნავს ([79] 95-97). თითქოს უფრო სარწმუნო ჩანს ალ. ჭინჭარაულის ვარაუდი, რომლის თანახმადაც ჟებოტა ბაცბ. **ჯე-ბოტარ-** ფორმისაგან უნდა გვქონდეს მიღებული, რაც ქართულად **ცხვარ-სატარ** გზას ნიშნავს. ბაცბ. **ჯე** „ცხვარი“, **ბოტარ** (|| **დოტარ**) „სვლა, ტარება“. როგორც ჩანს, მომთაბარე ნახებს ძველად ამ გზით გადაჰყავდათ ცხვარი საქართველოს ბარის რაიონებში, კერძოდ, შირაქ-ელდარში.

ვახუშტი ბატონიშვილი მას **ჟებოტა-დ** იცნობს ([22] 206).

ჟებოტის გორ-ი ადგილი ს. ჟებოტის აღმოსავლეთით. ამ გორაკზე არის სასაფლაო და ძველი ეკლესიის ნაგებობა, რომელსაც ადგილობრივ „საღირაანთ საყდრები“ ეწოდება.

ჟინვალ-ი (ჟინვან-ი, ჟილვან-ი, ჟინოვან-ი) სოფელი მდ. არაგვის ხეობაში, საქართველოს სამხედრო გზაზე. ადრინდელ ხანებში ჟ. კახეთის მთიანეთის ანუ ერწო-თიანეთის მნიშვნელოვანი პუნქტი იყო. შემთხვევითი არაა, რომ ვახუშტი ბატონიშვილი „ჟინვანს“ თიანეთის სოფელთა შორის ასახელებს ([22] 206). ტოპონიმი ჟ. ამ არეალის ერთ-ერთი უძველესი გეოგრაფიული სახელია. ქართულ საისტორიო ძეგლებში თუ ეკონომიკურ საბუთებში ჟ. XII ს-დან მოიხსენიება ძირითადად **ჟინვან-** || **ჟინოვან-** ფორმით: „და ჰიაბერსა მანდატურთ-უხუცესსა მოუმატეს და უბოძეს **ჟინვანი**, ქალაქი და ციხე, მრავლითა მთიულეთითა“ ([84] ტ. II,

55ჲ). „დავით მეფემ უბოძა გრიგოლ ჰარმაულ ჰაჭნაისშვილს შუანის ხევს ჟინოვანის შესავალი ლაუშა“ (1298 წ. ([50] 173). „ჟინოანს მოსახლე შვიდი კომლის შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს“ (1398 წ.) (იქვე). „ერისთავთ-ერისთავმა ვამიყ შაბურისძემ გაათავისუფლა ხანდაკელები ჟილვანის გამოსაღებთაგან“ (1494 წ.) ([50] 174). ყველა ზემოთ დასახელებული ფორმისათვის ამოსავალია **ჟინოვან-ი**, რომელიც აშკარად **-ოვან** სუფიქსით არის გაფორმებული (შდრ. ქრცხილ-ოვან-ი→ქრცხილ-ვან-ი→ცხინვალ-ი). ამის მიუხედავად, იყო ცდები ჟინვანი ზანურ **ჟინ-** („ზემო“) და **ვან-** („ცხე“, „საღგომი“) სიტყვებისაგან მომდინარე სახელად მიეჩნიათ, თუმცა ამგვარი ვარაუდის ხელოვნურობა აშკარაა, რადგან ამოსავალი, როგორც ვთქვით, **ჟინ-ოვან-ი** არის და არა — **ჟინვან-ი**. ქრაგვის ხეობის 1781 წლის აღწერის მასალებში ეს პუნქტი უკვე **ჟინვალ-** ფორმითაა წარმოდგენილი [112]. ადგილობრივ პოპულარულია ხალხური ეტიმოლოგია, რომლის მიხედვითაც **ჟ.** თითქოს **ჟინ-ი** და **ვალ-ი** სიტყვებისაგან შედგებოდეს: „უნდა წამოსულიყვნენ ჟინვალში და აქ უნდა გადაეხადნათ ჟინის ვალი“ ([29] 143). სხვაგვარი ეტიმოლოგიით ჟინვალი **შირვან-ს** უკავშირდება (იქვე, გვ. 143). ორივე ახსნის უსაფუძვლობა აშკარაა. ტოპ. **ჟინოვან-ი**, როგორც ჩანს, მცენარის სახელწოდებასთან კავშირში უნდა განვიხილოთ, რადგან **-ოვან** სუფიქსი ძირითადად მცენარეთა სახელწოდებებისაგან მომდინარე ტოპონიმებშია დაცული: მუხრ-ოვან-ი, ქრცხილ-ოვან-ი, თხილ-ოვან-ი, ნარ-ოვან-ი და სხვ. მრ. ამოსავლად შეიძლებოდა დაგვეშვა თუშური **ჟინა** (ii ჟინაცი) „ნორჩი ფიჩვი“ [111]. მაშასადამე: **ჟინოვან-ი** — „ფიჩვნარი ადგილი“.

ჟონჟოლიან-ი ტყე, მინდ. (ბად.). სახელწოდებისათვის ამოსავალია მცენ. ჯონჯოლის კახური სახელწოდება **ჟონჟოლ-ი** ([52] 100). **-იან** ქონების სუფიქსის დართვას ფუძეში **ო** ხმოვნის რედუქცია გამოუწვევია: **ჟონჟოლ-იან-ი→ჟონჟულ-იან-ი**. აქვე ახლოსაა წყარო, რომელსაც ჟონჟლიანის წყარო ეწოდება.

ჟულაკათ ტაფ-ი ტყიანი ადგილი, ბორცვი (ქუშხ.). „ჟულაკაანი“ ადამიანთა საგვარეულო სახელია. ამოსავალია ადამიანის საკუთარი სახელი **ჟულაკა** ([4] 184).

რ

რიგიაანთ ახუებ-ი სახნ., საძოვ. (ახ. სოფ.). „რიგიანი“ საგვარეულო სახელია. ამოსავალია ადამიანის საკუთარი (შერქმეული, ზედმეტი) სახელი „რიგია“.

რკინისკალო ადგილი ს. თრანში, სოფლის სამხრ.-აღმოსავლეთით არქეოლოგიური გათხრების უბანი. აქ მოპოვებული მასალა ძვ. წ. IX—VII საუკუნეებით თარიღდება ([81] 72). სახელწოდება რკინისკალო, ვფიქრობთ, შერქმეული უნდა იყოს სწორედ იმ არქეოლოგიური (ბრინჯაოს, რკინის) მასალის მიხედვით, რომელსაც აქ ადგილობრივი მოსახლეობა დროდადრო პოულობდა ხვნის ან მიწის ეროზიის დროს.

რუებ-ი გზა, „ტყე-გზა“ (დულუზ.).

რუებშუა სახნ. ადგილი (ახ. სოფ.).

რუვ-ი ადგილი, საძოვ., მინდ. წყალი (ახ. სოფ.), „წყალია გამოსული და იმ ადგილებსაც რუვს ვეძახით. რუვთანა მყავს საქონელიო,— ვიტყვით. რუვი არი მარტო წისქვილის წყალი“ (ვ. ოთარაშვილი).

რუსების ნაქოხარ-ი ადგილი ტყეში (ყუდრო). „რუსები იყვნენ მოსულები, ფიცრებსა ჭთლიდნენ, დარჩა იმათ სახელობაზე“ (რ. მინდიკაური).

რუსის სასაფლაო სახნავ-სათესი მინდორი (ორხ.). „მინდორია დაგდებული, არც საფლავი, არც არაფერი, ეგრე კი ეძახიან“ (გ. დევერაშვილი).

რუსულაანთ ახუებ-ი სახნ., საძოვ. (მამად.).

რუსულათ ახუებ-ი საძოვ. (ლიშო). „ეგენი ყოფილან ფშაველები; ადრე ლიშოში უცხოვრია, ეხლა გადასულები არიან თელავის ახლოს, ლაფანყურში“ (ს. აბალიშვილი).

რჩხებ-ი ხევი, დაბალი ჭაგნარი ადგილი (ყებ.). როგორც სახელწოდება გვიჩვენებს, ძველად აქ ვენახი უნდა ყოფილიყო გაშენებული.

რწყილას ველ-ი საძოვ., ტყიანი ადგილი (ორხ.). „რწყილა კაცს ექვივნა“ (გ. დევერაშვილი).

ს

სააგენტუებ-ი დიდი სახნავ-სათესი მამულები (ჭურჭ.). „აგენტი მოდენილა, იმას უყიდავ ეგ მიწები, ვისაც არა ჰქონდა მამული, ან ეკლდა, მანდა ყიდულობა. საფრონტო ერქო (საფონდო, ფონდის მიწა, გ. ბ.); თავადაც მანდა მაქვ ნაყიდი“ (ლ. ჭურჭელაური).

საბადურ-ი, საბადურებ-ი მაღალი ტყიანი მთა ს. ღულელების სამხრეთით: თბილის-თიანეთის სამანქანო გზის გადასასვლელი; ველტყიანი ადგილები, საძოვრები. „გზა მაღლა ადის და ბოლოს ქოჩორზე მოექცევა უღრანი ტყით დაბურულ მთას, რომელსაც საბადურია ჰქვიან“ ([51] 109) სახელში აშკარად გამოიყოფა სა-——-ურ დანიშნულების აფიქსი, თუმცა მთლად ნათელი არაა **-ბად-** ძირის სემანტიკა. საფიქრებელია, ტოპ. საბადური სიტყვა **საბადო-**სთან (წიაღისეული სიმდიდრე) იყოს კავშირში. სწორედ ამ თვალსაზრისით განიხილავს ტოპონიმ **საბადურის გორას** (გორაკია ზემოიმერეთში, საჩხერის რ. ს. საირხე) ჯ. ნადირაძე ([59] 101). სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია საბადური-ს **საბადლურ-** ფორმისაგან მომდინარეობის შესაძლებლობა ([47] 152), თუმცა ამგვარი ვარაუდის დაშვება საეჭვო ჩანს, რადგან **ბადლ-** სიტყვის მიხედვით წარმომდგარ ტოპონიმებში **(ბადლისცერ-ი, ბადლნ-ი...) -ლ-** თანხმოვანი არასოდეს იკარგვის.

საბადურის ყელებ-ი ტყე (ღულელ.). „მთა საბადურის ზედა ადგილები, გადასასვლელები“.

საბაყაყია ჩადაბლებული აღგილი, მინდორი (ჩეკ. გორი). „გუბე იყო, ერთავად გუბე დგებოდა, მააქვავნეს საბაყაყია“ (ი. ხუციშვილი). სა-ბაყაყ-ე-ა→სა-ბაყაყ-ია.

საბურდოებ-ი სოფ. საჯინიბოს ერთ-ერთი უბნის სახელწოდებაა. ამჟამად აქ ორიოდე კომლი-ღა ცხოვრობს (გიგაური და ქრისტაური). სა-ბურდ-ო-ებ-ი „ბურდიანი ადგილები“, „ბუჩქნარი, გაუვალი, დაბურდული ადგილი“.

საგამ-ი მდინარე, თიანეთის რ-ში. მდ. ივრის მარცხ. შენაკადი; მიერთვის იორს ს. ახალსოფელთან. სარწმუნო ეტიმოლოგია არ არსებობს. შეიძლებოდა გვეპარაუდა ძვ. ქართ. **საგალი** (კირსაგალი) ფორმა, რომელიც თევზჭერის სპეციალური ტერმინია. საგალი იყო ჯირნარევი შხამი, რომელსაც მდინარეში ყრიდნენ, წყალს წამლავდნენ და თევზს იპერდნენ („აირევა რა საგალი, ფიცხლად დასწვავს თევზსა თვალსა“) ([24] 85) ნ. ჩუბინაშვილი იცნობს მცენარე **საგალს** და მას თევზის საწამლავს უწოდებს [100]. ხომ არ ენდა ვიფიქროთ,რომ მდ. საგამს სახელი სწორედ მცენ. **საგალი-ს** მიხედვით შეერქვა? ზოგიერთ წყაროში ეს მდინარე მოიხსენიება როგორც **საგომა** ან **საგომე** ([114] 111, 196. 288), მაგრამ ორივე ეს სახელი იმავე **საგამი-ს** დამახინჯებული ფორმა უნდა იყოს.

საგვერდულის ახო სახნ. (თიან.). ამოსავალია ადგილის პირველადი სახელი საგვერდული „გვერდობი, ფერდა ადგილი“.

საგორჩინაო. მინდორი (ყუდრო). ტოპონიმისათვის ამოსავალია ხევს. **გურჩი** „მრგვალი რიყის ქვა“ ([108] 274). გურჩის || გორჩის ქვას ფილთაქვადაც ხვარობენ. მაშასადამე, **საგურჩინაო** (|| საგორჩინაო) ნიშნავს: „ქვაენარი; ადგილი, სადაც რიყის მრგვალი, სწორი ქვა ყრია“.

საგრილეებ-ი მინდორი, ახო, საძოვ. (ღულელ.) „ჩრდილიანი, გრილოიანი ადგილი“, „ადგილი, სადაც შუადღისას საქონელი ისვენებს“.

საგულებელ-ი სათიბი ველები (ქვ. არტ.). „მინდორი, სადაც მოთიბული თივის დაგულება (თივის ერთ ადგილზე შეგროვება) ხდებოდა. „გავიარეთ საგულებელზე“ (ვაჟა, 1957, გვ. 509). ადგილის სახელებად საგულებელი ხშირად გვხვდება მთიულეთ-გუდამაყარში, ხევში, არაგვის ხეობის ფშავში და სხვ.

საგულებელთ გორ-ი სათიბი გორაკი (ქუშხ.).

სადათვე ტყიანი ადგილი (გორ.) „ადგილი, სადაც დათვი ბუდობს“. ანალოგიური სახელწოდება დასტურდება ს. საკრეჭიოში; ერწოს სოფლებში (ფიჭვიანი, ღულელები, მაგრანეთი) გვხვდება **სადათვია** ფორმა, რომელიც იმავე სა-დათვ-ე-საგანაა მიღებული -ა სუფიქსის დართვით სა-დათვ-ე-ა—სა-დათვ-ი-ა (შდრ. საწაბლ-ი-ა, სა-თაფლ-ი-ა, სა-მტრედ-ი-ა, სა-შვლ-ი-ა, სა-ნარი-ა || —სა-ნარ-ე-ა).

სადათვიას მიადან-ი სათიბი. საძოვ. (ფიჭვ.).

სადათვიას ხევ-ი ხევი (ომარ.).

სადათვიას გორ-ი ტყიანი გორაკი (საკრ.). „ამას ჩვენ ვეძახით **სადათვი გორს**, ადრე დათვები უხოცია ხალხს. ზოგი ეხლა და ეხლა **სალდათი გორსაც** ეძახის“ (ლ. ჯანგირაშვილი).

სადაჩალიან-ი სახნავი მინდორი, საძოვ. (საკრ.). ეტიმოლოგია გაურკვეველია.

სადგომ-ი ვაკე ადგილი (სახევი). „როცა ხალხი მუშაობდა, აქა დგებოდა, ისვენებდა“ (ი. თეთრაული).

სადეოგორ-ი საძოვ., სათიბი გორაკი (ქუშხ.). ტოპონიმისათვის ამოსავალია სიტყვა დავა: სადავო გორი—სადე/ვ/ო გორი. შდრ. მთიულ.ძეობა (—დეობა). „სუ ერთავათ შარ-ხათაბალა ჰქონდათ, არა, ჩემია, არა ჩემიაო“ (ს. კუდიანაშვილი).

სადროვლო მამულები (ამჟამად დასახლებული) ქვ. ნაჭალაქარში. „დორეულების კუთვნილი ადგილ-მამული“ (იხ. დორეულები).

საერწოე ძველი ბილიკი, გზა; ტყე (საჯინ.). „აქედან გადმოდენილა ხალხი ახმეტიდან და საერწოვე იმისათვი უძახნია. ეგ არი საბურდოების პირდაპირ, გაღმით“ (გ. გიგაური).

საზამთროს გორ-ი გზა, მინდორი (ზ. არტ.). „ზამთრობით სავალი გორი“, „ზვავისაგან უსაფრთხო ადგილები“.

საზამთროს ხევ-ი ადგილია მთაზე, ივრის ბოლოებში.

სათემო მინდორი (ნად.). „ეგა ყოფილა ერთიანი მიწა, გაუყობელი მამული, მერე და მერე, ახლობაში სოფლეურად გაუყვიათ“ (ლ. ჯანგირაშვილი).

სათიბ-ი მთა, სათიბი მამულები (ბოჭ.). საძოვარი ველები (თრანი).

სათიბა ადგილია ს. საჯინიბოში, ახმეტის რ-ის მიჯნაზე. „პატარა სათიბი ველი“.

სათიბე სათიბი მინდვრები; მთა (მაგრ.).

სათიბის გორ-ი დიდი გორი; საძოვ. (მაგრ.).

სათიბის მთა — მთა (ტ. სოფ.).

სათიბის პანტიან-ი ადგილი მთაში (ბად.).

სათიბლებ-ი მამული; საძოვ., სათიბი (გორ.).

სათიხე მინდორი (ქეშ.). „ბაღი გვიდგა კოლექტივისა“ (ნათ. ბადურაშვილი).

სათხევის ხევ-ი საძოვ. (ჩაბ.). ეტიმოლოგია საკვლევია. მოსალოდნელია სათ-ის ხევი, **სათ-ი** — შავი ქარვა, გიშერი ([85] ტ. VI): **სათი** — გიშერი (საბა). მაშასადამე, **სათ(ის)ხევი** ადგილი, ხევი, სადაც სათის ფერი მასა (მინერალი) გამოდის. შდრ. **სათი(ს)ჭალა** (დღევ. სართიჭალა), რომელსაც, უეჭველია, ეს სახელი ნავთობიანი ადგილების გამო შეერქვა. **სათხევ-** ფორმაში გენეტივის ნიშანი (-ის) მთლიანადაა დაკარგული. შდრ. ვანსევი (—ვან-ის || ვანთ ხევი), ეკლუბან-ი || ეკლობან-ი (—ეკლ/-ის/უბან-ი) და სხვ. მრ.

საიჯაროებ-ი სახნავი მინდვრები (ქვ. ნაჭალ.).

საკათ-ი ველტყიანი ადგილი. ამჟამად ალაგ-ალაგ ტყე გაიკაფა და სასაძოვრე ახოები გაკეთდა. ძველი ნამოსახლარი ადგილი (ახ. სოფ.). ადგილობრივ მეტყველებაში დასტურდება, აგრეთვე, „შაკათი“. სავარაუდოდ შეიძლებოდა დაგვეშვა ტოპონიმის ანთროპონიმული წარმომავლობა: **სა[ა]კა-თ-ი** „სააკაშვილების ნაქონი (კუთვნილი) აღგილ-მამული“ (სააკაშვილი ამჟამად გვარია ახმეტაში).

საკამეჩო ველ-ი სახნ., საძოვ. (ხოფცა).

საკამპანიაო წიფელ-ი ადგილი, მინდორი (ყუდრო). „კარგი ადგილია,

ხშირად იკრიფებოდენ იქა და ქეიფობდენ. ეხლა და ეხლა კი აღარვინა მართავს“ (ვ. ქისტაური).

საკანაფეებ-ი სახნავი მინდვრები (კვერნ.). „მინდორი, სადაც კანაფის მცენარე იყო დათესილი“.

საკარტოფილე მამულები ს. საჯინიბოს აღმოსავლეთით.

საკარტოხეებ-ი ახოები ს. საჯინიბო'ში (ერწო). „საკარტოფილე მიწები“.

საკახეთო გზა გზა (თეგერ.).

საკეცეებთან თიხნარი ადგილი (ზ. შარახ.).

საკეციან-ი მინდორი, ველი (ქუშხ.) „მიწას ვიღებდით, ვაკეთებდით, ზედ პურებს ვაცხობდით, ეგრე კიდე სხვა რამეს“ (ს. კუდიანაშვილი).

საკირიათ მამულ-ი მინდორი (ქვ. არტ.) „კირები უწვავ“.

საკირიანა ნასაკირალი ადგილი (მაგრ.).

საკირეებ-ი ველები, სახნ. ადგილები (ხაიშო, საყდრ.).

საკირეების ხევ-ი პატარა ხევია (საყდრ.).

საკმელას პირ-ი სახნ., საძოვ. (დუღუზ.). სახელის წარმომავლობა გაურკვეველია. საკმელა — პიროვნული სახელია?

საკმელას წყარო წყარო (დულეზ.).

საკოშკეთ-ი მინდ., საძოვ. (ქუშხ.).

საკოშკიათ გორ-ი სათიბი (ქუშხ.). როგორც ჩანს, საკოშკე, საკოშკეთი ადგილს შეერქვა შემაღლებული მდებარეობის გამო.

საკრეჭიო სოფელია ზემო თიანეთში; დასახლებულია საკუთრივ თიანეთელებით. ზოგიერთი წყაროს მიხედვით ამ სოფელს **ჯანგირაანები** რქმევია [68]. ცნობილია მისი მეორენაირი სახელწოდებაც: **ღვინიანები** [76]. ადგილობრივთა გადმოცემით, სოფელს **საკრეჭიო** დარქმევია იმის გამო, რომ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში აქ სოფლის მღვდელი დაუჭერიათ ახალგაზრდებს და ძალით გაუკრეჭიათ. მოსალოდნელია აგრეთვე ადამიანის ზედმეტი სახელი **„კრეჭია“** — „ერთავად მოცინარი, ჭკუამხიარული ადამიანი“.

საკუაანთ წყარო, ადგილი (ჟებ.). „საკუაშვილების წყარო“.

საკურატე სახნავი მინდ. (გოჯ.).

საკურდღლე ველ-ი ველტყიანი მინდორი (საყდრ., მაგრ.).

საკურდღლის გორ-ი საძოვ. (თოლ.).

სალაფის ბოგირ-ი ადგილი (თიან.). ამოსავალია პირველადი სახელწოდება „სალაფე“.

სალებიო სახნავი ადგილი; ამჟამად გატყეებული საძოვარი (ყუდრო). სახელწოდების წარმოშობა დაკავშირებული უნდა იყოს მინერალ **ლებ**-თან. **ლებ-ი** ეწოდება ლურჯი ფერის მინერალს, რომელსაც საღებავად იყენებდნენ. მოხეური დიალექტის მონაცემებით ლები კლდეში წყლის გამონაჟონში შერეულ მოლურჯო-მომწვანო ფერის შაბისმაგვარი ხავსია. სიტყვა **ლები** დასდებია საფუძვლად ხევის ტოპონიმებს: **სალებე** სახნავი ს. ფხელშე-გორისცხეში; **სალებეს ნაჭოხრები** და **სალების წყარო** ([28] 79). ხშირია **ლები**-საგან მომდინარე მიკროტოპონიმები არაგვის ხეობის ფშავშიც: **სალებიათკევა** ([45] 143). სიტყვა **ლები** ჩანს ამოსავალი თელავის რაიონის სოფელ **სალებელის** სახელწოდებისათვისაც: **სალებ-ელ-ი** „სოფელ სალებე-დან მოსული პირი, სალებე-დან საცხოვრებლად გადმოსული ოჯახი“. ს. **სალებე** ხევსურეთშია საგულვებელი, რადგან, როგორც ცნობილია, თელავის რ. ს. სალებელის პირველი მცხოვრებნი ხევსურეთიდან გადმოსულთა ოჯახები იყვნენ. საყურადღებოა, რომ **ლები** ძვ. ქართულში სილურჯის, დალურჯებულის (ნაგვემის) აღსანიშნავად გვხვდებოდა. „ვეფხისტყაოსანში“ სიტყვა **„ლები“** სამჯერ არის ნახმარი და მას ყოველთვის სილურჯის, ცემისაგან დალურჯების გაგება ახლავს: „ხელი მიჰყო, წამოზიდნა, თმანი გრძელნი დაუფუშნა, დ ა ა ლ ე ბ ა, დ ა ა ლ ურ ჯ ა, მედგრად პირნი მოქუშნა“... „ორგნით ჩანს ლ ე ბ ი მ ჯ ი ღ ი ს ა“ და სხვ. დღევანდელ ქართულ ენაშიც **დალებება, დალებებული** სწორედ ამ მნიშვნელობითაა ცნობილი ([85] ტ. III). საბას მიხედვით **ლები** არის მ ი წ ა ლ ე ბ ი, მიწის საპოვნი [62]. ნ. ჩუბინაშვილი კი ლებს განმარტავს როგორც **ლიბრი, დალურჯებული** багровица [100]. მინერალი ლები ჩანს ამოსავალი ს. **ლებაისკარი**-სათვისაც (სოფელია ხევსურეთში): **ლება-ის-კარ-ი**. იმერულში ლები **ლიბ**-ფორმით დასტურდება: **გალიბება** (გალიბდება, გალიბული) „გაყინული, გალურჯებული“ ([83] 202); სიტყვა **ლები** თავს იჩენს აჭარის მიკროტოპონიმიაშიც: **სალებ-ი** სათიბი (ს. ვანაძეები, ხულოს რ.), **სალებიგზა** გზა, ადგილი (ს. წაბლანა, შუახევის რ). და სხვ.

სალეკიგორ-ი ტყე, გორაკი (ორხ.) „აქედან მიჰყოლებია ხალხი ლეკებსა“.

სალიშოო გზა გზა (თიან., ჰურჭ.) „ლიშოსაკენ მიმავალი გზა“.

სალუდე მინდორი (გოჯ.) „აქ უხდია ლუდი, მიჩქონებია ხატისათვი“ (ვ. სიხარულიძე).

სალუდია მინდორი, ადგილი (ლიშო). „ხახმატის ხატია, წყაროა, რამე, იქ ჩვენი ძველები ხატის დღეობისათვი ხდიდენ ლუდსა“ (ს. აბალიშვილი).

სალხინო ადგილი, მინდორი (ვერხვ.).

სამარიანობო გორ-ი მთა, საძოვარი მდ. ივრის ზემო წელზე, ე. წ. ივრის კუდებში. აქვეა ღვთისმშობელ მარიამის სახელობის სალოცავი, ხატი „მარიანობა“. შდრ. ფშაური სალოცავი **მარიანგა** ([4] 134). „გორაკი, რომელზედაც ხატობა „მარიანობა“ იმართება (შდრ. სამარიანობო მსხალი: „მსხალი, რომელიც მარიამობის თვეში (აგვისტო) ცწიფდება“).

სამარილე გორ-ი სახნავი ადგილები, ვაკე მინდორი (ევე.). ადგილს სამარილე გორა ეწოდა აქ გამომდინარე მუჯა (მლაშე) წყაროების გამო.

სამაროვნო გორ-ი მთა, საძოვ. (ზ. არტ.). იგივე სამარიანობო გორი.

სამარწყვე ადგილი, მინდორი (იარაჯ.).

სამარწყვლის გორ-ი სათიბი, საძოვ. (იარაჯ.). „მინდორი, სადაც სამარწყვე ადგილებია“.

სამარწყობო გორ-ი საძოვარი, ტყიანი ადგილი (თრანი). როგორც ჩანს, აქ მიდიოდნენ სამარწყვობოდ, მარწყვის საკრეფად.

სამაჩვიათ ხევ-ი ველი, საძოვარი, პატარა ხევი (სახევი). ტოპონიმისათვის ამოსავალია პირველადი სახელი — სამაჩვია: „ადგილი, სადაც მაჩვი ბუდობს“.

სამაჩუებ-ი ტყე (ტ. სოფ.) „სამაჩვოები“.

სამგლე მინდვრები, საძოვ. (თიან.).

სამგლე ველებ-ი სახნ., საძოვ. (თიან.).

სამების წყარო წყარო (ბოჭ.).

სამეველე გორა გორაკი (ომარ.). „ამწვეტებული გორაა, მეველე იჯდა, სუ უყურებდა მთელ მამულებსა“ (ანიკო ხუციშვილი). ს. ლიშოშია **სამეველო გორა.**

სამთიულველის ტაფე სახნავი ადგილი, საძოვ. (ზარ.). „სამთიულო ველის დაბლობი“.

სამსეებ-ი სახნ. ადგილი (ზარ.). ტოპონიმის სემანტიკა საკვლევია.

სამსოთ ახო სახნ. (ჩაბ.).

სამტრედგორ-ი სახნ., საძოვ. (თოლ.). ს. სიმონიანთხევსა და ნადოკრაში დასტურდება მინდვრის სახელწოდებად სამტრედის გორი.

აქაც და იქაც ამოსავალია პირველადი სახელი სამტრედე: „ადგილი, სადაც მტრედზე (ქედანზე) ან მტრედის ხუნდზე ნადირობდნენ“. შდრ. ადგილის სახელწოდება: სახუნდარი, სასახუნდრე ([50] 190), აგრეთვე ზანური გაფორმების **ლა-ხუნდ-არ-ა** (აქედან: ცნობილი პერსონაჟი **ლახუნდარელი**).

სამყურიანველ-ი საძოვ. (ტუშ.) „მინდორი, სადაც სამყურა ბალახი ხარობს“.

სამცრევენ-ი, სამცრეოთ ღელე მინდორი, საძოვარი, ს. საჭურესთან ახლოს. „საქონის საყარ ადგილია. სანამ ცხვარ-ძროხა დაიწველებოდა, **სამცრეოთ ღელეში** დაქუჩდებოდა“ (მზ. ჭინჭარაული). **სამცრევენი** და **სამცრეოთ ღელე** აფიქსური წარმოების ტოპონიმებია: სა-მცრ-ევ-ე-ნ-ი სა-მცრ-ე-ო-თ ღელე, სადაც ძირად **ცრ-** გამოიყოფა (მ ფონეტიკური დანართია). ტოპონიმი **სამცრევე** ის ადგილია, სადაც მოდილაურებული საქონლის მოწველა ხდება; ამიტომ საფიქრებელია, რომ **-ცრ-** ძირი **ცვარ** სიტყვის გაცვეთილი ფორმა იყოს. **ცვარი, ზისცვარი** — „რძე“ ([108] 234, 267, 276). მაშასადამე, უნდა გვქონდა: **სა-ცვარ-ევ-ე→სა-ცვრ-ევ-ე→სა-ცრ-ევ-ე**; მანის გაჩენის შემდეგ **სა-მ-ცრ-ევ-ე** ფორმა მიგვიღია, რომელსაც ბოლოში მრავლობითობის **-ნ-** ფორმანტი დართვია (შდრ. ჯვარ-ნ-ი, წყალა-ნ-ი). რაც შეეხება ტოპონიმ **სამცრეოთ ღელე-ს**, აქაც ზუსტად იგივე ვითარება გვაქვს, ოღონდ ო←ევ: სამცრევეთ→სამცრეოთ.

აღსანიშნავია, რომ არაგვის ხეობის ფშავში და ხევსურეთში დასტურდება ტოპონიმები **საცრეო** და **საცრეოთ გორი** ([47] 177). აღნიშნული ტოპონიმები ფ. მაკალათიას სწორედ საქონლის მოწველასთან აქვს დაკავშირებული, მაგრამ რატომღაც უშვებს ვარაუდს, თითქოს **საცრეო** ფორმისათვის **-ცერ** ძირი (საცერ-ევ-ო) იყოს ამოსავალი (იქვე, გვ. 177). როგორც ვთქვით, ტოპონიმის საყრდენი ფუძე **ცვარი** („რძე“) არის და არა **ცერი**: საცრე→სა-ცვ[ა]რ-ე. ძალზე საყურადღებოა, რომ ქართლში **მომცვრევა** აქა-იქ შერჩენილი ნაყოფის მოკრეფას ეწოდება (იხ. თ. სალარიძე, ალგეთის ხეობის ქართლური, თბ., 1978, გვ. 171).

სანალუე ტყე, ადგილი (ხევ. სოფელი) „ნალოს შესაკრავი ადგილი“. „ერთი გამონაჭერი ხე სანალოეა“ (ხ. ჯამაგიძე).

სანაქებო ხევი (მაგრ.) „ძაან ღრმა ხევია და სანაქებო იმისათვი დაურქმევიათ“ (ა. ფეტვიაშვილი).

სანაქერქლე ველტყიანი ადგილი; სახნავი მამული; ფერდობი ადგილი

(ჩეკ. გორი). „ადგილი, სადაც ხეს ნაქერქალს (ქერქს) ჰყრიან ხოკრის ან ცხრილის გასაკეთებლად“.

სანახირო ველი, მინდორი (ახ. სოფ.).

სანახშირეებ-ი ტყე (ქვ. ნაქალ.). „აქ ნახშირი უწვავ, ქალაქში მიჰქონებია, უჩეხია მთელი ეგ საბადურები“. ადგილის სახელად **ს.** გვხვდება ს. ძებნიაურებსა და თეგერაანებში, ს. კახოიანებში კი სახნავ მინდორს **სანახშირე გორი** ეწოდება.

სანდუას ველ-ი საძოვ., ველტყიანი ადგილი (ალაჭ.).

სანიაო მთა, სათიბი, საძოვრები (თეთრ.). „ადგილი, სადაც მუდმ იძვრის ნიავი; სა-ნიავ-ო.

სანსალიანწყარო ტყე, წყარო; ადგილი (წიკვლ.) „წყარო, რომელშიც სანსალა ბუდობს“. **სანსალა** (სანსალასი) კუთხ. (ფშ., მოხევ.) „წყალში მცხოვრები მწერია, მთის წყლებში იცის, კალმახი ჭამს“ (ი. ჭყონია): ([85] ტ. VI).

სარუსო სათიბები (ბოკ.).

სარქიას ნაყვერ-ი ველტყიანი ადგილი, საძოვ. (ქებ.). ნაყვერი „ყვერავს“ ზმნის ნამყოდროიანი ვნებითი გვარ-ს მიმღეობაა. იგი ნიშნავს ხეების შემოყვერვით (ცანის შემოცლით) გაბმობას; „ადგილი, სადაც ხეები ხელოვნურად (ახოს ან სათიბის გაკეთების მიზნით) გაუხმიათ, „შემოუყვერავთ“.

სარქიას ნაყვერდაბალ-ი ტყე (ქებ.).

სასათიბე მინდორი, საძოვარი ადგილი (თოლ.). ერწო-თიანეთში სათიბე, როგორც ჩანს, დანიშნულების **სა-** პრეფიქსიან სახელად აღარ გაიაზრება, ამიტომ მას დამატებით კიდევ ერთი **სა-** პრეფიქსი დართვია (შდრ. სასაძოვრე — მინდორია ს. მელიასხევში). ანალოგიური წარმოების ჩანს ქართლ. **სისინათლე**: სისინათელა გასდის — „ძალზე გამხდარია ცარიელი ძვალი და ტყავია“ (ს. ანანური).

სასამხრო სახნავი მამული (ხოფცა). „ადგილი, სადაც გუთნეული ისვენებს და მეხრეები სამხრობენ“; „სამხრის საჭმელი ადგილი“. თვითონ სიტყვა **სამხარ-ი** მზის გადახრასთან არის კავშირში: **სა-მ-ხარ-ი** „შუადღით უკან სადილობა“; „სადილის შემდგომი სერი, დაღამების წინ, полдник [100]. **სამხარ** სიტყვაში **მ** გაჩენილი ჩანს.

სასაზბროს წყარო წყარო, ადგილი (ხოფცა).

სასაფლაოთ გორ-ი ადგილია ზეზეუბანთან ახლოს (ყუდრო).

სასახლე საძოვარი, ადგილი (მელ. ხ.). „კნიაზ უცხოერია წინავ“

რ. მ-ნდიკაური). საყურადღებოა, რომ **სასახლეს** ვახუშტი სოფლად მოიხსენიებს ([22] 206).

სასვეეთ გორ-ი გორაკი, საძოვრები (ზ. არტ.) „სვე ჰდგარა აქ ბევრ. ლუდისათვი იცოდენ. **ძხარშავდიან**“ (ს. კუდიანაშვილი). ს. ჩარგალში არის ადგილი, რომელსაც **სასვეეთ თავ-ი** ეწოდება: „წავიდა **სასვეეთ თავისაკე** ([20] 509). **სასვევე** ფორმაში ბოლო **ვ** ხმოვანთგამყარის ფუნქციით არის გაჩენილი: სა-სვე-ვ-ე (შდრ. მე-ტყე-ვ-ე), თუმცა დაბეჯითებით მიუთითებენ **სასვეეთ თავი-ს სასვავეთ თავი**-საგან მომდინარეობის შესახებ (გ. ცოცანიძე, 1978, გვ. 31).

სასვეევიათ გორ-ი ადგილი ს. სახევში (არტნის სას. საბჭო). ამ შემთხვევაშიც სახელწოდებისათვის ამოსავალია მცენ. **სვია** (ფშ., ხევს. **სვე**). **სასვეევია** (←სა-სვე-ვ-ე-ა) ფორმას დართვია თ, რომელსაც სიმრავლის ფუნქცია არა აქვს.

სასვეევიას წყარო წყარო (ზ. არტ.).

სასვენგორი- ადგილი (ბოჭ.). „მთიდან რო მოვდივართ, მანდ ვისვენებთ ხომე“ (ვ. დოლიძე).

სასიპე ადგილი მდ. ივრის პირას (ყუდრო).

სასროლებ-ი ადგილი დ. თიანეთთან ახლოს, მდ. ქუსნოს ხეობაში. ტოპონიმის წარმოშობა დაკავშირებულია ამ რაიონში მეფის რუსეთის არმიის ერთი ნაწილის სამსახურთან. როგორც ჩანს, ჯარისკაცებისათვის აქ გამართული ყოფილა სამხედრო პოლიგონი, სასროლეთი.

სასხდომებ-ი ტყიანი ადგილი (ახ. სოფ.). „ძველად იქ უსხდებოდენ აქაურ ხალხს ლეკები და იქა ყყრაულობდენ, უსაფრდებოდენ და იტაცებდენ“ (ვ. ოთარაშვილი).

სატალია კლდიანი ადგილი; სასაძოვრე მინდორი (ჯიჯ.) სა-ტალ-ე-ა — „სატალე ადგილი“.

საუნაუროებ-ი სათიბი მინდვრები (ქუშხ.). ტოპონიმში კარგადაა ასახული ქართველი მთიელი ტომების სამეურნეო ყოფა და ხასიათი. ფშავ-ხევსურეთში, აგრეთვე მთიულეთ-გუდამაყარში, თითქმის ყოველ სოფელს ჰქონდა საერთო-საზიარო ნაკვეთები, რომელთაც დასწრებაზე ხნავდნენ ან თიბავდნენ. ასეთ „დასატაცებელ“, „მოსწრებაზე მოსახნავ“ ან გასათიბ მამულს ფშავ-ხევსურეთში, აგრეთვე გუდამაყარში, **საონავრო** || **საონავროები** ეწოდებოდა (ალ. ჭინჭარაული, ფ. მაკალათია, გ. ხორნაული). ს. ქუშხევის **საუნაურო-ებ-ი** სწორედ ამ ვითარებას ასახავს: საუნაურო—სა-ონავრ-ო. „საონავრო ყველა უბნის საზიარო იყო,

დასწრება-დატაცებით იხვნოდა ან გაითბებოდა“ (ს. აბალიშვილი). ტერმინი **საონავრო** ამჟამად მტაცებელი ფრინველის — ონავარის — მიხედვით შექმნილი სახელია. ამგვარი ტოპონიმები გვხვდება ხევსურეთში, აგრეთვე გუდამაყარში. ს. ლეთხებში, მაგალითად, მიკროტოპონიმად გვხვდება **საორავნო**, რომელიც იმავე **საონავრო**-საგან არის მიღებული **ნ-რ** სონორთა ადგილმონაცვლეობის შედეგად: საონავრო→საორავნო ([110] 63).

საუქმო ადგილი, საძოვ. (სხლოვ.) „ერთი დღე იყო, როცა სოფელი შეიყრებოდა და მარტო იმ მამულში მუშაობდა, სხვაკან სუ უქმობა იყო“ (ალაზა ხაიური).

საფოცხის გორა ტყიანი ადგილი (ბოკ.). „აქ ფოცხებს აკეთებდნენ, ეგრე კიდევ ფიწლებსა, ორთითებსა“ (რ. მინდიკაური).

საფუტკრის გორ-ი მაღალი მთა, საძოვრები (ზ. არტ.). „საფუტკრე ადგილი“. თვითონ სიტყვა „ფუტკარი“ მიმღეობური წარმოშობისა ჩანს: **მ-ბუტკ-არ-ი** „ბუტკოს, ყვავილის მწერი: მებუტკოე“. თქვიკური მ-ანის დაკარგვის შემთხვევები ენაში ცნობილი ფაქტია. მკღერი ბ-ანის ფ-დ დაყრუება ფუძეში არსებული ტკ თანხმოვნების გავლენის შედეგი უნდა იყოს.

საქან-ი ადგილი ტყეში (დულეზ.).

საქანი ხევ-ი ტყიანი ადგილი, ხევი (ლელ.).

საქასურის ხევ-ი ჩევი (საჭურე). ამოსავალია ადგილის სახელი **საქასურე** „ადგილი, სადაც ქასურის ქვა მოიპოვება“.

საქერე საძოვ. (საჭურე).

საქერეებ-ი სახნ., საძოვ. (წიკვლ.) „მამული, სადაც მხოლოდ ქერს თესდნენ“. მცენ. **ქერი-ს** მიხედვით თიანეთის რაიონში და, საერთოდ, აღმ. საქართველოს მთიანეთში უამრავი მიკროტოპონიმია შექმნილი. **საქერე** სოფელიცაა ფასანაურთან ახლოს (მთიულეთი, დუშეთის რ.). ადგილის სახელად **საქერეები** წიკვლიაანთკარის გარდა ერწო-თიანეთის მრავალ სოფელში გვხვდება (ლახატო, ქუშხევი, საკრეჭიო, ლიშო, შარახევი და სხვ.).

საქვაბე ადგილი, ხატი (ღულელ.) „აქ ლუდის მოსახარში ქვაბები მდგარა“.

საქისტოს გორ-ი საძოვ., მინდ. (ზ. არტ.).

სალანძილე ტყე, მინდორი (თიან.). ეგვეე სახელი დასტურდება ს. ზარიძეებში. **სა-ღანძილ-ე** „ადგილი, სადაც მცენ. ღანძილი მოდის“. მთიულურში ღანძილი ზოგადად ქორფა, უმწიფარი ბალახის სინონიმია: „სანამ ღანძილია ბალახი, არა ეთიბთ, სუ დაილევაკე“ (მივლ; მასალა).

საღანძილე ხევ-ი ტყე, ხევი (ბალ. ხ.).

საღანძილი გორ-ი ველტყიანი ადგილი, უწინ იხვნებოდა (ქებ.).

საღირას საყდარა ხატი (საყდრ.).

საღირასქალის მიწებ-ი სახნავი ადგილი (დორ.).

საღირიანთ საყდრებ-ი ადგილი, ხატი ს. ყებოტაში. „ზოგი ყებოტის გორს ეძახის, ზოგი — საღირიანთ საყდრებსა“ (ნათ. ბადურაშვილი).

საღირის წყარო საუკეთესო წყაროა ს. ლიშოში. „ეგ იყო გვარათ აბალიშვილი, ფშაველი კაცი“ (ს. აბალიშვილი).

საღორეებ-ი მამულები, ტყე; ამჟამად აქ კაკლის ნარგავებია (ბალ. ხ.) ადგილის სახელად **საღორეები** ძალზე ხშირად გვხვდება აქაურ მიკროტოპონიმიაში (ბაგრანეთი, შარახევი, დულუზაურები, ჩაბანო, ნაქალაქარი, ტოლაანთსოფელი, დ. თიანეთი, კვერნაულა და სხვ.).

საღოროვან-ი სასაძოვრე მამული (ზენამხ.). საღორ-ოვან-ი „ადგილი, სადაც საღორეები იყო გამართული“.

საყანურებ-ი მამულები (ლიშო).

საყარაულო ნასოფლარი ერწოში. ამჟამად ნასოფლარის დიდი ნაწილი დაფარულია სიონის წყალსაცავით. სოფლის სახელწოდება **ს.** დაკავშირებული უნდა იყოს ობიექტის გეოგრაფიულ მდებარეობასთან. **ს.** შემაღლებულ ადგილზე მდებარეობდა, საიდანაც კარგად მოჩანდა ერწოს ველის სხვადასხვა სოფლები, ყანები, საძოვრები. აქედან შეიძლებოდა ნათესების „ყარაულობა“, თვალის დაჭერა. **ს.** იმასვე ნიშნავს, რასაც, ვთქვათ, **საყარაულო გორი, საყარაულო კოშკი** და ა. შ.

სხვაგვარი მტკიცებით, აქ გამართული ყოფილა მეფის რუსეთის ჯარისკაცების საკონტროლო პუნქტი, საყარაულო პოსტი და სოფლის სახელწოდებაც აქედან მომდინარეობს. ზოგიერთი ავტორის მიხედვით საყარაულოს ძველი სახელწოდება **ყორაეთი** ყოფილა ([76] 183).

საყასპო მინდორი, ახო (ახ. სოფ.).

საყენო მოზრდილი ველი, მინდორი ერწოში (მელ. ხ.). „გადმოცემით აქ იყრიდნენ ბერიკები თავს. აქ მთელი ზემო და ქვემო ერწო იყრიდა თავს და იმართებოდა დიდი ზეიმობა, ჯიდაობა. ამას, ამ ადგილს მეორენაირად კოდასაც ეძახიან, კოდი იყო ჩადგმული“ (ენუქ წიკლაური).

საყდარა ძველისძველი ცხის ნანგრევები (მაგრ.). ერწო-თიანეთში

საყდარა უპირატესად ეწოდება არასაკულტო ნაგებობებს, ციხის ნაშალ ადგილებს, ძველ ყორე-ნასახლარებს და ა. შ.

მიკროტოპონიმებად **საყდარა** ძირითადად ერწოს სოფლებში გვხვდება (მაგრანეთი, ყუდრო, გორანა, ციათსოფელი, ღულელები...).

საყდარაგორ-ი პატარა გორაკი, საძოვ. (ვერხვ.). ეგევე სახელწოდება ძველი ნასაყდრალი ადგილის, გორაკის სახელად დასტურდება ს. თეთრახევაში.

საყდარაგორის ეკლესია საკულტო ნაგებობა ერწოში, მთიულთხევსა და თილთუბანს (თელთუბანს) შორის.

საყდარათან ადგილი, მინდორი (ომარ.). „საყდარათან ვიყაო, — ვიტყვით“ (ვ. ქისტაური).

საყდარა ხევ-ი მდინარე-ხევი ერწოში (ევექ.). „უერთდება დიდხევსა, მემრე ორივეს ვეძახით ევექნტის ხევსა“ (ი. აპრილაშვილი).

საყდარათ ხევ-ი პატარა წყალი, ხევი; ჩამოდის ე. წ. „ბოგირის ღელეზე“ (ფიქვ.).

საყდარაის გორა საძოვარი (კვერნ.).

საყდარაის ძირ-ი მიმული, სახნ., საძოვ. (ზ. ნაქალ.).

საყდარაის ხატ-ი ხატი, საკულტო-რელიგიური ადგილი ერწოში (კვერნ.).

საყდარან-ი ტყიანი სერია ს. ომარაანების მომიჯნავედ (ფიქვ.).

საყდარან-ი ადგილია ამაღლების ტყეში (ქებ.).

საყდარას გორ-ი ტყე (ბალ. ხ.). „საყდარას გორი“ ადგილების სახელებად გვხვდება ს. გორანაში, ს. ალაჯანში და ს. წიკვლიაანთკარში.

საყდარეებ-ი ადგილი. „ძველი ნაციხვარია, ნანგრევებია“ (ორხ.). ეგევე ტოპონიმი სახნავი ნაკვეთის სახელად დასტურდება ს. სიმონიანთხევში. აქვეა საყდარეების ხევი.

საყდრების ხევ-ი მდინარე-ხევი (საჯინ.). „ე მა ხევში საყდრებია, ორი საყდარია, ერთი დანგრეულია, მეორეში ვლოცულობთ ლაშარის ჯვარსა და თამარ ნეფეს. ორივეს ნიშია გამართული“ (ვ. ქისტაური).

საყდრიონ-ი სოფელი ერწოში (ხევსურთსოფლის სას. საბჭო), დასახლებულია ფშავლებით და საკუთრივ თიანეთელებით. ტოპონიმი **საყდრიონ-ი** გვიანდელი წარმონაქმნი სახელი ჩანს. მას არ იცნობს არც ვახუშტი ბატონიშვილი და არც ადრინდელი ხანის ქართული ისტორიულ-ეკონომიკური დოკუმენტები. **-იონ** სუფიქსი ვიღაცის ან რაღაცის მიმართ კუთვნილებას აღნიშნავს.

(დროშ-იონ-ი, ნეფ-იონ-ი, მაყრ-იონ-ი): **საყდრ-იონ-** ფორმა იმაზე მიგვანიშნებს, რომ ამ სოფელში პირველი მოსახლეები საყდრის მოქსახურე პერსონალი უნდა ყოფილიყო. ვახუშტის ერწოს ერთ-ერთ სოფლად აღნიშნული აქვს **მონასტერი** ([22] 206). ძველი **მონასტერი**, საფიქრებელია, ამტნისხევის ეკლესიას გულისხმობს ან სიონის კომპლექსს. მაშასადამე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ტოპონიმ საყდრიონის „წინაპარი“ ს. **მონასტერი**. ყოფილა, ხოლო გვიანდელი **საყდრიონ-ი** საყდრის, ეკლესიის მომსახურე პირთა დასახლების ადგილს შერქმევია. ზოგიერთი წყაროს თანახმად საყდრიონის უწინდელი სახელი **მერეკანი** ყოფილა ([76] 168), თუმცა ვახუშტი მერეკანს თიანეთთან ახლოს, ს. **არჩევანთ-კევსა** (-არჩემაანთ-ხევი, დღევ. თეთრახევა) და **ნადირან-ს** (-ნადირაანთ კარი) შორის ათავსებს ([22] 206).

საყდრიონის ხევ-ი წყლიანი ხევი (საყდრ.).

საყმუილის გორ-ი სახნავ-სათესი მინდვრები, მაღალი მამულები (მელ. ხ.) „მგლები თუ ყმუოდნენ ხომე“ (ე. წიკლაური).

საყუჩია ადგილი, მთა (ქუშხ.). „ქარისაგან დაცული, მყუდრო ადგილია: მონადირეების ჩასასხდომი ადგილია. აქ ნიავი ნაკლებად იძვრის და ნადირსაც თოფ-წამლის სუნი ჩქარადვე არ ეცემა“ (ი. თეთრაული).

საშეშე გორ-ი ტყე (ქუშხ.). „აქედან მიჰქონდა ხალხს ზამთრისათვი შეშა, ფიჩხი“ (ი. კუდიანაშვილი).

საშვლია ტყიანი ველები (სახევი). „შველი დცოდნია ბევრი“ (ი. თეთრაული). სა-შვლ-ე-ა.

საშუბ-ი მაღალი მთა, ალპიური საძოვრები; გადასასვლელი არაგვის ხეობის ფშაველში. გ. რადე მას იცნობს Шашуба ფორმით: Перева.л Шашуба [64]). სახელის წარმოშობა შუბ-ს უნდა უკავშირდებოდეს: შუბივით მაღალი? ზოგიერთი წყაროს მიხედვით **საშუბი** ძველი ნასოფლარია ([76] 183).

საჩალიათ გორ-ი სათიბი (ბუქყ.).

საჩალის კუდ-ი მაღალი მთა, საძოვრები (ზ. არტ.). „მაღალი ადგილებია, საიდანაც იორი გამომდინარეობს“ (ი.თეთრაული)..

საჩქვეფ-ი ტყიანი მთა (სახევი). „სველი ჭყანტობი ადგილებია“. ასეთივე სველი, ჭანჭრობი ადგილების სახელად გვხვდება „საჩქვეფები“ (ს. ს. ჩაბანო, ყებოტა, საკრეჭიო, ზემო არტანი, ტუშურები).

საჩქვეფების ხევ-ი მდინარე თეთრახევას ერთ-ერთი სათავე. საჩქვე-

ფების ხევი მიერთვის ჯერ კლდეწითლის ხევს, შემდეგ კი მათგან წარმოიქმნება მდ. თეთრახევა (თ. ხევა).

საცილობელ-ი საძოვ., მინდორი (თეთრ.). „ცილაობა თუ ედგათ მაგ მამულებზედ“.

საცხვრე გორა ადგილი, გორაკი (მაგრ.).

საძაგო კლდე კლდე (თეგერ.). „მართლა ერთი საძაგელი კლდე რამ არი“ (ზ. ბადრახიშვილი).

საძილას წყარო წყარო (ბოკ.). „ქალი იყო საძილა, იმის სახელზედ არი ეგ წყარო დაკურთხებული“ (რ. მინდიკაური).

საძმორ-ი ისტორიული ადგილი, კუთხე ერწოში. ჯუანშერისეული მატიანის ცნობით „მოვიდა არჩილ კახეთად (არჩილ II, კახთა მეფე, რომელსაც მემატიანე არჩილის მონასტრის (VIII ს.) აგებას მიაწერს, გ. ბ.) და... აღაშენა ეკლესია ს ა ძ მ ო რ ს“ ([84] ტ. I. 243). უნდა ვიფიქროთ, რომ **საძმორ-ს** ქვეშ მემატიანე ერთ რომელიმე კონკრეტულ პუნქტს კი არ გულისხმობს (ვთქვათ, ს. სიონგორს, სადაც არჩილის მონასტერია აგებული), არამედ ზოგადად ერწოს მხარეს, უფრო სწორედ, ერწოს ველის იმ მონაკვეთს, რომელზედაც დღეს ღულელების სას. საბჭოში შემავალი სოფლებია გაშენებული. სახელწოდება **საძმორ-ი** || **საძმორე** ნიშნავს „სა-ძმარ-ე (ადგილი)“, „ადგილი, სადაც ძმარი (|| ძმორი) გამოდის“. ძმარი (|| ბმორი) კი სხვა არაფერია, თუ არა მლაშე მინერალური წყალი, მჟაჯა, ვეძა. მთიულურ დიალექტში ძმარი სწორედ მარილწყალს, ყველის წათხს (წაკას) ეწოდება ([32] 28). როგორც ვხედავთ, სიტყვა ძმარი („მლაშე, მინერალური ვეძა წყალი“) შუა საუკუნეების ქართულში **ძმორ-** ფუძით ყოფილა გადმოცემული. ამაზე ნათლად მიუთითებს ის ფაქტიც, რომ თბილისის ჩრდ.-აღმ. მდებარე **ხევძმარა** ძველ ქართულ ისტორიულ წყაროებში სწორედ **ჯევ-ძმორა-დ** არის წარმოდგენილი ([84] ტ. II. 348, 349).

მაშასადამე, ისტორიული **საძმორი** (|| **საძმორე**) საერთო სახელწოდება ყოფილა იმ კუთხისა, რომელზედაც დღეს მლაშე მინერალური წყლები, ვეძაწყლები გამოედინება. სწორედ ამ წყლების გამო ეწოდა აქ გვიანდელ დასახლებას **ვეძათხევა**.

საწოლა სახნავ-სათესი მინდვრები (ბალ. ხ.). „ადგილი, სადაც სოფლის ნახირი ეყრება“. ასეთივე მიკროტოპონიმი დასტურდება ს. თრანში, ზემოარტანში კი **საწოლთ გორ-ი** გვხვდება.

საწურის მამულებ-ი სახნ., საძოვ. (ტუშ.).

საჭართლო გზებ-ი საძოვარი, გადასასვლელი (ჩაბ.).

საჰინჯრე სახნ., საძოვ. (სიმ ხევი).

საჰურე სოფელი თიანეთის სადაბო საბჭოში. ამჟამად დასახლებულია ივრისხეველი ხევსურებით.

სა- — -ე დანიშნულების აფიქსი ტოპონიმში აშკარაა. ძირად გამოიყოფა **ჰურ-ი**, რაც ჩავარდნილ, ჩამალულ, ჩაფარებულ ადგილს უნდა ნიშნავდეს. მეტად არსებითია, რომ ლეჩხუმში არის მიკროტოპონიმი **ჰურიე**, რომელიც ჩავარდნილ, ჩაღრმავებულ ადგილს ჰქვია [99]. საგულისხმოა, რომ მთიულურში **„ჰურა“** ეწოდება საქონლის კოჭის (სათამაშო კოჭი) ჩაღრმავებულ, შეღრმავებულ მხარეს ([32] 78). ხევში (ყაზბეგის რ.) სახნავისა და საძოვარი მინდვრების სახელად დასტურდება ტოპონიმი **ჰურობი** ([28] 20), რომელიც მინდორს დარქმევია ჩაღრმავებული, ჩავარდნილი მდებარეობის გამო. ძველ ქართულში **ჰური** საერთოდ სამალავს, საფარს, საცავს ეწოდებოდა: „და მსწრაფლ ზღუდენი ნარიყალისა ‖ ექმნათ ს ა ჰ უ რ ე დ ჯართა ქართლისა!“ (ნ. ბარათაშვილი, ბედი ქართლისა, თბ., 1968 გვ. 77). ს. საჰურე მართლაც მთებს შორის ჩამალული სოფელია, ამდენად იგი ამარცლებს სიტყვა **ჰურის** ძველ მნიშვნელობას.

საჰურის თავი მამული, საძოვ. მთა გუზუმბათზე (იხ.).

საჰურულა მდინარე, პატარა ხევი, იგივე საჰურის ხევი, მიერთვის მდ. იორს დაბა თიანეთში, კუჭბაღთან, მარჯვენა მხრიდან.

სახანძილე საძოვ. (ნაჭრ.). (იხ. საღანძილე).

სახარა ველ-ი სახნავ-სათესი მინდვრები (ტუშ.). „მოსაბრუნი ველი, გუთნეულის მ ო ს ა ხ რ ე ლ ი ადგილი, გუთნის მოსაქცევი ადგილი“.

სახარე ველ-ი გორაკი, მამული (ევჟ.). „ხარის დასაყრელი ადგილი“.

სახარველებ-ი სახნავი მინდვრები (სიმ. ხევი). „ველები, სადაც ხვნის დროს გუთნეული მოუხრის; მოსახრელი ადგილი; გუთნეულის ხარ-კამეჩის მოსაბრუნებელი ადგილი“ (შდრ. სახარა ველი).

სახასო ასეთი სოფლის თიანეთში არსებობაზე მიუთითებს ვახუშტი. „აღწერის“ მიხედვით ს. სახასო დღევ. ჩაბანო-ყებოტას შორის არის საგულვებელი.

სახბორე მინდორი, საძოვ. (თრანი, ტ. სოფ.).

სახევ-ი სოფელი მდ. ივრის ზემო წელზე, არტნის სას. საბჭო. 1973 წლისათვის აქ ფშაველების 5 კომლი ცხოვრობდა (ბაინდურაშვილი, ქისტაშვილი, ხევსურიშვილი, ჯღუთაშვილი, ფეტვიაშვილი). ტოპონიმისათვის ამოსავალი ჩანს სიტყვა **ხევ-ი**: სა-ხევ-ი „ხეობებიანი ადგილი“. ზოგიერთი წყაროს მიხედვით

სახევის ადრინდელი სახელწოდება **„გოიმზვარე“** ყოფილა (76] 165).

სახევსურო ველტყიანი ადგილი, მინდორი (ევე.).

სახეურა მდინარე-ხევი, მდ. ივრის მარცხენა შენაკადი (სახევი). „ამას ერევა ლარტუშოს წყალი, ლარტუშოულა. მერე ორივენი ერევიან იორს სახევის ბოლოზედა“ (ა. ხაიაური). სახეურა—სახევ-ურ-ა („სოფელ სახევის წყალი“.)

სახვეწელა ტყიანი ადგილი, მინდორი (სხლოვ.). „ადგილია, თელა დგა, ტყის სხალი დგა, ძხვეწენ ტაბაკსა, პინებსა, ეგრე კიდევ კოვზსა, ჯამებსა, ხონჩებსა“ (ივ. მგელიაშვილი). **სა-ხვეწ-ელ-ა** „ხის ჭურჭლის სახვეწი (გამოსათლელი, გამოსარანდავი) ადგილი“.

სახვნეშელა ტყიანი გორაკი, გზა ადგილი (თეთრ., ზ. არტ.). „ქალს დაუბადნია იქა და თუ ხვნეშოდა. მაუქვივნებავ სახვნეშელა“. სხვაგვარი ცნობით: „აღმართია ძაანა, სანამ სასვენგორზე ავალთ, ერთი ხვნეშა გააქვ კაცსა“ (ი. კუდიანაშვილი).

სახნაურელ-ი შინდ., სახნ. (გორ.).

საჯვარია ადგილია ს. ვეძათხევაში, მდ. აძეძის პირას. მეორენაირად ამ სალოცავს „ტყემლების ხატი“ ჰქვია.

საჯვარიათ გორ-ი გორაკი ს. ლახატოს მხარეს.

საჯვარიათბა ხატი, საკულტო ადგილი (ომარ.).

საჯინიბო სოფელი ქვემო ერწოში, მდ. ივრის მარცხ. სანაპიროზე (სიონმშენის სად. საბჭო). ამჟამად აქ ცხოვრობენ ს. ბლოდან გადმოსული ხევსურები, ძირითადად ჭინჭარაულები, ქრისტაურები და გიგაურები. ადგილობრივთა ცნობით, საჯინიბო სოფელს იმიტომ დარქმევია, რომ თითქოს აქ „მეფე ერეკლეს მეჯინიბეები სდგომია, საჯინიბოები ჰქონია გამართული“ (ბაბუა ჭინჭარაული). ნაკლებსარწმუნო ცნობაა. შესაძლებელია სოფლის სახელწოდება საჯინიბო აქ მეფის რუსეთის სამხედრო ნაწილების დგომასთან იყოს დაკავშირებული.

საჯიხოო სახნავ-სათესი ველები იყო, ამჟამად სიონის წყალსაცავით არის დაფარული. „სოფელ ჯიხოს კუთვნილი მიმულები“.

სერეულა ნანგრევები ს. ახალსოფლის თავზე. „სერ-სერ გადმოდის ეგ ნანგრევები და იმიტომ თუ დაარქვეს სერეულა“ (ვ. ოთარაშვილი).

სეროდან-ი ნასოფლარი ზემოთიანეთში (ზარიძეების სახ. საბჭო).

სეროდნის ბოლო სახნავი, საძოვ. (ზარ). ამოსავალია ნასოფლარი ად-

გლის სახელწოდება **სეროდანი**, რომლის წარმომავლობა გაურკვეველია.

ხეროდნის თავ-ი სახნ., საძოვ. (ზარ.) „სეროდანი იყო აქ სოფელი, ეხლა ერთი კომლი-ღა არი, სუ ზარიძეებს შეუერთდა“ (ა. შუშანაშვილი).

სვიანა საძოვ. მინდვრები (ჭიაურა). ანალოგიური სახელწოდება დასტურდება ს. ბალებისხევში.

სვიმანათ ხატ-ი სალოცავი ადგილი (სუყდრ.).

სიას ახო (იხ. ციაანთ გუბეები).

სიმონაანთ უბან-ი ს. ხევსურთსოფლის ერთ-ერთი დიდი უბანი, ცხოვრობენ ძირითადად ჯამაგიძეები.

სიმონიანთხევ-ი სოფელი ერწოში, სასოფლო საბჭოს ცენტრი. დასახლებულია საკუთრივ თიანეთელებით. ტოპონიმისათვის ამოსავალია ანთროპონიმული სახელი სიმონ-იან-ი, რაც სიმონის შთამომავლობას, საგვარეულოს, მოდგმას ნიშნავს.

სიონთავ-ი ტყე (ბალ. ხ.).

სიონგორ-ი სოფელი ერწოში (ღულელების სას. საბჭო), სამხრეთიდან ემიჯნება ს. გორანას. სოფლის სახელწოდება წარმოიშვა აქაური უძველესი საეკლესიო კომპლექსის არსებობის გამო. ზოგ ოფიციალურ წყაროში წარმოდგენილია როგორც **სიონთგორი** [69].

სიონის ზღვა (ან **სიონის წყალსაცავი**) წყლის ხელოვნური რეზერვუარი, საცავი ერწოს ველზე.

სიონმშენ-ი სადაბო ტიპის დასახლება ერწოში, სადაბო საბჭოს ცენტრი. დ. სიონმშენი წარმოიქმნა სიონის წყალსაცავის შექმნასთან დაკავშირებით.

სიპის წყარო წყარო მთაში (თეთრ.). „სანიაოს მთას ვეძახით, ეგ წყარო იქ არი“ (ი. კუდიანაშვილი).

სისოურთ მიწებ-ი სახნ., საძოვ. (ჯიჯ.). „სისაურებსა ჰქერიათ ძველათ ეგ ადგილები“ (ზ. ბადრახიშვილი).

სკინტლიანა გორა სახნ., საძოვ. (ბეწენწ.). „ფრინველი სხდება მანდ ბევრი და იმიტომ დაურქმევიათ ეგეთი სახელი“ (ნიკო ობგაიძე). აქაა ე. წ. სვიმონის ხატი („ამაღლება“).

სოლოსმან-ი სახნავი მინდორი (ქებ.). „ადგილი, სადაც ვინმე სოლოს (სოლოკოს, სოლომანს) სარყე, მანა ჩაუგდია“.

სოლოსმანის ბოგირ-ი გზა ადგილი (ქებ.). „შოშია გზა არი“.

სოლოსმანის საყარ-ი მინდორი (ქებ.). „ეგ არი საქონლის დასაყრელი ადგილი“ (ზ. ბადრახიშვილი).

სოფლივნის მთა საძოვარი, მთიანი ადგილი მდ. ივრის სათავეებში.

სოფლიონი 1950-იან წლებამდე დასახლებული იყო ფშავლებით. ამჟამად ნასოფლარია. სოფლიონის—სოფლიონის, ისევე როგორც: არხოტიონი—არხოტივნები, შატილიონი—შატილივნები, მილიონა (ადგილის სახელია)—მილივნის და ა. შ.

სოფიოს მიწებ-ი სახნ. (გოჯ.).

სრელებ-ი სათიბი მინდვრები (ფიჩვ.). სრელ-ი — ზოლი; ზოლ-ზოლად, ნაკვეთ-ნაკვეთად დაყოფილი მინდორი. „კერძოობის დროს მიჯნა-მიჯნა იყო დაყოფილი, ბეკომურებს ეჭირა. გრძელი მამულებია“ (ბაბუა ჭინჭარაული).

სულიანტბა ტბა, პატარა გუბე ტყეში (საჯინ.). „ტბა არი ერთი პატარა, ტყეშია. ჩაშმორებულ-ჩამპალია. სულიანიც იმიტო ჰქვია“ (გოგია გიგაური).

სულხანასქალის კვირია ადგილი, მინდორი, ძველი ნამოსახლარები (თ. ხევა).

სუხათ ნასახლარ-ი ადგილია, ძველი ნაშალი ადგილი, ყორეებით (ყუდრო). „სუხაშვილები მდგარან“ (რ. მინდიკაური).

სუხიაანთ ნასადგომრებ-ი ადგილია ძველისძველი ნამოსახლარებით (გორ.). „მაგათვი უძახნიათ სუხიანები. გადასახლებულან კახეთში“ (ნ. ხამხაძე).

სუხიაანთ წყარო წყარო ს. გორანაში.

სუხიანის მზვარე ტყე (თეგერ.). აქვე, ს. თეგერაანებში არის ტყიანი მასივი, რომელსაც ადგილობრივ **სუხიანის ხევს** უწოდებენ. ამოსავალი ჩანს ადგილის სახელი **სუხიანი** || სუხიაანი, რაც ამ სახელის ანთროპონიმულ წარმოშობაზე მიგვანიშნებს.

სხალტკბილასთან მინდორი, ადგილი (საჯინ.) „ამას ჭუღუნას ახოსაც ვეძახით, იქა დგა ერთი სხალტკბილა“ (ბაბუა ჭინჭარაული).

სხლიან-ი ველი, მინდორი ს. საჭურეს თავზე. „ბარელობა ამ ადგილს ეძახის პანტიანსა (მზ. ხორნაული).

სხლიანკუჭა ტყე (ზ. ნაქალ.). **კუჭა** ერწო-თიანეთში (საერთოდ, ფშავში) ეწოდება ამობურცულ ადგილს, ბუნებრივ ბორცვს, შემაღლებულ ადგილს (იხ. კუჭა, კუჭეჭა, კუჭის წყარო...).

სხლოვან-ი სოფელი მდ. იორის ზემო წელზე, მარცხენა ნაპირზე. სახლობენ ფშავლები. ფშაურად (მ)სხალი გარეული პანტაა. ასე რომ, ტოპ. **ს.** პანტ-ოვან-ს, პანტ-იან-ს ნიშნავს.

სხლოვნის გორ-ი ტყიანი გორაკი მდ. იორის მარცხენა მხარეს.

სხლოვნის მთა სათიბი მამულები, საძოვრები ს. სხლოვნის აღმოს. მხარეს.

ტ

ტალავერთ ველ-ი ტყიანი, პატარ-პატარა ველებიანი ადგილი (ლელ.).
ტალიან-ი სახნ., საძოვ. (ჭურჭ.).
ტალიანა გორა საძოვრები (ჩეკ. გორი).
ტალიას ნაწამულარ-ი გატყვევებული ადგილი (ქუშხ.). **„ტალია“** აქ ადამიანის საკუთარი სახელია (შდრ. გვარი ტალიაშვილი), ნამამულარი კი ნიშნავს იმას, რომ ეს ნაკვეთი წინათ სახნავად, „მამულად“ ყოფილა გაკეთებული.
ტალიაურთ გორ-ი მინდორი (წიკვლ.). „ტალიაური“ გვარია. ს. ტუშურებში დასტურდება **ტალიაურთ ხევი,** ჟებოტაში კი — **ტალიაურთ ველი,** რაც ამ არეალში გვარის — ტალიაურის საკმაო გავრცელებულობაზე მიგვანიშნებს.
ტანტრეს ჭალა ველტყიანი მინდორი. ივრისპირი (ზ. არტ.).
ტარგამლისსახლის ბოლო ადგილია ს. ყუდროში. **„ტარგამელი“** ადამიანის საკუთარი სახელია.
ტარიელის წყარო წყარო ს. ჩეკურაანთგორში.
ტატუკას ახო სახნავი მიწები (ჟებ.). აქვეა ადგილი „ტატუკას ხევი“
ტაფ-ი საძოვარი. უწინ იხვნებოდა (ზ. არტ.). ივრისხეულ ფშაურში (ერწო-თიანეთურ კილოში) **ტაფი/ე** ჩავარდნილი ჩაღრმავებულ, დაბალ ადგილს ეწოდება (შდრ. ტაფ-ობ-ი). გეოგრაფიული ობიექტის სახელად სიტყვა ტაფი || ტაფე დადასტურდა: ბოდახევაში, ლახტოში, დულეზაურებში, ხოფცაში...
ტაფებ-ი საძოვ., ველტყიანი ადგილი (ვერხვ., წიკვლ.).
ტაფეებ-ი ტყე, მინდორი ფიჭვის ნარგავებით (საკრეჭ.).
ტაფობ-ი საძოვ. (მელ. ხ.).
ტბათანა სახნავი მინდვრები; გუბეები (ლიშო).
ტბებ-ი ტყიანი ადგილი. ამჟამად სამეურნეო ნარგავებია ჩაყრილი. საძოვარი მინდვრები (ღულელ.). „აქ იყო ორი ტბა, ღულელებს თავზე, მაგრამ თანდათან დაშრა და ეხლა აღარც არაფერია“ (გ. ქისტაური).
ტბის გორა ველტყიანი ადგილი, საძოვარი; ძველი სახნაური (ორხ.).
ტბის ტაფ-ი დაბლობი ადგილი (ტ. სოფ.) „შოშია გზის იქით არი ჩაგარდნილი მამულია“ (ლ. წიკლაური).
ტელეფონა საძოვარი (მაგრ.). „გზა ადგილია, ტელეფონის ბოძი იყო ჩაგდებული“.
ტვირთათ ნასახლარებ-ი მინდორი, საძოვ. (სახევი). **„ტვირთა“** ანთროპონიმია.

ტიღინაანებ-ი სოფელი მდ. საგამის ხეობაში (ახალსოფლის სას. საბჭო). ს. გოჯიაანების უბანთაგანი. სოფლის სახელწოდება დაკავშირებულია აქ მაცხოვრებელი ტიღინაშვილების გვართან.

ტიღინაანთ ახო საძოვ., ახო (ახ. სოფ.).

ტიღინაანთ ახოებ-ი ახო, საძოვ. (მამად.).

ტკბილჭალა ჭალა, საძოვ. (თიან.). (იხ. ტკბილწყალი).

ტკბილწყალ-ი წყარო ს. ღორეულებში. „გემრიელი, უწყინარი წყალი“.

ტოლათსოფელ-ი ცნობილი სოფელი ერწოში (ხევსურთსოფლის სას. საბჭო). სახლობენ მთიულები და საკუთრივ თიანეთელები. აქ მასწავლებლობდა ვაჟა-ფშაველა. სოფლის სახელწოდება, როგორც ჩანს, ანთროპონიმული წარმოშობისაა; ამოსავალია ადამიანის საკუთარი სახელი **ტოლა**. ადგილობრივ გავრცელებულია ლეგენდა, რომლის თანახმადაც ეს სოფელი პირველად დაუსახლებია ორ ტოლ (ტყუპ) ძმას, რომელთაც აქ დევი მოუკლავთ (დევევნაანებში) და მისი ადგილ-მამული დაუპერიათ (ბ. ჭინჭარაული). 1930-იან წლებში ტოლათსოფელს **ემტნისხევი** რქმევია და მაშინ აქ 24 კომლს უცხოვრია ([68] 52).

ტოლახევ-ი ხევი, პატარა მდინარე. იგი შუაზე ჰყოფს გუდანელებსა და ტოლაანთსოფელს. „ტოლათხევი“?

ტოლდურას ახო ახო (თეთრ.). „ბოდაბეველი კაცი იყო, ტოლდურა ქვიენილა, იმას გაუკეთებავ“.

ტოლკაძეურ-ი სახნავი მინდვრები (ლელ.). „ტოლკაძის კუთვნილი მამული“. ამჟამად ერწო-თიანეთში გვარი ტოლკაძე აღარ ჩანს (ტორიკაძე?).

ტორიკელას ნასახლარ-ი სათიბი, საძოვ. (ქუშხ.). **„ტორიკელა“** ადამიანის თიკუნია, შერქმეული სახელია. ტორიკელა — ის, ვინც ბარგანაობით, ტორიკაობით, აქეთ-იქით ქანაობით, ზლაყა-ზლუყით დადის. „სკამი ტორიკაობს“, — იტყვიან სკამზე, როცა ერთ-ერთი ფეხი სხვებზე მოკლე აღმოჩნდება, როცა სკამი „კოჭლობს“.

ტორიკელას სანიაო ადგილი, მინდორი ს. ქუშხევში. „ტორიკელა აქ საქონელს აყენებდა ხოლმე“.

ტუგულას ახო ახო (თიან.). შდრ. გვარი ტუგულიშვილი.

ტურუნაის ღელე ღელე, ჩადაბლებული ადგილი მთაზე (სახევი).

ტუშურებ-ი სოფელი ზემო თიანეთში, სასოფლო საბჭოს ცენტრი. დასახლებულია ფშაველებით და საკუთრივ თიანეთელებით. ადგილობრივ სპორადულად იხმარება ტუშურთკარი. ვახუშტი ბა-

ტონაშვილის „აღწერაში“ დაცულია პირველადი ფორმა: ტუშურა ([22] 206). ადამიანთა სიმრავლის, კრებითობის **-ებ** ფორმანტი ტოპონიმში გვიან გაჩენილა. ზოგიერთი მკვლევარი ტუშურებს **თუშურ-ს** უწოდებს ([35] 235). სხვათა შორის, **თუშურებ-** ფორმას გვაწვდის ზოგი ძველი ოფიციალური წყაროც ([68] 51). ამოსავლად უნდა ვივარაუდოთ ადამიანის საკუთარი სახელი **ტუსი, (ტუსის შვილი)**, რომელსაც შემდგომ **ტუში || ტუშ-ურ-ი** მოუცია. XVIII ს-ის ქართულ ისტორიულ-ეკონომიკურ საბუთებში ამ რაიონში, დღევანდელი ტუშურების მეზობლად მდებარე ალაჭანის მცხოვრებთა შორის აღნიშნულია გვარი **ტუსის-შვილი**: „არის ალაჭანს გარსევან ტუსის შვილი/ს/ ყმა“ ([112] 85). აღსანიშნავია, რომ მთიულეთში (ს. მენესო, ჭართლის სას. საბჭო) არსებობს წყარო, რომელსაც **ტუსის წყარო** ეწოდება. ამოსავლად აქაც საკუთარი სახელი **ტუსი** უნდა ვივარაუდოთ.

ტუშურთ თხილიან-ი ბუჩქნარი, საძოვ. (ღულელ.)

ტუშურთ ჩალებ-ი ადგილი, მინდორი (საყდრ.)

ტუხიას ნაქერლებ-ი მინდორი (საყდრ.) „ადგილი, სადაც ტუხიას ქერი ეთესა“.

ტყემლების წყარო წყარო (ტუშ.) „ორი ტყემლი ხე დგა და იმაში გამოდის წყალი“ (ა. შუშანაშვილი).

ტყემლებწინა სახნავი მინდვრები (ჩოფცა).

ტყემლიანა გორაკი, შემაღლებული მინდორი (მაგრ.).

ტყემლიანველ-ი პატარა ველი, საძოვ. (თიან.).

ტყემლიანტაფე ტყე (წიკვლ.).

უ

უგანაძე ასეთ სოფელს ასახელებს ვახუშტი ერწოში ([22] 206), თუმცა მისი ლოკალიზაცია ზუსტად არ ხერხდება. ზოგიერთი წყაროს მიხედვით ერწოს ტერიტორიაზე ყოფილა სოფელი **უნგაძე**, იგივე **ვეძები** ანუ დღევანდ. **ვეძათხევა** [76].

უგონურის ნაჯაგ-ი საძოვ. (ლიშო). **„უგონური“** ადამიანის ზედმეტი სახელია.

უთურგა მინდორი; ამჟამად ფიქვის ნარგავებია გაშენებული (ხევ. სოფ.). მოსალოდნელია, რომ ეს მინდორი წინათ ვინმე უთურგას (უთურგაიძეს ან უთურგაშვილს) ეკუთვნოდა. (შდრ. ტყის სახელი „მალაქია“).

უთურგას ველ-ი ტყიანი ადგილი. ადრე იხვნებოდა (ლელ.). ტოპონიმი აშკარად მიგვანიშნებს იმაზე, რომ **უთურგა** ამ შემთხვევაში პიროვნული სახელი ყოფილა.

უთხოვარა მამული ს. სახევის თავზე. მცენ. უთხოვარის გავრცელების გამო.

უთხოვართ ხევ-ი ტყიანი ხევი (სახევი).

უთხოვრიან გორ-ი ადგილი, გორაკი (ყუდრო).

უკვდავების წყარო ტყე, წყარო, ადგილი (კვერნ.).

უკუღმართ-ი ნასოფლარი, ამჟამად ველტყიანი ადგილები. თვითონ ს. უკუღმართის ტერიტორია სიონის წყალსაცავმა დაფარა. 1930-იანი წლებისათვის აქ 9 კომლს (43 სული) უცხოვრია [68].

უნგაძე (იხ. უგანაძე).

უნდილაანებ-ი ს. გორანას ერთი უბან-სოფელთაგანი (შდრ. გვარი უნდილაშვილი).

ურაუბე მაღალი მთა ივრის სათავეებში. „ივრის ზემო ხეობა მხოლოდ სათავეში არის ვიწრო და შებოჭილი მაღალი **ურაუბეს**, მასარას და ლაგის მთებით, დაახლოებით სოფ. ყაფარამდის“ ([114] 111).

ურძნებ-ი ბუჩქნარი ადგილი (ტუშ.) „ბევრი ურძანი დგა აქა“ (ზ. ბადრახიშვილი).

ურძნიანგორ-ი ტყე (ჩეკ. გორი).

უსიპის ახო ახო (იხ. სოფ.) შესაძლებელია საკუთარი სახელი „უსიპი“ **უსუპის** ფორმაცვლილი სახე იყოს.

უსიპის მიწებ-ი საბნ., საძოვ. (ქებ.).

უღელტეხილ-ი პატარა ტყიანი ველი (თიან.).

უშიკიანებ-ი ს. ხოფცის ერთ-ერთი უბანთაგანი. სახელწოდებისათვის ამოსავალი ჩანს საკუთარი სახელი უშიკა („უშიშა“?).

უშიშას ნასახლარ-ი მინდორი (ლელ.) „მაჟალოიანში ცხოვრობდა“.

უძირო ტბა ტბა, გუბე (ლელ.). ეგევე ტოპონიმი გუბის, საფლობი ადგილის სახელწოდებად გვხვდება ს. წიკვლიაანთკარში.

ფ

ფადიურებ-ი სოფელი ზემო შარახევთან ახლოს. სახლობენ ფშავლები, გვარად ფადიურაშვილები.

ფადიურთ ბოლოებ-ი საბნ. (ზარ.).

ფამფარიან-ი საბნ., საძოვ. (თოლ.). ფამფარ-იან-ი „ადგილი, სადაც

გავრცელებულია მცენ. ფამფარა". ფამფარა козлобородник გრკ. ჰამზა: ქზუ. ფამფარო; ფშ. ვაციწვერა; თშ. მძივანა; სვნ. ჰაფხვირ [27].

ფარადაანთ ახო სახნ. (ჩაბ.). შდრ. გვარი „ფარადაშვილი".

ფარეშიანთ უბან-ი ს. გორანას ერთ-ერთი უბანი.

ფარხაის კოტორებ-ი პატარ-პატარა სათიბი მინდვრები (ზ. შარახ.). სახელი „კოტორი" სწორედ მინდვრის, სათიბი მამულის სიპატარავეზე მიუთითებს.

ფაშაან-ი ასეთი სოფელია დასახელებული XVI ს-ის ქართულ ეკონომიკურ საბუთებში ისტორიული კახეთის (ამჟამინდელი ერწოს) ტერიტორიაზე: „ლეონ [კახთა] მეფემ სვეტიცხოველს შესწირა ვეძისკევი და ფაშაანი" ([50] 90). „ფაშაანი და ვეძისკევი „სრულად მისის შენობით" სვეტიცხოვლის სამკვიდრო მამულები იყო" [50]. ტოპონიმისათვის ამოსავალია ადამიანის საკუთარი სახელი **ფაშა** (შდრ. სოფელი ქართლში **„აღა-იან-ი"**, ე. ი. ბატონიანი).

ფაშაანთ ახო სახნ. (ახ. სოფ).

ფაშათ ციხე სალოც. (თიან.).

ფაშაის ახო ადგილი, მინდორი (საჭურე).

ფაშაურთ გორ-ი სალოცავი ადგილი, ხატი (თიან.).

ფერდა მინდორი, საძოვ. (ქებ.).

ფერდეებ-ი საბნავი მიწები (ჭურჭ.).

ფერდის კირცხილა მინდორი (დულუზ.).

ფერსუების წყარო წყარო (თიან.) **„ფერსუებ"**- ფორმაში **რ** გაჩენილია: ფესვები || ფერსუები.

ფეტვიაშვილშალვას წყარო წყარო (ლიშო).

ფილაურებ-ი ს. ზარიძეების ერთ-ერთი უბანი; ცხოვრობენ ფშაველი ფილაურები (გვარისათვის ამოსავალი ჩანს **ფილიპეს** შემოკლებული ფორმა **ფილა**).

ფილაურთ ახოებ-ი საძოვარი (ჯიჯ.).

ფილაურთგორის თავაღმეებ-ი სახნ., საძოვ. (ჩაბ.).

ფილაურთ ველებ-ი სახნავ-სათესი მინდვრები ს. ორხევში.

ფიჩაურებთკარ-ი ასეთი სოფლის (ნასოფლარის) არსებობაა ნავარაუდევი ერწო-თიანეთში „სსრ კავშირის გეოგრაფიულ სახელწოდებათა ლექსიკონის" მიხედვით ([76] 184), თუმცა ასეთი ტოპონიმის დადასტურება ვერ შევძელით. ეგებ: **ფილაურებთკარი?**

ფიცრების წყარო ტყე, წყარო (ხევ. სოფ.).

ფიცხელათ ახო ახო (მაგრ.).

ფიჩხაურთ გორ-ი სახნ. საძოვ. (გორ.).
ფიჩხაურთ კარ-ი (იხ. ნაკვეთაურები).
ფიქვების ნაგლეჯ-ი ტყიანი ადგილი; ჩამოშენწყრილი ადგილი (ლელ.).
ფიქვებისნაგლეჯის წყარო წყარო, მეწყრიანი ადგილი (ყებ.).
ფიქვთგორ-ი სათიბი (ფიქვ.).
ფიქვთ კუჭულა სათიბი (ფიქვ.).
ფიქვთ უკენით-ი სათიბი (ფიქვ.).
ფიქვთ ხევ-ი მდინარე, ხევი (ფიქვ.).
ფიქვიან-ი სოფელი ქვემო ერწოში, მდ. ივრის მარცხ. სანაპიროზე (სიონმშენის სად. საბჭო). დასახლებულია ხევსურებით. „ფიქვნარი ადგილი".
ფიქვიანის მთა ტყიანი მთა (ყუდრო).
ფიქვიანის ჭალა მინდორი მდ. ივრის მარცხ. ნაპირზე: ხეხილის ბაღები (ფიქვ.).
ფიქვრიანა ველტყიანი ადგილი, საძოვ. (ლიშო). ფიქვ[ნა]რ-იან-ი?
ფოთოლაის მამულ-ი სახნ., საძოვ. (ქუშხ.).
ფოცხვერ-ი სახნავი (სიმ. ხევი). „ფოცხვერში მიბია გუთანიო". (არჩ. მოხევიშვილი).
ფოცხვერაის სახლთავ-ი სახნავი, საძოვ. (ზ. შარახ.).
ფოცხვერთ გორ-ი ტყიანი გორაკი (ველები).
ფოცხვერთ ნასახლარ-ი საძოვ., მინდორი (სახევი).
ფოცხვრის თავ-ი ტყე (სიმ. ხევი). „ფოცხვრის თავზე გავჭერ სარი" (ხ. ჯამაგიძე).
ფრიდონაანთ ნაჭერ-ი მინდორი, სახნ. (ზარ.).
ფსვლიკების საგოგავ-ი ფერდობი ადგილები (ტუშ.).
ფუნჩათ ველა ველი დაჭწვ:რთსოფლის (ციათსოფლის) თავზე.
ფუნჩიას წყარო წყარო (მაგრ.). „წყარო გააკეთა ფუნჩიამა და თავის გაკეთებულ წყაროსთან კი მოკლეს" (ა. ფეტვიაშვილი).
ფურების ხატ-ი სალოცავი ადგილი, ხატი ს. ყებოტაში. „ფურების ხატობა იმართება თიბათვის ერთ-ერთ ხუთშაბათ ან შაბათ დღეს". ინფორმატორთა ცნობით „ფურების ხატში" ხევსბრებად „ნაწმინდური" (მენსტრუაციადაკარგული) ქალები იყვნენ. მამაკაცებს, აგრეთვე, დედათწესისმქონე ქალებს „ხატი არ კარობდა" და აქ შესვლას ვერც ვერავინ ბედავდა ([5] 70-71). „ფურების ხატი", როგორც ჩანს, საერთო რიტუალურ წესებს ავლენს ე. წ. „ქალების ხატთან", რომლის არსებობა დადასტურებულია ხევში (გერგეტი, გორისციხე, გაიბოტენი, ფხელშე... ქართლში (ავჭთურას ხეობა) და მესხეთ-ჯავახეთში. „ქალების ხატში" მოსული მლოც-

ველები ღვთაებას რძის მოცემას (დაბრუნებას) შესთხოვდნენ, ასეთ ხატებში იყო ქვისგან გამოკვეთილი ქალის წმინდა ძუძუ, რომელსაც ღვთისმსახური გაბანდა, ნაბან წყალს უხმარ ჭურჭელში ასხამდა და ძუძუგამშრალ ქალს ასმევდა ([43] 28). მესხეთში ცნობილია უნაყოფო და რძეგამშრალი ქალების სალოცავი ძიქვები (რძის ქვა), რომელთა დახმარებითაც უშვილო ქალები ღმერთს ნაყოფიერებას, ძუძუში რძის ჩადგომას შესთხოვდნენ ([42] 114), ([55] 65).

ფუტკარაულ-ი მთა ივრის ხეობის ბოლოებში; ალპური საძოვრები. სპეციალურ ლიტერატურაში იგი ცნობილია როგორც **„ფუტკარული“** ([114] 111, 113), თუმცა სწორი ფორმა „ფუტკარაული“ ჩანს. „ფუტკარას კუთვნილი მთა-საძოვრები“, თუ „საფუტკრე ადგილები“? (იხ. საფუტკრის გორი).

ფუტუროს ნაყვერ-ი ტყე, გააზოვებული ადგილები (ქებ.). ფუტუროდ ადამიანის გამოცვლილი (შერქმეული), ზედმეტი სახელია. „ტყე, რომელიც ვიღაც ფუტუროს შემოყვერვის წესით გაუხმია და ახოდ უქცევია“.

ფუცანგელოზ-ი ადგილი, მინდორი, ხატი (ტუშ.). „ფუძ[ის] ანგელოზი“.

ფშაველას წყარო წყარო, ადგილი ტყეში (საყდრ.) „ფშაველა“ პიროვნული სახელია.

ფშავლების სასაფლაო ტყიანი სერი (ომარ.).

ფშანტალა წყარო (ყვერნ.).

ფშანტლებ-ი წყაროიანი, ჭაობნარი ადგილები (დულუზ., ზ. არტ.). სახელწოდება **ფ.** მომდინარეობს **ფშატალა**-საგან („გაზაფხულ წყალი თოვლ-ნარევი“, (საბა); „გაზაფხულის ნიაღვარი თოვლნარევი“ (ჩუბინ.) ფუძეში **ნ-ს** განვითარებით და **ტალ-** ფუძის რედუქციით, რაც სახელზე **-ებ** მორფემის დართვას გამოუწვევია: ფშატალა→ფშანტალა→ფშანტლები.

ფშის წყარო წყარო (თიან.). „წყარო ვიცით, რო წყაროა, ფშა კიდევ — ფშა“ (ანზ. შუშანაშვილი).

ფხინ-ი ფხინკევა საძოვარი, ძველი ნამოსახლარი ადგილები არაგვის ხეობის ფშავში; თიანეთის რაიონის მომიჯნავე ადგილები. სარწმუნო და საბოლოო ეტიმოლოგია არ არსებობს. გამოთქმულია ვარაუდი **ფხინი**-ს ფხ-იან-ი (←ფხა-იან-ი) სიტყვისაგან მომდინარეობის შესახებ ([47] 180), თუმცა **ფხინ-ი** და **ფხა** („გორის ფხა“, „გორის კლდოვანი ქიმი“) სხვადასხვა ოდენობანი უნდა იყვნენ. ანგარიშგასაწევია თუნდაც ის ფაქტი, რომ **-იან** სუფიქ-

სის **-ინ** სუფიქსად ცვლის შემთხვევები ქართულ ენაში არ შეინიშნება.

ტოპონიმი **ფხინი**, ჩვენი ვარაუდით, ნახური ენის კუთვნილება უნდა იყოს, სადაც ძირისეულ მასალად **-ფხ-** გამოიყოფა, **-ინ** (—ი^{6}) კი ნახურივე ნათეს. ბრუნვის ნიშანია: **ფხ-ი^{6}**, თუშეთში დასტურდება ისეთი ტოპონიმები, რომლებშიც ნახური გენეტივის **-ინ** ნიშანი სრულად, ხან კი ნაზალობის გარეშეც არის შენახული: **საგ-ინ წყარო** („ირმის წყარო"), **ჰუჭ-ინ წყარო** („ჰუჭის წყარო") და სხვ. ([79] 103). საკვლევია **-ფხ-** ძირის სემანტიკა. ის, შესაძლებელია, დავუკავშიროთ ეთნიკურ **ფხოვ-** სიტყვას, რომელიც ბაცბური (ქისტური) ფხჷე (pl. ფხჷ) ფორმისაგან მომდინარეობს და „ხევსურს" („ხევსურები") ნიშნავს ([92] 6). ისიც გასათვალისწინებელია, რომ ნახურ ენაში **ფხა** (пхьа) სიტყვა ნიშნავს დასახლებულ ადგილს, სოფელს, სამოსახლოს თუ ნამოსახლარს. ჩაჩნეთ-ინგუშეთის ტოპონიმიაში საკმაოდ ხშირია пхьа ფუძის შემცველი ტოპონიმები: Пхьа коча «поселение верх», Элда-пхьа «псселение элды», пхьа Тlехьашкие «поселением за», Пхьадухие — «псселения ниже»... ([77]25). მაშასადამე შეიძლება დავუშვათ, რომ **ფხინ-ი** ზოგადად **სოფელს, დასახლებულ ადგილს** ნიშნავს ჩვენი მთიელი მეზობლების—ნახების ენაზე, **ფხინჭევა** კი ჰიბრიდული გაფორმების სახელი უნდა იყოს, მიღებული ნახური **ფხი** („სოფელი", „დასახლებული უბანი") სიტყვისა და ქართ. ხევა-ს შეერთების შედეგად.

ჭ

ჭავთარას ნაყვერ-ი ტყიანი ადგილი (ჭებ.).

ჭალთგორა მთა, საძოვ. (ზ. არტ.). შეიძლებელია სახელწოდება დაკავშირებული იყოს ჭალთა სალოცავის აქ არსებობაზე (იხ. სტ. ფურების ხატი).

ჭარანცხაშვილის ნაფეტვრებ-ი სახნ., საძოვ. (თიან.). „მინდვრები, რომელზედაც ჭარანცხაშვილს ფეტვი ეთესა".

ჭართლელიანთ წყარო წყარო (სიმ. ხევი). ტოპონიმი აქ ქართლელიშვილების ცხოვრებას გვავარაუდებინებს.

ჭარხნის ხევ-ი ხევი (ს. მშენი). ჭარხანას ერწო-თიანეთში უწოდებენ შანაური არყის სახდელ მოწყობილობას: გეჯა-ქვაბ-ზარფუშს. მა-

შესადამე **ქ. ხ.** ნიშნავს „ხევი, სადაც არყის სახდელი მოწყობილობაა გამართული“. არყის სახდელ ქვაბს, ჩვეულებრივ. ისეთ ადგილას დგამენ, სადაც ნაკადული მოედინება ან წყარო გამოდის.

ქასრიან ხევ-ი დიდი ხევი (ქვ. ნაქალ.). „ისე მშრალია, მაგრამ დიდ წვიმებში და ავდრიანობაში მოვარდება ხოლმე“ (ბ. აფციაური). როგორც ჩანს, აქ მოიპოვება სპეციალური სალესავი ქვა ქასერი და ადგილის სახელწოდებაც ამ ქვის სახელთან უნდა იყოს დაკავშირებული.

ქაქუცას წყარო წყარო ე. წ. ხანძილიანტაფში (ომარ.). „ყაჩაღი იყო ეგ ქაქუცა და იმ წყაროს დაარქვეს იმის სახელი, საცა რო მოკლეს“ (გ. გიგაური).

ქაშო მდინარე თიანეთში, მდ. საგამის მარჯვ. შენაკადი; მიერთვის ს. ახალსოფელთან. ეტიმოლოგია უცნობია. საყურადღებოა, რომ ვახუშტი თიანეთის სოფელთა შორის ასახელებს სოფ. ქაშოს, რომელსაც ს. **ახრალსა** (შეცდომაა. უნდა იყოს **არბალი**, გ. ბ.) და ს. ჩაბანოს შორის მოაქცევს ([22] 206). ამ ადგილებში მოედინება მდ. ქაშო. ქაშო სოფლის აღმნიშვნელ საკუთარ სახელადაა დადასტურებული XVIII ს. პირველი მეოთხედის კახეთის ხალხთა აღწერის დავთრებშიც ([112] 43-44).

ქაშოს ჰალებ-ი ჰალა, საძოვ. (ჩაბ.).

ქაჩალგორა საძოვ. (ახ. სოფ.).

ქერას წყარო წყაროა ს. გორანაში. „კაცი იყო, ქერა ქვივნილა. იმას გაუკეთებია ეგ წყარო. ცივი და ძაან გემრიელი წყალია“ (ნ. ხამხაძე).

ქეშიკათ მამულებ-ი საძოვ. (ქუშხ.). „ქეშიკაშვილების კუთვნილი მამულებია“ (ი. თეთრაული).

ქვაკაცა საძოვარი, მამული მთაში (ქუშხ.). „ლოდი რამ არი, კაცივითა ჰყუდია“ (ა. დულუზაური).

ქვაკევრა ადგილი, მინდორი (თ. ხევა). „კოხის ქვა ყრია, ტალის ქვაც არი, იმასა ხმარობენ კევრისათვის, კევრის მოსაკოხად“ (ივ. არჩემაშვილი).

ქვაკევრას ჩირდილ-ი ტყე (თ. ხევა).

ქვაკობე ქვიანი ადგილი, მინდორი (სიმ. ხევი).

ქვატალაანთ ახო სახნ., საძოვ. (ჩაბ.). **„ქვატალა“** ადგილის პიროვნული სახელია.

ქვაჯამა ადგილი მთაში, ს. ქუშხევის ჩრდილოეთით. აქ რამდენიმე ადგილას შეინიშნება დიდი ქვები ბუნებრივი ღრმულებით, რო-

მელთაც ადგილობრივი ხალხი **დევის ნამუხლს** ან **კოპალას ნამუხლს** უწოდებს ([5] 99).

ქვაქვევრებ-ი ტყე, ადგილი ტყეში (ქებ.). „ეგ არი ძველდაბალში“ (ნ. ბადურაშვილი).

ქვეითა ანიხევ-ი ველტყიანი ადგილი (ქებ.) (იხ. სტ. ანისხევ-ი).

ქვეითაანის ხევ-ი ტყიანი ადგილი (ლელ.).

ქვეითა მზორე ტყიანი ადგილი (გორ.).

ქვემო არტან-ი სოფელი მდ. იორის ხეობაში, მის ზემო წელზე. დასახლებულია ფშავლებით. ძირითადი გვარია ხიზანაშვილი.

ქვემო ბეროსნაგლეჯ-ი ტყე (ქებ.). „ბეროს მიერ ჩამოშვავებული, ჩამომეწყრებული ადგილი“.

ქვემო ერწო ერწოს ველის სამხრეთი ზოლი. ქვემო ერწოს სოფლებია: საყდრიონი, დორეულები, ზურაბები, ვეძათხევა, ორხევი, ზემო და ქვემო ნაქალაქარი, გუდანელები, ხადოელები, ტოლაანთსოფელი, მაგრანეთი და სხვ.

ქვემო მუნჯათხევა ტყიანი ხევი, მლაშე მინერალურწყაროანი ადგილები (სახევი). (იხ. მუნჯათხევა).

ქვემო ნაქალაქარ-ი სოფელი ერწოში (ხევსურთსოფლის სას. საბჭო). ზოგიერთი ოფიციალური წყაროს მიხედვით ქ. ნ.-ს უწინ **ბორტაძე** რქმევია ([76] 164).

ქვემო უღელტეხილ-ი ტყიანი ქედი, დაბლობი ადგილი მთაზე, ს. ვერხველში (ზემო თიანეთის სოფელია) გადასასვლელი გზა (ლიშო).

ქვემო ფშავ-ი საკულტო-რელიგიური ადგილი იყო ერწოში. ამჟამად სიონის წყალსაცავით არის დაფარული.

ქვემო შარახევ-ი სოფელი თიანეთის რ-ის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ ზოლში. ემიჯნება არაგვის ხეობის ფშავს (დუშეთის რ.) მდ. შარახეულას ხეობა.

ქვენა ბაჭიჭასახუებ-ი საძოვრებია ს. საჭურის მთაში. „ბაჭიჭა“ ადამიანის ზედმეტი (შერქმეული) სახელია, თიკუნია.

ქვენა ჭყანტებ-ი მინდორი, საძოვ., სახნ. (ტ. სოფ.). „საკნაობაა, წინეთ იყო უკმარი, ჭაობიანი“ (ლ. წიკლაური).

ქვიანყიდულას წყარო წყარო (სიმ. ხევი). **„ქვიანყიდულა“** ადამიანის ზედმეტი (შერქმეული) სახელია.

ქვისკართ ღელე ადგილია ს. ხაიშოს ტყეში. „ორი ქვის სვეტი დგა, თითო ორნახევარი-სამი მეტრი ნუ გშურს, ერთიანი ქვისაა. კარები გაუკეთებავ, გასასვლელი, თურმე აქით მიმავალ მლოცველებს გაითვლიდენ. შიშიანობა იყო და რო არვინ დაჰკლებოდა, იმისათვი თუ ითვლიდენ“ (ი. ხუმარაშვილი).

ქვიშიან-ი ტყიანი ადგილი (დულუზ.). „ქვიშაბალახიანი“?
ქვიშიანგორ-ი მთა, საძოვ. (ზ. არტ.). „ქვიშაბალახიანი გორი“?
ქვიშიანწყარო საძოვრები (ყუდრო). „ზოგი ქუშიან წყაროსაც ეძახის“ (ვ. ქისტაური).
ქვიჯამას გორ-ი მაღლობი ადგილი, საძოვ. (ქუშხ.).
ქიზიყელთწყარო სახნ., წყარო (ზარ.).
ქიტესას ნამამულარ-ი ახო, სახნ. (კვერნ.).
ქიტესაის გორ-ი სახნავი (შარახ.).
ქისტაურთ ნაყვერ-ი ტყე (წიკვლ.).
ქისტიაანთ ახო საძოვ., სახნ. (ჩაბ.). ამოსავალია ეთნონიმი „ქისტი“.
ქიქილთ ნასახლარ-ი ადგილია ზ. არტანთან (ღორღ.).
ქლიავიან-ი სახნ., საძოვ. (ბოჭ.).
ქლიავიანის წყარო წყარო (ომარ.). „კუთხიანის წყაროსთან არი, ესაც კაი წყაროა ძაანა“.
ქოთანას ახო ნაკაფი ადგილი (იარაჯ.).
ქოთანას წყარო წყარო (ტუშ.). „ქოთანა“ ადამიანის პიროვნული სახელია.
ქოთას ნაკაფ-ი ტყე (თიან.).
ქორუღლის წყარო წყარო (თიან.). სახელისათვის, საფიქრებელია, ამოსავალია სახელი **ქოროღლი** („ბრმის შვილი“). თურქ. **ოღლი** „ულელ“-სიტყვად გააზრიანებულა.
ქოსას ახო ახო, საძოვ. (ზარ.).
ქოჩეებ-ი სახნ., საძოვ. (ღულელ.). სახელის ეტომოლოგია საკვლევია. ქოჩა-ებ-ი?
ქოჩორა პანტა მინდორი, ადგილი (ზარ.).
ქოჩრიანგორ-ი სახნაური ადგილი (ხოფცა).
ქოჭიას ველ-ი სახნ., საძოვ. (ყებ.).
ქუდას თხილიან-ი ადგილი (გორ.). „კაცი ყოფილა ქუდა, იმის სახელობაზეა ეგ ადგილი“.
ქუდიელ-ი მაღალი, წოწოლა მთა (ზ. არტ.). „მაღლა აწვდილი მთა არი, თითქო ქუდი ჰხურიაო“ (ი. კუდიანაშვილი).
ქურთისკარ-ი ადგილის სახელწოდებაა ზემო არტანთან, მდ. ბაჩლურასა და ივრის შესაყართან; ნასოფლარი, პატარ-პატარა ყორეანგრევებითურთ. ტოპონიმისათვის ამოსავლად მიიჩნევენ ეთნიკურ „ქურთ“-სიტყვას (იხ. ვლ. აბრამიშვილი, ი. ბეჟანიშვილი, გაზ. „ახალი თიანეთი, №№ 49, 50, 54, 24-26 აპრილი, 8 მაისი, 1969 წ.). მკვლევართა ვარაუდით, ქურთისკარი ადგილს დარქმევია იმ გაცხოველებული ვაჭრობის გამო, რომელსაც რევოლუ-

ციამდე აქ ეწეოდნენ ჩამოსული ქორ-ვაჭრები, ათასი ჯურის მეწვრილმანეები. ამ ვაჭრებს ადგილობრივი ხალხი **„ქურთებს“** ეძახდა და სახელწოდებაც იმ ძველი ვითარების ამსახველიაო. ადგილობრივ ცნობილია ტოპონიმის მეორენაირი ფორმა: **ქუთისკარი** ([17] 22). აქვე გამოთქმულია მოსაზრება ქურთისკარის **ჰურთისკარი**-საგან მომდინარეობის შესახებ ([17] 22).

ქურთისკარი, ჩვენი მოსაზრებით, არც ერთ ამ მნიშვნელობას არ უნდა უკავშირდებოდეს. ტოპონიმ **ქურთისკარი**-სათვის ამოსავალი ჩანს მთის დიალექტებში საკმაოდ გავრცელებული სამეურნეო (მეცხვარეობა-მესაქონლეობა) დარგის სიტყვა **ქურთი** — „საქონლის გამხმარი ნაკელი, წივა“. „ცხვრის დრემლა, ნაკელი, კურკლი“ ([51] 182). „ქურთისაგან მწყემსები აგებდნენ პატარა საველე პრიმიტიულ სათავსებს, ქოხებს, ხან კი ქურთს საწვავადაც ხმარობდნენ“ ([108] 277). მთიულეთსა და ხევში ქურთს, საწვავად გამოყენების გარდა, მიწური სახლების გარედან შესალესადაც ხმარობენ ([31] 237). მაშასადამე, უნდა დავუშვათ, რომ **ქურთისკარი** ადგილს დარქმევია იმის გამო, რომ აქ ყოფილა ქურთით შელესილი მწყემსების პრიმიტიული ბინები, ქოხები; ან: „ადგილი, სადაც ქურთის (ნაკელი, ცხვრის დრემლა...) პატარ-პატარა გროვებია“... არც ისაა გამოსარიცხი, რომ ტოპონიმი ქ. ამ ადგილებში მცენარე **ქურთა** || **ქუთა-ს** გავრცელების გამო იყოს გაფორმებული.

ქურწითელ-ი სახნ., საძოვ. (ყვერნ.). საფიქრებელია, რომ აქ ადრე კირის გამოსაწვავი ქურები იყო აგებული.

ქუსნო მდინარე ერწო-თიანეთში, ივრის მარჯვენა შენაკადი; მიერთვის იორს დ. თიანეთთან ახლოს, სამხრ.-დას. მხრიდან. სარწმუნო ეტიმოლოგია არ არსებობს. ვახუშტი მას **„თიანეთის წყალს“** უწოდებს: „ხოლო კვალად ჟალეთს ზეით იორს მოერთვის თიანეთის წყალი, რომელი გამოზდის თვალივს ქვეით ხერკის მთას და აწ თიანეთისას, და მოდის აღმოსავლეთს-სამხრეთ შუა, და მოერთვის იორს დასავლეთიდამ“ ([22] 91).

ადგილობრივ მკვიდრთა შორის გავრცელებულია ეტიმოლოგია, რომლის თანახმადაც ქ. **გაქსუებას** უკავშირდება „გაქსუებული, დაგეზებული მოედინებაო“. სხვა თვალსაზრისთაგან ყურადღებას მიიქცევს მდინარის სახელწოდების ზმნურ **„ქუსვა“**-სთან დაკავშირების ცდა. „ქუსნო“ უნდა ნიშნავდეს იმ ადგილს, სადაც იორს მიერთვის, შეერთვის მდ. თიანეთის წყალი“ (ჯ. ლომაშვილი, ჰიდრონიმ „ქუსნოს“ განმარტებისათვის: გაზ. „ახალი

თიანეთი“, 22 მარტი, 1977 წ.). უკანასკნელ ხანს გამოითქვა კიდევ ერთი, ალბათ, ყველაზე უფრო ნაკლებსარწმუნო, ვარაუდი მდ. ქუსნოს სახელწოდების რუსული вкусно-საგან მომდინარეობის შესახებ: თიანეთს რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე III ესტუმრა და „როცა მეფეს მდინარის ნაკური წყაროს წყალი გასასინჯად (!) მიართვეს, ძალიან მოეწონა და მაღალი ხმით რამდენიმეჯერ წარმოსთქვა: „Ооо... как хорошо вкусно! вкусно! ეს დღე არის... „ქუსნოს“ დაბადების დღე-ო (ვლ. აბრამიშვილი, კვლავ მდინარე „ქუსნოს“ გარშემო: გაზ. „ახალი თიანეთი“, № 84, 14 ივლისი,1977 წ.). ხომ არ შეიძლებოდა ამოსავლად გვევარაუდა ძვ. ქართული სასოფლო-სამეურნეო ტერმინი **ქუსმ-ი** ნაკვეთებად დაყოფილი, ერთიმეორისაგან მიწის ბუნებრივი ზოლით გამოყოფილი ოთხკუთხა **თარგი** (|| დარგი), პატარ-პატარა ოთხკუთხა სავენახე ან საბოსტნე მიწის ნაკვეთი? „ქართლ-კახეთში დიდი ვენახი ბილიკებითაა დასერილი. ისინი ტახტებად, ქუსმებად ყოფენ ვენახებს“ ([3] 166). მაშასადამე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს მდინარისპირა ადგილები (თიანეთთან ახლოს) ადრე **ქუსმ-**ებად ყოფილა დაყოფილი. **ქუსმ-→ ქუსნ-**, რომელსაც შემდგომ ფშაური ტოპონიმიისათვის ნიშანდობლივი ბოლოკიდური-**ო** დართვია (გვერდა — გვერდო, ფერდა — ფერდო...). ადგილმდებარეობის აღმნიშვნელი სახელი **ქუსნ-ი** || **ქუსნო**, როგორც ჩანს, შემდგომ მდინარესაც შერქმევია.

ქუშანაანთ გორა ადგილია ს. მაგრანეთში. არქეოლოგიური გათხრების .უბანი. ქუშანა ადამიანის პიროვნული სახელია. ამჟამად ქუშანაშვილების ერთი-ორი ოჯახი ცხოვრობს ს. ღულელებში.

ქუშხევ-ი სოფელი თიანეთის რ-ში. დასახლებულია ივრისხეველი ფშავლებით. სპეციალურ ლიტერატურაში ქ. რამდენიმე სახელწოდებითაა ცნობილი: **ქვაშხევი** ([5] 96), **ქუშხევი** || **ქვაშხევი** || **ხუშკევი** ([96] 58); ადგილობრივ მცხოვრებთა მიხედვით — **ხუშხევი**. ამ ფორმათაგან სწორი ჩანს **ქუშხევი**. ტოპონიმი აშკარად ორი ფუძისაგან არის შემდგარი, რომლის მეორე ფუძე **ხევი-ა**, საკვლევია **ქუშ-** ფუძის სემანტიკა. ხომ არ უნდა დავუშვათ **ქუშ-** ფუძის ანთროპონიმული წარმოშობა: **ქუშ-თ-ხევი→** ქუშ-ხევი? (ქუშ- ფუძისათვის შდრ. ადგილობრივი გვარი ქუშანაშვილი). ანდა, ხომ არ უკავშირდება **ქუშ-** მსაზღვრელი მცენარე ქვიშაბალახს? **ქუშხევი** — „ხევი, სადაც ქვიშაბალახი ხარობს“ (იხ. სტ. ქვიშიანწყაროს). **ქუშ — ქვიშ?**

ქუშხეურა მდინარე-ხევი, მდ. იორის ერთ-ერთი სათავეთაგანი. ჩა-

მოუდის ს. ქუშხევს. აქედან ქუშხე[ვ]ურა: „სოფელ ქუშხევის წყალი“.

ქუჩაპანტებ-ი სახნ., სიძოვ. (დულუზ.). „სახნავია და შიგ ქუჩათა დგა პანტები“ (აკ. ხაიაური).

ქუჩიან-ი სათიბი, საძოვ. (ლახ.). „მინდორი, სადაც მცენ. ქუჩი ხარობს“.

ქუჩიანის წვერ-ი ადგილი, მთა (ლახატო). „ამას წვერის წმინდა გიორგს ვეძახით, ხატობა იცის, ზაფხულ მოდის მაგის დღეობა“.

ღ

ღალაან-ი სახნ., ნასახლარები; ძველი ნამოსახლარი (ლელ.).

ღანიშაანებ-ი სოფელი მდ. საგამის ხეობაში, მდინარის შეყოლებაზე, თიანეთის ჩრდ.-აღმოს. მხარეს. სოფლის სახელწოდება მომდინარეობს გვარისაგან, რომელიც აქ სახლობს. ამჟამად ღ. სოფელ გოჯიაანების უბანს წარმოადგენს.

ღანიშაანთ ფერდა სახნ. (გოჯ.).

ღანძილიან-ი საძოვ., სახნ. (ახ. სოფ.).

ღარალიან-ი სათიბი მინდორი (ლახატო). „ღარალი ბალახსა ჭქვიან, მსხვილი ბალახია, ლიხი, ჯოყარი“ (ი. კუდიანაშვილი).

ღარებთან სახნ. ადგილი (სიმ. ხევი).

ღარის წყარო, წყარო, პატარა წელი (ღელელ.).

ღაცას ნაკაფ-ი ახო (ქებ.). „ღაცას ჩვენ პატარა, შაუხედავ კაცს ვეძახით; სუსტი, უძალო, გაწყალებული კაცი რო იქნება, ის არი ღაცა“ (ვ. სიხარულიძე).

ღაცასნაკაფის წყარო წყარო (ქებ.).

ღელთავ-ი მინდ., საძოვ. (ქუშხ.). ღელ-[ის] თავ-ი ან ღელ-თ-თავ-ი.

ღეჩუათ ახო ახო (ლიშო).

ღვთიშობლის ბეღელ-ი სალოცავი ადგილი ს. ტუშურებში.

ღვინიაანები სოფელი ზემოთიანეთში, ს. საკრეპიოს ერთ-ერთი სოფელ-უბანთაგანი. სოფლის სახელწოდება მომდინარეობს აქ მცხოვრები ხალხის გვარისაგან — **ღვინიაშვილი.**

ღიჯურთ ხევ-ი მდინარე-ხევი ერწოში, მდ. აბეძის მარჯვ. შენაკადი (მაგრ.). **ღიჯური** ადამიანის საკუთარი სახელია, რომელიც უპირატესად ფშავ-ხევსურეთშია გავრცელებული (შდრ. გვარი **ღიჯურიშვილი**).

ღორღა სოფელი მდ. ივრის სათავეებში, სოფელ ზემო არტნიდან 1 კმ დაშორებით, ჩრდ.-დას. მხარეს. 1939 წელს გ. ჩიტაიას მიერ შედგენილ ივრის ზემო ხეობის სოფელთა სიაში **ღორღა** ნაჩვენები არ არის. იგი არც გ. რადეს მიერ 1878 წ. აღწერილ სოფელთა სიაში ჩანს. გ. ჩიტაია **ღორღა-ს** ნაცვლად ს. **ღორღაშ-ს** ასახელებს, რომელიც **ღორღა-ს** ერთ-ერთი ფორმა ჩანს. გ. ჩიტაიას მიხედვით 1939 წ. ღორღაშში 8 კომლს უცხოვრია ([96] 58). ტოპონიმისათვის ამოსავალი ჩანს **ღორღ-** ფუძე: „ქვავნარი ადგილი", „ქვაღორღიანი ადგილი". ზოგიერთი ოფიციალური ცნობის თანახმად **ღორღა** შეერთებია ს. ზემო არტანს ([76] 171).

ღორღიანა მშრალი ხევი ს. მაგრანეთში.

ღორღლიანა ქვავნარი ადგილი ს. ლიშოში. ღორღლ-იან-ა—„ღორღლით (|| ღორღით) დაფარული ადგილი". ღორღლი ფშაური ფორმა ჩანს. ასეთივე სახელწოდების ადგილი დასტურდება ს. ზემო არტანშიც. **ღორღლ-** ფუძეში **-ლ** ისეთივე ფონეტიკური დანართია, როგორც **-რ- კოხრიან-** ფორმაში.

ღორღონის ხევ-ი ხევი, მამულების გასწვრივი ადგილები ს. თეგერაანებში. ტოპონიმისათვის ამოსავალია **ღორღ-ოვან-** ფორმა, რომელშიც ნათეს. ბრუნვაში დასმის შედეგად **-ოვან** სუფიქსის **ვ-**ნი დაკარგულა **ნ-**არის მეზობლობაში (ღორღ-ოვან-ის—ღორღ-ოვნ-ის—ღორღ-ონ-ის).

ღრანტა ადგილია ს. მაგრანეთის ახლოს. „ჩაღრამული ადგილია" (ალ. ყორიაული). **ღრანტ-ა** — „ღრანტეს მსგავსი".

ღულელებ-ი სოფელი ერწოში. სახელწოდება აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ აქ. სოფ. ღულიდან (ბევსურეთი, დუშეთის რ). გადმოსული ხალხი ცხოვრობს.) **-ელ** სუფიქსი სწორედ ადამიანთა სადაურობაზე მიუთითებს: **ღულ-ელ-ი.** ვახუშტის „აღწერის" ერწოს სოფელთა სიაში ღულელებ-ი დასახელებული არ არის, რაც იმის მაუწყებელია, რომ ღ. გაცილებით გვიან, დაახლ. XIX ს-ის I ნახევარში, დასახლებულა.

• ზოგიერთ სპეციალურ წყაროში ღულელების ნაცვლად **გულელები** დასტურდება: „აძეძის ხეობის (იგულისხმება ერწოს დაბლობი, გ. ბ.) ორივე მხარეზე გაშენებულია საყდრიონი, სვიმონ-ანთ-ხევი გ უ ლ ე ლ ე ბ ი, მაგრანეთი და სხვა წვრილი სოფლები"... ([114] 288). შეცდომის წყარო რუსული ტექსტი უნდა იყოს.

ღულელთ კოდა წყარო, ადგილი (ტ. სოფ.).
ღულელთ ხევ-ი მდინარე-ხევი (ღულელ.). მიერთვის მდ. აძეძს (მარჯვ. შენაკ.).

უ

უანისყელ-ი სახნ., მინდ. (ყუდრო).
უარაია მინდორი (ძებნ.). სახელწოდება წარმომდგარია ცნობილი **უარაიას** ანალოგიით (იხ. თრიალეთი).
უარალაანთ ტყე ტყე (ქებ.). „უარალაშვილების კუთვნილი ტყე".
უარყათ უბან-ი სახნავი მინდვრები (ახ. სოფ.).
უარყათუბნის მთა მაღალი ტყიანი მთა ს. ქებოტის ჩრდ.-აღმ. იხინჭის მთისაკენ მიმავალ გზაზე.
უაფარ-ი ნასოფლარი ივრის ხეობის სათავეებში. სარწმუნო და საბოლოო ეტიმოლოგია არ მოგვეპოვება. შეიძლებოდა ამოსავლად გვევარაუდა ძვ. ქართ. **უაფარი**, რაც ძლიერ დახრილ, დაქანებულ ადგილს ეწოდება. „**უაფარი** — ამართულივით. **აღმართი** — ძნელად სავალსა და ამართულსა ეწოდების ფრიალო, ხოლო პირ–აღმართში პირ-სწორად აღმა სვლასა ეწოდების უ ა ფ ა რ ა დ სვლა. **პირაღმართი** — ვაკესა რა მცირე აღმართობა შეეტყობოდეს, უწოდენ ამრეცსა, და მისა უძნელესსა — აღმართი და სრულიად ძნელი — ფრიალო და უ ა ფ ა რ ი" ([64] ტ. IV_1). ნასოფლ. უაფარის ადგილმდებარეობა ამართლებს **უაფარის** ამ მნიშვნელობას: ის მართლაც ფრიალო და ძნელად სავალი, აღმართი ადგილია. უაფარი-ს ეს მნიშვნელობა ცნობილია ისტორიული გეოგრაფიის სპეციალისტთათვისაც: „შავისოფლიდანვე ქვემოთ, მტკვრის მარცხენა ნაპირისაკენ ჩამოშვებულია უ ა ფ ა რ ი, რომელიც უკავია ნავთლუღს" ([102] 62).
უაფრის გორა საძოვარი მთა ნას. უაფარის ზემოთ.
უაყვიას უანა მამული, საძოვ. (ჯიხ). „**უაყვია**" მაღალი, აწოწილი („აყაყული") კაცის ზედმეტი სახელია.
უაყიდეთ ნასახლარებ-ი ადგილი, ველი (თეთრ.).
უაყლიყოს წყარო სახნ., საძოვ. (სიმ. ხევი).
უელებ-ი სატყეო მეურნეობის ნაკვეთები თიანეთის მისასვლელებთან.
უვავის საყდარა ადგილი ტყეში; ძველი ყორე-ნანგრევები (ბალ. ხ.).
უვარა ნასოფლარი ივრის ხეობის ზემო წელზე. გ. რადეს აღწერის

თანახმად 1870-იანი წლებისათვის ყვარაში 42 კომლს უცხოვრია, 1939 წლისათვის აქ მხოლოდ 6 კომლი-ღა ცხოვრობს ([96] 58). ტრადიციულად ქ. ყვარელის (კახეთი) სახელწოდება ფშავის ამ სოფლის სახელთან კავშირში გაიაზრება: **ყვარ-ელ-ი** „ყვარიდან საცხოვრებლად გადმოსული ხალხის ადგილსამყოფელი“. როგორც ცნობილია, ყვარლის ციხე-სიმაგრე XVIII ს-ის შუა ხანებს განეკუთვნება. მაშასადამე, სოფ. ყვარიდან ფშაველთა მიგრაცია კახეთში XVII საუკუნის დასასრულს ან XVIII ს-ის I ნახევარში დაწყებულა (თუ კი, რა თქმა უნდა, ყვარელ-ი წარმოშობით მართლაც თიანეთის რაიონის ყვარას-თან არის დაკავშირებული). სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია ვარაუდი ყვარას აფხაზურ ენობრივ სამყაროსთან შესაძლო კავშირის შესახებ; თუმცა სარწმუნო საბუთიანობის გარეშე ([113] 45). ზოგიერთ ადრინდელ ოფიციალურ წყაროში **ყ.** კვარა-დ არის წარმოდგენილი ([68] 50).

ყვარის თავი- საძოვ., მთა ნასოფლ. ყვარის ზემოთ, მდ. ივრისა და ხაშრულას შესაყართან.

ყველაწმინდა ველტყიანი ადგილი, მინდორი (თეგერ.).

ყვიტას ტაფ-ი (იხ. ალექსის ტაფი).

ყიზილას ახო სახნ., საძოვ. (ჩაბ.).

ყინტრავლას გორ-ი საძოვ. (ზარ.).

ყინტრაულა საძოვ., წყარო, ადგილი (ზარ.). ტოპონიმი **ყ.**, როგორც ჩანს, მცენ. ყინტორას უკავშირდება. ყინტორაულა→ყინტრაულა? შესაძლებელია ყინტორა || ყინტრა ადამიანის ზედმეტი (შერქმეული) სახელი იყოს. ყინტორაულა ფორმაში კუთვნილება-წარმომავლობის **-ურა** (დისიმილაციით **-ულა**) სუფიქსი ამ შემთხვევაში სწორედ ობიექტის ვიღაცისადმი კუთვნილებაზე მიუთითებს.

ყიყლიყოს ახო ახო, საძოვ. (ახ. სოფ.). „ყიყლიყო კაცს ერქვა, ადრე დგებოდა, მამალი ვერ დაასწრებდა იმას ადვომასა“ (ვასო ოთარაშვილი).

ყოვისტვინათ-ი საძოვ., ახოები (სხლოვ.). ტოპონიმი ანთროპონიმული წარმოშობისა ჩანს: „ყოვისტვინათ (კუთვნილი) ადგილები“. **ყვავისტვინა** (|| **ყოვისტვინა**) ადამიანის ზედმეტი სახელია.

ყორანაანთ ხევ-ი სევი, ტყე (იხ. სოფ.). „ყორანი თუ ჩაფრინდება, ისეთი ღრმა ხევია“ (ვ. ოთარაშვილი). ინფორმატორის ცნობა სარწმუნო არ ჩანს. **ყორაან-ი** საკუთარი სახელი უნდა იყოს (შდრ. ყორაშვილი, ყორიაული...). რაც ყველაზე არსებითია, ერ-

წოში, ს. საყდრიონში, არის ღრმა ხევი, რომელსაც აგრეთვე „**ყორაანთ ხევი**“ ეწოდება.

ყორაეთ-ი სოფელი ისტორიულ ერწოში ([22] 207). ზოგიერთი ოფიციალური წყაროს თანახმად **ყ.** სოფ. საყარაულოს ძველი სახელწოდება ყოფილა ([76] 171).

ყორანას მონაკლავ-ი საძოვ. (ღულელ.), „სადაც ყორანა მოუკლავთ“.

ყოყმანის წყარო წყარო, ადგილი (იარაჯ.). „კაცს ერქვა ყოყმანი“. (შ. დოლიაშვილი).

ყრუვჭალა ამჟამად სახნავი მინდვრები, ტყიანი ადგილები (ხოფცა). **ყრუვჭალა** — „გაუვალი, დაბურდული, ბნელი ჭალა“. ასეთივე შინაარსის ჩანს ცნობილი ტყის მასივი კოჯორთან **შავტყე**. სიტყვა **შავი**, ისევ როგორც **ბრმა** და **ყრუ**, ტოპონიმიაში ხშირად გამოდიან ობიექტის ნიშან-თვისების (სიღრმე, სიბნელე...) აღსანიშნავად.

ყუდრო სოფელი ერწოში (სიონმშენის სად. საბჭო). დასახლებულია ხევსურებით. ამ სახელწოდებით იგი მოხსენიებულია ერწოს საკათალიკოსო გამოსაღების ერთ-ერთ უძველეს ნუსხაში, რომელსაც X საუკუნის ძეგლად მიიჩნევენ ([33] წ. IV, გვ. 5). XVII ს-ის ქართული ეკონომიკური საბუთების მიხედვით **ყუდრო** ალმატლიშვილის (—ალმატელიშვილი: **ალმატი** სოფელია ახმეტის რ-ში) კუთვნილი „ნაოხარი მაჯალა“ ყოფილა ([50] 238).

ყუდროს მთა საძოვ., სათიბი (ყუდრო).

ყურე საძოვარი (ომარ.). „მზის მყუდროა და ყურეს ეძახიან. ყურეჩი არიან ძროხებიო“ (ა. ხუციშვილი).

ყურეებ-ი სახნ., საძოვ. (ჩაბ.).

ყურის ტაფე ტყე (თიან.).

ყუჯიათ ნასახლარ-ი ადგილია ქუშხევში.

ყუჯიათნაქონ მამულებ-ი საძოვ., სახნ. (ქუშხ.).

შ

შავშარახევ-ი ს. ზემო შარახევის მეორე, ადგილობრივი სახელწოდება. შესაძლებელია „შავი“ ამ შემთხვევაში უღრან, გაუვალ ადგილს ნიშნავდეს. (იხ. სტ. ყრუვჭალა).

შავწყულებ-ი მამული, სახნ., საძოვ. (ტ. სოფ.).

შავწყულებ-ი დიდი, ღრმა ხევი (მაგრ.).

შაკათ-ი სახნაური ველები (ქებ.). (იხ. საკათ-ი).

შალაფიან-ი სველი, ნოტიო, ჭანჭრობი ადგილი (დევენ.). შალაფა იგივე ლელია ([52] 43). „შალაფა ბალახია, ჩვენ ჭუანტის ჩალას ვეძახით“ (ანზ. შუშანაშვილი).

შალვათ ბოლოებ-ი ადგილი, მინდორი, სახნ. (მაგრ.) „შალვათ მამულის ბოლოები“.

შალშვენა გორა სახნ., ველი (ტ. სოფ.). ტოპონიმი, საფიქრებელია, დაკავშირებულია მცენ. მოცვის ფშაურ სახელწოდება **შალშავ**-თან. მოცვი черника მხვ. შავხილაი, შავი ხილი, **ხილის ტყე** (უნდა იყოს: **ტყის ხილი**, გ. ბ.), ხილი; ფშ. სელშავი, შალშავი, შილშავი; მთ. ილი; თუშ. ჟოლი: მთ. რჭ. მოდგინარი; აჭ. მიწამოცვი... ([52] 51). შალშვენა გორა — „გორაკი, სადაც მცენ. შალშავი (|| შალშვენა) ხარობს“.

შალშვენაგორის ძირ-ი მინდორი (ტ. სოფ.).

შამილას პანტებ-ი მამული, საძოვ. (ახ. სოფ.).

შარახევ-ი სოფელი არაგვის ხეობის ფშავში, თიანეთის მოსაზღვრე სოფელი. თიანეთის რაიონშია ს. ზემო შარახევი. სახელწოდება დაკავშირებულია **შარა** სიტყვასთან: „ეგეთა ხეობაა, როგორც შარა, თვალი ვერ გაუწვდება“.

შარახევის შენობა ძველისძველი ნამოსახლარი ყორეები, გრანდიოზულ ნაგებობათა ნანგრევები, რომელსაც ადგილობრივ ძველი ქალაქის ნაშთად მიიჩნევენ. სიტყვა „შენობა“ მრავალ ნაშენს, შენობათა მთელ წყებას გულისხმობს და არა ერთ ნაგებობას.

შარახეულა მდინარე. ჩამოუდის ს. შარახევს. **შარახეულა—შარახევულ-ა** „სოფელ შარახევის წყალი“.

შარმაზანიანთ ნაჭერ-ი სახნ., საძოვ. (ხოფცა).

შარმას წყარო წყარო, ადგილი (ქებ.).

შარუმას ახო, მინდ. (დულუზ.).

შაქარაანთ ახო სახნავი მინდორი (იხ. სოფ.).

შაღმათა არყიან-ი სათიბი, ალაგ ტყიანი ადგილი (ქუშხ.).

შაშუკაანთ იფნთან სახნ., საძოვ. (ხარ.).

შაშუკაანთ ნაჭერ-ი მინდ., საძოვ. (ზარ.).

შაშუკაანთ საბილეთო სახნავი მინდორი (ზარ.).

შვინდიან-ი საძოვარი (ვეძ. ხ.).

შვინდიანა ხევ-ი წყლიანი ხევი, შვინდნარი ადგილი (მელ. ხ.).

შვინდიანი გორ-ი ტყე (ქებ.).

შვლის წყარო წყარო (ყუდრო).

შიგნით ახო სახნ., (ჭურჭ.). (შდრ. შიგნიკახეთი).

შიოთ ახო სახნ., საძოვ. (ჩაბ.).

შიოყიანთ ველებ-ი სახნავი მინდვრები (ორხევი).

შიოს ნაორმოალებ-ი ჯაგნარი ტყე (ზ. ნაქალ.). **ნაორმოალები—ნაორმო-ვ-ალ-ებ-ი.**

შიოს ნაფეტვრებ-ი სახნავი (ყებ.).

შირიმის ველ-ი საძოვ., ველტყიანი ადგილი (თრანი).

შირიმის წყალ-ი წყარო (თრანი).

შირიმის წყარო წყარო (ღულელ.) „შირიმში გამოდის“. ასეთი ტოპონიმები გვხვდება წყაროების სახელებად ს. თეთრახევასა და ს. ჩეკურაანთგორში.

შირიმისწყარო წყარო (იარაჯ.). „კლდე არი, ფიჭასავით ქვა არი, სუბუქი, იმაში ამოდის“ (ზ. ბადრახიშვილი). ასეთივე ტოპონიმი დასტურდება ს. დორეულებში.

შოგორა-ი სახნ. მინდვრები (ქვ. ნაქალ.). **შუაგორა—შუაგორა—შოგორა.** სხვა შემთხვევაში ადგილის სახელებად გვხვდება **შუაგორა/ი:** (სს. წყაროთუბანი, ომარაანი, ტოლათსოფელი, მაგრანეთი, წიკვლიაანთკარი, ჩეკურაანთგორი...).

შოთხებ-ი წვრიმლიანი, ახალგაზრდა ტყე (სახევი). შოთხი (|| შოთხვი) მცენარეა. **შოთხვ-ი** (შოთხვისა).. აქვს თეთრი სურნელოვანი ყვავილი და შავი მწკლარტე ნაყოფი (ქეგლ, VII).

შოშიაგზა გზა (ტ. სოფ.). ფრანგ. chaussée (რუსულის მეშვეობით) „სამანქანო გზა“.

შუათაგორ-ი ტყიანი ადგილი (ყებ.).

შუათ ბოლოზე მამული, საძოვ., სახნ. (მაგრ.).

შუალა გორა მთა, საძოვ. (ზ. არტ.).

შუბლა ველტყიანი ადგილი, მაღალი გორაკი, საძოვრები (თეთრ.). ანალოგიური სახელები დასტურდება ბევსურთსოფელში, დ. სიონში და დეევნაანთხევში.

შუბნურ-ი ტყიანი მთა და საძოვარი ს. თეთრახევასთან ახლოს. ამოსავალი ჩანს შუბან-ი (←შუა უბანი), **-ურ** კი კუთვნილება-წარმომავლობის სუფიქსია.

შუპყიან-ი საძოვ., მინდ. (ევჟ.). „ადგილი, სადაც მცენარე შუპყი ხარობს“. სახელწოდება შუპყიანი ტყის სახელად ს. თოლენჯშიც გვხვდება. „შუპყი ბალახია, დიყივით არი, დიყს როგორმე ჩამოჭგავს გავფცქვნით და ვჭამთ“ (ი. აპრილაშვილი).

შუპყიანის წყარო წყარო, ადგილი, საძოვ. (ევჟ.).

შუღარას მიწა ადგილია ს. ორხევში. ამ ადგილას აღმოჩენილა უძველესი ხანის სამარხები.

შუშანაანთ სახლთავ-ი სახნავი მამული (თ. ხევა).

შუშანაანთ წყარო წყარო ს. საჭურის ახლოს, დაბლა ჭალაზე. „შუშანაშვილების წყარო“.

შუშანის ვაკე მინდ., საძოვ. ივრის კუდებში (ზ. არტ.).

ჩ

ჩაბანო სოფელი თიანეთის რ-ში (ახალსოფლის სას. საბჭო). სახლობენ ფშავლები. ძირითადი გვარებია: ბადრახიშვილი, ჯიმშიტაშვილი, მადურაშვილი, ხადილაშვილი, ალბუთაშვილი, მამსიკაშვილი... ეტიმოლოგია უცნობია.

ჩადუნიან-ი ჩამომეწყრილი, ჩამოშვავებული ადგილები (ქებ.). მცენ. ჩადუნას სახელწოდების მიხედვით აქ ბევრი მიკროტოპონიმი გაფორმებულა (ახალსოფელი, ბალებისხევი, ომარაანი, წიკვლიაანთკარი, სახევი...).

ჩადუნიანის ტბა პატარა ტბა ადგილ ჩადუნიანში (ქებ.).

ჩაკიდებულველ-ი ველი, საძოვ., დაჭანებული ადგილი (ღულელ.).

ჩალა საძოვ., ადგილი (ქებ.); ჩალა ბევრ აქაურ მიკროტოპონიმს დასდებია საფუძვლად. ოდენფუძის სახით ადგილების სახელწოდებად ჩალა გვხვდება ლელოვანში, დეევნაანებში, სიმონიანთხევში...

ჩალიან-ი ნასოფლარი თიანეთის რაიონში ([76] 185).

ჩანგაანთ ხატ-ი სახნავი ადგილი, მინდ. ს. გოჯიაანებში. „ჩანგაშვილების საგვარეულო სალოცავი ადგილი, ხატი“.

ჩანთიანთ კარ-ი მინდორი, სახნ. (თიან.).

ჩანჩხარებ-ი სახნ. მინდვრები (ჩეკ. გორი).

ჩანჩხარეებ-ი სახნ. (თოლ.).

ჩარგალელის ახო ახო (ლიშო).

ჩასაფარება სახნ., საძოვ. (ბალ. ხ.). ტოპონიმი ჩასაფარება დადასტურდა მეზობელ სოფელში — კვერნაულაშიც. აქ ჩ. ჰქვია ტყეს ს. დამწვართსოფლის (კვირიისხევის) ბოლოზე.

ჩაქიანთ მამულ-ი საძოვ. (თეთრ.) „ეხლა და ეხლა ატყევდა, ადრე იკვნოდა“.

ჩაჩაურთ ახო სათიბი, საძოვ. (ყუდრო). **ჩაჩაური** ხევსურული საკუთარი სახელია.

ჩახას ჭყანტ-ი საძოვ. (ახ. სოფ.).

ჩეკას ახო სახნ. (საკრ.). **ჩეკა** ადამიანის ფშაური საკუთარი სახელია. სწორედ აქედან ჩანს გაფორმებული საკუთარი სახელი **ჩეკურ-ი,** რომლისაგანაც ფშაური გვარი ჩეკურიშვილი და სოფლის სახელი ჩეკურაანთგორი წარმოქმნილა.

ჩეკურაანთგორ-ი სოფელი თიანეთის სადაბო საბჭოში. დასახლებულია ივრისხეველი ფშავლებით. სოფლის უძველესი სახელწოდებაა **ჩეკური** ([22] 206). ს. ჩეკური, საფიქრებელია, XV ს-დან არსებობს, რადგან XVI ს-ის ერთ-ერთი საბუთის მიხედვით ალექსანდრე კახთა მეფეს განუახლებია ამ სოფლის სვეტიცხოველისადმი ძველი შეწირულობა: „ალექსანდრე [კახთა] მეფემ დაუმტკიცა სვეტიცხოველს ძველად შეწირული სოფელი ჩ ე კ უ რ ნ ნ ი, რომლის საზღვარი იყო დამპალი წყალი“ ([50] 70). ზოგიერთი ოფიციალური ცნობის მიხედვით ჩ.-ს 1920-იანი წლებისათვის **ძროხელაანები** რქმევია და მაშინ აქ 24 კომლს უცხოვრია ([68] 50).

ჩვინთიხევა პატარა ხევი: ჩამოუდის ს. თრანს.

ჩინთ-ი ასეთ სოფელს ასახელებს ვახუშტი ერწოში ([22] 206): ამჟამად ჩ. ადმინისტრაციულად დუშეთის რაიონს ეკუთვნის. იგი გაშენებულია მდ. არაგვის მარცხ. სანაპიროზე, ჟინვალის წმენებარე ჰიდროკომპლექსის ახლოს. ჩ. ცნობილია საუცხოო ჯიშის ცაზით. ამიტომ საფიქრებელია, რომ ცაზის ჯიში „ჩინური“ ტოპონიმ **ჩინთი-**საგან მომდინარეობდეს (ჩინთური—ჩინ-ურ-ი) დეეტიმოლოგიზაციის შედეგად.

ჩირდილა ადგილი, ველი, საძოვ. (ხევ. სოფ.) „ერთი მეჩხერი ტყე ყოფილა“.

ჩირდილებ-ი ტყე (ევქ.).

ჩიტას ახო სახნავი ადგილი (ქებ.).

ჩიტაურებ-ი სოფელი ერწოში (სიმონიანოხევის სას. საბჭო). სოფელში ცხოვრობენ გადმოსახლებული მთიულები და საკუთრივ თიანეთელები. სახელწოდება მომდინარეობს მთიულური გვარისაგან — **ჩიტაური** (ჩიტაურები სოფელია ჭართლის თემში, დუშეთის რ.), რომელსაც, თავის მხრივ, საფუძვლად უდევს საკუთარი სახელი **ჩიტა** (შდრ. გვარები ჩიტაშვილი, ჩიტიშვილი, ჩიტაძე, ჩიტიძე...).

ჩიტაურთ მთა მთა, საძოვ. (ზარ.).

ჩიტაურთ ტყე ტყე (ნად.).

ჩიტაურთ ხატ-ი სალოცავი ადგილი (ზარ.). „აქ ათ ნოემბერს გიორგობა იცის, თიბათვეში კიდევ — ამაღლება“ (ზ. ბადრახიშვილი).

ჩიტების წყარო წყარო, ადგილი (საყდრ.). „ჩიტები სხდებიან აქ ბევრნი“ (ვ. დოლიძე).

ჩიღოვლის ნაჭერ-ი საძოვარი, ველი (წიკელ.). **ჩიღოვლის—ჩიღოელის** (ჩიღო სოფელია ხევსურეთში). ჩიღოვლის ნაჭერი — „ველი, რომელიც ჩიღოდან გადმოსული ადამიანის საკუთრება ყოფილა“.

ჩიღოლის ველ-ი საძოვარი, ტყიანი ადგილი (ალაჭ.). ამ ტოპონიმისათვისაც **ჩიღოველ-** ფორმაა ამოსავალი, ოღონდ აქ **-ლ-**ს წინ ვ-ინი ჩავარდნილა: **ჩიღოლის←ჩიღოვლის** (←ჩიღო-ელ-ის).

ჩიხოლის ველ-ი (იხ. ჩიღოლის ველი).

ჩოლაგაურთ ახო ველტყიანი ადგილი (ს. მშენი). ამოსავალია გვარი ჩოლაგაური.

ჩოლაგაურთ ბოლო მინდ., სახნ., საძოვ. (მაგრ.).

ჩოლოყაანთ ტყე ტყე (დორ.). „ჩოლოყაანთსას წინათ იტყოდნენ, ეხლა უფრო ვიტყვით ნაყვერს. ეგ სადოროვლო და ნაყვერი ჰქერიათ ჩოლოყაანთა“ (ბ. აფციაური).

ჩუგაურთ ახო სახნ., საძოვ. (ლიშო).

ჩუყლუყის მზორე ტყე (სიმ. ხევი). **„ჩუყლუყი“** ადამიანის ზედმეტი სახელია.

ჩქარეულ-ი საძოვ., სახნ. (ახ. სოფ.). „ჩქარეულის (გვარია) ნაქონი მინდორი“.

ჩხარუნა წყარო წყარო (ომარ.). „ეგ სოფლის მთავარი წყაროა. ჩხარუნ-ჩხარუნით გამოდის, ხმაურობს. ძაან ცივი და გემრიელი წყალია“ (ბ. ჭინჭარაული).

ჩხვინჯეთ-ი სახნ., საძოვ. (ზარ.). საყურადღებოა, რომ ერწო-თიანეთის სოფლების ნუსხაში ვახუშტი ბატონიშვილი **ცხვინჯეთს** მოიხსენიებს ([22] 206). ჩხვინჯეთი (ii პატარა ჩხვინჯეთი) და გაღმა ჩხვინჯეთი (ხატი, ადგილი, წყარო ს. ზარიძეებში) ისტორიულ ს. **ცხვინჯეთს** უნდა უკავშირდებოდეს.

ჩხუბიათ წისქვილ-ი წისქვილი მდ. ქეშხეურაზე (თეთრ.).

ჩხუბიაანთ ბოლო საძოვ., ბუჩქნ. (მაგრ.).

ც

ცალუღელაანთკარ-ი სოფელი ერწოში (სიმონიანთხევის სას. საბჭო). დასახლებულია ძირითადად თიანეთელებით. ტოპონიმი გაფორმებულია ანთროპონიმ **ცალუღელა-ს** მიხედვით, რომელსაც შემ-

დგომ გვარი ცალუღელაშვილი წარმოუქმნია. ც. უღ. — „სოფელი, რომელშიც ცალუღელაშვილები ცხოვრობენ". „ცალუღელა", ამავე დროს, აშკარად მიუთითებს ამ სახელის პატრონის მძიმე სოციალურ მდგომარეობაზე, დუხჭირ, ხელმოკლე ცხოვრებაზე. მას როგორც ჩანს, საკუთარი მიწის ნაკვეთის ხვნა ცალი ხარით, ცალუღლით უხდებოდა (შდრ. გვარი ცალქალამანიძე).

ცალუღელაანთ კვირია სალოცავი ადგილი ს. ხოფცაში. ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ცალუღელაშვილები სწორედ აქედან არიან გადასულები საცხოვრებლად ერწოში, რაკი მათი გვაროვნული სალოცავი კვირია ზემოთიანეთში, ს. ხოფცაში მდებარეობს და არა ერწოში, ს. ცალუღელაანთკარში?

ცალხელაანთ წყარო წყარო ს. ბოკონში. „ეხლა ამ წყაროს ყველა გოგლოს წყაროს ეძახის" (რ. მინდიკაური).

ცალხელიანთ გორ-ი გორაკი, საძოვ. (საყდრ.).

ცაცხვებ-ი სახნ., საძოვ. (თეგერ.).

ცაცხვთსაყდარა საკულტო ნაგებობა ს. ღულელებში, სამხრ.-დას. მბაარეს. „ცაცხვებია წკრედ ამოსული და იმათშია აშენებული" (გ. ქისტაური).

ციაანთ გუბეებ-ი საძოვარი, მინდორი (სიმ. ხევი). სახელწოდება ანთროპონიმული წარმოშობისაა. მიღებული უნდა იყოს საკუთარი სახელისაგან **სია**. საყურადღებოა, რომ სიმონიანთხევში ცხოვრობენ სიაშვილები.

ციათსოფელ-ი სოფელი ერწოში (ღულელების სას. საბჭო). ს. ბალებისხევის ერთ-ერთი უბანთაგანი. ტოპონიმისათვის ამოსავალი ჩანს საკუთარი სახელი **სია**, რომელსაც შემდგომ **ცია** მოუცია (იხ. ციაანთ გუბეები).

ციების ჭალა ადგილი, საძოვ. (ტუშ.). ტოპონიმისათვის ამოსავალი ჩანს ზმნური **ციება**. лихорадка ციება — ცხრო, სენი ტანში, შეცივებისა (100). როგორც ჩანს, ამ ჭალაში იყო ციების (მალარიის) გამომწვევი წყალი.

ცივების წყარო წყარო, ადგილი (ჭურჭ.). ტოპონიმში **ვ** განვითარებულა, როგორც ჩანს, სიტყვა **ცივი**-ს ანალოგიით. უნდა გვქონოდა ციების წყარო „წყარო, რომელიც ადამიანს ციებით, მალარიით აავადებს" (იხ. ციების ჭალა). მიკროტოპონიმად ცივების წყარო ს. ნადოკრაშიც დადასტურდა.

ცირელთ ნაწისქვილარებ-ი ადგილია ს. გუდანელებში (ღულელების სას. საბჭო). პირველი ფუძის შინაარსი გაურკვეველია. ადამიანთა სადაურობა-წარმომავლობის **-ელ** სუფიქსის და კუთვნილების აღმ-

ნიშვნელი -თ ნიშნის არსებობა ტოპონიმის ანთროპონიმურ წარმოშობაზე მიგვანიშნებს: **ცირ-ელ** (←ძირ-ელ)?

ციციანის წყარო წყარო, ადგილი (დულუზ.).

ციციშვილის ფერდ-ი ტყიანი ფერდობი საბადურის მთის ძირას (ღულელ.).

ციხეთგორ-ი შემაღლებული ადგილი (ზ. არტ.). „ციხე-ნაციხვრებია". ანალოგიური მიკროტოპონიმი დადასტურდა ს. ვერხველშიც (ზემო თიანეთი).

ციხელას ახო სახნავი მინდვრები (ჩაბ.).

ციხელას ნაყვერ-ი მინდორი, საძოვ. (დულუზ.).

ციხელას წყარო წყარო, ადგილი (ახ. სოფ.).

ციხიაკოშკ-ი ისტორიული ნაგებობის ნაშთი ს. მაგრანეთში; არქეოლოგიური გათხრების უბანი.

ციხიან-ი ადგილი (ლიშო).

ციხესთან სახნაური მიწები (ზ. შარახ.).

ცოგოთ ახო საძოვ., ველები (ხაიშო).

ცურცუმელთ ახო სახნ., საძოვ. (ჩაბ.).

ცხაოთ ახო სახნ., მინდ., ახო (ჭიაურა). **„ცხავათ ახო"?** (შდრ. ძვ. **ცხაოტი, ცხავატი** მთიულეთსა და ქართლში, ქსნის ხეობა).

ცხვინჯეთ-ი სოფ. ვერხველის უძველესი სახელწოდება [76]. ამავე წყაროს მიხედვით ცხვინჯეთს მჟორენაირად **ბარტოხევი** ეწოდებოდა.

ცხვირა ტყიანი ადგილი, ველები (ტ. სოფ.). ტოპონიმი წარმოქმნილია ფიზიკურ-გეოგრაფიული ნიშნის მიხედვით: **ცხვირ-ა**, სადაც -ა სუფიქსი რაღაც სხვა ობიექტთან, საგანთან მსგავსებას აღნიშნავს (შდრ. შუბლ-ა, ვარცლ-ა, უნაგირ-ა, ნამგალ-ა...).

ცხრათითას ახო ნაკაფი ადგილი (იარაჯ.).

ცხრაკარა საკულტო-რელიგიური ადგილი (თიან.). „ძველი ყორე-ნანგრევებია, ნასასახლები ადგილებია" (ლექსო ჭურჭელაური). ვარაუდობენ, რომ ესაა კვირიკე კახთა მეფის (X-XI სს.) სახელოვნო რეზიდენციის ნანგრევები.

ცხრაკარა, ცხრაკარას საყდარ-ი ისტორიული ნაგებობა, ძველი ყორე-ნამოსახლარი ს. ბადაანებში, ს. საჯინიბოს თავზე, მდ. ორხევის მარცხ. ნაპირზე (სიონმშენის სადაბო საბჭო). ისტორიული ტრადიციით **„ცხრაკარა"** ეწოდებოდა ქართველ მეფეთა სასახლეებს, უპირატესად მათ საზაფხულო რეზიდენცია-სამყოფლებს. ასეთი ცხრაკარები ბევრია კახეთის ტერიტორიაზე. „ცხრაკარა" ადგილის, ობიექტის სახელად დასტურდება ახმეტის რაიონში მა-

ტანსა და ალვანში, აგრეთვე დ. თიანეთის ახლოს. თვლიან, რომ ბადაანების ცხრაკარის საყდარიც კახთა მეფეების საზაფხულო რეზიდენცია იყო ([75] 18-22).

ძ

ძაღლიას წყარო წყარო (ახ. სოფ.). „ძაღლია კაცის მეტსახელია. ბევრი ძაღლები ჰყოლია, დასალევად ვერავინ მიდიოდა იმის წყაროზე“ (ვასო ოთარაშვილი).

ძახვლიან-ი სახნ. (ც. სოფ.).

ძახვლიანის ხევ-ი სახნ., ტყე (ღელ.).

ძებნიაურებ-ი სოფელი თიანეთის ახლოს, ს. ქებოტის სამხრ.-აღმ. მხარეს, მდ. იორის მარცხენა ნაპირზე. დასახლებულია აქ გადმოსული ოსებით და საკუთრივ თიანეთელებით.

ძებნიაურთ უბან-ი ს. ქებოტის ერთ-ერთი დიდი უბანი. ამ უბანში მდებარეობს ცნობილი სალოცავი „**კოპალეს ხატი**“ ([5] 70).

ძეგნაკორა სოფელი ისტორიულ ერწოში; ამჟამად **ძ.** ადგილია, ნასოფლარის სახელად დასტურდება დუშეთის რ-ში, ს. ლაფანაანთკარში, მდ. აბანოსხევის მარჯვ. მხარეს, უძველესი ისტორიულ საბუთებში იგი დადასტურებულია ძაგნაკორნა-ს ფორმით ([50] 255). ტოპონიმი **ძ.** ორი სოფლის ბაგვი-სა და ნაკორნას სახელწოდებათა შეერთებით ჩანს წარმოქმნილი: ძაგვ-ნაკორნა.

ძველდაბალ-ი სახნავი მამული, ველტყიანი ადგილი ს. ქებოტასთან ახლოს, თიანეთ-ახმეტის გზასთან. გამოთქმულია ვარაუდი, რომლის თანახმადაც **ძ.** „ძველ დაბა“-სთან ყოფილა დაკავშირებული: მაგრამ აშკარაა, რომ ასეთი ვარაუდი მხოლოდ სიტყვათა ურთიერთმსგავსებაზეა დამყარებული. სხვაგვარი მოსაზრებით: ძველდაბალი←ქველდაბალი (ი. ბეჟანიშვილი, „ქველდაბა-ძველდაბალი“; გაზ. „ახალი თიანეთი“, № 62, 29 მაისი, 1973 წ.). წერილის ავტორი დაბეჯითებით ამტკიცებს, სიტყვა „ქველ“ დროთა განმავლობაში „ძველ“ ფორმით შეიცვალა, „დაბა“ კი „დაბალ“ სიტყვად იქცაო. ფაქტიურად **ძველდაბალი** ჩვეულებრივი ორონიმია (შდრ. ანალოგიური წარმოების მიკროტოპონიმები: დიდდაბალი, ზმარტლიანის დაბალი, კუნტას დაბალი) და ნიშნავს: „ჩადაბლებული, ჩოლი ადგილი“; „დაბლობი ტყიანი ადგილი“. საგულისხმოა, რომ არაგვის ხეობის ქართლში ტყიანი ადგილის.

სახელად დასტურდება „მაღალ-დაბალი". **„ქველდაბალი"** ხელოვნური ფორმაა. არ შეიძლება გეოგრაფიულ სახელებში მსაზღვრელებად ადამიანის თვისება-ხასიათის აღმნიშვნელი სიტყვები (გულადი, ძლიერი, ქველი...) გვქონდეს. წარმოუდგენელია: **გულადი ხეობა, ქველი მთა, მამაცი ხევი...**

ძველდაბლის ბუანტალ-ი ველტყიანი ადგილი (ქებ.). „მუდმივ სველია". ბუანტალა ფშაური ფორმა ჩანს ბუანტისა. **ბუანტ-ი** — კუთხ. (ქიზ.) 1. ჭაობიანი ადგილიდან გამონაჟონი წყალი (შდრ. ბლანტე). 2. ადგილი, სადაც ბუანტი წყლები ჟონავს (ქეგლ, I).

ძველდაბლის კუდ-ი საძოვ., ველტყიანი ადგილები (ქებ.).

ძველდაბლის წყარო წყარო, მამული (ქებ.).

ძველნაჭრებ-ი ტყე (ქებ.).

ძიას წყარო წყარო, ტყიანი ადგილი დამწვართსოფლის თავზე (ც. სოფ.).

ძიგურაანთ მიწებ-ი სახნ., საძოვ. (სიმ. ხევი).

ძიკურთ ტყე ტყე (ბალ. ხ.).

ძირობა საძოვ.,მინდორი მდ. აძეძის მარცხ. მხარეს (ვეძ. ხ.).

ძირძირობა სახნ. (ქებ.). ასეთივე სახელი დადასტურდა ს. ახალსოფელში.

ძირხვნიან-ი სოფელი თიანეთის სადაბო საბჭოში. დასახლებულია ხევსურებითა და ფშავლებით. **ძირხვნიანი** „ადგილი, სადაც ბევრია მცენ. ძირხვენა". ზოგიერთი ადრინდელი ოფიციალური წყაროს თანახმად ამ სოფელს **ძირხვენიანები** რქმევია (1926 წ.) და მაშინ აქ 11 კომლს უცხოვრია ([68] 51).

ძნელაანთკარ-ი სახნ.-სათესი მამულები (ზარ.).

ძუგარას ნაკაფ-ი ტყე (ხევ. სოფ.).

წ

წარაფა მინდ., ველტყიანი ადგილი (დევენ.).

წაწიას საყდარა ნაშალი საყდარი საყდრიონ-ვეძათხევას მიჯნაზე.

წაწკოსმიწის თავებ-ი ტყიანი მამული; საძოვ. (საყდრ.).

წელფერდებ-ი სახნ., საძოვ. (გორ.). „ძველისძველი სახელი ეგე მაგდევს".

წერათოს კლდე კლდე (ზ. შარახ.). წერათო ცნობილი სოფელია არაგვის ხეობის ფშავში.

წერათოს პანტიან-ი სახნავი, საძოვ. (ზ. შარახ.).
წერათოს წყალ-ი მდ. შარახეულას შენაკადი.
წერაქო სალოცავი ადგილი, ხატი (სახევი). ეტიმოლოგია უცნობია.
წვერ-ი მთის წვერი, სათიბი, საძოვ. (ქუშხ.).
წვრილაან-ი სახნ. (ახ. სოფ.).
წვრილათხევა ხევი, ადგილი (ქვ. ნაქალ.).
წვრილიანა ტყე (ქვერნ.).
წვრილიანგორ-ი ველტყიანი ადგილები (ქებ.). „გორი, სადაც წვრილიანია".
წვრიმლიან-ი ამჟამად სახნავ-სათესი ველები (გორ.).
წითელაანთ ახო სახნაურები (ნად.). „წითელაურების (გვარია) ხატი".
წითელშეშიანა ტყე (მაგრ.). „ხმელი შეშა თუ იყო ბევრი".
წითელშეშიანის ხევ-ი ტყე (მაგრ.).
წითელხახთავ-ი ადგილი ტყეში, ფერდობი, ჩამოშვავებული ადგილი (ყუდრო). „წითელ-ხახთ-თავი"; „წითლად მოჩინარი ხახის ზემო ადგილი".
წითელხახნ-ი ადგილი ს. ყუდროს ტყეში. **ხახი** „ჩამორეცხილი, ჩამოშვავებული ადგილი, კლდიანი ადგილები". მსაზღვრელი „წითელი" უეჭველად მიუთითებს ჩამოხახული, ჩამოშვავებული ადგილის, ნიადაგის წითელ შეფერილობაზე. **ხახ-** (|| ჯაჯ) სიტყვა უნდა ედოს საფუძვლად ცნობილ ხევსურულ ტოპონიმს **ხახმატს** (|| ჯაჯმატ-ი), რომლის მეორე ნაწილი **(-მატ-ი)** ნახური ენის კუთვნილება ჩანს და იგი, ჩვენი აზრით, ლოკატიური **-მათე** სიტყვისაგან მომდინარეობს: **ხახ-მათე || ხახ-მატ-ე/ი „ჯაჯიანი ადგილი".**
წიკვლიაანთკარ-ი სოფელი ზემოთიანეთში (ტუშურების სძ. საბჭო). დასახლებულია საკუთრივ თიანეთელებით. ტოპონიმისათვის ამოსავალია ანთროპონიმი წიკვლია, რაც, ალბათ, წირპლიანი, წუწიანი („მწიკული, მწიკვლი — ყოველივე შემსვრელი გვამისა"...) (საბა) ადამიანის ზედმეტი სახელი იყო. წ. „წიკვლიაშვილების სოფელი".
წინწვრისას ახო საძოვარი, მინდორი (საჭურე). „წინწვრისას ბიძაშჩემს ეძახდენ, გიორგი ექვივნა, ხორნაული, მიხაის შვილი, ფიცხი კაცი ყოფილა, სუ წინწინ ის გავარდებოდა, სუყველას ის მაასწრებდა" (მზ. ჭინჭარაული).
წისქვილგორ-ი ტყიანი გორაკი (ზ. ნაქალ.).
წისქვილებთან სახნავი, საძოვ. (ზენამხ., თოლენჯი).
წიფთა გორა ტყე (ახ. სოფ.) „წიფელია ბევრი, ღორი დაუდით". წიფ[ელ]თა გორა?

წიფლიან-ი საძოვარი; ბუჩქნ. (თრანი).

წიფლიანებ-ი ველტყიანი ადგილი (ორხ.) „ტყეც არი, ველიცა, ეხლა და ეხლა გატყევდა“ (ნ. ობგაიძე).

წიფლის წყარო ტყე, წყარო (ჟებ.).

წიწამურ-ი სახნავ-სათესი მინდვრები; სათიბი (ჩეკ. გორი). „ერთი 32 ჰექტარი იქნება, სუ წიწამურებს ვეძახით. წიწამურს ეტყვიან, ხვატი და ბურუსიანი ამინდი რო ჩადგება. წიწამური დეეცაო, ნისლი და ცხელი აერი წამოვიდაო. წიწამურია დადებულა, ყანებს სუ ადოდავსო, ჩემ ბალღობაში გამიგონია. ეგ იცის გოლვების დროს, ნამი რო არ ექნება ციდანა“ (გიორგი ლეგას ძე ხუმარაშვილი, 63 წლის, ჩეკურაანთგორის მკვიდრი).

„სიცხის დროს რო ბურუსი დგას და აფუჭებს ნათესსა, ეგრე კიდევ ხილსა და ვენახსა, იმას ჩვენ, ჩვენცა და კახეთის მხარეებშიც, ვეძახით წიწამურის დაცემას. წიწამური დაეცა, მოსავალი აღარ იქნებაო“ (ნიკო ვასილის ძე ობგაიძე, 58 წლის, ზემო ნაქალაქარის მკვიდრი).

წიწამური, როგორც ჩანს, ერქვა ძირითადად მზისგულ, ხვატიან (შდრ. ლეჩხ. **ღვაპი**), ბურიან ადგილებს. საყურადღებოა, რომ ჩეკურაანთგორის გარდა, ადგილის, ტყის სახელად წიწამურა დასტურდება ს. თოლენჯში (ერწო), დუშეთის რაიონში სოფელს ჰქვია წიწამურა (მჭადიჯვრის სას. საბჭო). საფიქრებელია, რომ ცნობილი სოფლის **წიწამურ-ს** (მცხეთის რ.) სახელწოდებაც წარმოშობით სწორედ ხვატს, სიცხის ბუღს უკავშირდებოდეს. **ხვატ-** სიტყვისაგან ჩანს მომდინარე **ხოტევი** (←ხვატ-ევ-ი). სოფელია რაჭაში (ამბროლაურის რ.).

წიწამურის ხევ-ი ხევი ს. ჩეკურაანთგორში, ადგილ წიწამური-ს ახლოს.

წმინდა გიორგი საკულტო-რელიგიური ადგილი ს. საყდრიონის ტყეში.

წმინდა ნიკოლავაზ-ი ხატობა, ამაღლების დღესასწაული (დორ.) „ამას ჩვენ ბეწენწურებსაც ვეძახით. სად იყავ? — ბეწენწურების ხატში“ (ვ. დოლიძე).

წმინდა ხევ-ი ტყე (თეგერ., ჟებ.).

წნოლიანჭალა ჭალა მდ. ივრის ნაპირას. ამჟამად ხეხილია ჩაყრილი (ფიქვ.) „წნორიანი ჭალა“.

წნორიან-ი სათიბი, სახნ. (მაგრ.). „ჭუანტები იყო, ამააშრეს“.

წნორის მამულებ-ი სახნავი მინდვრები (ძებნ., თეგერ.).

წნორის წყალ-ი ხევი, მდ. აძეძის შენაკადი (ხევ. სოფ)...

წოვას მამულ-ი საძოვ. ს. ველების მომიჯნავე მამული (ჯიხო, ველები).

წოწლოკინა მთა, უტყეო გორაკი, საძოვ. (საყდრ.).

წოწოლა გორ-ი ტყიანი მთა (თ. ხევა).

წრუწუნა ხევ-ი სახნაური, საძოვ. (ზარ.) „წვრილი, გრძელი ადგილია, ერთავად ქარი უწრუწუნებს“ (ა. შუშანაშვილი). მოსახლოდნელია **„წრუწუნას ხევი“**, წრუწუნა ადამიანის საკუთარი (შერქმეული) სახელი ჩანს.

წუნიაანთ ნაფარეხლებ-ი სახნაური, საძოვ. (ხოფცა).

წურბელა ტბა ადგილი, მინდორი, ძველი ნაგუბარი (ბოჭ.).

წყალათან სათიბი, საძოვ. (ლახატო). **წყალა** „პატარა, უმნიშვნელო წყალი, ხევი“.

წყალთავ-ი სათიბი, საძოვ. (ლახატო). „წყალთ თავი“.

წყალსაკრეფან-ი ადგილი, მინდორი (საჭურე). „წყლებია დაქსელილი, ღარები უდევს და წყალსაკრეფათ ვეძახით“ (მზ. ჭინჭარაული).

წყაროებ-ი სათიბი, საძოვარი მინდვრები (ვერხვ.).

წყაროთუბან-ი სოფელი ერწოში (ღულელების სას. საბჭო). დასახლებულია საკუთრივ თიანეთელებით. ადგილობრივი მოსახლეობა წყაროთუბანს ახალსოფელსაც ეძახის. ადრინდელი ოფიციალური მასალის მიხედვით **წ.-ს ქერაული** რქმევია და მაშინ აქ 14 კომლს უცხოვრია ([68] 52). სხვაგვარი ცნობით წ.-ის ადრინდელი სახელწოდება **როშკიონი** ყოფილა. „როშკელი ხევსურების სოფელი“ ([76] 169).

წყაროსთავის ტაფე ტყე, შემაღლებული ადგილი (თიან.).

წყილაის კალო ადგილია ტყეში (თეთრ.). „კაცი იყო: წყილასა ძახნილან“ (ი. თეთრაული).

წყილაისკალოს წყარო წყარო, მინდორი, ტყე (თეთრ.).

წყილაის წყალ-ი წყარო, ადგილი (ბოდახ.). „წყაროა ძაან კარქი, ძაან მნიშვნელოვანი“ (ა. დულუზაური).

წყლიანკლდე სათიბი, ადგილი (ბუჭყ.).

წყლიანტაფ-ი ველტყიანი მამელი (ევჯ., ალოტი, სახევი).

ჰ

ჰაბუკას ახო ახო. საძოვ. (ნად.).

ჰამათ მამულა პატარა სასაძოვრე, ველი (თეთრ.). „ჰამა“ ანთროპონიმია. მამულა ფორმაში -ა სუფიქსი ობიექტის სიმცირე-კნინობაზე მიუთითებს.

ჰამათ ნასვილრებ-ი მამული. სახნ., საძოვ. (სახევი) „ადგილი, სადაც ჰამაანთ სვილი ეთესათ“, „ჰამაანთ სასვილე მამულები“.

ჰამაურთ ახო საძოვ., ახო, სათიბი (ლიშო).

ჰამიაანთ ახო სახნ. (ახ. სოფ.).

ჰამიას წყარო წყარო (ტუშ.).

ჰამიასწყაროს ბოგირ-ი ბოგირი, ადგილი (ტუშ.).

ჰართალელიანთ ახო სახნავი მინდორი (ახ. სოფ.). „ჰართალელიანთ“ — ს. ჰართლიდან (მთიულეთი, დუშეთის რ.) გადმოსული ხალხი, ოჯახობა.

ჰართა ღელა ადგილი, მინდორი (ვეძ. ხ.) სახელწოდება, სავარაუდოა, უკავშირდება სიტყვა **ჰარს; გველის ჰარა** გველის კანი, გაზაფხულს გამოცვლილი. „კოდალამ გამოათრია კარგა მოგრძო ჰია, გველის ჰარის მსგავსი“ (ვაჟა-ფშაველა, „ჩხიკვთა ქორწილი“).

ჰედელას ნასახლართან ადგილია ს. ველებში (თიანეთის სად. საბჭო).

ჰეხილა მთა, ემიჯნება საგარეჯოს რაიონს (ბოჭ.). **ჰეხილა** „ჩამომეწყრილი, ჩამოშვავებულადგილებიანი მთა“.

ჰვინტაურა ტყიანი მთა, ქედი (თ. ხევა). ადგილობრივ ზმნურ **ჰვრეტას** უკავშირებენ: „თითქო სოფელში იჰვინტებაო“ (ივ. არჩემაშვილი). ფაქტიურად **ჰვინტაურა** ჰვინტს, წვერს, შემაღლებულ ადგილს უნდა ნიშნავდეს. **ჰვნტ-ი** ფეკსაცმელთ წინა წვერი... წინა კერძო (საბა). **ჰვინტი** ფეხთსაცმელთ წვერი ან ცხვირი (ნ. ჩუბინ.). **ჰვინტა** (საუბ. გადატ.) გრძელცხვირა ადამიანი (ქეგლ. VIII). **ჰვინტა** სოფელია მესხეთში. (ახალციხის რ-ნი, ელიაწმინდის სას. საბჭო).

ჰვინტაურას მამულებ-ი სახნ., სათიბი მინდვრები (თ. ხევა).

ჰვინტაურას წყარო სოფ. თეთრახევას წყარო.

ჰიათ კვირია ხატი, სალოცავი ადგილი (თიან.). „ჰია“ აქ გვაროვნული სახელია. „ხატი, სადაც ჰიას გვარის ხალხი დადის სალოცავად“.

ჰიაურა სოფელი და მთა მდ. იორის ხეობაში (ახალსოფლის სას. საბჭო). დასახლებულია ფშაველებით. სოფლის სახელწოდება უნდა უკავშირდებოდეს ანთროპონიმ **„ჰია“-ს** (შდრ. ჰიათ კვი-

რია). **-ურ-ა** სუფიქსი კი კუთვნილებას (წარმომავლობას) უნდა აღნიშნავდეს. **ჰიაურა** „ჰიას გვარის ხალხთა კუთვნილი მამული, ადგილი“. **ჰიაურა** (ჰიაურის ტყე) კახეთშიც დასტურდება, ალაზანსგაღმა (ლაგოდეხის რ.).

ჰიაურის წყარო წყარო, ადგილი (დულუზ.).

ჰილას ახო ატყეევებული ადგილი (თ. ხევა) „კაცის სახელია ჰილა“.

ჰინჰველთ გორ-ი საძოვარი (ომარ., თრანი).

ჰინჰრიან-ი ტყე, საძოვრები (ქ. ნაჭალ., ჟებ., კვერნ.).

ჰინჰრიანყელ-ი ტყე (წიკვლ.).

ჰინჰრიანხევ-ი მშრალი ხევი (მაგრ.).

ჰიოტაანთკარ-ი სოფელი ერწოს ველზე. იორს გაღმა, მღინარ-ს მარცხ. ნაპირზე. ამჟამად ს. ჰიოტაანთკარის ტერიტორია დაფარულია სიონის წყალსაცავით. ტოპონიმისათვის ამოსავალი ჩანს ანთროპონიმი **ჰოტა**, ჰოტა-ან-ი. **ჰოტა** „თვალებბრიალა კაცი“. საგულისხმოა, რომ ადრინდელ მასალებში ჰ. სწორედ **ჰოტაანთკარ**-ფორმით არის დადასტურებული ([51] 110). შეიძლება ამოსავლად ვივაურაუდოთ აგრეთვე ადამიანის პიროვნული (შერქმეული) სახელი **ჰიოტა**, რაც პატარას, წვრილს ნიშნავს. (ქეგლ. VIII). **ჰიოტა** სუსტი, უღონო, გამხდარი, გაწიებული ადამიანი.

ზოგიერთი ადრინდელი ოფიციალური ცნობის თანახმად **ჰ.-ს ნარიანთ ხევი** რქმევია და მაშინ აქ 12 კომლს უცხოვრია ([68] 51).

ჰირხლის ნაჭერ-ი მინდორი (ჟებ.). **„ჰირხლი“** ადამიანის საკუთარი (ზედმეტი) სახელია.

ჰიტალიის წყალ-ი წყარო, ადგილი სბლოვნის გორის ჩრდილოეთით (სახევი). **„ჰიტალა || ჰიტალია“** ადამიანის ზედმეტი სახელია.

ჰიქურის ნასახლარა საძოვ., ტყიანი ადგილები (ალაჭ.) **„ჰიქური“** ადამიანის ზედმეტი სახელია.

ჰიჩო მთა ივრის კუდებში: ქართლის ქედის უმაღლესი მწვერვალი (3047 მ. ზღვის დონიდან). აქედან გამოედინება მდ. ჰიჩოულა. ჰიჩო, ანუ იგივე **მთაწმინდა** ზოგიერთ წყაროში **ჩიჩო** ფორმით დასტურდება ([15] 40), ([114] 111). ეტიმოლოგია უცნობია.

ჰიჩველხატ-ი სალოცავი ადგილი მდ. ივრის სათავეებში, ს. ზემო არტნის თავზე. ჰიჩველხატი, უეჭველია, **ჰიჩოელ ხატს**, ჰიჩოდან აქ გადმობრძანებულ ხატს ნიშნავს (შდრ. ჰიჩო—ჰიჩოველი; ისევე, როგორც ბისო—ბისოველები, ხანდო—ხანდოველები...).

ჰიჩოლების (|| ჰიჩოულების) უბან-ი ს. მაგრანეთის ერთ-ერთი უბანთაგანია.

ჰიჰიკურის ხატ-ი ხატი, სალოცავი ადგილი ზემო და ქვემო არტანში. ჰიჰიკური ადამიანის საკუთარი (ზედმეტი) სახელია.

ჰიჰოთ ახო ველი (ლიშო). ჰიჰო ადამიანის საკუთარი სახელი ჩანს (შდრ. გვარი ჰიჰოშვილი). **ჰიჰო/ა** პატარა, დაბალი ტანის კაცი. **ჰ.** „ჰიჰოშვილების ახო“.

ჰიჰოს წყარო წყარო, საძოვარი ადგილი (მელ. ხ.).

ჰოლიას ახო საძოვარი მინდორი (ქებ.). ჰოლია (ჰროლ-ია?) ადამიანის ზედმეტი (შერქმეული) საკუთარი სახელი ჩანს.

ჰოჰინას ახო ახო, სახნ. (თიან.).

ჰრელთ ნაგომურალ-ი სახნ. ადგილი (ლახატო). **„ჰრელი“** აქ ანთროპონიმია: „ჰრელოშვილების ნაგომურალი“.

ჰრელის ნასახლარებ-ი სახნ.მინდორი (სახევი). (იხ. ჰრელთ ნაგომურალი).

ჰრელუანთ ახოებ-ი საძოვრები (დულუზ.). „ჰრელოანთ ახოები“.

ჰრელუას წყარო პატარა ხევი, ერთვის მდ. ხოფცას (ზარ.).

ჰურულა პატარა ხევი, წყალი (საყდრ.).

ჰურჰელაურებ-ი სოფელი მდ. ივრის მარჯვენა სანაპიროზე (თიანეთის სად. საბჭო). სახლობენ ივრისხეველი ფ'ავლები. სოფლის სახელწოდება მომდინარეობს აქ მცხოვრები ძირითადი გვარის — ჰურჰელაურის მიხედვით, რომელსაც შემდგომ ადამიანთა სიმრავლე-კრებითობის **-ებ** ნიშანი დართვია. ჰურჰელაურების უძველესი სახელწოდება **აჯაგვი** ყოფილა ([22] 206). ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში ძველ აჯაგვს ჰურჰელაურები დარქმევია, აჯაგვი კი აჯაღვა ფორმად ქცეულა ([68] 51). 1926 წლისათვის აჯაღვა (ჰურჰელაურები) 22-კომლიანი სოფელი ყოფილა ([68] 51).

ჰულუნას ყანა ადგილი საყდრების ხევში (საჯინ.) „ჰულუნა ყოფილა აბეშიკი, ქერი სდგომია მაგ მამულში“. (ბ. ჭინჭარაული).

ჰუჰულიანთკარ-ი ნასოფლარი თიანეთის რ-ში ([76] 187).

ჰუანტებ-ი სველი, ჭაობნარი, ჭანჭახი ადგილები (ბაღ.). სახელწოდება **ჰუანტები, ჰუანტიანი/ა** ძალზე ხშირად დასტურდება აქაურ მიკროტოპონიმიაში.

ჰუანტის უელ-ი უხნავი ადგილი, საქონლის დასაყრელი მინდორი (ზარ.).

ხ

ხადოელებ-ი სოფელი ერწოში (ღულელების სას. საბჭო). დასახლებულია გადმოსული ხევსურებით, მთიულებითა და საკუთრივ თიანეთელებით. ფაქტიურად **ხ.** ს. გუდანელების ერთ-ერთი უბანთაგანია, მდებარეობს ს. თრანსა და გუდანელებს შორის. ტოპონიმი **ხადოელები** (ხადო-ელ-ებ-ი) აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ აქაური მოსახლეობა სოფ. **ხადუ**-დან (ხევსურეთი) გადმოსულა (გუდანის სას. საბჭოში ახლაცაა სოფლები **წინხადუ** და **უკანხადუ**). **ხადუ-ელ—ხადო-ელ-**, რომელსაც შემდგომ ერწო-თიანეთური ტოპონიმიისათვის ესოდენ სპეციფიკური **-ებ** სიმრავლის სუფიქსი დართვია.

ხაიშო სოფელი თიანეთის ჩრდ.-დას. (ახალსოფლის სას. საბჭო). დასახლებულია ივრისხეველი ფშავლებით. ეტიმოლოგია გაურკვეველია. საფიქრებელია, რომ იკი ნახურ **-შო** მაწარმოებლიან სახელთა რიცხვს ეკუთვნოდეს (შდრ. ლიშო, ჭანიშო, ხარტიშო, ჭეშო, აფშო...). ზოგიერთი ადრინდელი ოფიციალური მონაცემის მიხედვით ხაიშოს **მუხუდო** რქმევია ([68] 52). 1926 წლისათვის მუხუდოში 6 კომლს უცხოვრია (იქვე).

ხანდოს ხევ-ი მდინარე ქვემო ერწოში; მიერთვის მდინარე ორვილს (ს. ყუდრო).

ხანძილიანტაფ-ი ტყიანი მინდვრები (ომარ.).

ხარიტონის ახო ტყე, ველი (ხევ. სოფ.).

ხარიხის გორ-ი ტყე, გორაკი (ღულელ.). როგორც ჩანს, ადგილობრივი მოსახლეობა აქ ჭრის ხარიხეებს (გრძელ სწორე ლატნებს).

ხარხელაურთკარ-ი სახნავი მინდვრები (ნად.). თვითონ გვარი **ხარხელაური,** ჩვენი ვარაუდით, ადამიანის საკუთ. სახელისაგან **ხარხელა**-საგან უნდა მომდინარეობდეს. ხარხელა კი ნიშნავს: ხარხეთ-ელ-ა, ე. ი. სოფ. ხარხეთის ყოფილი მკვიდრი, ხარხეთიდან წამოსული პირი. ხარხეთელა—ხარხელა, ისევე როგორც კახელაძე—კახ-ეთ-ელა-ძე, ოძელაშვილი—ოძ-ის-ელ-ა-შვილი, ჩოჩელი—ჩოჩ-ეთ-ელ-ი და სხვ. **ხარხელაური** „ხარხელას შთამომავალი, ხარხელას გვარის კაცი, ბუნის წევრი"; ხარხელაურთკარი „ხარხეთიდან (დუშ. რ.) გადმოსულ მცხოვრებთა კუთვნილი ადგილები".

ხატბოლო სასაძოვრე (ზ. მხ.).

ხატისმამულ-ი სახნაური (ლიშო).

ხატსასაფლაოს ალაგებ-ი სახნავები (ნად.). საერთოდ სიტყვა **ხატი,** შეიძლება ითქვას, აქაურ მიკროტოპონიმიაში ყველაზე ხშირად აწარმოებს ადგილის სახელებს.

ხატხევ-ი ნასოფლარი ივრის სათავეებში, ნასოფლარ ყვარას და ლიჩანურის ზემოთ, ს. არტნიდან 4-5 კმ-ზე. **ხ.** დიდი ხნის ნასოფლარი ჩანს. ჯერ კიდევ 1870-იან წლებში ცნობილი გერმანელი ეთნოგრაფის გ. რადეს ცნობით აქ მხოლოდ 2 კომლს უცხოვრია. გ. ჩიტაიას მიერ 1939 წ. აღწერილ ივრის ხეობის სოფელთა სიაში ხატხევი უკვე სოფლად აღარ ჩანს. ხატხევი ჩვენი მასალების მიხედვითაც (1974 წ.) ნასოფლარია. **ხატხევ-ი** ხატის (სალოცავის) ხევს ნიშნავს.

ხატხეონ-ი ნასოფლარი მდ. ივრის ზემო წელზე, მის „კუდებში" ე. ი. სათავეებში. **ხატხეონი**-სათვის ამოსავალია **ხატ-ხევი,** რაც ხატისხევს სალოცავ ხევს ნიშნავს. გასარკვეცია **-ონ** ელემენტის რაობა. საფიქრებელია, რომ იგი ადამიანთა სადაურობის აღმნიშვნელი ფორმანტი იყოს, როგორც ეს არხოტ-იონ, შატილიონ, ამღ-იონ, როშკ-იონ და სხვა სახელებში გვაქვს. ხატხევონ-ი—ხატხე-ონ-ი „ხატხევის მკვიდრნი"? თუ **ხატ-ხევა-ნ-ი?**

ხატხეორხ-ი ნასოფლარი, მაღალი გორაკი, საძოვრები მდ. ივრის სათავეებში, თამარის ხატის ახლოს. აღნიშნულ ტოპონიმს **ხატხეურხი-ს** ფორმით იცნობს ვ. ბარდაველიძე ([5] 106). ამოსავალი, როგორც ჩანს, არის **ხატხევ-ხორხ-ი** „ხატხევის ხორხი (ყელი, გადასასვლელი)". აღსანიშნავია, რომ აქვე არის ნასოფლარი **ხატხორხი,** რომელიც გ. რადეს მასალების მიხედვით ადრე 9 კომლიანი სოფელი ყოფილა.

ხატხორხ-ი (იხ. ხატხეორხი).

ხატხეურ-ი მთა, ვრცელი სათიბ-საძოვრები მდ. ივრის სათავეებში. „ხატხევის მთა".

ხატხეურა მდინარე ივრის ერთ-ერთი სათავეთაგანი. „ხატხევურა", „ხატხევის წყალი".

ხაშარ-ი ნასოფლარი, მთა მდ. ივრის სათავეებში. ხაშარი სოფლად აქვს დადასტურებული გ. ჩიტაიას 1939 წლისათვის (11 კომლი). ჩვენი მასალების მიხედვით (1974 წ.) **ხ.** უკვე ნასოფლარია. ტოპონიმის წარმომავლობა გაურკვეველია.

ხაშრულა მდინარე ივრის ერთ-ერთი სათავე. „სოფელ ხაშარის წყალი".

ხაწირ-ი ველტყიანი მთა, გორაკი დ. თიანეთთან ახლოს, თიანეთისა და თეთარხევას შორის. ტოპონიმ ხაწირისათვის ამოსავალია

ფშაური **ახაწირება, ახაწირებული** „შეგროვებული, შეჭუჩებული, ზვინისმაგვარად დადგმული“. ვაჟა **ხაწირ-** სიტყვას სწორედ ასეთი მნიშვნელობით ხმარობს: „დაგროვდა ფრინველის თავები, ვითა ლოდები ყორისა, იმათ ბუმბულიც ისეა, როგორც ხ ა წ ი რ ი მოლისა“ ([15] 335). ტოპონიმ ხაწირას ზმნურ ახაწირებასთან კავშირზე მიუთითებს თ. პ ა ტ უ რ ა შ ვ ი ლ ი (გაზ. „ახალი თიანეთი“, № 28, 6 მარტი, 1969 წ.). ადგილობრივ გავრცელებულია ხალხური ეტიმოლოგია ხაწირის **ხატწირვა**-საგან მომდინარეობის თაობაზე. ამგვარი ეტიმოლოგიის უსაფუძვლობა აშკარაა.

ხაწირის ბოლოებ-ი სახნ., საძოვ. მინდვრები (თ. ხევა).

ხახელას კლდე ადგილი, დიდი კლდე (სიმ. ხევი) „ხარბელას კლდე“?

ხახმატ-ი საკულტო-რელიგიური ადგილი, სალოცავი (ლიშო). ამ შემთხვევაში ტოპონიმის მიგრაციასთან უნდა გვქონდეს საქმე. ჩანს, ივრისხეური **ხ.** ხევსურეთის ხახმატის მიხედვით არის წარმოქმნილი.

ხახნ-ი ადგილის სახელია ს. საჯინიბოში. „ადგილია სულიანტბის დაბლა. ნამზელევებია, დგნალი და მურყანი დგას“ (გ. გიგაური). **ხახ-ნ-ი**, სადაც **-ნ-** მრავლობითობის ნიშანია: ხახ-ებ-ი, „ჩამომზღვლეულ-ჩამოხახული ადგილები“.

ხევას წყალ-ი პატარა ხევი, მდინარე (ზ. შარახ.).

ხევებშუა საძოვ. (დორ.).

ხევთაშუა სახნ. (ხოფცა, თ. ხევა, ნადოკრა, სიმ. ხევი).

ხევთაშუა მამულ-ი სახნ. (ზარ.).

ხევთუბან-ი ასეთი სოფელია ცნობილი ერწოში („საველოში“) XVI-XVII სს. ქართული ეკონომიკური სიბუთების მიხედვით ([50] 103).

ხევსურთსოფელ-ი სასოფლო საბჭოს ცენტრი თიანეთის რაიონში (ერწოში). დასახლებულია ძირითადად ფშავლებითა და საკუთრივ თიანეთელებით. ადგილობრივ გავრცელებულია ტოპონიმის აბრევიაციული ფორმა **ხევსოფელი**, ისევე როგორც მეზობლად მდებარე **სიმხევი** (—სიმონიანთხევი). ძირითადი გვარია ჯამაგიძე (90 კომლი). სხვა გვართაგან აქ სახლობენ ხუცურაულები, კენკიშვილები, წიკლაურები, არაბულები, ჭრელაშვილები, ბუჩუკურები, ცხვარიაშვილი (1 კომლი), ჯავარაშვილები, ოსეფაშვილები (4 კომლი), ჩოხელი (1 კომლი). სოფლის ადრინდელი სახელწოდება ყოფილა **ხევსურები** ([76] 172).

ხევსოფლის ხევ-ი პატარა წყლიანი ხევი, ჩამოუდის ხევსურთსოფელს.

ხევსურთკარ-ი სახნავი, ველტყიანი ადგილი (თიან.).

ხევშუა ხევი, ადგილი (საჭურე). „ეგ წყალსაკრეფათ თავზეა. დილით იქ საქონს ვაგროვებთ და მერე გაგვიდის სამწყესურადა“ (მხ. ხორნაული).

ხევჩუა ადგილი, პატარა ველი (ქვ. ნაქალ.). ეგევე ტოპონიმი გვხვდება ს. მაგრანეთშიც. „ადგილია, ბუჩქნარი, პატარა ხევია. თე წვიმებია, წამუა წყალი. მითომ არც ხევია, არც მინდორი; პატარაა, **ხევჩუა** რომ არისო“ (ამირან ფეტვიაშვილი). მაგრამ აშკარაა, რომ ხევჩუა **ხევთ-შუა**'საგან გვაქვს მიღებული. ანალოგიური წარმოების **ჯევჩუ** ტოპონიმი დასტურდება თუშეთშიც, სადაც ჯევჩუ—ჯევთშუ—ჯევთშუა ([79] 101). ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილ ხევთშუა ტოპონიმში თ+შ—ჩ პროცესი აღარ მომხდარა, რადგან მათ შორის ა ხმოვანია.

ხეიპირებ-ი ველტყიანი ადგილი (ჭურჭ.) „ხევის პირები“.

ხეცაბარამათ ახოებ-ი საძოვარი მინდვრები (ლიშო). „ორი გვარი იყო ხეცაშვილები და ბარამაშვილები, იმათ გაუკეთებია ეს ახო და სახელიც ეგე მაუქვივნებავ“ (ს. აბალიშვილი).

ხიბლაანთ ახო საძოვარი მინდორი ს. მამადაანების მხარეს (საჭურე). ამოსავალია ადამიანის საკუთარი (გამოცვლილი, ზედმეტი) სახელი **ხიბლა** „ეშმაკი (|| მომხიბვლელი), მაცდური, ხიბლიანი ადამიანი“.

ხიბლაანთ ჭყანტ-ი სათიბი (მამად.) „ხიბლა ყოფილა კაცი, რომლისთვისაც მიუციათ პლენი, მაჰმადა რო ჰქვივნებია, ისა. ხოლოთ ეს ხიბლოშვილები ხემსურები ყოფილან“ (ალ. ჭურჭელაური).

ხიბლას ნაომარ-ი ველი ტყეში (ღულელ.) „ხიბლა ექვივნა ძროხასა. წასულიყო და კვირიის თხილიანის გზაზე მგელს დაეგლიჯნა. დიდი ეომათ, დიდი ებრძოლათ და მაუქვივნებავ ეგ სახელი“ (გ. ქისტაური).

ხიმიკაურის საყდართან მამული, საძოვ. (წიკვლ.).

ხიმშირიანთ უბან-ი ს. თრანის ერთ-ერთი უბანთაგანი.

ხიმშირიანთ თხილიან-ი სასაძოვრე, ბუჩქნარი (ღულელ.).

ხინკებ-ი ნასოფლარი თიანეთის რაიონში. ზოგიერთ ოფიციალურ წყაროში **ხ.** წარმოდგენილია როგორც **ხინჯები** ([76] 187). არასწორია სხვაგან დადასტურებული ხინჩები-ც ([114] 289).

ხირჩლაანთ ახოებ-ი სათიბი, საძოვ. (ზ. მხ.).

ხირხატ-ი ქვიანი მინდორი (ბოკ.).

ხიტლიკურ-ი გორაკი; სალოცავი ადგილი (საკრეჭ.).

ხიხის ჭყანტებ-ი მინდორი, პატარა ტბა, გუბურა (ორხ.) .

ხმალა ხატი, სალოცავი ადგილი (ზ. შარახ.). საკულტო-რელიგიური ადგილი, სალოცავი **ხმალა** დუშეთის რაიონის ს. ვეძათხევშიც დასტურდება.

ხოდაბულებ-ი ვრცელი სახნავ-სათესი მინდვრები ს. ბოჭორმაში. როგორც ჩანს, ეს „ხოდაბულები“ იყო ბოჭორმის წმ. გიორგის ეკლესიის (ხატის) კუთვნილი მამულები.

ხოზუას ნასახლარ-ი სახნავი ადგილი (ლელ.).

ხოლაჯაგა ადგილი, ძველი ნამოსახლარი (წყ. უბ.). ადგილობრივ: ჯოლაჯაგა, შდრ. ჯოვლე (სოფელი ქართლში, კასპის რ.) „ჩაჯოვლილი, ჩაქცეული ადგილი, ნასოფლარი“. ტოპონიმი ჯოლაჯაგა ასევე ნასოფლარი, ნამოსახლარი ადგილის სახელად დასტურდება ტოლაანთსოფელშიც.

ხოტიანი წყარო წყარო (ჟებ.). ტოპონიმი, როგორც ჩანს, მომდინარეობს სიტყვა **ხოტი**-საგან, რაც ნიშნავს: ალაოს ლექი, ლუდის გამონახარში (ქეგლ, VIII). მაშასადამე **ხ. წ.** — „ამღვრეული, ლექიანი წყარო“.

ხოფჩალიან-ი სახნაური, საძოვ. (ზ:რ.). **-იან** აშკარად ქონების სუფიქსია. ფუძედ გვრჩება **ხოფჩალა**, რომლის მნიშვნელობა უცნობია. ეგებ **ხოფცის ჩალიანი?**

ხოფცა სოფელი ზემოთიანეთში (ზარიძეების სას. საბჭო). სოფლის მოსახლეობას ფშავლები და საკუთრივ თიანეთელები შეადგენენ. ტოპონიმის შინაარსი გაურკვეველია. 1926 წ. ხალხის აღწერის მასალების მიხედვით მას **ხოფსა** (უშიკიანები) რქმევია ([68]51).

ხოშარა ნასოფლარი თიანეთის რ-ში ([76] 188). ამჟამად „ხოშარა“ ეწოდება დ. თიანეთის ერთ-ერთ სასადილოს. როგორც ჩანს, ამ ტოპონიმთან არის დაკავშირებული ძველი ქართული ხალხური ლექსი:

„შვილო, ნუ ჩახვალ ხოშარას,
ხოშარა ეკლიანია;
ჩახვალ და ვეღარ ამოხვალ,
იქით ამოსვლა ძნელია“.

ხოჭიას ველ-ი ტყე, ველები (თეგერ.).

ხოხას ნასახლარებ-ი მინდორი (ხაიშო) „ხოხა ექვივნა, მოლექსე კაცი იყო, კაფიობაში მაგარი სადმე ყოფილა“ (ვ. ოთარაშვილი).

ხოჯაანთ ჭალა ადგილი, დაბლობი მინდვრები (ვეძ. ხ.). „ჰონადელეები იყვნენ ეგ ხოჯაანი“ (ე. წიკლაური).

ხრუკეს ნაჩხვლეტ-ი ფერდობი ადგილი ს. დულუზაურებში. „ხრუკე ექვეცნა კაცსა, მიდენილა და ეშმაკად ჯოხი უკრავ და წყალი ამოსულა იმ ადგილას“ (ალ. დულუზაური).

ხუთპანტებ-ი სახნ., საძოვ. (თეგერ.).

ხუთყურიან-ი ფერდობი, საძოვ. (ქუშხ.) „ზღმარტლიანი“ (ხევს. **ხუთყურა** „ზღმარტლი“).

ხუმარათ ახო ახო (ქურჭ.) „ხუმარაშვილების ახო“.

ხუმარათ გორ-ი გორაკი (ზ. არტ.).

ხუმარათ ნასახლარებ-ი მინდორი, ნამოსახლარი ადგილი (სახევი)

ხუმარათ ტაფ-ი მამული (სახევი) „ქერი უხნავ ხუმარაშვილებსა“.

ხუმარათ წყალ-ი წყარო ს. სახევში. „განთქმული წყალია“.

ხუნწიანტაფ-ი ველი, საძოვ. (ქუშხ.) „ბატარა ველა რამ არის, ხუნწი იცის ბევრი“ (ს. აბალიშვილი). **ხუნწი** იგივე მოცხარი ([52] 51).

ხურძველებ-ი (|| **ჯურძველები**) სახნ., საძოვ. (ნად.). ტოპონიმის შინაარსი საკვლევია.

ხუფხუფა მამული, სახნ., წყარო (ხოფცა) „წყალია, სუ ხუფხუფით ამოდის (ა. შუშანაშვილი).

ხუშხევ-ი (|| **ჯუშხევი**) (იხ. ქუშხევი).

ხუხას ნაკაფ-ი მინდორი (ღულელ.) „ეხლა მეურნეობის ნარგაევებია“.

ხუხუნას წყარო ტყე, წყარო (ახ. სოფ.).

ხშირპანტიან-ი სახნ., საძოვ. (ზ. შარახ., ლახატო).

ხშირჯაგიან-ი ჯაგნარი, დაბალი ტყე (ზ. ნაქალ.).

ჯ

ჯაბანაანებ-ი (იხ. არხალი).

ჯაბანიანთ ნახოცებ-ი ველტყიანი ადგილი (თეგერ.).

ჯაბლევ-ი ნასოფლარი მდ. ივრის სათავეებში, ზემოარტნის ჩრდ.-აღმ. მხარეზე. 1870-იანი წლებისათვის ჯაბლევში გ. რადეს ცნობით 17 კომლს უცხოვრია. 1910-იანი წლებისათვის ჯ. კვლავ სოფელია ([92] 7). 1940-იანი წლებისათვის ივრის ხეობაში. ჯ. სოფლად უკვე აღარ მოიხსენიება [96]. ჩვენი მასალის მიხედვით (1974 წ.) ჯ. ნასოფლარია.

ტოპონიმ ჯ.-ის ეტიმოლოგია უცნობია (ჯაბ-ალ || ჯაბ-ან-ევ-ი?) ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ იგი შენახული იყოს ს. ჯა-

ბური-ს (ახმეტის რ.) სახელწოდებაში? **ჯაბლ-ურ-ი→ჯაბ-ურ-ი** „ჯაბლევიდან გადმოსული ხალხის სოფელი“?

ჯაგიან-ი ველტყიანი ადგილია ს. ყუდროში. ხშირად გვხვდება აქაურ მიკროტოპონიმიაში.

ჯაგიას წყარო წყარო, ადგილი (საყდრ.).

ჯაგლაგის ნასახლართან სახნავი ადგილი; ხეხილის ბაღი (ზ. შირაბ.).

ჯავარას პანტა სახნავი ადგილი (საკრ.).

ჯავახგორ-ი ადგილ, გორაკი (თოლ.) „ჯავახიანები არიან აქა და იმათ სახელობაზეა“ (არჩ. ჯავახიშვილი).

ჯამაგიძის წყარო წყარო (ბოკ.) „სახელგანთქმული წყაროა“ (რ. მინდიკაური).

ჯამარაულთ მიწებ-ი სახნ. (გოჯ.).

ჯანგირაანებ-ი ს. საკრეჭიოს (იხ.) მეორე, ადგილობრივი სახელწოდება. ვახუშტი მას იცნობს როგორც **ჯანგირაანთ-კარი** ([22] 206).

ჯანგირაანთგორას ნაფარეხლებ-ი ველტყიანი. ჩადაბლებული ადგილები (საკრ.). ტოპონიმი აშკარად მიუთითებს ს. საკრეჭიოს ტერიტორიაზე ჯანგირაშვილების ადრინდელ ბინადრობაზე.

ჯანგირას წყარო წყარო (დევენ.).

